საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელი

სტატიების კრებული

„მეცნიერება"
თბილისი
1990

9(с 922) „10-11"

63. 3(2Г)
ด15

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინამდებარე კრებული ეძღვნება გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს დავით IV აღმაშენებელს. კრებული ძირითადად შედგენილია იმ სამეცნიერო მოხსენებათა საფუძველზე, რომლებიც წაკითხულ იქნა 1989 წლის დეკემბერში დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

რედაქტორი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
როინ მეტრეველი

რეცენზენტი ისტორიის მეცნ. დოქტორი ი. ანთელავა

სპეც-2000
შეკვეთილია

ด $\frac{0503020906}{М\ 607(06)—90}$ რეზ. 90 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1990

ISBN 5—520—01150—8

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როინ მეტრეველი

დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობისათვის

მიმდინარე წელი ჩვენმა საზოგადოებამ დავით აღმაშენებლის სახელით მონათლა და წმინდანად შერაცხული „მესიის მახვილის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის ცხრასაუკუნოვან თარიღს მიუსადაგა.

„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ ისტორიას ივიწყებს: როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა, ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის; ესეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავის ისტორია არ ახსოვს“, — დიდი ილიას ეს სიტყვები ეპიგრაფად გამოადგებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ილია ჭავჭავაძე მკვეთრად ჩამოყალიბებულ მეტად მნიშვნელოვან აზრს გვაწვდის დავით აღმაშენებელზე: „ამ... მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმის ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს“...

მეფე დავით IV აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა აღსავსე იყო მძიმე ბრძოლებით, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების გამუდმებული დაძაბვით, ღრმა დრამატიზმით. მისი საქმიანობის რეალური შედეგი ქვეყნის გაზრდა-გაფართოება და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცება იყო. სწორედ დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული მწყობრი, გეგმაზომიერი ღონისძიებების წყალობით მიაღწია საქართველომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მწვერვალს.

აღმაშენებლის წოდებით ისტორიამ მხოლოდ დავით IV იცის. ვახუშტი ბაგრატიონი ასე განმარტავს ამ გარემოებას: „ხოლო მეფესა დავითს ამისათვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოხერი. ამან განავსნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, ბერეთა ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური,

ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი...“ და ა. შ. საოცარი სიზუსტითა და სისხარტით გადმოგვცემს, თანაც რეალურ შეფასებას აძლევს XVIII საუკუნის ისტორიკოსი დავით IV-ის ღვაწლს.

დავით აღმაშენებელმა დასუსტებულ და დამხობილ საქართველოს, რომლის საზღვარი XI საუკუნის 80-იანი წლებისათვის დასავლეთ საქართველოთი იფარგლებოდა და სატახტო ქალაქიც ქუთაისში იყო, ენერგიული ზომების მიღებით კვლავ ერთიანი სახე დაუბრუნა და გააფართოვა. საქართველოს სახელმწიფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე გადაიჭიმა.

როგორ შესძლო ეს? უპირველესად დაქსაქსული, თურქ-სელჩუკებისაგან შეშინებული მოსახლეობა დააბრუნა, ერთგული რაზმებით მცირე-მცირე ლაშქრობებით და გამარჯვებებით სელჩუკებს საქართველოდან თანდათან ამოუკვეთა ფეხი, ქართველ მოსახლეობას კი რწმენა დაუბრუნა.

დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდგვაროვანი მოწინააღმდეგეები — ბაღვაშები, აბულეთისძეები; თანაც განსხვავებით წინამორბედი მეფეებისაგან შეღავათებითა და წყალობით კი არ დაფარა ისინი, არამედ საერთოდ გააუქმა მათი საერისთავოები (მაგ., კლდეკარი) და სამეფო დომენებად აქცია; საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალი — ერისთავები პრაქტიკულად დაუქვემდებარა ფეოდალური მონარქიის ცენტრალურ მმართველებს.

1099 წელს შეუწყვიტა ხარკის მიცემა სელჩუკებს.

1104 წელს ერთიან სამეფოს ჰერეთი და კახეთი შემოუერთა, რასაც მეფის მოწინააღმდეგე და სეპარატიზმის მოსურნეთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა — შედეგი ერწუხთან ბრძოლა იყო. საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა სულთნის ლაშქარი, განძის ათაბაგი ლაშქრითურთ, ჰერეთ-კახეთის დიდებულთა ერთი ნაწილი, მრავალრიცხოვანი მოლაშქრეებით. მტრის რიცხობრივ უპირატესობას საქართველოს სამეფო კარმა კარგად გაწვრთნილი ლაშქარი და თავგანწირული მებრძოლები დაუპირისპირა. ერწუხის ომი საქართველოს ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა. დავით აღმაშენებელი უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლაში. იგი არ ჰგავდა იმ მხედართმთავრებს, რომლებიც უკან უდგანან ლაშქარს და იქიდან აძლევენ განკარგულებებს. დავით IV „უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა და ვითა ლომი, შეუძახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329). მოწინააღმდეგე განადგურებულ იქნა. დავითმა „თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“.

კახეთ-ჰერეთის საბოლოოდ შემომტკიცებასთან ერთად ერწუხის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკური

და სამხედრო ძალების ზრდის დემონსტრირების თვალსაზრისით, ამ-ერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შეეძლო ფართო მასშტაბის ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებების ქმედითად გატარება. აქედან მოყოლებული საქართველოს სამეფომ ბევრი ისეთი გრანდიოზული ნაბიჯი გადადგა, რომელმაც ქვეყანა იმდროინდელ წინა აზიასა და კავკასიაში ერთ-ერთ გავლენიან და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია.

დავით აღმაშენებელთანაა დაკავშირებული სრულიად საქართველოს დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრების მოწვევა. „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი". დავით აღმაშენებელი, ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, კრებას ესწრებოდა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა", ე. ი. საქართველოს მეფე კრების ერთ-ერთი რიგითი მონაწილე იყო. შედეგად — „ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო წესი ღმრთისა ყოველი დაამტკიცეს". დავით აღმაშენებელმა ეკლესია საბოლოოდ შემოიმტკიცა მას შემდეგ, რაც მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდლის თანამდებობები გააერთიანა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ქვეყანაში მეფის შემდეგ „პირველ კაცად" აქცია.

დავით აღმაშენებელმა ერთიან საქართველოს სამეფოს შემოუერთა — 1110 წელს სამშვილდე, 1115 წელს — რუსთავი, 1117 წელს — გიში, 1118 წელს — ლორე. მართალია მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო, ვიდრე საქართველოსთან მიმდებარე ყაბალა-განძა-ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდნენ მომხდურ თურქ-სელჩუკებს და ყოველთვის მზად იყვნენ მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მტრის განდევნის ლოგიკური შედეგი ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება იქნებოდა.

დავითმა ფართო მასშტაბის სამხედრო რეფორმები გაატარა — ჯარის გაწვრთნასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან ყივჩაყთა 40 000 ოჯახი ჩამოასახლა, რომელთაც ფაქტობრივად 40 000 მოლაშქრე მისცეს (ასეთი პირობით შეაბა ფეოდალურ უღელში ყივჩაღები საქართველოს სამეფო კარმა) და 1120 წლისათვის საქართველოს 60 000-იანი მუდმივი ლაშქარი ჰყავდა. ამის გარდა, დავით აღმაშენებელს ჰყავდა ხუთი ათასიანი პირადი გვარდია — მონა სპა. ქვეყნის ლაშქრის ერთ ნაწილს შეადგენდა „სამეფოსა სპანი", რომელიც მუდმივი ლაშქრისგან განსხვავებით „ქვეყნითგან გამოყვანილი და ერისთავთა ქვეშე დაწესე-

ბული“ (ვახუშტი) იყო. ამ მოლაშქრეებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წარმოაჩენს, როგორც „რჩეულნი და მოკაზმელნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ლაშქარს ემატებოდა „როქის სპა“ — უცხოელთაგან დაქირავებული ჯარი.

ქართველი ერის სამართლიანი ბრძოლების ისტორიაში უდიდესი ადგილი უჭირავს დიდგორის ბრძოლას. მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი, რომელიც რამდენიმეჯერ აღემატებოდნენ ქართველებს, განადგურებულ იქნა დიდგორთან 1121 წლის 12 აგვისტოს, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს.

ამ წარმატების შემდეგ, 1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო და სატახტო ქალაქი კვლავ აქ გადმოიტანა — „დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“.

დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წელს) და ანისი (1124 წელს). მისმა ზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“. ისტორიკოსი მკაფიოდ აჯამებს დავით აღმაშენებლის ღვაწლს: „სულტანი დასვა მოხარკედ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თვისი: დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროსნი, მრწემად მოიყვანა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასვა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351).

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები ქვეყნის ეკონომიკური მომძლავრების საქმეში. XIII ს. პირველ მეოთხედში საქართველოს სოფლის მეურნეობამ და ხელოსნობა-ვაჭრობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა სამართლის დარგში.

დავით აღმაშენებლის დიდი მცდელობით და გამუდმებული ღვწით ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც რეალურად გამოიხატა. აქ მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მუსლიმანური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. განვითარდა საერო ლიტერატურა, აშკარად შეიმჩნა მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და ხუროთმოძღვრების აღმავლობა.

ამ დროს საქართველოში არაერთი უმაღლესი სკოლა და აკადემია ყოფილა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი განათლებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს გელათს უკავია; გელათს, რომელიც „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად“ მოევლინა ქვეყანას. აქვე დაიკრძალა 1125 წლის 24 იანვარს გარდაცვლილი, ოცდათექვსმეტი წელი საქართველოს მეფედ ყოფილი (მეფე

აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა), მესიის მახვილად აღიარებული და წმინდანად შერაცხული დავით IV აღმაშენებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის ყურადღება გადასწვდა კულტურული ცენტრების გამრავლებას საზღვარგარეთაც. ...აღავსო ზღვა და ხმელი მრავალმხრივ და ღრმად განათლებული საქართველოს მეფის ქველმოქმედებამ: „რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისაცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილთა... რამეთუ მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალათასეული“ (ქ. ც., I, გვ. 352—353).

საზღვარგარეთ ქართული კულტურული საგანმანათლებლო ცენტრების გაჩენა საერთაშორისო მასშტაბით დავით აღმაშენებლის დიდი გავლენისა და ავტორიტეტის ნათელი დასტურია.

ცალკე თემაა დავით აღმაშენებლის დიპლომატია და იგი საგანგებო ჩაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს. ერთი რამ ცხადია, რომ ზნეობრივი დონე XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს დიპლომატიისა მაღალია და იგი ეწინააღმდეგება დიპლომატიის კლასიკოსად აღიარებულ ჰაროლდ ნიკოლსონის თეორიას დიპლომატიის მორალური ფილოსოფიის გარეშე გამოცხადების შესახებ. ჩვენ გვაქვს გვიანდელი ცნობა პავლე ალეპოელისა, რომელიც ადასტურებს ყივჩაყთა გადმოსახლებისას დავით აღმაშენებლისა და ვლადიმერ მონომახის დიპლომატიური მოლაპარაკების შესახებ.

საქართველოს ისტორიამ არ იცის უფრო რეალური, უფრო აქტიური, უფრო მოწინავე მატარებელი პროგრესისა, ვიდრე დავით IV აღმაშენებელი. შეუზღუდავი თვითმპყრობელური ძალაუფლება, ეს ოდიოზური იარაღი სახელმწიფოსი, დავით აღმაშენებლის ხელში, ქვეყნის სამსახურში ჩაყენებულ პროგრესულ იარაღად იქცა. დავით აღმაშენებლის მიზანი — საქართველოს გადარჩენა, მისი პოლიტიკური გაძლიერება და კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობა — უმკაცრესი ზომების გატარებას მოითხოვდა, რამაც „მაბრალობლებიც“ ბლომად გაუჩინა მეფეს. მაგრამ ყველა მოქმედება დავით IV აღმაშენებლისა სწორედ იმითაა გამართლებული, რომ იგი პროგრესს ემსახურებოდა — ქვეყნის განუსაზღვრელი აღმავლობისაკენ სწრაფვას ითვალისწინებდა.

როცა ვინმე დავით აღმაშენებლის სახების შექმნას შეეცდება, იგი ღრმად უნდა ჩასწვდეს ეპოქის არსსა და პიროვნების სულს. უნდა ჩაუკვირდეს გელათის ფრესკის გენიოსი მხატვრის ნაღვაწსაც, სადაც დავითი მთელი თავისი სიზვიადით, ფეხზე აღმართული ცალ ხელში ტაძრის მაკეტით, მეორეში კი გრაგნილითაა გამოსახული და ნიკოფ-

სიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე გადაჭიმული საქართველოს პროგრესს გამოხატავს; გამოხატავს რეალურ ვითარებას და რეალურ ინფორმაციასაც გვაწვდის მსოფლიო ისტორიაში აღმაშენებლად წოდებული ერთადერთი მეფის შესახებ.

დავით აღმაშენებელი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და მთელი სიცხადით გამოხატავდა ფეოდალური კლასის ინტერესებს, გარკვეული მსხვერპლის ფასად ატარებდა ღრმა გარდაქმნებს: უკუაგდებდა დრომოჭმულსა და ნერგავდა ახალს. მისმა ნამოღვაწარმა უდიდესი გავლენა იქონია, არა მარტო საქართველოს მომავალ ისტორიულ ბედზე, არამედ საერთოდ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის შემდეგ მსვლელობაზე. დავით აღმაშენებლის ხანა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი გარდატეხის პერიოდი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა.

Р. В. МЕТРЕВЕЛИ

К ИСТОРИЧЕСКОМУ ЗНАЧЕНИЮ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ

Резюме

Жизнь и деятельность царя Давида IV Строителя была перенасыщена участием в тяжелых боях, постоянным напряжением моральных и физических сил, глубоким драматизмом, что нашло реальное отражение в расширении территориальных границ страны и усилении царской власти. Благодаря целому ряду продуманных и планомерных мероприятий (реформ), проведенных Давидом IV Строителем, Грузия достигла вершины политического, экономического и культурного развития.

Давид Строитель был истинным детищем своей эпохи. Выражал интересы феодального класса, ценою определенных жертв он проводил глубокие преобразования, отвергая отжившее и внедряя новое. Его деяния возымели огромное влияние не только на грядущую историческую судьбу Грузии, но и вообще на последующий ход истории народов Кавказа и Ближнего Востока. Эпоха Давида Строителя вошла в историю Грузии, грузинского и других народов Кавказа как период великого перелома — эпоха всестороннего подъема государства.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ბერიძე

ქართული ხელოვნება დავით აღმაშენებლის ეპოქაში

„დავით აღმაშენებლის ეპოქას“ რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ არა მარტო მისი მეფობის წლებს, ე. ი. XI საუკუნის მიწურულსა და XII-ის პირველ მეოთხედს, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბევრად უფრო ვრცელ მონაკვეთს — X ს-ის ბოლო ათეული წლებიდან XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამის უფლებას ის გვაძლევს, რომ მთელ ამ ხანას ერთიანი — თუ შეიძლება ასე ითქვას — „გამჭოლი ღერძი“ ჰკრავს: ეს ღერძია ჯერ საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა (მისი დამამთავრებელი ეტაპი), შემდეგ კი ამ ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს არსებობა. საკუთრივ დავით აღმაშენებლის მეფობა კი ამ ეპოქის კულმინაციაა: ის, რაც მას წინ უძღვის — ამ კულმინაციისაკენ სწრაფვაა, ის, რაც მას მოსდევს, ამ კულმინაციის შედეგები, მისი ნაყოფი და გაგრძელება.

ამ ეპოქის ხელოვნებას რომ ვავლებთ თვალს, გვაოცებს ხელოვნების ნაწარმოებთა რაოდენობაც და მათი შესრულების დონეც — დონე სრული მხატვრული სიმწიფისა. რაოდენობა მართლაც საკვირველია — ვგულისხმობ ხუროთმძღვრების, ოქრომქანდაკებლობის, დეკორატიული სკულპტურის, მონუმენტური მხატვრობის, მინიატურებით შემკული ხელნაწერების, ფერწერული ხატების, მინანქრების, გამოყენებითი ხელოვნების (ჭურჭელი, იარაღის მოკაზმულობა, ქსოვილები, ნაქარგობა, კერამიკა) ნიმუშებს. ისიც ხომ უნდა გვახსოვდეს, რომ დღემდის მოღწეული ნიმუშები მხოლოდ ნაწილია (ზოგ დარგში, ალბათ, მცირე ნაწილიც) ოდესღაც არსებულისა. ზოგი ძეგლი დრომ და უპატრონობამ გაანადგურა, ზოგი მტრის შემოსევებს ემსხვერპლა, XIX საუკუნეში და ჩვენს დროშიც (თუმცა ძეგლთა მოვლა-პატრონობა სახელმწიფომ იტვირთა) აგრეთვე ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები გამოგვეცალა ხელიდან.

ამ სიმდიდრეს რომ წარმოვიდგენთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნებას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში არსებითი (რეალური!) ადგილი ეჭირა. ხალხს ესთეტიკური გარემოცვა ჰქონდა და, ბუნებრივია, სათა-

ნადოდ განვითარებული ესთეტიკური მოთხოვნილებაც. ამას, ხომ თვით ხელოვნებაც მოწმობს — იქნება ეს გლეხის საცხოვრებელი სახლი, მისი ავეჯი, თუ ტანსაცმელი, ქსოვილები. ხალხს მუდმივი კონტაქტი ჰქონდა პროფესიულ ხელოვნებასთანაც — ამისთვის საკმარისი იყო ტაძრების ხილვა — მათი არქიტექტურა, უმდიდრესი ჩუქურთმა, რომელსაც, ძალიან ხშირად, სწორედ ხალხის წიაღიდან გამოსული ოსტატები ქმნიდნენ, კედლების მოხატულობა, ხატები (ნაკლებად — ძნელად მისაწვდომი ხელნაწერი წიგნები). ეს ასე იყო საუკუნეთა მანძილზე და განსაკუთრებით სწორედ იმ პერიოდში, რომელსაც რუსთაველის ხანას უწოდებენ და რომელსაც ასევე შეგვიძლია დავით აღმაშენებლის ხანაც ვუწოდოთ.

ქართული ხელოვნების ეს საფეხური დიდხანს მზადდებოდა. მზადდებოდა — პირველ ქრისტიანულ საუკუნეებზე რომ არაფერი ვთქვათ — ე. წ. გარდამავალ ხანაში — VIII—IX საუკუნეებში, X საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ი. ჯერ კიდევ თავმოუყრელ საქართველოში — ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთის სამეფოში, კახეთში (გავიხსენოთ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრები, კახეთში თუნდაც დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრები, აფხაზეთში — საეკლესიო მშენებლობა: ლიხნი, მოქვი, ბიჭვინტა). X ს-ის მიწურული და XI საუკუნეკი, ე. ი უშუალოდ დავითის გამეფების წინა ხანები, უკვე ჩვენი ეროვნული ხელოვნების „დიდი ეპოქაა". უპირველეს ყოვლისა, ამის მაჩვენებელია მაშინდელი საეკლესიო ხუროთმოძღვრება — ყველაზე დამოუკიდებელი, მკაფიო ეროვნულ თავისებურებათა მატარებელი, ყველაზე „მასშტაბური" დარგი მხატვრული შემოქმედებისა. მაშინ არის აშენებული ყველაზე დიდი ქართული ტაძრები — ოშკი, ხახული, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, მცხეთის სვეტიცხოველი, მცხეთისავე „სამთავრო", სამთავისი, შესანიშნავი ტაძრები მანგლისისა, ნიკორწმინდისა, კაცხისა, მაშინ მიიღო საბოლოო სახე იშხნის ეკლესიამაც.

ამ ძეგლებში უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახით წარმოგვიდგება სტილისტური ევოლუციის ახალი საფეხური — ეს ძეგლები — ქვაზე ნაკვეთი უმდიდრესი ჩუქურთმით და რელიეფური სკულპტურებით მორთული, კედლის მხატვრობით შემკული — თავისი ხასიათით უკვე ცხოველხატულ სტილს მიეკუთვნება (და ამ მხრივ განსხვავდება მცხეთის ჯვრის ხანის კლასიკურობისაგან). საბოლოოდ შემუშავდა ტაძრის მასათა აგებულება, რომელიც შემდეგში არსებითად აღარ შეიცვლება, შემუშავდა — ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია — საფასადო კომპოზიციის მტკიცე სისტემა, სავსებით განსხვავებული სხვა ქვეყნების (ბიზანტიის, სომხეთის, რომანული დასავლეთის) ხუროთმოძღვრული დეკორისგან, მიუხედავად ზოგი საერთო ნიშნისა; ჩამოყალიბდა ახლებური პროპორციული შეფარდებები. მაგრამ ამ ხანის

ძეგლები გამოირჩევა არა მარტო ძალიან მაღალი მხატვრული ღირსებებით (რომლებიც ახასიათებს უმთავრეს ძეგლებსაც და მიყრუებულ სოფლებში აგებულ პატარა სამლოცველოებსაც), არამედ თავისი ფუნქციითაც. ყველა ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ღვთისმსახურების ადგილია, ეს არის მათი ფუნქცია. მაგრამ X—XI საუკუნეების ქართულ კათედრალებს (ესეც დასამახსოვრებელია, რომ საქართველოს თითქმის ყველა კათედრალი, ე. ი. საეპისკოპოსო ტაძარი, ან მაშინ არის ხელმეორედ აშენებული წინანდელთან შედარებით უფრო დიდი მასშტაბით, ან ახლად აგებული), ამას გარდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიდი საზოგადოებრივი, სოციალური ფუნქციაც ჰქონდა: ეს ზოგადეროვნული ძეგლები იყო, რომლებიც ეროვნული გაერთიანებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის ეტაპზე განსაკუთრებით მკაფიოდ გამოსახავდა სწორედ ეროვნული ერთიანობის იდეას. ტყუილად ხომ არ გადააქცია ბაგრატ III-მ თავისი ტაძრის კურთხევა გრანდიოზულ დღესასწაულად („აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწვდომელითა") და მასში მონაწილეობის მისაღებად „შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელმთავარნი... და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა საჴელმწიფოთაგანი". ამით მან ხმამაღლა, საქვეყნოდ განაცხადა, რომ იგი სრულიად საქართველოს მეფეა, და მის მიერ აგებული ტაძრის მნიშვნელობაც სრულიად საქართველოს სწვდება; შემთხვევითი ხომ არ არის, რომ საქართველოს უდიდესი ტაძარი, ქართული ქრისტიანობის ცენტრი და მისი სიმბოლო სვეტიცხოველი შენდება არაბების ყურისძირში, რომ ალავერდის კათედრალი, აგებული ჯერ კიდევ კახეთის საბოლოო შემოერთებამდე, ერთი ყველაზე უფრო მჭვრმეტყველი მოწმეთაგანია მთელი საქართველოს კულტურული ერთიანობისა.

X—XI საუკუნეები არის ხანა ქართული პლასტიკის ბრწყინვალე აყვავებისა. ვგულისხმობ როგორც ფასადთა რელიეფებს (ოშკში, ხახულში, ნიკორწმინდაში, სვეტიცხოვლის ფასადებზე, ბაგრატის ტაძრის სვეტისთავებს), კანკელებს, ასევე ოქრომჭანდაკებლობას — ოქროსა და ვერცხლის ხატებს, ჯვრებს, წიგნების ყდებს, რომლებიც მორთულია მრავალფიგურიანი რელიეფური კომპოზიციებით, მრავალი ცალკეული ფიგურით. მკაფიოდ ისახება ახალი მხატვრული პრობლემა — პლასტიკურობისა, ადამიანის სხეულის სკულპტურული მოდელირებისა, სწორი პროპორციების გადმოცემისა.

X—XI საუკუნეებმა დაგვიტოვა ქართული მონუმენტური მხატვრობის ღირსშესანიშნავი ნიმუშები — ოშკის, იშხნის, ხახულის, ატენის, მანგლისის, ზემო კრიხის ფრესკები, ამ დროს უკვე სავსებით ჩა-

მოყალიბებულია ეკლესიის მოხატვის სისტემა, იკონოგრაფია, სტილისტიკა. ბიზანტიურ მხატვრობასთან ნათესაობასთან ერთად, აქ მკაფიო ეროვნული ნიშნებიც მჟღავნდება.

ჩვენი ეროვნული მხატვრული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ფურცელს შეადგენენ მაშინდელი ქართული ხელნაწერი წიგნები, მორთული დიდი ოსტატობით შესრულებული მინიატურებით. ასევე, შეგვიძლია მოვიხსენიოთ მაშინდელი ქართული მინანქრები, აგრეთვე გარკვეული თავისებურებით გამორჩეული, ხელოვნების სხვა დარგთა ნიმუშებიც.

ამგვარად, დავითს, თავისი გამეფების დროისათვის, ქართული ხელოვნების ფრიად მდიდარი მემკვიდრეობა დახვდა: ხელოვნება მკაფიო ეროვნული სახის მატარებელი, თავისი მხატვრული პრობლემატიკის მქონე, იმდროინდელი და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყანათა ხელოვნების წინა რიგში მდგომი.

რა სურათი გვაქვს საკუთრივ დავითის მეფობაში? როგორც ცნობილია, ქართული ხელოვნების, საერთოდ კულტურის ყველაზე პოპულარული ძეგლი, დაკავშირებული დავითის სახელთან — გელათის მონასტერია, რომელიც მან თავისი მაშინდელი დედაქალაქის ქუთაისის მახლობლად დააფუძნა. მემატიანის სიტყვით, მან „მოიგონა აღშენება მონასტრისა... ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“. მისივე სიტყვით, ეს მონასტერი იყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“. მემატიანე დაარსების თარიღს არ ასახელებს, არც თარიღის აღმნიშვნელი რაიმე წარწერა არსებობს. მაგრამ შემოქმედის გულანის ქრონიკაში მოიპოვება ასეთი ცნობა: „ქრონიკონსა: ტკვ: (ე. ი. 326): აქა დავით გელათი დაიწყო“; ხოლო კიდევ ერთი გულანის ქრონიკა ადასტურებს, „ქრონიკონსა: სყდ“ (ეს 1606 წელს უდრის): ამა ქრონიკონამდის გელათი რომ დაწყებულა, :ფ: (ხუთასი) წელიწადი გადასულიყო“. ორივე ამ ცნობის მიხედვით გელათის დაარსების წელი 1106 წელი გამოდის[1]. საყოველთაოდ არის ცნობილი მემატიანის სიტყვები იმის შესახებ, რომ გელათი მხოლოდ მონასტერი კი არ იყო, არა მარტო „მეორე იერუსალიმი“, არამედ „მეორე ათენიც“ — ე. ი. მეცნიერებისა და განათლებულობის ცენტრიც. ეს ფაქტიც საკმარისია დავითის განზრახვათა და რეალურად განხორციელებულ საქმეთა მასშტაბის წარმოსადგენად. მას სურდა, რომ საქართველო, რომელმაც უკვე სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია და სრულ გაერთიანებასაც მალე მიაღწევდა, მაშინდელ ყველაზე მოწინავე ქვეყნების განათლებისა და მეცნიერების დონეზე მდგარიყო, რომ მას

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფილისი, 1892, ტ. I, გვ. 238—239.

თვითონაც ეთქვა თავისი სიტყვა მსოფლიო განათლებასა და მეცნიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ბელათში დღეს არსებულ შენობათაგან (იქ კიდევ ორი ეკლესია და სამრეკლოა, აგრეთვე ის ნაგებობა, რომელშიც მდებარეობს დავითის საფლავი) დავითის დროინდელთა მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისა და აკადემია, რომელმაც ნანგრევის სახით მოაღწია ჩვენამდის. მაგრამ მომდევნო ხანის მშენებლებმა დიდი ტაქტი და დახელოვნება გამოიჩინეს და ახალ შენობათა დამატებით კი არ შებღალეს თავდაპირველი სურათი, არამედ შექმნეს მხატვრულად დასრულებული მთლიანი ანსამბლი, ერთი ყველაზე შესანიშნავთაგანი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში.>

<მთავარი ტაძარი — მთელი ანსამბლის დომინანტი — რომელიც შორი მანძილიდან ჩანს და გვირგვინივით თავს ადგია ულამაზეს გარემოს — გუმბათოვანი შენობაა, რომელსაც სამი მხრიდან ეგვტერები აქვს მიშენებული. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კედლების კუთხეებსა და ორ თავისუფლად მდგომ მძლავრ ბურჯს, როგორც ეს მიღებული იყო XI საუკუნის შემდეგ. საკურთხევლის ორ მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა, დასავლეთით კი პატრონიკეები. სპეციფიკური ნიშანია აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდის არსებობა.> საქართველოში სხვაც ბევრია ასეთი ეკლესია, მაგრამ უფრო გავრცელებულია გარედან სწორკუთხა მოხაზულობის მქონე გეგმები. შვერილი აფსიდები უფრო ხშირია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონში. გარედან ფასადები, უკვე X—XI საუკუნეებში შემუშავებული ტრადიციისამებრ, დამუშავებულია დეკორატიული თაღების მწკრივებით, რომლებიც საკმაოდ რთულ, დინამიკურ რიტმს ჰქმნის. თვით ეკლესიის მასები, ეგვტერები, ეს თაღები დიდად ცხოველხატულ იერს ანიჭებენ შენობას. ეს არის, რომ ჩუქურთმების მხრივ ფასადების მორთულობა ძუნწია. ეტყობა, დავითის დროს მათი შესრულება ვერ მოასწრეს და აღარც შემდეგ გაუგრძელებიათ მოჩუქურთმება. ტაძრის ინტერიერი — ფართო, შუქით სავსე, იშვიათი სილაღისა და დიდებულების შთაბეჭდილებას ჰქმნის, თუმცა თავისი ზომებით ტაძარი არც ისეთი დიდია (ჩამოუვარდება XI საუკუნის დიდ კათედრალებს).

<მეორე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ობიექტი, დაკავშირებული დავით აღმაშენებლის სახელთან — შიომღვიმის მონასტრის ზემო ეკლესიაა.> დღეს მისი თავდაპირველი სახის შესახებ ვეღარ ვიმსჯელებთ. ადრე იგი გუმბათიანი იყო, მაგრამ ეტყობა ძლიერ დაზიანდა რაღაც მიზეზის გამო და 1678 წელს გივი ამილახვარმა უგუმბათოდ აღადგინა. კიდევ ერთხელ შეაკეთეს თუ გადააკეთეს 1733 წელს (მეორე გივი ამილახვარმა), უკანასკნელად კი XIX ს-ის 90-იან წლებში ეპისკოპოსის ალექსანდრე ეპისკოპოსის თაოსნობით. <ამ ეკლესიის

თავდაპირველი აგების ამბავი მოთხრობილია დავითის მიერ შიომღვრ-მისთვის 1123 წელს ბოძებულ სიგელში: „მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოდ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიისა საშუალ მონასტრისა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისასა, და მომადლებითა მისითა სრულად ვიხილეო“. მაგრამ შენობას საბოლოო დამთავრება და გამართვა აკლდა. ამიტომ დავითი იბარებს: „თუ მე ღირს-მყო ღმერთმან ენკენობაჲ მისი ვიხილო, კურთხეულ არს სულგრძელობა მისი, „თუ არა და იმავე არსენი ბერმა და ჩემმა ძემ დემეტრემ“, „ბერების თანადგომით“ „კალაპოტი გამოუყარონ, მოლესენ, მოხატონ“, ხოლო აკურთხოს იოანე ქართლისა კათალიკოსმა „თანადახუდობითა იმერთა და ამერთა ყოველთა ეპისკოპოსთაჲთაო“. დავითმა, რა თქმა უნდა, მონასტრის ნივთიერ უზრუნველყოფაზედაც იზრუნა — შესწირა ნივთები, საქონელი, იზრუნა საერთო ვითარებაზედაც — „დავსხენ მონასტრის მღვმისა წესნიო“, წერს იგი იმავე ანდერძში[2].

რა თქმა უნდა, დავითის სამშენებლო მოღვაწეობა ამით არ შემოფარგლულა. მემატიანის ცნობით, მან „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა“, და კიდევ „რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინლად სავალნი, ქვა-ფენილ-ყვნა“.

უეჭველია, დავითივე დაიწყებდა თბილისის აღების შემდეგ — 1122 წელს აქ სამეფო სასახლის აგებას, თუმცა საეჭვოა, რომ მის დამთავრებას მოსწრებოდა. გიორგი III-ისა და თამარის დროს სასახლე მეტეხის ტაძრის გვერდით იდგა (ახლანდელი ტაძრის აგებამდე რომ არსებობდა). საფიქრებელია, რომ სწორედ ეს სასახლე იყო დავითის მიერ საფუძველჩაყრილი, ან თუ სხვა იყო, მაინც ამ ადგილზე იქნებოდა.

ამგვარად, დავითის დროს გაცხოველებული მშენებლობა წარმოებდა — აშენებდნენ ეკლესიებს, მონასტრებს, საზოგადოებრივ შენობებს (აკადემიას, ქსენონს — საავადმყოფოს), ხიდებს, აწესრიგებდნენ გზებს. სამწუხარო ის არის, რომ მისი დროინდელი ძეგლების უმეტესობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ძალიან მნიშვნელოვანია დავითის დროს შექმნილი ძეგლები ქართული მხატვრობისა. მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულია გელათისავე მთავარი ტაძრის საკურთხევლის კონქის მოზაიკა — ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზით. მოზაიკა, რომელიც განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა, ტაძრის თანამედროვეა, ე. ი. XII საუკუნის დასაწყისისა. იგი მაშინვე იპყრობს ტა-

---

[2] თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა. თბ., 1896, გვ. 15—16.

ძარში შემსვლელის ყურადღებას, ის არის მთავარი იდეური და მხატვრული მახვილი ამ ეკლესიის ინტერიერისა, იგი ერთბაშად ჰქმნის „ამაღლებულ“ სულიერ განწყობილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრის კედელ-კამარები სხვადასხვა დროინდელი (მათ შორის გვიანდელი) მხატვრობით არის დაფარული. ყველა მათგანი თავისებურად საინტერესოა, მით უფრო, რომ ისტორიულ პირთა პორტრეტებსაც შეიცავს. მაგრამ საგანგებოდ უნდა გამოიყოს: ა) თვით დავითის პორტრეტი ჩრდილოეთის კედელზე; ეს ერთადერთი გადარჩენილი ფიგურაა ადრინდელი მხატვრობისა ამ კედელზე — XVI საუკუნეში ეს მხატვრობა იმერეთის სამეფო ოჯახის პორტრეტებით შესცვალეს; დავითის სხვა ფერწერული პორტრეტი ჩვენ არ გაგვაჩნია; ბ) დასავლეთის ნართექსის მხატვრობა, შესრულებული XII ს-ის პირველ ნახევარში ქართველი მხატვრის მიერ, რომელიც ეკუთვნოდა ცენტრალური საქართველოს ერთ-ერთ სამხატვრო სკოლას.

მხატვრობა ძალიან დაზიანებულია, მაგრამ მისი იკონოგრაფიული სქემის აღდგენა ხერხდება. როგორც მხატვრული ღირსებებით, ისე თავისი უაღრესად საინტერესო შინაარსით, იდეური „დატვირთვით“, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლია. მხატვრობის საგანია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება — პირველიდან მეშვიდემდე (მართლმადიდებელთა ეკლესია მხოლოდ პირველ რვა საეკლესიო კრებას სცნობს). ბიზანტიურ მხატვრობაში საეკლესიო კრებათა თემა ჩაისახა ხატმებრძოლთა წინა ხანაში. უძველესი გადარჩენილი ნიმუშები VII—VIII საუკუნეებისაა. განვითარებულ შუა საუკუნეებში კი, XIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, შვიდი საეკლესიო კრების ციკლის გამოსახულება არსად გვხვდება — აქ უძველესი ნიმუშია სოპოჩანის ფრესკა სერბიაში. ეს, რა თქმა უნდა, ზრდის ინტერესს გელათის ნართექსის მხატვრობისადმი (დამახასიათებელია, რომ საეკლესიო კრებათა ციკლი ყოველთვის ნართექსში იხატებოდა და არა შიგ ეკლესიაში). საეკლესიო კრების გამოსახულებას იმ საუკუნეებში აქტიური იდეოლოგიური ფუნქცია ჰქონდა. ამ კრებებს იწვევდნენ იმპერატორები. გამოსახულებათა დანიშნულებაა იმპერატორთა დიდება, შესხმა; იმავე დროს, გაბატონებული რელიგიური მიმართულების განდიდება, ფიქსირება. თუ გავითვალისწინებთ მუდმივ ბრძოლას რელიგიური ერეტიზმის წინააღმდეგ ბიზანტიურ ეკლესიაში, გასაგები იქნება, რომ ეს გამოსახულებები ერთგვარ პოლემიკურ-სააგიტაციო მნიშვნელობას იძენდა. დროთა ვითარებაში ზოგჯერ ასეთ გამოსახულებებს სპობდნენ კიდეც.

უეჭველია, რომ გელათის ფრესკებსაც იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდათ დავითის დროინდელ საქართველოში. ფრესკები იქმნებოდა მაშინ, როდესაც ამიერკავკასიაში გამწვავდა ბრძოლა ქალკიდონელთა (დიოფიზიტების) და ანტიქალკიდონელთა (მონოფიზიტებს) შორის

(როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია ქალკიდონური იყო, სომხური კი ანტიქალკიდონური). იყო მწვავე პოლემიკა, რომელშიც ისევთვალსაჩინო ფიგურებიც იყვნენ ჩართულნი, როგორიც იყო თუნდაც არსენ იყალთოელი. გავიხსენოთ დავითის დროინდელი ორი საეკლესიო კრება — ერთი რუის-ურბნისისა, 1103 წელს, მეორე — 1123—25 წლებს შუა გამართული. სხვა საკითხებთან ერთად ორივეს საგანი იყო ქართული მართლმადიდებლობის (დიოფიზიტობის, ქალკიდონელობის) თავდაპირველობისა და ურყეობის განმტკიცება.

რას ვხედავთ გელათის მხატვრობაში? აქ შვიდგზის არის გამოხატული ტახტზე მჯდომი ხელმწიფე. მის ორსავ მხარეს მღვდელმთავრებია; ქვემო რიგში — ორ-ორი ჯგუფია. დავიმახსოვროთ: ყოველ კომპოზიციაში მარცხნივ (ხელმწიფის მარჯვნივ) შარავანდიანი სასულიერო პირნი არიან — მართლმადიდებელი მღვდელმთავრები; მეორე მხარეს — უშარავანდონი, შეშფოთებულნი, ერეტიკოსები, კრების მიერ მსჯავრდადებულნი. ერთ-ერთი ჯგუფის თავზე წარწერაც გადარჩა: „მწვალებელნი". ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე მეტად გამოყოფილია IV საეკლესიო კრება, 451 წლისა, რომელიც ქალკიდონში შედგა: მან დაგმო მონოფიზიტობა და დაამკვიდრა დიოფიზიტობა.

რა თქმა უნდა, გელათის ფრესკების პროგრამა, მათი წარწერები განსწავლული თეოლოგოსების შედგენილია. ამას მოწმობს ისტორიული ინფორმაციის სიზუსტე, ეკლესიის ისტორიის ღრმა ცოდნა, შემუშავებული იკონოგრაფია. კრებათა მონაწილე ეპისკოპოსების სახელებიც შეუცდომლადაა წარმოდგენილი. გადარჩენილია IV კრების წარწერა: „მოციქულთა კრება იქნა ქალკიდონს შინა მეფობასა მარკიანესსა, ლეონ რომთა პაპისა, ანატოლი კოსტანტინეპოლელისა, იობენალი იერუსალიმელისა, მაქსიმე ანტიოქიელისა" და სხვა. II კრების წარწერიდან გადარჩენილია სიტყვა „დიდი" — მართლაც, ეს კრება თეოდოსი დიდის მიერ იყო მოწვეული.

როგორც ითქვა, გელათის ნართექსის ფრესკები დაზიანებულია, მაგრამ მათი მაღალი მხატვრული ღირებულება ეჭვს არ იწვევს. ეს შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის დიდად მნიშვნელოვანი ძეგლია[3].

დავითის ხანას მიეკუთვნება კედლის მხატვრობის სხვა შესანიშნავი ნიმუშებიც, უპირველეს ყოვლისა, სვანეთში, რომელიც ძველი ქართუ-

---

[3] ამ მხატვრობის შესწავლა და უაღრესად საინტერესო ანალიზი, რომლითაც ჩვენც ვხელმძღვანელობდით, ეკუთვნის თინათინ ვირსალაძეს. იხ. მისი: Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма: ქართული ხელოვნება, ტ. 5, თბ., 1959.

ლი ხელოვნების ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს. ამ დროს არსებობდა „მეფის მხატვრის“ თანამდებობა. ამ წოდებას ატარებდა ეგმოენული ჩენილი შემოქმედი „თევდორე მეფის მხატვარი“ XI—XII საუკუნეთა მიჯნისა, რომლის მოხატულიც არის იფრარის, კვირიკესა და ივლიტეს, ნაკიფარისა და წვირმის ეკლესიები. იფრარის მხატვრობა „ხელმოწერილია“: „მოიხატა და შეიმკო წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ იფრარის ჴევისათა... დასაბამითგანა წელთა ჴფ, ქრონიკონსა ტივ, ჴელითა თევდორე მეფის მხატვრისაითა“. თარიღი 1096 წელია; კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიის თარიღია (აგრეთვე წარწერის თანახმად) 1112 წელი, ნაკიფარისა — 1130 წელი (ამ უკანასკნელის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, თევდორეს მოწაფეთა შესრულებული უნდა იყოს, შესაძლებელია მისივე მონაწილეობითო). თევდორე თავისი დროის შესანიშნავი, მოწინავე მხატვარი იყო, რასაც მოწმობს მძლავრი, პლასტიკური ნახატი, სახეთა ემოციურობა და ექსპრესია, დრამატიზმი. თევდორე ერთადერთი ქართველი მხატვარია შუა საუკუნეებისა, რომლის „შემოქმედებით ბიოგრაფიას“ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ, რაკი საბედნიეროდ მისი რამდენიმე ხელმოწერილი და დათარიღებული ნაწარმოები შემოგვრჩა[4].

К 212.160

დავითისავე დროს და უშუალოდ მომდევნო წლებში მოღვაწეობდა კიდევ ერთი შესანიშნავი მხატვარი — მიქაელ მაღლაკელი, რომელმაც „მეფობასა დემეტრესა“ მოხატა მაცხვარიშის ეკლესია სვანეთშივე — ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ქართული მონუმენტური მხატვრობისა. ამგვარად, მხატვრობის დარგშიც დავითის ხანამ — ვიწროდაც რომ შემოვიფარგლოთ მისი მეფობის წლებით — დიდად საინტერესო ფურცელი შემატა ჩვენს ეროვნულ ხელოვნებას.

გელათსავე უკავშირდება, როგორც უკვე ითქვა, კიდევ ერთი — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი, სახელგანთქმული ხახულის კარედი, რომელიც ალბათ დავითმა გადაიტანა გელათში. მანვე და მისმა ძემ დემეტრემ იგი ხელახლა შეამკეს. საბოლოო სახე ხატმა დემეტრეს დროს მიიღო.

ხატი სამკარედია. შუაში მოთავსებულია ღვთისმშობლის გამოსახულება მინანქრისა. თუ ფონსაც მივიღებთ მხედველობაში (ფონი ახლა დაკარგულია), ეს უდიდესი ტიხროვანი მინანქარია მსოფლიოში. ხატის ეს შუა ნაწილიც და მისი ორი ფრთაც ოქროსი და მოოქრული ვერცხლისაა. მოჭედილობა წმინდა ორნამენტულია, სკულპტურულ გამოსახულებათა გარეშე, რომლებიც ძალიან პოპულარული იყო წინა საუკუნეში. მაგრამ ეს ორნამენტაცია საკვირველი სირთულისა და სიმ-

---

[4] Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская., Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии. თბ., 1966.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდრისაა, და ამავე დროს, ღრმად გააზრებულია. გააზრებულია, კერძოდ, მინანქრის უამრავი ფირფიტის განლაგება, რომელიც მტკიცე წესებს ემორჩილება. აქ გამოიყენეს ქართული მინანქრებიც და ბიზანტიურიც, იმდროინდელიცა და უფრო ძველიც, ყველაფერი, რაც კი ჰქონდათ ყველაზე ძვირფასი და საამაყო. ეს მინანქრები შეადგენს ფირფიტებს, მედალიონებს წმინდანთა სახეებით, მთავარანგელოზთა, კონსტანტინესა და ელენეს ფიგურებით, ჯვრებს ორნამენტული მოტივებით. ჭედურ ორნამენტაციასთან ერთად, ამ მინანქრების ულამაზესი და უფაქიზესი ფერადოვნება ჰქმნის ხახულის კარედის ფანტასტიკურ მრავალფეროვნებას. ეს მართლაც უნიკალური ძეგლია.

შეიძლება ზუსტად დავითის მეფობის წლებს არ ემთხვეოდეს, მაგრამ XII საუკუნისაა ბევრი მდიდრულად მორთული და ოსტატური მინიატურებით შემკული ხელნაწერი წიგნი (ზატიკი A 734, გელათის, ჯრუჭის მეორე ოთხთავები); დასასრულ, დავით აღმაშენებლის ხანას მიეკუთვნება ქართული ფერწერული ხატები, მათ შორის შედევრები, როგორებიც არის მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ხატები კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში, XI—XII საუკუნეთა მიჯნისა. და ორმოცი მოწამისა მესტიის მუზეუმში (XII საუკუნის დასაწყისი) — ყველა ტემპერით არის შესრულებული.

დავითის მეფობის წლებთან ახლოს თავსდება ქართული ხელოვნების სხვა საყურადღებო ძეგლებიც, კერძოდ, ორი ეკლესია, ორივე 1152 წელს აგებული — თიღვისა, ფრონეს ხეობაში, დავითის ასულის, შარვანის დედოფლის თამარის ბრძანებით აშენებული, ასკეტური გარეგნობის მქონე გუმბათიანი შენობა, და საორბისის პატარა, ერთნავიანი სამლოცველო, რომელსაც ქვაზე ნაკვეთი შესანიშნავი მორთულობა აქვს.

უფრო შორეულ პერსპექტივს თუ გავხედავთ — XIII საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე, როდესაც მთავრდება დიდი ეპოქა, „ოქროს ხანა“, „რუსთაველის ხანა“, „დავითის ხანა“ — კვლავ უმდიდრესი სურათი წარმოგვიდგება ქართული ხელოვნების მრავალ დარგში, მაგრამ ეს უკვე ცალკე დიდი თემაა, რომელიც სცილდება ამ მოკლე მიმოხილვის ფარგლებს.

В. В. БЕРИДЗЕ

ГРУЗИНСКОЕ ИСКУССТВО В ЭПОХУ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ

Резюме

Под «эпохой Давида Строителя» мы подразумеваем не только годы его царствования (1089—1125), но более

обширный отрезок времени, охватывающий последние ступени борьбы за объединение Грузии, т. е. вторую половину X в. и XI в., затем годы правления Давида и его непосредственных преемников.

Это не только великая эпоха созидания грузинской государственности (независимо от того, что и тогда, тем более в X—XI вв., были и периоды тяжелого кризиса), но и эпоха высокого творческого напряжения, интенсивного строительства, блестящего расцвета пластических искусств. В последних десятилетиях X в. и в XI в. были построены самые крупные кафедралы Грузии, имевшие общенациональное значение, среди них храмы Ошки, Хахули, Кумурдо в Южной Грузии, патриарший собор Светицховели в Мцхета — центр грузинского христианства, храм Баграта в Кутаиси, храмы Алаверди, Самтависи, Самтавро, Манглиси, завершено строительство Ишханского кафедрала и многих других; были созданы замечательные образцы монументальной живописи, украшенных рукописей, миниатюр, чеканки, перегородчатой эмали, декоративной скульптуры, которые можно отнести к ряду лучших художественных произведений эпохи.

Из памятников, созданных в царствование самого Давида Строителя, наиболее популярным является монастырь Гелати, основанный им в 1106 году. Тогда же были построены главный храм и здание академии, ставшей важнейшим центром грузинской науки, духовной жизни — тут подвизались, как известно, выдающиеся ученые.

Храм во имя Богоматери являет собой как бы синтез грузинского искусства эпохи. Он примечателен по своей архитектуре (это большая купольная церковь, с широким, полным света, внутренним пространством, с динамичными, пластически выразительными внешними массами, с гармоничными пропорциями, со сложной системой украшающих фасады декоративных аркад); алтарная конха украшена мозаической композицией с фигурами Богоматери с младенцем и двух архангелов — самый значительный памятник грузинского мозаического искусства; приделы храма с самого же начала и на протяжении XII—XIII вв. были расписаны; на стенах самого храма — разновременные росписи, с множеством исторических портретов (в том числе и самого Давида — единственное сохранившееся его изображение, исполненное при построении храма, и позднее переписанное); в храме хранились блестящие образцы иллюминованных рукописей и чеканных икон.

Особенно значительны фрески западного притвора со сценами, изображающими семь вселенских соборов. Они свидетельствуют о высокой образованности составителей их программы, о глубоких познаниях в области церковной

истории. В то же время по своей идейной направленности они связаны с грузинской действительностью эпохи.

Ценнейшим памятником, хранившимся в Гелатском храме, был знаменитый Хахульский триптих — икона Богоматери, исполненная техникой перегородчатой эмали и обрамленная богатейшей чеканной орнаментацией (материал — золото и позолоченное серебро). Икона, ныне хранящаяся в Гос. музее искусств в Тбилиси, исполненная при Давиде и его наследнике Деметре I, украшена большим количеством разновременных грузинских и византийских перегородчатых эмалей самого высокого художественного достоинства. Хахульский триптих — один из шедевров мирового чеканного искусства, а центральный образ Богоматери являлся самой большой перегородчатой эмалью в мире (при разграблении монастыря в XIX в. часть эмалевой иконы была похищена).

Как свидетельствует завещание Давида Строителя, им была построена верхняя церковь монастыря Шиомгвиме, но с тех пор она претерпела основательные изменения. Летописи рассказывают о строительстве и благоустройстве при Давиде дорог, мостов, больницы. Несомненно, при нем же началось строительство царского дворца в Тбилиси, который был окончательно присоединен к Грузии в 1122 году.

У нас есть и другие реальные свидетельства, помимо гелатских фресок, об интенсивном развитии грузинской монументальной живописи при Давиде Строителе. В конце XI в. и в начале XII в. существовало звание «царского художника». Им был Тевдоре, исполнивший росписи в церквах в Сванети: в Ипрари (1096 г.), в церкви Квирика и Ивлиты (1112 г.), в Накипари (1130 г.); в Цвирми работали, скорее всего, его ученики, должно быть, под его руководством. Современником Давида и его сына Деметре был другой замечательный художник Микаэл Маглакели, расписавший в 1140 г. еще одну церковь Сванети — в Мацхвариши.

Интенсивное строительство продолжалось и при преемниках Давида. До перелома XII—XIII веков продолжается «золотая эпоха» средневековой Грузии, эпоха, которую с полным правом можно назвать и «эпохой Давида Строителя».

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ხიდაშელი

ერთი საკითხი დავით ალმაშენებლის ეპოქის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან

იაკობ გოგებაშვილმა ერთი საგულისხმო ცნობა შემოგვინახა. ცნობა ეკუთვნის XX ს-ის დასაწყისს, მსოფლიო ომისა და რევოლუციის წინა დღეებს, რევოლუციის, რომელმაც 1917 წლიდან უკომპრომისო ხასიათი მიიღო და საზოგადოებრივ ცხოვრებას უნახავი და უჩვეულო სისხლისღვრისაკენ მოუწოდა.

როდესაც ილიას მკვლელები შეიპყრეს და სამხედრო სასამართლომ მათ სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობა) მიუსაჯა, ჩვენს პრესაში „ღაღადისის ხმა გაისმა", რათა ეს განაჩენი სისრულეში არ ყოფილიყო მოყვანილი. ეს მოძრაობა გაზეთმა „დროებამ" დაიწყო, შემდეგ მას რუსული გაზეთები — „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე" და „ნოვოსტი ზაკავკაზია" — შეუერთდნენ და ბოლოს ის თბილისის ფარგლებსაც გასცილდა.

საყურადღებოა, რომ „ყველაზე წინ" ამ მოძრაობაში ილიას მეუღლე ოლღა თადეოზის ასული აღმოჩნდა. გენერალ-გუბერნატორის სახელზე დაწერილ თხოვნაში ის წერდა, — მათი სიკვდილით დასჯა „ძლიერ დაამძიმებს ილიას სულს, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვრისავით პატივება მტრებისაო".

როდესაც ეს შუამდგომლობა ცნობილი გახდა სატახტო ქალაქის გამოცემებისათვისაც, მას „გამოუთქმელი შთაბეჭდილება" მოუხდენია რუსეთის მოწინავე საზოგადოებაზე. „ერთმა გამოჩენილმა და უმწიკვლო რუსთა ლიტერატორმა (იაკობ გოგებაშვილი არ ასახელებს, სამწუხაროდ, მას) საუკეთესო რუსულ გაზეთში „რუსკიე ვედომოსტი" აღფრთოვანებული სტატია უძღვნა ამ შუამდგომლობას, და, სხვათა შორის, სთქვა: როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე, და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლე-

ლებსო". „აქამდინ ვიცოდით, ამბობს ავტორი, რომ ფიზიკური ეზო აღმოსავლეთიდან ამოდისო; ახლა უნდა ვთქვათ: ზნეობრივი ეზო აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოაშუქაო" (იაკობ გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, I, თბილისი, 1910, გვ. 549—550).

კეთილმოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო განსახიერება ქართული აზროვნების ისტორიაში თვით ილია ჭავჭავაძეა, რომლის მადლი, მართალია, ხშირად მისი ბრწყინვალე გმირის ოთარაანთ ქვრივის მსგავსად, „პილპილ მოყრილია", მაგრამ ილია რჩება სიკეთის უდიდეს მქადაგებლად ამ სიტყვის ჰუმანისტური მნიშვნელობით. სიკეთე რჩება ძირითად მამოძრავებელ ძალად იმ დიდი მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც მან თავისი პირველი ახალგაზრდული ნაბიჯების დროს დაისახა და არ უარუყვია თავისი ძალით შეწყვეტილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ილიას ამქვეყნიური სინამდვილისადმი დამოკიდებულიდან, რომელიც შორსაა ცხოვრების უარყოფისა და მისგან განდგომისაგან, და წარმოადგენს თავისებურ განსახიერებას რუსთაველის — „სიცოცხლის გაძლების და მისთვის თავისა დადების" — ფილოსოფიისა, სიკეთე ადამიანთა ურთიერთობის არა მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა, არის მისი საფუძველი. სიკეთეს ადამიანები ახორციელებენ და კეთილი მოქმედების სფერო რეალური ადამიანური ცხოვრებაა. ადამიანის როლი სიკეთის ქმედებაში მით უფრო დიდია, რომ ილია შორსაა ფატალიზმისაგან და უტოვებს ადამიანებს არჩევანის თავისუფლებას: „ღმერთმა ადამიანი გააჩინა და უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, ზე ნურას დამაბრალებო".

ილიას იდეალის განსახიერების საფუძველი — ორივე შემთხვევაში, — სოციალურ წინააღმდეგობას ეხება ის, თუ ეროვნულ მთლიანობას, — ეთიკაა. ეს იდეალი „კაცთმოყვარეობას" ემყარება და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას მოასწავებს. ზნეობრივი კათარსისია საფუძველი იმ ხიდის გამართელებისაც და იმ უფსკრულის ამოსავსებადაც, რომელიც ადამიანთა სხვადასხვა ფენებს შორის არსებობს და ასეთი სიღრმით მიაგნო და ჩასწვდა ილია.

რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოში სიკეთის იდეით საყოველთაოდ ყველა ყოფილიყო შეპყრობილი, — ამის საწინააღმდეგოდ თუნდაც ილიას მკვლელობის ფაქტი მეტყველებს, — მაგრამ რუსეთის სატახტო ქალაქის ცენტრალურ პრესაში გამოთქმულ შეხედულებებს ჰქონდა ისტორიული საფუძვლები. სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეა, რომელმაც თავისი ბრწყინვალე განსახიერება „ვეფხისტყაოსანში" ჰპოვა, თანმიმდევრულად და უწყვეტლივ გასდევს

ქართულ აზროვნებას, უძველესი დროიდან დღევანდლამდე, ხალხური სიბრძნიდან — „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებამდე და ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხიამდე.

ამ იდეის გავრცელებას ქართველ ხალხში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქრისტიანობამ, რომელიც, როგორც ცნობილია, IV ს-ის პირველ მესამედში იქნა აღიარებული ოფიციალურად და ჩვენმა ქვეყანამ ამ მხრივ მხოლოდ ათიოდე წლით დააგვიანა პირველ ქრისტიანულ იმპერიასთან შედარებით.

მაგრამ დიდი როლი აქ ფილოსოფიურმა აზროვნებამ შეასრულა და სწორედ იმ მიმართულებამ, რომელიც ქართული ნეოპლატონიზმის სახელწოდებით არის ცნობილი და ფართო გავრცელება საქართველოში სწორედ დავით აღმაშენებლის მეფობაში მოიპოვა. იმის მიუხედავად — გავიზიარებთ თუ არა ქართული რენესანსის თეორიას, ეჭვს გარეშეა, რომ ქართული კულტურის განვითარებამ თავისი განვითარების უდიდეს აღმავლობას XI—XII სს-ში მიაღწია და ამ დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების სამივე დიდი წარმომადგენელი დავით აღმაშენებლის სახელთან არიან დაკავშირებულნი. ეფრემ მცირე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც მეფე დავითი გამეფდა; არსენ იყალთოელი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო დავით აღმაშენებელის მიერ მოწვეული დისკუსიისა, რომელიც რელიგიურ და ფილოსოფიურ საკითხებს ეხებოდა. ხოლო იოანე პეტრიწი უდიდესი მადლიერების გრძნობით იხსენიებს დავით აღმაშენებელს, რომელმაც, ბერძნებისა და ქართველების მიერ დევნილ ამ ქართველ მოაზროვნეს შესაფერისი „თანადგომა“ აღმოუჩინა და მშვიდი მოღვაწეობის, „არისტოტელურობის“ პირობები შეუქმნა.

დავით აღმაშენებელი იყო არა მხოლოდ დიდი პოლიტიკური მოღვაწე, სახელმწიფოს მმართველი და სტრატეგი, იყო დიდად განათლებული პიროვნება და მოაზროვნე. გამოირჩეოდა მოქმედების გეგმების სიფართოვით და იმდროისათვის უჩვეულო ტოლერანტობით. თავმდაბლობა, რომლითაც ის ისტორიკოსის გადმოცემით გამოირჩეოდა, არ უშლიდა ხელს დისკუსიაში ჩარეულიყო, საკუთარი მიზეზების მიხედვით წარემართა და სათანადო დასკვნები გამოეტანა.

„სიტყვის-გება“ (კამათი) დიდხანს გაგრძელდა — „ცისკრითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე“. ძლევის ჟინით შეპყრობილი მოკამათენი ისეთ აბსტრაქციებში შეიჭრნენ, საიდანაც გამოსვლა გაუჭირდათ. როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, „შეეწყინა“ მეფეს და მიმართა მოკამათეებს: თქვენ, მამანო, შეჭრილხართ, როგორც ეს ფილოსოფოსებს შეეფერებათ, — შეუცნობად თეორიათა სიღრმეებში. მე კი, როგორც

„მხედრობათა შინა აღზრდილი“ საერო პიროვნება, შეეცდები „ლეტონი და მარტივი სიტყვებით“ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები.

მან გამოაცალა საფუძვლები მოწინააღმდეგე „მწვალებლებს“ ღა იძულებულნი გახადა — ეღიარებინათ საკუთარი მარცხი.

* * *

ფილოსოფია მეცნიერულ ცნებებში გამოხატული მსოფლმხედველობაა და XI—XII სს-ის ქართული ფილოსოფია („ქართული ნეოპლატონიზმი“), კერძოდ, იმავე ამოცანების გადასაწყვეტად იყო მოწოდებული, რომლებიც ჩვენში რენესანსულმა ეპოქამ წამოჭრა. რენესანსული ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სიკეთე იყო.

სიკეთე ნეოპლატონიზმში მხოლოდ ეთიკური კატეგორია არაა და მისი მნიშვნელობა ადამიანური მოქმედების არეთი არ იფარგლება. სიკეთე პროკლეს მიხედვით, არის „საწყისი და უპირველესი მიზეზი ყოველივესი“ და ამიტომ მთელი არსი სიკეთით არის გამსჭვალული. ეს დებულება მიიღო ქრისტიანობამ და ძალიან კარგადაც გამოიყენა საკუთარი მოძღვრების დასაცავად მანიქეველური შემოტევებისაგან. მანიქეველური დუალიზმი სიკეთისა და ბოროტებისა, გამორიცხავდა სიკეთის გამარჯვებას და აქცევდა ადამიანურ ცხოვრებას გამოუვალობისა და ტანჯვის მარადიულ ველად.

ეს შეხედულება გაიზიარეს ქართული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლებმაც — ფსევდო-დიონისე არეოპაგელმაც (ნუცუბიძე — ჰონიგმანის თეორიის მიხედვით — იგივე პეტრე იბერი), პეტრიწმაც და რუსთაველმაც.

თუ გამოვიყენებთ ნეოპლატონიზმისათვის ჩვეულებრივს — მზისა და გამოსხივების მეტაფორას — პირველი საწყისი, ღმერთი, იგივე სიკეთე, მზე — „განჰფენს“ თავის ნათელს არსზე, ანიჭებს მათ არსებობას და ხდის სიკეთის მოზიარეს. პირველი მიზეზისაგან არსს მხოლოდ სიკეთე „მოაქვს“ (პლოტინი) და რამდენადაც არსი არსებობს, არსებობს სიკეთეც: „უკეთუ ყოვლითურთ მოსპო კეთილი“ — აღარ იქნება არც არსებობა, არც სიცოცხლე, არც მოძრაობა და საერთოდ აღარაფერი (ფსევდო-დიონისე). რასაც წილი არ უდევს სიკეთეში, ის არც ყოფილა, არც არსებობს და არც მომავალში შეიძლება იყოს.

პირველი საწყისი (ღმერთი) მხოლოდ სიკეთეს ჰქმნის, შეუძლებელია მან ბოროტება შექმნას: „ბოროტიმცა რად შეექმნა, კეთილისა შემოქმედსა!“ (რუსთაველი).

ქართული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლებს შორის გვხვდება დებულებები, რომლებიც ბოროტების პირდაპირ უარყოფას ეხება. არეოპაგიტული კორპუსის ავტორი ბოროტების არსებობის თანმიმ-

დევრული უარყოფის შემდეგ არსის ყველა სფეროში მიდის დასკვნამდე, რომ „არცა ყოვლად არსთა შორის არს ბოროტი“ და საერთოდ ის „არცა არს არს“ (აქ სიტყვა „არს“ ნიშნავს — პირველ შემთხვევაში არსებით სახელს „არსი“, მეორე შემთხვევაში — ზმნას „არის“).

პეტრიწის სიტყვით, ბოროტება არის „უარსობა“, ხოლო რუსთაველისათვის: „უმყოფო“: „თქვეს ბოროტსა: „უმყოფოო...“ საყურადღებოა, რომ ამ საკითხზე განაზრების დროს რუსთაველი დიონისე არეოპაგელს იმოწმებს:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიფნოს გააცხადებს,
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.

ყოველივე თქმულის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: არსებობს თუ არა ნეოპლატონიზმის მიხედვით ბოროტება სამყაროში ლა თუ არა, მაშინ რაღას სძლევს სიკეთე და როგორ გავიგოთ რუსთაველის სიტყვები:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“

ფილოსოფია, მისი წარმოქმნის დროიდანვე ანსხვავებს არსებობის ორ მნიშვნელობას: არსებობას სუბსტანციურს, ე. ი. ნამდვილს, არსობრივს, აუცილებელს, მარადიულს და ა. შ., — აქციდენციური, შემთხვევითი, მოჩვენებითი, დროებითი, წარმავალი არსებობისაგან. ფილოსოფიის პრობლემა უმთავრესად სუბსტანციურ არსებობას ეხება და ამ მნიშვნელობითაა სიკეთე არსებული და ბოროტება — არარსებული.

ფსევდო-დიონისე, როგორც ვნახეთ, პირდაპირ უარყოფს ბოროტების არსებობას, მაგრამ იქვე, იმავე თხზულებაში ლაპარაკობს მისი გამოვლენის ფორმებზე და უშვებს მის არსებობას გარკვეული მნიშვნელობით და ფორმით. ბოროტება არის სიკეთის კლება, „ბოროტ არს მოკლებაჲ კეთილისაგან“, ანუ, უფრო გამომსახველი სიტყვით — „ესეღა დაუშთა ბოროტსა, რაჲთა უძლურება იყოს და მოკლება კეთილისა“. ხოლო ბოროტება მის კონკრეტულ გამოვლენაში არის უკეთურება, უსიცოცხლობა, უგონებობა, უშობლობა და სხვ. შემთხვევითი არაა, რომ აქ ბოროტების განსაზღვრა ნეგაციურ ფორმაშია მოცემული, სადაც მათი დადებითი ფორმა სიკეთის განმარტებას გამოხატავს (შესატყვისად — სიკეთე, სიცოცხლე, გონიერება, შობადობა და ა. შ.).

წარმოდგენილ მოძღვრებას სიკეთესა და ბოროტებაზე საფუძვლად ნეოპლატონისტური კონცეფცია უდევს. არსის პირველი საწყისიდან ვამომდინარეობასა და უკუდაბრუნებაზე, არსის ქმნადობის მარადიულ წრებრუნვაზე, სადაც გამომდინარეობა — სიკეთის კლებაა, ხოლო უკუდაბრუნება — ამაღლება სიკეთის მიმართულებით.

პირველი საწყისისა და პირველი მიზეზისაკენ სწრაფვა მთელი არსის დამახასიათებელი ნიშანია; პეტრიწის სიტყვით, ...
ღმერთის მიმართ ყოველი არსებულია „ატრფიალებული“ და, ამგვარად, სწრაფვა სიკეთისაკენ წარმოადგენს ობიექტურ კანონზომიერებას. ე. ი. სუბიექტური ემთხვევა სუბიექტურს, ადამიანური კეთილმოქმედება ემთხვევა ობიექტურ კანონზომიერებას.

ნეოპლატონისტური მოძღვრება სიკეთესა და მის მნიშვნელობაზე პასუხს იძლევა შუა საუკუნეების აზროვნების ერთ რთულ პრობლემაზეც, რომელიც ღვთაებრივი განგებულებისა და ნებელობის თავისუფლებას ეხება და შუა საუკუნეების პირობებში განუყოფელად არის დაკავშირებული პასუხისმგებლობისა და ცოდვის პრობლემასთან.

ღმერთის, როგორც აბსოლუტურის ცნება, შეიცავს უპირობო ნებელობასა და საყოველთაო განგებულებას, ხოლო ღვთაებრივი განგებულება გამორიცხავს ადამიანის თავისუფლებას, რომლის გარეშეც იხსნება პასუხისმგებლობა და მონანიება.

რუსთაველისათვის საბოლოოდ უცხოა ფატალიზმი. ის ცხოვრებისეული კანონზომიერების, ადამიანური მოქმედების და მათი მიზნების განხორციელების ერთიანობის თვალსაზრისზე დგას. ადამიანის ბრძოლა სიკეთისათვის მხოლოდ მისი სურვილი არაა, მთელი არსის საყოველთაო სწრაფვის სუბიექტური გამოხატულებაა და ამიტომ განხორციელებადი და რეალურია.

ჰუმანისტურმა სწრაფვამ კეთილმოქმედებისადმი მოიპოვა ობიექტური დასაბუთება ფილოსოფიურ მიმართულებაში, რომელიც დავით აღმაშენებლის დროს განვითარდა საქართველოში.

Ш. В. ХИДАШЕЛИ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ФИЛОСОФСКОЙ МЫСЛИ ЭПОХИ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ

Резюме

Идея торжества добра над злом проникает в грузинскую общественную мысль и народное творчество с древнейших эпох, и присутствует до настоящего времени (творчество Нодара Думбадзе, Чабуа Амирэджиби и др.). Но наиболее яркое художественное воплощение («Витязь в тигровой шкуре») и вместе с тем философское обоснование (ареопагитское учение и неоплатонизм) она получила в эпоху грузинского Ренессанса, начало которой восходит к царствованию Давида.

Давид IV отличался широтой воззрений и редкой для средневековья веротерпимостью, покровительствовал светским наукам и передовым философским мыслителям.

Добро, согласно господствовавшим в то время в Грузии философским учениям, — сам Бог, первоначало всего сущего. Приобщаясь к Богу, сущее становится добрым и прекрасным; а стремление к Богу это прежде всего стремление к Добру, которым охвачено все сущее, и в том числе человек.

Зло обладает лишь акциденциальным, преходящим существованием; оно выпадает из общей закономерности и преодолимо в борьбе с Добром.

Человек в своей деятельности, направленной к победе Добра, включен в общую закономерность всего сущего.

Подобное решение вопроса смягчает непримиримость понятия предопределенности человеческой судьбы и человеческой активности.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ ლორთქიფანიძე

თბილისისათვის ბრძოლის ისტორიიდან

თბილისისათვის ბრძოლას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთელი შუასაუკუნოვანი საქართველოს ისტორიაში, ქალაქის დაარსების და თბილისის მიერ დედაქალაქის სტატუსის დამკვიდრების დროიდან, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამდე.

საკუთარი დედაქალაქისათვის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობს ერთმანეთისაგან გათიშული ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების და ერთიანი ქართული სახელმწიფოს, საქართველოს შექმნის პროცესი.

როგორც ცნობილია, VIII ს-დან თბილისში არაბი დამპყრობნი დამკვიდრდნენ, რომელთაც აქ თავისი მოხელე, ამირა დანიშნეს და თბილისი თავის საყრდენ რეზიდენციად გახადეს. XI ს. 70-იანი წლებიდან თბილისი თურქ-სელჩუკთა ხელში გადავიდა და ამიერკავკასიაში მათი მფლობელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბასტიონს წარმოადგენდა, ვიდრე 1122 წლამდე.

თბილისისათვის აქტიურად იბრძვიან ერთიანი საქართველოს მეფენი, სახელდობრ ბაგრატ IV (1027—1072 წწ.), რომლის ბრძოლას, მართალია, თბილისის განთავისუფლება არ მოუტანია, მაგრამ მთლად უშედეგოდაც არ ჩაუვლია, საგრძნობლად შეიზღუდა საამიროს ფარგლები, მაგრამ საკუთრივ თბილისი ისევ მაჰმადიანთა ხელთ დარჩა.

საერთოდ თბილისის, საკუთრივ ამ პერიოდის თბილისის ისტორია, საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში და ფრიად მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული, როგორც მთლიანად პერიოდის, ასევე ამ დროს მიმდინარე ძირითადი მოვლენების შესახებ ივ. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ნ. ბადრიაშვილის, ვ. გაბაშვილის, შ. მესხიას, ვ. კობალიანის, რ. მეტრეველის და სხვათა ნაშრომებში.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში საკითხი ნათელია, ვფიქრობ, სასურველია ზოგი დეტალის დაზუსტება ან შევსება.

1. სასურველია დაზუსტდეს დიდგორის ბრძოლისა და ქართველთა მიერ თბილისის აღების დროში ურთიერთმიმართების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „ხოლო მეორესა წელსა (ე. ი. დიდგორის ბრძოლის მეორე წელს, მ. ლ.) აიღო მეფემან (დავითმა) ვით IV აღმაშენებელმა, მ. ლ.) ქალაქი ტფილისი, პირველსავე ზაფხულ, ოთხას წელ ქონებული სპასთა და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭ-ლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ. ქორონიკონი იყო სამას ორმოცდა-ორი"[1].

თითქოს ყველაფერი ნათელია, მითითებულია მოვლენის თარიღი, 1122 წ. აღნიშნულია ისიც, რომ მეფემ აიღო ქალაქი დიდგორის ბრძოლის მეორე წელს, რასაც იგივე ისტორიკოსი 1121 წლით აგვისტოთი ათარიღებს[2]. მაგრამ აქ ერთი სირთულე იჩენს თავს. სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაეცი, რომლის ცნობებს ამდროინდელი საქართველოს ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, წერს: „ამავე წელს (იგულისხმება დიდგორის ბრძოლა, მ. ლ.) აიღო ქართველთა მეფემ დავითმა ქალაქი თბილისი"[3]. ვრცლად მოგვითხრობს თბილისისათვის ბრძოლაზე იბნ ალ-ასირი, რომლის თხზულების „თარიხ ალ-ქამილის" სახით, სპეციალისტთა დასკვნით „ჩვენ გვაქვს ძვირფასი ისტორიული წყარო, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ სხვა წყაროებში დაცული ცნობების ჭეშმარიტება ანდა შევაფასოთ ისინი"[4].

დიდგორის ბრძოლისა და თბილისის აღების ურთიერთმიმართების საკითხზე იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ დიდგორის ბრძოლის შემდეგ ქართველებმა სდიეს მაჰმადიანთა ლაშქარს. ნიშანდობლივია, რომ დავითის ისტორიკოსის ცნობითაც ქართველების ლაშქარმა „სდევნა მაჰმადიანნი". დევნიდან უკანშემობრუნებულებმა, განაგრძობს იბნ ალ-ასირი, „ალყა შემოარტყეს თბილისს, ისინი (ქართველები) ებრძოდნენ მათ, ვინც იყო მასში (ქალაქში); ძლიერ შეავიწროვეს ისინი და მისი (თბილისის) მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს. ალყა გაგრძელდა ჰიჯრის 515 წლამდე, როცა მათ ძალით აიღეს იგი (თბილისი)"[5].

წყაროთა ცნობებს შორის განსხვავებას თბილისის აღების დიდგორის ბრძოლასთან მიმართების საკითხში ყურადღება მიაქციეს: ივ. ჯავახიშვილმა, შემდეგ შოთა მესხიამ, რომელთაც, სრულიად მართებუ-

---

[1] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, 1950, თბ., 1955, გვ. 342.

[2] იქვე, გვ. 341.

[3] ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. იხ. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 245—246.

[4] ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, სიბტ იბნ ალ ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. იხ. თსუ „შრომები", 118, თბ., 1967, გვ. 205.

[5] И б н а л - А с и р, Тарих аль-Камиль. Отрывки в переводе П. Жузе, Баку, 1990, с. 124. ამ ბრძოლაზე მოგვითხრობს აგრეთვე სიბტ იბნ ალ ჯაუზი, იხ. ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ ჯაუზის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. თსუ „შრომები", 118, თბ., 1967.

ლად, უპირატესობა მიანიჭეს დავითის ისტორიკოსის თარიღს — 1122 წ.[6] გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დავითის ისტორიკოსის და იბნ ალ-ასირის მონაცემებს შორის დეტალებშიც ბევრი განსხვავება. დავითის ისტორიკოსი არაფერს ამბობს ალყაზე და აღნიშნავს, რომ ქალაქი მეფემ აიღო „პირველსავე ომსა“, იბნ ალ-ასირის მიხედვით კი სავარაუდებელია რამდენიმე თვიანი ალყა.

პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისზე შეტევა იმდენად არის დამოკიდებული და უშუალოდ გამომდინარეობს დიდგორის გამარჯვებიდან, რომ ამ ორი მოვლენის ერთმანეთზე გადაბმა ლოგიკურად გასაგებია. აშკარაა, რომ მათეოს ურჰაეციც და იბნ ალ-ასირიც კარგად არიან ინფორმირებული აქ მომხდარ მოვლენათა შესახებ. მართალია, ამ ორივე ისტორიკოსის ცნობები ფრიად სანდო წყაროა, მაგრამ არ შეიძლება მაინც უპირატესობა არ მივანიჭოთ დავითის ისტორიკოსს, მოვლენათა თანამედროვეს, და ალბათ დავითის ყველა სამხედრო ოპერაციის უშუალო მონაწილეს. ამასთანავე, მიგვაჩნია რა ეს ცნობებიც ანგარიშგასაწევად, იქნებ შესაძლებელია მათი შეთანხმება.

შოთა მესხია თითქოს გვერდს უვლის დავითის ისტორიკოსის ცნობას თბილისის „პირველსავე ომს“ აღების შესახებ და ქალაქის ალყაზე მსჯელობს. ვასილ კოპალიანიც ალყისკენ იხრება. და იმავე იბნ ალ-ასირის ცნობის საფუძველზე თვლის, რომ „დამარცხებული და გაქცეული მტრის დევნაზე და მის საბოლოო განადგურებაზე თბილისელთა შიშით ხელის აღება იმის შედეგი უნდა იყოს, რომ თბილისში მოწინააღმდეგეთა დიდი ძალა ეგულებოდათ ქართველებს. იქნებ ისინი ქართველებს რაღაც საფრთხეს უმზადებდნენ და ამიტომ ქართველებმა დასწრება ამჯობინეს“[7].

როგორც აღვნიშნეთ, იქნებ ამ ორი ცნობის შეთანხმება, შესაძლებელი იყოს. იბნ ალ-ასირის ცნობით, დიდგორის ბრძოლაც და თბილისის აღებაც ერთ წელს, ჰიჯრის 515 წელს მოხდა. დავითის ისტორიკოსით — პირველი 1121 წ. მეორე 1122 წ. ჰიჯრის 515 წელი 1121 წლის 22 მარტიდან 1122 წლის 10 თებერვლამდე გრძელდება, ხოლო 1121 წლის აგვისტო, დიდგორის ბრძოლის თარიღი ჰიჯრის 515 წლის VI თვეზე, ჯუმადა II-ზე მოდის. დავითს თბილისი 1122 წლის იანვარშიც რომ აეღო, მაინც რამდენიმე თვეა. ამიტომ ალყა თითქოს გარდუვალი ჩანს. მაგრამ ალყის ვითარებაში, როგორც კი შეტევაზე გადავიდა „პირველსავე ომსა“ აიღო. დიდგორის ბრძოლის შემდეგ თბილისი თავისთავადაც ქართველთა ალყაში იყო მოქცეული, საგანგებო

---

[6] დავითის ისტორიკოსი, გვ. 342.

[7] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1121—1122 წლებში. კრ. თბილისი 1500, თბ., 1958, გვ. 62.

საალყო გარემოცვის გარეშეც და ეს ორი ცნობა ალბათ ასე შეიძლება შევუთანხმოთ ერთმანეთს. რაც შეეხება მათეოს ურჰაეცის ცნობას, აქაც მდგომარეობა დაახლოებით ასეთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათეოს ურჰაეცის ცნობით დიდგორის ბრძოლა მოხდა სომეხთა წელთაღრიცხვის 570 წელს აგვისტოს თვის 13-ს ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს და იმავე წელს აიღეს თბილისი.

554 წელს დვინის საეკლესიო კრების მიერ მიღებული კალენდრის რეფორმით სომხური წელთაღრიცხვის ახალი წელი 11 აგვისტოდან იწყებოდა. ჩვენთან VII—VIII საუკუნეებში ახალი წელი 1 სექტემბერს იწყებოდა, X საუკუნიდან კი იანვრის სტილი მკვიდრდება, რომელიც XIII—XIV სს-ში ბატონობდა. თუ მივიღებთ, რომ დავითის ისტორიკოსთან წლის დასაწყისად 1 იანვარია, მაშინ გამოდის, რომ 1121 წ. 12 (თუ 13) აგვისტოს, როდესაც დიდგორის ბრძოლა მოხდა, სომხური წელთაღრიცხვის 570 წელი იყო; მაგრამ როდესაც თბილისი აიღო დავითმა, სომხური წელთაღრიცხვით ისევ 570 წელი იყო. ქართულით კი უკვე 1122 წელი იდგა. ამასთანავე, რადგან ჰიჯრის 515 წ. (იბნ ალ-ასირი) ჩვენი წელთაღრიცხვის 1121 წლის 22 მარტიდან 1122 წლის 10 თებერვლამდე გრძელდება, უნდა დავასკვნათ, რომ თბილისი აიღეს 1122 წლის იანვრიდან თებერვლამდე, რაც დავითის ისტორიკოსისათვის არის ბრძოლის მეორე წელი, ხოლო მათეოს ურჰაეცისათვის და იბნ-ალ ასირისათვის დიდგორის ბრძოლის წელი.

2. დავითის ისტორიკოსს აქვს ასეთი ცნობა: „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულად შემოყენებული იყო უღელსა ქუეშ, მორჩილებისასა, ვითარცა აწ. არამედ სავსე, იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან ღავღავი და თუნიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ, გამომავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი ესე, ფრიად ეძუნებოდა სულსა დავითისსა“[8].

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ამ პასაჟში წარმოდგენილ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა 1122 წელს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლების შემდეგ. შ. მესხიას აზრით, „დავითის ისტორიკოსი თბილისის შემოერთებაში ორ პერიოდს არჩევდა — პირველს, როცა იგი ჯერ კიდევ „არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა“ და მეორე, როცა იგი „სრულიად შემოყენებულ იყო

---

[8] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349.

ულელსა ქუეშ, მორჩილებისასა"[9]. შ. მესხიას აზრით, ეს პირველი პერიოდი მოიცავს დროს თბილისის აღების შემდეგ, რაც დაკავშირებულია მაჰმადიანთა მიერ აქ საქალაქო თვითმმართველობის შენარჩუნებასთან და დაახლოებით 2 წელიწადს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ამასთან დაკავშირებით ვ. გაბაშვილი წერს: „არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ერთმანეთისაგან ანსხვავებს თბილისში შექმნილ სიტუაციას მის სრულ დამორჩილებამდე და საბოლოო დამორჩილება-შემომტკიცების შემდეგ[10].

თბილისის შემოერთებისათვის ბრძოლამ და ქალაქის საქართველოს მეფის გამგებლობაში ყოფნის ისტორიამ ორი ეტაპი რომ განვლო, პირველი სანამ ქალაქი საბოლოოდ დამორჩილდებოდა საქართველოს მეფის ხელისუფლებას და მეორე — საბოლოოდ დამორჩილების შემდეგ. ამაზე დავა ალბათ არ შეიძლება, მაგრამ საეჭვოდ მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომ ის ვითარება, რომელსაც დავითის ისტორიკოსი აღწერს, შეიძლება ქალაქში ყოფილიყო 1122 წლის, დავითის მიერ თბილისის აღების შემდეგ.

დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, „რამეთუ ოდესმე ყვიან ღავღავი და თუნიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი"[11]. სრულიად გასაზიარებელი და ანგარიშგასაწევია ვ. გაბაშვილის დაკვირვება, რომ ტერმინი „ღავღა" საფუძველს იძლევა „გველაპარაკა თბილისელი ხალხის მღელვარებაზე, ამბოხებაზე"[12]. მაგრამ როდის შეიძლებოდა ამ ამბოხებასა და მღელვარებას ჰქონოდა ადგილი, როდის შეიძლებოდა მოესრათ მაჰმადიანებს „რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი", ამბოხების გამოც და „თუნიერ მიზეზისაცა", როგორც მოგვითხრობს დავითის ისტორიკოსი 1122 წ. თბილისის შემოერთების შემდეგ თუ მანამდე. ისტორიკოსი კიდევ უფრო ავრცელებს თხრობას და აღნიშნავს, რომ თბილელნი თურქნი „ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი და ტყუეობად და სიკუდილდ მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი ესე ფრიად ეძუნებოდა სულსა დავითისასა"[13].

---

[9] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 98; შ. მ ე ს ხ ი ა, საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1982, გვ. 277.

[10] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ავტორის ერთი ცნობის განმარტება), იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 157.

[11] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349.

[12] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის სოციალური ისტორიიდან (მოქალაქეთა ამბოხება, 1122—1123 წწ. თბილისში) იხ. კრ. ძიებანი საქ. და კავკ. ისტ., თბ., 1976, გვ. 166.

[13] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მგონია, მას შემდეგ, რაც თბილისში საქართველოს მეფე დამკვიდრდა, რამდენადაც ფეხმოუმაგრებელი უნდა ყოფილიყო მისი ხელისუფლება, რომ ქალაქში მყოფ თურქთ თბილისში შემოსულ თურქთა ქარავნებისთვის შესძლებოდათ ქრისტიან ქართველთა „ტყვეობად და საკუდილად“ მიცემა.

საეჭვოდ, უფრო მეტიც, შეუძლებლად მიმაჩნია დავითის მიერ თბილისის აღების შემდეგ იქ ქრისტიან ქართველებს ამბოხება „ღალა“ მოეწყოთ თურქთა წინააღმდეგ. ქალაქის საქართველოს მეფის მიერ აღების შემდეგ, თურქებს ქართველები ამბოხების გამო თუ უმიზეზოდ „მოესრათ“, ან ქრისტიანები თბილისში შემოსულ მაჰმადიანთათვის მიეყიდათ, რის გამოც „ფრიად ეძვნებოდა სულსა დავითისსა“.

ასეთ ფაქტებს თბილისის ისტორიაში, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა, დავითის ისტორიკოსი ჭეშმარიტებას მოგვითხრობს. მაგრამ როდის?

თბილისისათვის ბრძოლა ეტაპობრივად მიმდინარეობდა. დავით აღმაშენებელმა ეს ბრძოლა XII ს-ის 10-იან წლებში დაიწყო, სამშვილდეს რომ შეუტია. მას შემდეგ, რაც გაიწმინდა თურქ-სელჩუკთაგან ქვემო ქართლი (სამშვილდე, რუსთავი, ლორე...), თბილისი მოწყდა სელჩუკურ სამყაროს.

შემდეგი ეტაპი 1120 წლიდან იწყება. თბილელი მაჰმადიანებისათვის აშკარა იყო, რომ საქართველოს მეფე თბილისს შეუტევდა და მათ დახმარებისათვის განძის სულთანს თორღილ მაჰმადის ძეს მიმართეს (ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 1120 ან 1121 წ., რადგან თორღილი არანისა და განძის განმგებლად ამ დროს იყო) მოხდა შეთანხმება და თორღილმა თბილისს მფარველობის დასტურად გამოუგზავნა თავისი მოხელე შიჰნე (ციხისთავი), ალბათ რამდენიმე მხედრითურთ. მაგრამ, რადგან თბილელთ კარგად ესმოდათ, რომ ეს მათ ვერ დაიცავდა საქართველოს მეფისაგან, ისევ დავითს მიმართეს და ხელუხლებლობის საფასურად წელიწადში 10 000 დინარის გადახდა იკისრეს და მორჩილების ნიშნად დათანხმდნენ თბილისში საქართველოს მეფის შიჰნე ყოფილიყო 10 მხედრითურთ[14]. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ვერ ჰქმნიდა სტაბილურ ვითარებას. რომ თბილისის სტატუსი არცერთ მხარეს არ აწყობდა, ეს ორივე მხარისთვის აშკარა იყო. ამ კავშირის შეკვრის შემდეგ თბილელ-განძელ-დმანელი ვაჭრები საქართველოს მეფის მიერ „შეიწრებულ თურქმანებთან“ ერთად ერაყის განმგებელს

---

[14] ამ დროს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ აღმოსავლურ წყაროებში დაცული ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში რ. კიკნაძემ შემოიტანა, იხ. რ. კიკნაძე, XI—XII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით). ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, V, ნაკვ. I, თბ., 1960.

მაჰმუდ მუჰამედის ძეს ეახლენ და საქართველოს წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს, რასაც შედეგად დიდგორის ბრძოლა მოყვა.

ეს უნდა იყოს ის პერიოდი (დავითის მეცხოვნისა და 10 მხედრის ყოფნა თბილისში), როდესაც „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებული იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა ვითარც აწ“ და არა 1122 წლის შემდგომი ხანა.

ამ ცნობის 1122 წლის შემდგომ ხანასთან დაკავშირების უფლებას თითქოს იძლევა ისტორიკოსის თხრობის თანმიმდევრობა. დავითის ისტორიკოსი 1122 წელს მიიჩნევს თბილისის აღების თარიღად. შემდგომ განაგრძობს მომდევნო პოლიტიკური ამბების გადმოცემას, მოგვითხრობს ბრძოლებზე შარვანისათვის, სომხეთისათვის და ა. შ. და როდესაც ამთავრებს თავისი თხზულების იმ ნაწილს, რომელსაც ის დავითის ხორციელ საქმეებს უწოდებს, იწყებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თხრობას მეფის სულიერ საქმეთა შესახებ და თხზულების იმ ნაწილში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებლის „ისტორიის“ მეორე ნაწილს უწოდებს, მოგვითხრობს დავითის განსაკუთრებულ სიყვარულზე წიგნის კითხვისადმი. დავითის ისტორიკოსს აუცილებლად მიაჩნია აუწყოს თანამედროვეთ და მომავალ თაობებს, რომ მეფე, რომელიც სულ ცხენზე ამხედრებული ხმლით ხელში წინ მიუძღოდა საკუთარ ლაშქარს მტრის წინააღმდეგ, დატვირთული იყო სახელმწიფოს მმართველობის რთული საკითხების მოგვარებით, რომ ხორციელთა საქმეთაგან დატვირთული „ვერ იცლიდა სულიერთა და საღმრთოთა საქმეთათვის“. ამავე დროს განათლებული, წიგნიერი კაცი იყო და ყოველგვარ პირობებში პოულობდა დროს წიგნის საკითხავად. ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტად დავითის ისტორიკოსს მოაქვს ერთი ეპიზოდი, რომელიც მოხდა მაშინ, როდესაც თბილისი „ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა“ და აღწერს, რომ თბილისში თურქთა დიდი ქარავანი შემოვიდა. მეფემ გაგზავნა თხუთმეტი კაცი, რათა მათ მოეტაცათ ლოჭინის მხარეს საძოვარზე მყოფი ნახირი და ამით გამოეტყუებინათ ქალაქიდან თურქნი. მეფემ სამასი მხედარი ავჭალის ღელეში დამალა, არავის ანდო მეთვალყურეობა და თვით მარტო ჩასაფრდა. მაგრამ თან წაიღო წიგნი, ჩასაფრებულთ კი უბრძანა დალოდებოდნენ მას. აი აქ მოხდა ის, რომ კითხვაში გართულმა მეფემ ვერ გაიგო როგორ წამოეწივნენ თურქნი და მხოლოდ ბრძოლის ხმამ გამოაფხიზლა; საფარში მყოფთა დაძახების დრო აღარ იყო, თვით მარტო ჩაერია ბრძოლაში და ა. შ.

რადგან ეს ამბავი მოთხრობილია დავითის ისტორიკოსის თხზულების მეორე ნაწილში, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ამ მოვლენას თბილისის მტრისაგან საბოლოოდ განთავისუფლების, ე. ი. 1122 წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი.

ალბათ საეჭვოა, რომ 1122 წელს თბილისის აღების შემდეგ მომხდარ ხდარიყო ეს ეპიზოდი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სწორედ მაშინ ხდებ ბა, როდესაც თბილისი ჯერ არაა სრულად შემოსული დავითის გამგებ- ლობაში. იქ, მართალია, მისი შიჰნე იმყოფება 10 მხედრითურთ, მაგრამ, რასაკვირველია, საბოლოო დამორჩილება ჯერ არ მომხდარა.

М. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ БОРЬБЫ ЗА ТБИЛИСИ

Резюме

История города Тбилиси — одна из актуальных проблем грузинской историографии. В специальных исследованиях, монографиях, статьях изучены как отдельные вопросы истории города, так и история города в целом, но некоторые моменты истории Тбилиси требуют уточнения и конкретизации.

Одним из таких вопросов является якобы существующее разногласие между грузинскими, армянскими и арабскими письменными источниками о соотношении дат исторической Дидгорской битвы (1121 г.) и освобождения Тбилиси от турецко-сельджукского ига. Но сопоставление систем грузинского и армянского летосчислений и летосчисления по хиджре вполне подтверждают сообщение грузинского историка, что город был освобожден в 1122-ом году.

В историческом сочинении, посвященном царю Давиду IV Строителю (1089—1125 гг.) и принадлежавшему современнику царя, имеется сообщение о погромах и притеснениях тбилисских христиан мусульманами как вследствие их бунта, так и без особых причин. Изучение метода и системы повествования историка, сопоставление его данных с сообщениями арабских историков позволяет уточнить время указанных событий: после 1120 г. и до 1122 г. т. е. до освобождения Тбилиси.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ ჩანტლაძე

დავით აღმაშენებლის ფინანსური პოლიტიკის საკითხისათვის

დავით მეოთხე მრავალმხრივი მოღვაწე და აღმაშენებელია ამ სიტყვის პირდაპირი და ფართო მნიშვნელობით, ქვეყნის გონიერი მმართველი და გამგებელი, უბადლო მხედართმთავარი და სტრატეგი, მგზნებარე პატრიოტი და სამშობლოსათვის თავდადებული, ქვეყნის ეკონომიკურად და კულტურულად განმავითარებელი, აკადემიის დამაარსებელი, დიდად განათლებული და შემოქმედი.

ჩვენი მიზანია შეეხოთ დავით აღმაშენებლის ეკონომიკური დარგის მოღვაწეობის ერთ მხარეს — ფინანსურ-პოლიტიკურ საქმიანობას. როგორც ცნობილია, საქონლურ-ფულადი მეურნეობის პირობებში ფინანსები დიდ როლს თამაშობს, როგორც ადმინისტრაციულ-სამხედრო ისე საერთო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში. დავით აღმაშენებელმა როგორც სხვა დარგში ისე ფინანსური პოლიტიკის წარმართვაშიც გამოიჩინა თავი. მის მიერ შემოღებულ ქვეყნის გარდაქმნისა და აშენების რეფორმებში საპატიო ადგილი უჭირავს ფულისა და საერთოდ ფინანსების რეფორმებსაც.

დავითმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დიდგვარიანი აზნაურობის სეპარატიზმს, მოაწესრიგა ურთიერთობა ეკლესიასთან სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცების თვალსაზრისით, დემოკრატიზაცია შეიტანა სამხედრო საქმეში, ლაშქარი შექმნა ყმა-მოლაშქრეებისაგან და წვრილი აზნაურობისაგან, გამოიყენა დაქირავებული ჯარიც და შექმნა მუდმივი არმია. დავითმა იბრძოლა საქართველოს ერთ სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ენაზე გაერთიანებისათვის, მის დროს საქართველოს საზღვრები გაფართოვდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე (დერბენტამდე), ჩრდილო ოსეთიდან არეგაწამდე.

დავით აღმაშენებელი უცხოეთის ბაზრებზე გასვლის მიზნით და სტრატეგიული მოსაზრებებით დაეუფლა სავაჭრო გზებს ანისის, განჯის, კახის, შემახის, დარუბანდისა და სხვ. და ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა დაწინაურებამ გამოიწვია ქალაქების აღმავლობა, ვაჭრობის განვითარება და ვაჭრობა კლასის ინტერესების დაცვის გაძლიერება, რაც მოასწავებდა მოძრავი საკუთრების ავტორიტეტის გაძლიერებას.

ვაჭრობა ვერ ითმენს რეგლამენტაციას, ის მოითხოვს თავისუფლებას; ვაჭარი სულ მუდამ დადის ქალაქებსა და სოფლებში, ყიდულობს და ყიდის და ამიტომ სულ სხვადასხვაგან იმყოფება.

იმხანად შინაური ბაზარი ფართო იყო, ყოველი საგანი იყო ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. იყიდებოდა სამშენებლო მასალა (ქვა, ქვიშა, კირი, ხე-ტყე), წარმოების იარაღები, მაგალითად სახნისი, იყიდებოდა ნედლეული — მატყლი, ტყავი, ლითონი და სხვ., დასასრულ იყიდებოდა წარმოების საშუალება და წარმოების პირობაც — მიწის ნაკვეთები, მამულები, ყანები, ვენახები და თვითონ სოფლებიც[1]. ამასთანავე საქართველო სავაჭრო ურთიერთობაში იყო საზღვარგარეთულ ქვეყნებთან — არაბებთან, ბიზანტიასთან, იტალიასთან, რუსეთთან, ეგვიპტესთან, ირანთან, ჩინეთთან, ინდოეთთან, სომხეთთან და სხვ.

საქართველოდან უცხოეთში გაიზიდებოდა შალის, ბამბის, აბრეშუმის ნაწარმი, ხალიჩები, ტანისამოსი, საოქრომჭედლო და კერამიკული ნაწარმი. უცხოეთიდან შემოიზიდებოდა ნელსაცხებელი, ცხენის აკაზმულობა, ძვირფასი ქვები, ზოდური ოქრო, ფოლადი, შაქარი, ქსოვილი, კერამიკული ნაწარმი, საეკლესიო ნივთები, ფარჩეულობა, ხარისხიანი მატყლი და სხვ.

საქართველოში ტრიალებდა ადგილობრივად მოჭრილი მონეტები და უცხოური ფულიც. არსებობდა პრიმიტიული ფორმის სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებებიც.

სავაჭრო კაპიტალი თავის ორბიტაში ითრევდა ფეოდალურ არისტოკრატიასაც. ბევრი მათგანი მჭიდრო კავშირში იყო ქალაქებთან და ესწრაფოდა ქალაქების დაპატრონებას. როგორც ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, „ქართველი ფეოდალი — შანშე მხარგრძელი 15 ქალაქის მფლობელი იყო"[2]. მეფეც დაინტერესებული იყო ქალაქებს დაპატრონებოდა. თურქ-სელჩუკების განდევნის შემდეგ დავით აღმაშენებელმა ქალაქები სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა. ამ ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა მოძრავი საკუთრების მფლობელები იყვნენ და სიმდიდრით აღზევებულთა წრეს ეკუთვნოდნენ. მათი ინტერესები ერთგვარად ეწინააღმდეგებოდნენ უძრავი საკუთრების მფლობელთა ინტერესებს, ანელებდნენ მათ წინააღმდეგობებს მეფი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, 1907, გვ. 31—32.

[2] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ, 1902, გვ. 9.

სადმი, რაც მეფეს უადვილებდა ფეოდალებთან ბრძოლას. გარდა ამისა, ქალაქები, ვაჭართა კლასი აფინანსებდნენ მეფეს.

ეს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აპირობებდა საქართველოში ადგილობრივ მონეტებთან ერთად მრავალი უცხო ქვეყნის მონეტების გამოყენებას, როგორც იყო კონსტანტინატი, პერპერა, დრაკანი, დუკატი, დრაჰკანი დუკატი, ბოტინატი, დრამა, დანგი და სხვ.

ცხადია, შინაური ბაზრის გაფართოებამ და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლამ გაზარდა ფულის საჭიროება და მისი მოწესრიგების აუცილებლობა სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. ცენტრალიზაციის გაძლიერების მიზნით დავით აღმაშენებელმა ფინანსური უწყება გამოყო სხვა დარგებიდან და უშუალოდ მეფის ვაზირს დაუქვემდებარა; მეჭურჭლეთუხუცესის (თანამედროვე ტერმინოლოგიით ფინანსთა მინისტრის) თანამდებობა წინ წამოსწია ზოგიერთ სხვა თანამდებობასთან შედარებით. მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით XII საუკუნეზე ბევრად ადრე უნდა ყოფილიყო შემოღებული. მეჭურჭლეთუხუცესი ითვლებოდა დიდ და საპატიო ვეზირად. ის იყო საჭურჭლეს ანუ სახელმწიფო ხაზინის უზენაესი გამგე, რომელსაც ჰყავდა მოადგილე, „ნაცვალი“.

თბილისის განთავისუფლების შემდეგ სახელმწიფოს მთავარი საჭურჭლე დავით აღმაშენებელმა თბილისში გადმოიტანა.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით საქართველოში იყო სალაროთა მართვის ცენტრალისტური წესი. იმის და მიუხედავად, რომ სახელმწიფო ხაზინა და საგანძურნი თბილისის გარდა სხვა ადგილებშიც იყო მოთავსებული, თვით საჭურჭლე, როგორც სახელმწიფო დაწესებულება, ერთი იყო და განუყოფელი“[3].

საჭურჭლეში ინახებოდა ფული, ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, ძვირფასი განძეულობა და თვალმარგალიტი. საჭურჭლისაგან განსხვავდებოდა სალარო.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, „ვაჭართა უხუცესი“ და „მოხარაჯენიც“ მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეითნი იყვნენ. მეჭურჭლეთუხუცესს შეეძლო ამ ვაზირობის გარდა სხვა ხელისუფლებაც ჰქონოდა თვით საქვეყნოდ გამრიგებლისაც კი“[4]. ერთგვარად ფინანსური აპარატის თანამშრომლებად ჩაითვლებოდნენ, აგრეთვე, მონადირეთუხუცესი და ტყისმცველთუხუცესი. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ ყველა ქალაქის „ამირები“ და ვაჭრები. მისი ხელქვეითი იყო ვაჭრობა-აღებმიცემობა, ვაჭრობის გადასახადები.

---

[3] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი VI, თბ., 1982, გვ. 306.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1928, გვ. 173—193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის რეფორმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფულის რეფორმას როგორც ნუმიზმატიკურის ისე საკუთრივ ფულის და ფინანსურის მხრივ.

დავით აღმაშენებელმა ფულის გარეგანი სახე შეცვალა. მონეტაზე გამოსახა ცხენოსანი მეფე და არაბულად აღბეჭდა მეფეთ მეფე დავით გიორგის ძე მესიის მახვილი. ასე მოჭრეს შემდეგში სპილენძის ფულები ზურგზე არაბული წარწერით: გიორგი III, თამარ მეფემ, ლაშა გიორგიმ და ნაწილობრივ რუსუდანმა.

ქართული მონეტების კვლევას თავისი ისტორია აქვს, მას უძღვნეს შრომები მარი ბროსემ, ივ. ჯავახიშვილმა, მ. ბარათაევმა, ვ. ლანგლუამ, დ. პალოვმა, მ. ჩუბინაშვილმა, თ. ლომოურმა, გ. დონდუამ, ნ. ქოიავამ, რ. მეტრეველმა, რომელმაც სპეციალური თავი მიუძღვნა თავის ნაშრომში[5] დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებულ ქართული ფულის რეფორმას.

ფინანსური თვალსაზრისით საინტერესოა ის, რომ დავით აღმაშენებელმა გამოცვალა ფულის ლითონური შინაარსი. სავალუტო ლითონად ნაცვლად ვერცხლისა გამოაცხადა სპილენძი და მას მიანიჭა ვერცხლის კურსი და სპილენძის ფული გახადა სავალდებულოდ მიღებულიყო „თეთრად" ანუ ვერცხლის ფულად.

დ. კაპანაძე წერს, რომ ეს საკითხი „სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ყოფილა განხილული, მისთვის საგანგებო შრომაც უძღვნიათ, მაგრამ ამის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობაა: ზოგი ამტკიცებს, რომ კრიზისი აღმოსავლური ქვეყნების ვერცხლის საბადოების გამოფიტვით იყო გამოწვეული, ზოგი ამ აღმოსავლური მონეტის დასავლეთ ქვეყნებში და ჩრდილოეთში მასობრივ გაზიდვას უკავშირებს, ზოგი თურქ-სელჩუკთა მომთაბარე ტომების შუა აზიიდან სპარსეთისაკენ მოძრაობას აბრალებს, მაგრამ არც ერთი ეს მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებლად დამტკიცებული არაა და ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენის ნამდვილი მიზეზი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით გარკვეულად ვერ ჩაითვლება"[6].

ფული შესაძლებელია განვიხილოთ ნუმიზმატიკურის თვალთახედვით როგორც მონეტა ანუ მოჭრილი თუ გამოჭედილი ფული, როგორც ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ძეგლი, — განვიხილოთ მისი როლი ამა თუ იმ ეპოქაში.

მეორე მხრივ, ფული შესაძლებელია განვიხილოთ როგორც საქონლის მიმოქცევა მის ფუნქციონალურ გამოვლინებებში, როგორც ღი-

---

[5] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით IV აღმაშენებელი. 1946, გვ. 240—250.

[6] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, 1950, გვ. 44.

რებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, გადახდის საშუალების, განძად დაგროვების საშუალების და როგორც მსოფლიო ფულის.

მესამე მხრივ, ფული შესაძლებელია განვიხილოთ ფინანსების თვალსაზრისით, როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება-გადანაწილების საშუალება, მეურნეობრივი ანგარიშიანობის საშუალება, კონტროლის საშუალება. როდესაც ფული თავისი საზოგადოებრივი ფუნქციის გამოყენებით ახორციელებს განმანაწილებლობით, მეურნეობრივი ანგარიშიანობის და კონტროლის ფუნქციებს, მაშინ ფული აყვანილია ფინანსების რანგში. იგი გვევლინება როგორც ფინანსები.

თუ დავით აღმაშენებლის ფულის რეფორმას განვიხილავთ ფულის, როგორც საქონლის მიმოქცევის და ფულის როგორც ფინანსების თვალსაზრისით, მაშინ შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მეტნაკლებად ყველა ზემოთ დასახელებულმა ფაქტორმა გამოიწვია რეფორმის აუცილებლობა. მაგრამ აქ ძირითადად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა შინაური და საგარეო მტრები დაამარცხა, რაშიც გარკვეული როლი ითამაშა სავაჭრო კაპიტალის მომძლავრებამაც, საქართველო იმ ხანად ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა წინა აზიაში და დავით აღმაშენებელმა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება დაიწყო. იმ პერიოდში თანდათან გაიზარდა საქონლურ-ფულადი მეურნეობა, თანდათანობით მეტმა პროდუქტმა მიიღო საქონლის ხასიათი. ამასთანავე, საქართველომ გააფართოვა საგარეო ვაჭრობა. ჯვაროსნებმა ბიზანტიისა და არაბების ვაჭრობას დიდი ზიანი მიაყენეს, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებას. ყოველივე ამან გააფართოვა საქართველოში ფულადი მიმოქცევა და აუცილებლობით დააყენა ფულადი მიმოქცევის და ფინანსური სისტემის არსებითი შეცვლის მოთხოვნა.

როგორც ცნობილია, მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა პირველ ყოვლისა დამოკიდებულია მთელი საქონლის ფასების ჯამზე. რაც უფრო მეტია საქონელთა ფასების ჯამი, მით მეტი ფულია საჭირო მიმოქცევაში. ამ პირობებში საქონლის მასის ზრდასთან ერთად იზრდება ფულზე მოთხოვნა. მართალია, საქონელთა გადაკავშირებული გაცვლა, საქონლის ბრუნვის სისწრაფე და კრედიტი ამცირებენ მიმოქცევაში ფულის რაოდენობას, მაგრამ მოცემულ პერიოდში ბრუნვის სისწრაფე შედარებით ნელი იყო, კრედიტიც შედარებით ნაკლებად გამოყენებული და გაცვლა ძირითადად ნაღდ ანგარიშზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც მიმოქცევაში მეტი ფული იყო საჭირო.

ფულზე მოთხოვნას ზრდიდა, აგრეთვე, დიდი სახელმწიფოებრივი ხარჯები, რომლებშიც ფული განსაკუთრებით განმანაწილებლობითი ფუნქციით ვლინდება, საქონლის ბრუნვის გარეშე ცალმხრივად ტრია-

ლებს. სახელმწიფოს მმართველობითი აპარატის შენახვის, სასახლის შენახვის, განსაკუთრებით სამხედრო ხარჯები იმ განუწყვეტელ ომების ჩასატარებლად დაქირავებული ჯარის შენახვა, მშენებლობა, ხარჯები, გზების გაყვანის, ხიდების, თავშესაფრების, ფუნდუკების, ციხე-კოშკების, საყდრების, ტყვეთა გამოსყიდვის, ლტოლვილთა დახმარების, უკაცრიელი ადგილების დასახლების, უცხოეთში არსებული ქართული საეკლესიო-საკულტო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის დახმარება, სოციალურ-კულტურული ხარჯები და სხვ. დიდ სახსრებს ითხოვდა. ამიტომ ვერცხლის მადნების იმავე ნაყოფიერების პირობებშიც ლითონზე მოთხოვნა შედარებით მაინც გაიზრდებოდა.

X და XI საუკუნეებში ბაზრის განვითარების გამო ევროპაში გაძლიერდა ძვირფასი ლითონების ამოღება, განსაკუთრებით ვერცხლისა, რამდენჯერმე მოხდა ომი ბოჰემიისათვის, სადაც ძვირფასი ლითონებს მდიდარი მადნები იყო.

დავით აღმაშენებელი გარდა შემოზიდული ვერცხლისა უთუოდ გამოიყენებდა ამიერკავკასიის ვერცხლის საბადოებსაც. ასეთებად მიხეილ მაქსიმოვს დასახელებული აქვს გიუმუშხანის საბადოები, რომლებიც ამჟამად იმყოფება სომხეთის სსრ ტერიტორიაზე და მაშინ საქართველოში შემოდიოდა და მათი დამუშავება ძველადვე იყო ცნობილი. შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე მიუმუშლულის საბადოები დღევანდელ აზერბაიჯანის სსრ-ში[7].

დავით აღმაშენებლის მიერ მტრების განდევნამ საქართველოს მიწაწყლიდან და მშვიდობიანობის უზრუნველყოფამ გამოიწვია, როგორც აღვნიშნეთ, მეურნეობრივი აღმავლობა, საქონლიანობის ზრდა მიმოქცევაში, სადაც ფული ძირითადად ღირებულების საზომისა და მიმოქცევის საშუალების ფუნქციებში მოქმედებენ, ფულის მეტი საჭიროება. ამასთანავე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფულის რაოდენობის ზრდის მოთხოვნას აპირობებდა სახელმწიფოს ფინანსური საჭიროებანი: დაქირავებული ჯარის შენახვა, დანგრეული ქვეყნის აღდგენა-აღმშენებლობა და სხვ., რომლებიც იმ სფეროს ეხება, სადაც ფული საქონლის მიმოქცევის გარეშე მოძრაობაშია და ფულის გადახდის ფუნქცია ფინანსების განმანაწილებლობით ფუნქციაშია აყვანილი, გასაგები გახდება, რომ ფული იმისგან დამოუკიდებლად ის აკმაყოფილებს თუ არა საქონლის მიმოქცევისათვის საჭირო რაოდენობას და მისგან დამოუკიდებლად მოეპოვება თუ არა სახელმწიფოს მისი ფულის სავალუტო ლითონის (ამ შემთხვევაში ვერცხლის) მდიდარი, გამოუყენებელი მადნები, სახელმწიფო მაინც იძულებულია მიმართოს ლითონის ფულის ერთეულის წონაში შემცირებას (მდარე

---

[7] М. Максимов. Очерки о серебре. 1971, М., с. 48—49.

ღირსების ლითონის შერევისას ძვირფას ლითონში, დაბალი ღირსების ლითონის მაღალი ღირსების ლითონად გამოცხადებას. მეორე-ცემულ შემთხვევაში, სპილენძის ვერცხლად გამოცხადებას, მაღალი ღირსების სავალუტო ლითონის შეცვლას დაბალი ღირსების ლითონით და მაღალი სავალუტო ლითონის კურსის შენარჩუნებას.

დავით აღმაშენებელი ამ შემთხვევაში სავალუტო ლითონის გამოცვლით შეეცადა ფული დაემაგრებია სახელმწიფოს ფარგლებში, დაბრკოლება შეექმნა მათი საზღვარგარეთ გატანისათვის. დაბალი ღირსების ლითონები მეორე ქვეყანაში გაზიდვისას ინარჩუნებენ თავიანთ ღირებულებას, დაბალი ღირსების ლითონის ღირებულებას და არა იმ კურსს, რაც სახელმწიფომ მიანიჭა მათ. საზღვარგარეთ გატანის შემთხვევაში ის გავა თავისი ლითონის ღირსებით და არა იმის მიხედვით თუ მას რა აწერია. სპილენძს არავინ მიიღებს ვერცხლად. ეს აბრკოლებს ფულის საზღვარგარეთ გასვლას; აბრკოლებდა მას ტრანსპორტირების თვალსაზრისითაც; ვთქვათ, იმდროინდელი შეფარდება ვერცხლისა სპილენძთან არის 1 : 60; ეს ნიშნავს ერთი ტონა ვერცხლის ნაცვლად სპილენძის შესაბამისი ღირებულება რომ გაიტანოს, საზღვარგარეთ უნდა გაზიდოს 60 ტონა სპილენძი, ე. ი. 2 აქლემის ნაცვლად დასჭირდება 120 აქლემი. აქ აკრძალვის საშუალებად ნაცვლად ადმინისტრაციული ღონისძიებისა, გამოყენებულია, ეკონომიკური, რომელიც უფრო ეფექტურია, ვინაიდან ადმინისტრაციულ ღონისძიებებს მოუსყიდველი მეთვალყურე სჭირდება. ეკონომიკური ღონისძიება თვით არის თავისთავის კონტროლი და მისი მოსყიდვა არ შეიძლება. ამასთანავე, სავალუტო ლითონის ქვეყნის როლში ვერცხლის სპილენძით შეცვლა აჩერებს ფულების სამკაულებად და სხვა ფულებად გადაკეთებასაც და, მაშასადამე, ფულის რაოდენობის შემცირებას მიმოქცევაში.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ფულის რეფორმა — ვერცხლის შეცვლა სპილენძით შეიძლება ჩაითვალოს, სხვა ფაქტორებთან ერთად, წინდახედულ ღონისძიებად, მერკანტილისტური პოლიტიკის ერთგვარ წინამორბედ ფორმად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არიან მართალნი ის მკვლევარები, რომელთაც ეს მონეტა XIII საუკუნეში გადააქვთ და მას მიაწერენ ულუ-დავითს. ჯერ ერთი, რომ არ არსებობს საბუთი ვარაუდისათვის, რომ განათლებულ არაბ მოგზაურს, ალ-ფარაკს, რომელიც დიდხანს იყო საქართველოში XII საუკუნეში სტუმრად სამეფო კარზე, შეუმჩნეველი დარჩენოდა ის დიდი ცვლილება, რომელიც მოახდინა დავით აღმაშენებელმა ფულის სავალუტო ლითონის შეცვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე — ქვეყნის აღმშენებლობით მოპოვებული ავტორიტეტი შიხედვით დავით აღმაშენებელი უფრო ამართლებს „მესიის ბრძოლის“ წოდებას, ვიდრე მონღოლების ბატონობის პირობებში მოღვაწე ულუ-დავით გიორგის ძე.

В. Г. ЧАНТЛАДЗЕ

К ВОПРОСУ О ФИНАНСОВОЙ ПОЛИТИКЕ ДАВИДА АГМАШЕНЕБЕЛИ

Резюме

В многосторонней деятельности Давида Агмашенебели важное место занимает реформа в области денежного обращения и финансов вообще.

В статье этот вопрос рассматривается следующим образом:

1. В данную эпоху широко была развита внутренняя и внешняя торговля. Предметом купли-продажи являлись строительные материалы, сырье, средства производства — плуг, лопата, земельные угодья и т. п.

2. Грузия находилась в торговых сношениях с зарубежными странами — Аравией, Византией, Италией, Россией, Египтом, Ираном, Китаем, Арменией и др. Эти торговые отношения обусловливали применение в Грузии как иностранных, так и монет внутренней чеканки.

3. Расширение внутреннего рынка и внешней торговли потребовало увеличения денежных средств и необходимости урегулирования денежного обращения.

4. С этой целью Давид Агмашенебели особо выделил финансовое ведомство и подчинил его непосредственно царю, усилив таким образом централизацию финансовой системы.

5. Среди реформ Давида Агмашенебели важное место занимает денежная реформа как с нумизматической, так и собственно финансовой стороны.

Давид Агмашенебели изменил не только внешний вид монеты, но и ее металлическое содержание. Серебро заменил медью и медным монетам придал хождение наравне с серебряными монетами.

6. Нумизмат Д. Капанадзе перечисляет разные мнения исследователей, занимающихся выяснением причин этого явления, и заключает, что остаются неизвестными действительные причины денежной реформы.

7. Мы полагаем, что расширение рынка, увеличение товарной продукции, с одной стороны, и вывоз капитала за пределы страны, переделка монет в разные украшения, большие госу-

дарственные расходы (содержание государственного аппарата, двора, наемного войска, военные расходы, а также расходы на строительство дорог, мостов, крепостей, убежищ, приютов, монастырей, выкуп пленных помощь беженцам, заселение пустопорожних земель и т. п.), с другой стороны потребовали увеличения денежной массы в обращении. Даже при той же производительности серебряных рудников нельзя было бы удовлетворить возросшие потребности в металле.

8. Изменением металлического содержания монеты Давид Агмашенебели воспрепятствовал вывозу монет в зарубежные страны.

9. Таким образом, финансовую политику Давида Агмашенебели можно считать как предшествующую форму меркантилизма.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ლორთქიფანიძე, ომარ ლანჩავა

ქუთაისის ისტორიის პროგლემები ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე

არც ერთი ქალაქი დასავლეთ საქართველოში ისე სრულად და გამ-მით არ გამოხატავს საქართველოს თავგადასავალს, მის სისხლსავსე ცხოვრებას, როგორც ქალაქი ქუთაისი, ამიტომაც მისი კომპლექსური არქეოლოგიური შესწავლა ყოველთვის დღის წესრიგში იდგა და ბოლო წლებში როგორც იქნა განხორციელდა კიდეც.

ჯერ იყო და 1963—65 წლებში ჩატარდა აქ ფართო სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები, რის საფუძველზეც შედგა ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური რუკა, ხოლო 1984 წლიდან ქუთაისი გახდა სისტემატური არქეოლოგიური კვლევის ობიექტი, რამაც დააგროვა უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური მასალა და სრულიად ახლებურად წარმოგვიდგინა ჩვენი ქვეყნის ამ უდიდესი საქალაქო ცენტრის ისტორიული სინამდვილე. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს შეეხება ქალაქის ისტორიის უძველეს პერიოდს:

არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ ქუთაისი და მისი მიდამოები შესამჩნევად მოწინავეობს გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანიდან, განსაკუთრებით კი ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან... ამ დროინდელი სამოსახლოები გამოვლენილ იქნა ქალაქის გორაკ-ბორცვიან ნაწილში, ბუნებრივ გორაკებზე. სამოსახლოთა ცენტრი კონცენტრირებულია მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე — „უქიმერიონისა“ და „გაბაშვილის გორაზე“. აქ აღმოჩნდა წინარე ანტიკური და ანტიკური ხანის მძლავრი კულტურული ფენები, რომელთა სიმძლავრე 3 მ-ზე მეტს აღწევს და უმდიდრესი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალის შემცველია. ამ მასალებს აშკარად აქვთ ურბანისტული ხასიათი. უპირველესად ეს ითქმის ხელოსნურ ნაწარმზე (კერამიკა, ლითონწარმოება). სწორედ მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოების განვითარების მაღალი დონე, საკუთარი ტიპოლოგიური მოდელი, ხელოსნური ნაწარმის სტანდარტიზაცია და მისი სასაქონლო ხასიათი, შინაკოლხურ ეკონომიკურ კავშირებში აქტიური მონაწილეობა, გარე

სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ორბიტაში ჩაბმა, რომელსაც ხელს უწყობდა ქუთაისის მდებარეობა ძველი მსოფლიოს დიდ-ხეივანრო-სატრანზიტო მაგისტრალზე, უცილობლად ითვლება ურბანიზაციის უტყუარ მოწმობად. სამოსახლოს გარეგნული სახის წარმოდგენაში კი გვეხმარება აქ აღმოჩენილი ხის ხუროთმოძღვრული ნაშთები, რაც საერთო კოლხური სინამდვილის დამახასიათებელი ნიუანსია ამ პერიოდში. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. VIII—V საუკუნეებში ქუთაისში არსებობს საქალაქო ტიპის მსხვილი სამოსახლო ცენტრი (ხის ქალაქი). ხოლო, რაც შეეხება ვარაუდს, ქუთაისის მიწაწყალზე ლეგენდარული კოლხი მეფის აიეტის ქალაქის არსებობის შესახებ, იგი ნივთიერად არ დასტურდება. აიეტის დროინდელი ნაქალაქარი (და საერთოდ ნამოსახლარი) ქუთაისში არ აღმოჩნდა.

ელინისტური ხანის ნივთიერი კულტურა უფრო მეტად ვაკე ქუთაისსა და მის შემოგარენშია ფიქსირებული. უპირატესად ისინი გამოვლინდა რიონჰესის დასახლებაში, ე. წ. „სარბევის" ბორცვზე და „ციხიას" გორაზე, აგრეთვე გეგუთსა და მაღლაკში. სავარაუდოა, რომ ეს სამოსახლოები დიდი საქალაქო ცენტრის ირგვლივ განლაგებული პუნქტებია, რომლის აღმოჩენა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. ნიშანდობლივია, რომ ამ დროს სავაჭრო-სახელოსნო მიზნების წინ წამოწევა ხდება და სამოსახლოებიც უპირატესად მდინარეების სანაპიროებზე ჩნდება.

ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი („ახალქალაქობის ხანა") იწყება ახ. წ. III—IV საუკუნეებიდან, როცა ცხოვრების ცენტრი მთლიანად გადადის ე. წ. უქიმერიონის გორაზე. ამ დროიდან ქალაქის გარეგნული სახის განმსაზღვრელი უმთავრესი კომპონენტი ფორტიფიკაციაა (ე. ი. გამაგრების სისტემაა); ზღუდე-გალავნის აღმოცენებით, ნგრევა-შენებით და „მოძრაობით" დოკუმენტურად დასტურდება საქალაქო ცხოვრების განვითარების ხანგრძლივი პროცესი ქუთაისის მიწაწყალზე. სწორედ არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გახადა შესაძლებელი ქალაქის ისტორიული ტოპოგრაფიის გარკვევა და დღემდე უცნობი, რეალური სურათის აღდგენა, ის კი ეტაპების მიხედვით ასე გამოიყურება:

პ ი რ ვ ე ლ ი ე ტ ა პ ი — სასიმაგრო ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპია ფეოდალური ეპოქის ქუთაისში. მას განეკუთვნება ახ. წ. IV საუკუნის შიდა ციხე (აკროპოლისი), რომელიც წარმოადგენდა დომინანტს და ქალაქმშენებლობის მთავარ ორიენტირს საშუალო საუკუნეების მთელ პერიოდში.

ციტადელი აუგიათ მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ კლდოვან ბორცვზე და თავდაპირველად ზღუდავდა 0,6 ჰექტარ ფართობს. იგი ექვსკუთხედის ფორმისაა და დასავლეთის მხრიდან გამაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული იყო სწორკუთხა კოშკებით. მათ შორის იყო მოქცეული მთავარი კარიბჭე და დაცული იყო ორმაგი კედლებით. შიდა ციხე-ქალაქი (სურ. 1) და ე. წ. „ცოტა კარი“ და წყალმომარაგების რთული სისტემა (სურ. 1).

მ ე ო რ ე ე ტ ა პ ი — ქუთაისის სასიმაგრო არქიტექტურაში საწყისი ფორტიფიკაციის უცუალო განვითარება და გაგრძელებაა. ამ დროს მიმდინარეობს შიდა ქალაქის მოზღუდვა და მისი გამოცალკევება ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან. შესაბამისად ციხე-ქალაქი უკვე ორნაწილიანი ხდება (შიდაციხე და შიდა ქალაქი). მეორე ეტაპზე ზღუდე-გალავანში ექცევა 4 ჰექტარი ფართობი და ზღუდის საერთო პერიმეტრი 1200 მეტრია. სასიმაგრო მშენებლობის მაღალ დონეზე მეტყველებს შიდაქალაქის სამხრეთი კედლის გამაგრება გოდლედების სისტემით. გოდლედები ამოყვანილია კედლის გასწვრივ მთელს პერიმეტრზე, მისგან 1,70 მ-ის დაშორებით. ისინი გალავნის კედელთან და ერთმანეთთან თაღებით იყო დაკავშირებული და ზემოთ ქმნიდა 4 მ სიგანისა და 40 მ სიგრძის საბრძოლო ბაქანს, რაც იშვიათი შემთხვევაა საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრებაში (სურ. 2).

ამ ეტაპს განეკუთვნება შიდაქალაქის გაბატონებულ ადგილზე აღმართული გრანდიოზული ნაგებობა (სურ. 3), იგი მრავალსათავსოიანია და დამხრობილია W — O მიმართულებით. მისი ზომებია 35×20 მ და უჭირავს 700 კვ. მ ფართობი. ნაგებობა თავის დროზე ორსართულიანი ყოფილა. ქვედა სართული რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა:

1. „დიდი დარბაზი“ (რომელიც გაყოფილია კამარა-თაღიანი ტიხრით),
2. „მცირე დარბაზი“,
3. „მისაღები“,
4. „გარე სათავსები“ (ე. წ. „პროტეიხიზმა“).

იატაკი მოკირწყლული იყო აგურის ფილებით. ნაგებობა ყველა მონაცემით საერო დანიშნულებისაა. ჩვენი ვარაუდით, იგი სამეფო სასახლეა და ფუნქციონირებდა ახ. წ. IV საუკუნეში. გეგმარებით აღნიშნული ნაგებობა დიდ მსგავსებას იჩენს ნოქალაქევ-არქეოპოლისში აღმოჩენილ სასახლესთან, მაგრამ მას ზომით ბევრად აღემატება; ქუთაისის სამეფო სასახლე დასავლეთ საქართველოში ყველაზე ადრეულია და მონუმენტური, ამდენად მისი გამოვლენა უმნიშვნელოვანესი შენაძენია ქართული საერო ხუროთმოძღვრებისათვის.

მ ე ს ა მ ე ე ტ ა პ ი — საქალაქო ცხოვრების თვალსაჩინო აყვავების ხანაა ქუთაისის ისტორიულ განვითარებაში. ამ დროს შენდება დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი მონუმენტური ფორტიფიკაცია. კერძოდ, ე. წ. იზოდომური წყობით აგებენ „დიდი ქუთათისის“ დიდ ციტადელს და მნიშვნელოვნად ზრდიან გამაგრებულ ტერიტორიას. ზღუდე-გალავანი ყოველ 40—50 მეტრში გამაგრებულია გარე სწორ-



სურ. 1



სგმ. 2

კუთხა კოშკებით (ზომები 8×12 მ) მისი საერთო პერიმეტრი 2 კმ-ზეა, ხოლო შემოზღუდული ტერიტორიის ფართობი 12 ჰექტარი.

ამ პერიოდში ჩანს აგებული აბანოს კომპლექსი (სურ. 4). იგი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. საკუთრივ აბანო,
2. აუზი — რეზერვუარი (50 ტონა წყალტევადობისა) და
3. შეშის საწყობი.

აბანო — ქვითკირის ნაგებობაა. იგი თავდაპირველად ჯვრის ფორმის ყოფილა (ზომები: 19×10,5); VI საუკუნეში სამჯერაა გადაკეთე-



სურ. 3

ბული. აქვს: საცეცხლე განყოფილება (პროპიგეონი), საქვაბე, ცხელი განყოფილება (კალდარიუმი), თბილი განყოფილება (ტეპიდარიუმი), ცივი აუზი (ლავაკრა) და გასახდელი (აპოდიტერიუმი), რომელშიც აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდა VI საუკუნის 10 ცალი ბიზანტიური მონეტა, მოჭრილი ანასტასი I, იუსტინე I, იუსტინიანე დიდის, მავრიკიუსისა და ფოკას სახელზე.

ქუთაისის აბანოს დახვეწილი გეგმა, მასში მიმდინარე პროცესების კარგად ასახვისა და წარმოდგენის საშუალებას იძლევა. სავარაუდოა, რომ გადახურვა დაგვირგვინებული იყო კამარით გრძივ ღერძზე, ხოლო ცალკეული ელემენტები: ექსედრები და ნიშები — კონქებითა და



სურ. 4

თაღებით. ქუთაისის აბანო კერძო, საოჯახო დანიშნულებისაა. იგი ეკუთვნოდა ან მეფეს ან წარჩინებულ პირს და ტიპოლოგიურად განეკუთვნება რომაული მცირე აბანოების მწკრივს.

ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი აღმავლობა მიმდინარეობს V საუკუნის II ნახევრიდან. სასიმაგრო მშენებლობის მე-4 ეტაპზე დიდი გალავნის განახლება-გადაკეთებას აწარმოებენ ე. წ. დიდ-

V-VI ს. ეკლესია



სურ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვადროვანი წყობით. ამასთანავე, შენდება ახალი ბურჯები და კოშკები, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონე, რომლის უტყუარი მოწმობა დედაბურჯია. იგი წრიულ ანტრესოლზე ამოყვანილი ექვსკუთხედის ფორმის კოშკია. შიგნიდან სწორკუთხა მინაშენით და თავის დროზე ორსართულიანი ყოფილა. ასეთი გეგმარების ძეგლი უცნობია ამიერკავკასიაში. მის ანალოგად მხოლოდ ანაკოფიის ციხის დედაბურჯი თუ გამოდგება, ისიც ზოგიერთი საერთო ნიშნის გამო. გალავნის კედლების სიმტკიცის გაზრდისათვის გამოყენებულია გოდლედები (პილონები). ხშირ შემთხვევაში ისინი ჩაშენებული აქვს ადრინდელი პერიოდის გალავნის კედლებსაც. საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრებისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭება და დიდი ყურადღების დათმობა არ არის შემთხვევითი. აშკარაა, რომ ქუთაისი V—VI საუკუნეებში არ არის რიგითი ციხე-სიმაგრე (მხოლოდ სტრატეგიული პუნქტი). იგი უთუოდ თავადი ციხე-ქალაქი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრია...

მ ე ხ უ თ ე ე ტ ა პ ი — ადრე საშუალო საუკუნეების ქუთაისის გამაგრების სისტემაში შეიძლება დამამთავრებელ ეტაპადაც ჩაითვალოს. ამ დროს შეინიშნება ზოგიერთი ნაგებობის ხელახალი გადაკეთება, სხვადასხვა შესასვლელების ამოქოლვა-ჩაშენება და, რაც მთავარია, ქვედა ქალაქის ზღუდის განსრულება, რაც VIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ციტადელში ამდროინდელი აგურის სასახლის აღმოჩენა. იგი სწორკუთხა ნაგებობაა და უჭირავს 400 კვ. მ ფართობი, ნაგებია უაღრესად დახვეწილი გემოვნებით არჩილ — ლეონის ეპოქაში. სავარაუდოა, რომ იგი ეგრის-აფხაზთა მეფეების რეზიდენციაა (სურ. 5).

აგურის სასახლე ფუნქციონირებდა X საუკუნემდე. X საუკუნეში მას საძირკვლამდე ასწორებენ და მის ადგილზე ახალ ქვითკირის შენობას აგებენ შესანიშნავად გათლილი საპირე ქვებით. აღნიშნული ნაგებობის ორმა პარალელურმა კედელმა მოაღწია ჩვენამდე და დიუბუა დე მონპერე მას ლაზების მეფეთა სასახლეს უწოდებს..., სინამდვილეში იგი, ბაგრატიონთა სამყოფელი იყო, ქალაქის ყველაზე გაბატონებულ ადგილზე აღმართული. მასაც მრავალი განახლება-გადაკეთება განუცდია XVI საუკუნემდე, ვიდრე ამ ადგილზე იმერეთის მეფეებმა ახალი ციტადელი არ ააგეს და სასახლის კედლები გამოიყენეს კიდეც სამეურნეო დანიშნულებისათვის (შიგ მარანი გამართეს); XVII საუკუნეში ამავე ადგილზე სრულიად ახალი დარბაზები შენდება, რომლის თაღჩიანი კედლები და აგურის იატაკი გასულ წელს იქნა გამოვლენილი.

О. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ, О. И. ЛАНЧАВА

ПРОБЛЕМЫ ИСТОРИИ КУТАИСИ В СВЕТЕ НОВЫХ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ОТКРЫТИЙ

Резюме

Археологические раскопки, которые систематически ведутся в Кутаиси с 1984 года, совершенно по-новому представили историческое прошлое города. Данные раскопок свидетельствуют, что Кутаиси и его окрестности особое развитие получают с начала I тысячелетия до н. э. В VIII—V веках до н. э. на кутаисской земле подтверждается существование крупного поселения городского типа, основная часть которого была сконцентрирована на горах Габашвили и Укимериони.

В средние века Кутаиси пережил различные этапы своего развития, что хорошо отражено в богатом археологическом материале, фортификационном, культовом и светском зодчестве.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მელიქიშვილი

ძველი აღმოსავლეთი და თანამედროვეობა

თემას „ძველი აღმოსავლეთი და თანამედროვეობა“ სხვადასხვა ასპექტი აქვს. ჩვენი ნარკვევი ეხება მათგან მხოლოდ ერთს — სოციალურ-ეკონომიკურ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სახელმწიფოებრივი წყობილების ასპექტს. ჩვენ ვცდილობთ ამით ხაზი გავუსვათ იმ სიახლოვეს, რომელიც შეიძლება მოიძებნოს ამ ორ სამყაროს შორის.

ამოსავალი ჩვენი მსჯელობისათვის არის მკვეთრი განსხვავების არსებობა აღმოსავლურ და დასავლურ საზოგადოებათა შორის. მსოფლიო ისტორიაში ფაქტობრივად ერთმანეთს უპირისპირდება განვითარების ორი გზა — აღმოსავლური და დასავლური. ეს კარგად ჩანს უკვე ძველი სამყაროს მაგალითზე, რომელიც ავლენს მკვეთრ დაპირისპირებას ძველ აღმოსავლეთსა და ძველ დასავლეთს (ბერძნულ-რომაულ სამყაროს) შორის. თვალსაჩინოა მათი სოციალურ-ეკონომიკური წყობილების მკვეთრი სხვაობა; უმთავრესია ამაში განსხვავება საკუთრების ფორმათა შორის — პირველისათვის („აღმოსავლეთისათვის“) თუ დამახასიათებელია კერძო საკუთრების ინსტიტუტის შეზღუდულობა და სახელმწიფო საკუთრების პრიმატობა, მეორეს („დასავლეთს“) სწორედ შეუზღუდავი კერძო საკუთრების არსებობა ახასიათებს. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა, რომ ძველ აღმოსავლეთში სისტემის შემოქმედ ფაქტორს ყოვლისშემძლე სახელმწიფო, ხოლო დასავლეთში, ბერძნულ-რომაულ სამყაროში — პოლისი (ე. ი. დამოუკიდებელ, იურიდიულად თანასწორ, მესაკუთრეთა პოლიტიკური ორგანიზაცია) წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში სწორედ ამან განაპირობა დასავლური საზოგადოების განსხვავება აღმოსავლურისაგან სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური წყობილების მხრით და მისი მეტი დინამიურობა, განვითარების უფრო სწრაფი ტემპი და მაღალი დონე.

ისევე როგორც პოლისის გენეზისისა და ფუნქციონირების მექანიზმის გაგების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ანტიკური სამყარო, ასევე ყოვლისშემძლე სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების გარეშე ვერ გავიგებთ ძველაღმოსავლური (კერძოდ, „დიდი საირიგაციო საზოგადოებების“ — ეგვიპტის, ბაბილონეთის) ქვეყნების სო-

ციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილებების ხასიათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს როლი ძველაღმოსავლურ საზოგადოებაში კარგად ჩანს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა, ისე იდეოლოგიურ სფეროში. ძველ აღმოსავლეთში გაბატონებული კლასი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან. მმართველი ზედაფენის უმთავრეს ფუნქციას აქ ორგანიზატორული (მმართველობითი) ფუნქციების შესრულება წარმოადგენს. გაბატონებული კლასის ცალკეულ წარმომადგენელთა მდგომარეობას, როგორც წესი, განსაზღვრავს მისი ადგილი სახელმწიფოებრივ იერარქიაში, ის თუ რამდენად ახლო იმყოფება იგი უზენაეს ხელისუფალთან — მეფესთან. სახელმწიფო ასრულებდა უზარმაზარ როლს საზოგადოების დაბალი წრეების ცხოვრებაშიც. ისინი იხდიდნენ მძიმე გადასახადებს, გამოდიოდნენ საზოგადოებრივი (სამშენებლო, საირიგაციო და სხვ.) სამუშაოების შესასრულებლად, იმყოფებოდნენ სახელმწიფოს გამუდმებული კონტროლის ქვეშ, ერთი სიტყვით, კ. მარქსის ფიგურალური გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, შებმული იყვნენ „საყოველთაო მონობის უღელში".

ძველი აღმოსავლეთისათვის აგრეთვე განსაკუთრებით დამახასიათებელია სახელმწიფოს წამყვანი, მონოპოლისტური მდგომარეობა ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. არსებობდა ეკონომიკის ვრცელი სახელმწიფო სექტორი გრანდიოზული სამეფო მეურნეობის სახით. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორს ეკუთვნოდნენ დიდი სატაძრო მეურნეობებიც, აგრეთვე სახელმწიფო ადმინისტრაციის, მეომრების და სხვათა მეურნეობები, რომლებიც მათ ეძლეოდათ სამსახურისათვის გასამრჯელოს სახით.

ვრცელი სამეფო-სატაძრო მეურნეობები არსებობდა ბაბილონეთში, ეგვიპტეში, ხეთების სამეფოში, ურარტუში, სპარსეთსა და ელამში და ა. შ. აღიარებულია მკვლევართა მიერ, რომ ძველ აღმოსავლეთში სამეფო ხელისუფლებამ ფაქტობრივად მოახდინა სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური წარმოების მონოპოლიზაცია, ახორციელებდა დამუშავებული მიწის ფონდისა და დიდ სახელოსნო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის უშუალო მეპატრონისა და მფლობელის ფუნქციას. აქ, ამასთან ერთად, ჩვენ ვხვდებით ვაჭრებისა და ვაჭრობა-აღებმიცემის დაქვემდებარებას სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, ვაჭრების გადაქცევას ფაქტობრივად სახელმწიფო მოხელეებად, მთელი საქალაქო ეკონომიკის დაქვემდებარებას სახელმწიფო სექტორზე.

იგივე პროცესია ჩვენს წინაშე იდეოლოგიის სფეროშიც. ყოვლისშემძლე სახელმწიფოს იდეოლოგიურ სახეს ქმნიდა მეფის, მმართველის პიროვნება, მისი გაღმერთება, მისთვის გრანდიოზული განსასვე-

ნებლების (პირამიდები და სხვ.) და ტაძრების აგება, მისი კულტის დამკვიდრება უკვე სიცოცხლის დროს და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ძველ აღმოსავლეთში სახელმწიფოს უდიდესი, სისტემის მაფორმირებელი როლი საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომპლექსში (ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩათვლით), ზედნაშენის ერთ-ერთი ელემენტის აქტიური ჩარევა ბაზისის სტრუქტურასა და დინამიკაში.

ეს პროცესი ბაბილონეთში, კერძოდ, თავის აპოგეას ურის III დინასტიის ხანაში — ძვ. წ. XXII—XXI სს-ში აღწევს, როდესაც ხდება ენსიალურ (ცალკეულ მთავართა) მეურნეობების შერწყმა ერთიან ცენტრალიზებულ სამეფო მეურნეობად, რომლის ცენტრი სამეფოს დედაქალაქში — ურში იმყოფებოდა.

ქვეყნის ეს ერთიანი სამეფო მეურნეობა, უნდა ვიფიქროთ, მოიცავდა სახელმწიფოს მთელ მიწის ფონდს თუ არა, მის მნიშვნელოვან ნაწილს მაინც. მასში მკვიდრდება მუშა პერსონალის მიერ მიწის ერთობლივი, კოლექტიური დამუშავება. მეურნეობაში დანერგილია ანგარიშგების მკაცრი სისტემა — აღირიცხება გამომუშავებული „კაცდღეები", ფიქსაციას ახდენენ მუშა პერსონალზე „საზრდოსა" თუ გასამრჯელოს სახით გაცემული პროდუქტების ოდენობას და ა. შ.

ანალოგიური სურათია ჩვენს წინაშე ძველი აღმოსავლეთის მეორე დიდ „საირიგაციო საზოგადოებაში" — ეგვიპტეში. კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ეგვიპტეშიც ჩამოყალიბდა ძალიან ადრე (ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს), იმავდროულად როგორც სამხრეთ შუამდინარეთში (ბაბილონეთში). აქაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კერძოდ ირიგაციის საჭიროებამ განაპირობა მეურნეობრიობის კოლექტიური ფორმების დანერგვა. უკვე ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს არსებობის გარიჟრაჟზე, I დინასტიის დროს, ჩვენ აქ ვხვდებით ცენტრალიზებული მმართველობის მქონე დიდ სამეფო მეურნეობას განვითარებული სამოხელეო აპარატით. საირიგაციო სისტემაზე ზრუნვა სახელმწიფოს ხელშია. სახეზეა ფარაონის გაღმერთება. დიდი გავლენა მოიპოვეს „მწერლებმა", რომელთა ხელში იმყოფებოდა სამეურნეო ანგარიშების წარმოება. II დინასტიის ხანიდან ყოველ ორ წელიწადში ქვეყანაში ხდებოდა მოსახლეობის აღწერა, როგორც ჩანს, საგადასახადო საქმის წარმოების მიზნით. როგორც საველე, ისე ხელოსნურ სამუშაოებს ასრულებდნენ კოლექტიურად, „მუშათა რაზმებით", სათეს მარცვალსა და ხელოსნობისათვის საჭირო მასალას გამოყოფდა ადმინისტრაცია, ხოლო მიღებული პროდუქტი ბარდებოდა სახელმწიფო უწყებას, მუშა-პერსონალი კი (ისევე როგორც სამეფო კარი და პრივილეგიური ფენები) იღებდნენ „საზრდოს" სახელმწიფო საწყობებიდან. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა ურის III დი-

ნასტიის დროინდელ შუამდინარეთში არსებული მდგომარეობის ანალოგიური სიტუაცია. იგი, საჭიროა ითქვას, ეგვიპტეში ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე ბაბილონეთში და ძალაში იყო კიდევ დიდი ხნის მანძილზე ბაბილონეთში ამ სისტემის კრახის შემდეგაც.

ძველ აღმოსავლეთში, კერძოდ მახლობელი აღმოსავლეთის „დიდ საირიგაციო საზოგადოებებში" (ეგვიპტე, ბაბილონეთი) ასეთი ყოვლისშემძლე სახელმწიფოს ინსტიტუტის არსებობა წარმოადგენს აქ არსებული ეკონომიკური ბაზისის კანონზომიერ შედეგს, რომლისთვისაც დამახასიათებელია კერძო საკუთრების ინსტიტუტის სუსტი განვითარება და შეზღუდული ფუნქციონირება და კოლექტიური, თემური საკუთრების ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო (სამეფო-სატაძრო) საკუთრებად.

ძველ აღმოსავლეთთან შედარებით განვითარების სხვა გზას ასახიერებს ანტიკური ბერძნულ-რომაული საზოგადოება. თუ საზოგადოების ძველაღმოსავლურ მოდელში სისტემის შემოქმედ ფაქტორად ყოვლისშემძლე სახელმწიფო წარმოგვიდგება, ანტიკურ ბერძნულ-რომაულ სამყაროში ასეთად პოლისი — თანასწორუფლებიან მოქალაქეთა თემი — სახელმწიფო გამოდის. ანტიკურ საბერძნეთსა და რომში არ არსებობდა ის ფაქტორები (მაგალითად, დიდი მასშტაბის საირიგაციო სამუშაოების წარმოება), რომელთაც აღმოსავლეთში განაპირობეს მეურნეობის წარმოების კოლექტიური ფორმების შენარჩუნება და, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანეს თემური და სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიზაციამდე. ანტიკურ სამყაროს ხალხებში ყველაფერი, პირიქით, მეურნეობის ინდივიდუალიზაციას უწყობდა ხელს, რასაც განვითარება მიჰყავდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის განმტკიცების, გვაროვნული თუ საოჯახო თემის სრული დაშლისა და თავისუფალ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მესაკუთრეთა საზოგადოების ჩამოყალიბების მიმართულებით.

აქ საგვარეულო არისტოკრატიასა და ხალხის პაუპერიზებულ მასას შორის გამართულ მწვავე ბრძოლაში გამარჯვება რჩება ამ უკანასკნელს — დემოსს, რომელიც მჭიდროდ დახშავს საზოგადოების შიგნით ექსპლუატატორულ ურთიერთობათა განვითარება-გავრცელებისაკენ მიმავალ გზას. ამან განაპირობა პოლისის შექმნა და მისწრაფება ექსპლუატაციის ძირითადი სიმძიმის აღნიშნული საზოგადოების გარეთ გატანისაკენ. ვრცელი ჩამორჩენილი გარემოცვის არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ტყვე-მონების მოპოვებისა და მონობის, როგორც ექსპლუატაციის ძირითადი სახეობის, გავრცელებისათვის. ამის საჭიროებას განსაზღვრავდა ანტიკურ საზოგადოებათა საშინაო ვითარებაც: ფულადი — სასაქონლო მეურნეობის გაფართოება ხელს უწყობდა ხელოსნური წარმოების განვითარებას, რომელიც ბაზარზე

სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად განუწყვეტელ ზრდას განიცდიდა. ეს მწვავედ სვამდა დამატებითი, იაფი მუშახელის მოპოვების საჭიროებას. ამრიგად, იქმნებოდა ყველა პირობა იმისათვის, რომ მონურ შრომას წამყვანი, გაბატონებული ადგილი მოეპოვებინა წარმოების პროცესში.

ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო იმას, რომ პრივილეგიური მასა პოლისის სრულუფლებიან წევრთა სახით განთავისუფლებულიყო მძიმე შრომისაგან, ესარგებლა კოლექტიურად ამა თუ იმ სახით თავისი საზოგადოების (თემი-სახელმწიფოს, პოლისის) გარეშე მდგომი მასის (მონების) შრომით გამომუშავებული დოვლათით. სახელმწიფოს (პოლისის) სრულუფლებიანი მოქალაქენი კოლექტიურად უპირისპირდებოდნენ არასრულუფლებიანი და ექსპლუატირებული ხალხის მასას — სხვა ადგილებიდან შემოხიზნულებსა და მონებს. აღნიშნულმა უკიდურესმა დაპირისპირებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა აგრეთვე თვით პოლისური წყობილების — მოქალაქეობრივი თანასწორობის (ნაწილობრივ რეალური, ნაწილობრივ როგორც იდეალის) და მმართველობის დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება.

ამრიგად, უკვე ძველი სამყაროს ფარგლებში გამოიკვეთება კლასობრივი საზოგადოების ორი ძირითადი სახე — განვითარების ორი ძირითადი გზა — აღმოსავლური და დასავლური.

მომდევნო ხანის — შუა საუკუნეების სამყარო, მიუხედავად მისი დიდი სხვაობისა ძველი სამყაროს მოდელისაგან, მაინც ამჟღავნებს ამავე ასპექტში განსხვავებას აღმოსავლურ და დასავლურ საზოგადოებას შორის იმავე წამყვანი მაჩვენებლების მიხედვით (სახელმწიფო თუ კერძო საკუთრების პრიმატობა, პოლიტიკური ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზაცია). შუა საუკუნეების „აღმოსავლური ფეოდალიზმი" ფაქტიურად ძველაღმოსავლური წყობილების ევოლუციის პროდუქტია — მასაც ახასიათებს კერძო საკუთრების ინსტიტუტის შეზღუდულობა და მიწაზე სახელმწიფო საკუთრების წამყვანი მდგომარეობა და მასზე აღმოცენებული სახელმწიფო ხელისუფლების ძლევამოსილება, ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე მკაცრი კონტროლის განხორციელება. ცნობილია, რომ მარქსიზმის ფუძემდებლები ძველსა და შუა საუკუნეების აღმოსავლეთს საერთოდ ერთი სოციალურ-ეკონომიკური წყობილების მოქმედების სფეროდ განიხილავდნენ. რაც შეეხება დასავლურ ფეოდალიზმს, იგი, თავისი პოლიტიკური დეცენტრალიზაციით, ძლიერი კერძო ფეოდალური საკუთრების ინსტიტუტით და სხვ. უფრო ახლოა საზოგადოების დასავლურ მოდელთან. აღმოსავლური და დასავლური ფეოდალიზმი ერთმანეთისაგან განსხვავდება სოციალური სტრატიფიკაციის ნიშნითაც. თუ აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელია უმთავრესად სახელმწიფოს შეზრდილი ბიუროკრატიული (მსახურე-

ული) ზედაფენა და მის მიერ ექსპლუატირებული იურიდიულად თავისუფალი მწარმოებელი მოსახლეობა, დასავლურს ახასიათებს მიწისა და მწარმოებლის (გლეხის) პიროვნების სრული მეპატრონე პრივილეგიური სამხედრო წოდება. ამიტომ დასავლეთევროპული ფეოდალიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც „კერძომესაკუთრული ფეოდალიზმი“ აღმოსავლურ „სახელმწიფო ფეოდალიზმის“ საპირისპიროდ.

ახალმა დრომ მნიშვნელოვანწილად შეინარჩუნა განსხვავება საზოგადოების ამ ორ, აღმოსავლურ და დასავლურ მოდელს შორის და მისი მემკვიდრე საზოგადოებები მოგვცა. ესაა, ერთი მხრივ, დასავლური კაპიტალისტური საზოგადოება და, მეორე მხრივ, „რეალურ სოციალიზმად“ წოდებული საზოგადოება. განსაკუთრებით თვალში საცემია მსგავსება ანტიკურ ბერძნულ-რომაული და დასავლეთევროპულ კაპიტალისტურ საზოგადოებათა შორის. ორივესათვის დამახასიათებელია კერძო საკუთრების მაღალი განვითარება და თავისუფალი ფუნქციონირება. იგი განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა იურიდიულ თანასწორობასა და საზოგადოების დიფერენციაციას ძირითადად ეკონომიკური ნიშნის მიხედვით. ამის შედეგია ძველი დროის პოლისის ანალოგიური დასავლეთევროპული დემოკრატიული წყობილება, კოლონიალიზმისა და გარესამყაროს ეკონომიკური ექსპლუატაციის ფართო გავრცელება, ბევრია მათ შორის საერთო აგრეთვე კულტურის, მსოფლმხედველობისა და სულიერი ცხოვრების სფეროშიც. ამიტომაა, რომ ანტიკურობის ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი ელენე შტაერმანი კაპიტალიზმს თვლის საერთოდ ანტიკურობის „უარყოფის უარყოფად“, ე. ი. მის გამეორებად სხვა, უფრო მაღალ დონეზე. შემთხვევითი არ არის, რომ ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოების სათავეებთან მდგომმა იდეოლოგებმა თავისი ბრძოლა ფეოდალურ მსოფლმხედველობასთან და საეკლესიო სქოლასტიკასთან გამოხატეს ანტიკური ტრადიციის განწმენდისა და აღორძინების სახით. რომაულმა სამართალმაც, როგორც ცნობილია, შეასრულა დიდი როლი ახალი ბურჟუაზიული სამართლის ფორმირებაში და ა. შ.

რაც შეეხება უახლესი დროის სოციალიზმს, იგი ბევრი რამით იჩენს მსგავსებას საზოგადოების მეორე, აღმოსავლურ ტიპთან. მართალია, ეს მსგავსება ერთგვარად პირობითია.

ყოველი კონკრეტული ისტორიული სინამდვილე განუმეორებელია, მით უმეტეს, როდესაც ისინი განეკუთვნებიან განვითარების სულ სხვადასხვა საფეხურებს, სხვადასხვა დონეებს. ანალოგიის გავლებისას საქმე ეხება წყობილების ძირითად პარამეტრებს, არსებით მახასიათებლებს. პოლიტიკურ წყობას რომ თავი დავანებოთ, უმთავრესი ამაში არის საერთო (სახელმწიფო) საკუთრების დომინირება და კერძო საკუთრების ინსტიტუტის შეზღუდულობა. ცნობილია, რომ კ. მარქსი

ეთანხმებოდა ბერნიეს აზრს, რომ აღმოსავლეთში ყველა მოვლენის საფუძვლად უდევს მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა — „ეს ესაა, — დაასკვნიდა იგი, — აღმოსავლეთის ცის გასაღები“. ფ. ენგელსისადმი მიწერილ წერილში გამოთქმულ შენიშვნის გამო ამ უკანასკნელის პასუხში ნათქვამია: „მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა ნამდვილად წარმოადგენს გასაღებს მთელი აღმოსავლეთის გასაგებად. ამაშია მისი მთელი პოლიტიკური და რელიგიური ისტორიის საფუძველი“ (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т 28, გვ. 215, 221).

სწორედ ამ ნიადაგზე, სახელმწიფოს ხელში ეკონომიკის მართვის სადავეების ყოფნის საფუძველზე აღმოცენებულად მიიჩნევდა კ. მარქსი აღმოსავლურ დესპოტიას. სოციალისტური ავტორიტარიზმიც ამ ფაქტორს ემყარება. განსაკუთრებით თვალში საცემ ანალოგიას ჩვენი ქვეყნის უახლესი სინამდვილე თავს იჩენს სამხრეთ შუამდინარეთში ურის III დინასტიის დროს და ეგვიპტის ისტორიის ადრეულ ხანაში არსებულ ვითარებასთან, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

უნდა ითქვას, რომ კრიზისულ მდგომარეობაში, რამდენადაც მწარმოებლის დაუინტერესებლობა შრომის ნაყოფიერების მკვეთრ დაქვეითებას იწვევდა, „დასავლურისკენ“ (კერძო საკუთრების სტიმულირებისაკენ) გადახრას ძველი აღმოსავლური სახელმწიფოების დესპოტი მმართველები თვით ახდენდნენ. ბაბილონეთში ურის III დინასტიის — დესპოტიზმისა და ცენტრალიზაციის სრული გაფურჩქვნის, შემდეგ ალარასდროს ალარ დაბრუნებიან ეკონომიკური ცხოვრების ასეთ ცენტრალიზაცია-გასახელმწიფოებრიობას: სამეფო მიწის ფონდი დაურიგეს დამოუკიდებლად მეურნეობის მწარმოებელ მუშქენუს კატეგორიის ხალხს ნადელების სახით. ეს არ ნიშნავდა ამ მიწის ნაკვეთებზე კერძო საკუთრების დაწესებას. მიწისმოქმედებს ისინი სარგებლობის უფლებით ეძლეოდათ, რის სანაცვლოდაც ათასგვარ ვალდებულებას ასრულებდნენ კვლავ ყოვლისშემძლედ დარჩენილ სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ.

ანალოგიური გზით წავიდა განვითარება ეგვიპტეშიც. შუა და ახალი სამეფოების პერიოდში (ძვ. წ. II ათასწლეული) გავრცელება იწყო მიწისმოქმედთა მიერ მათთვის გამოყოფილ ნაკვეთებზე მეურნეობის ინდივიდუალურად წარმოების პრაქტიკამ. ეს ნაკვეთები მათ ეძლეოდათ სარგებლობისათვის სახელმწიფო მიწის ფონდიდან მოსავლის გარკვეული წილის გადახდის პირობით. აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც ბაბილონეთსა და ეგვიპტეში, ისე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც, ასეთ პირობებშიც სახელმწიფო მიწისმფლობელობის ხვედრითი წონა ინარჩუნებდა წამყვან მდგომარეობას ეკონომიკაში, მეფის უზენაესი საკუთრება ქვეყნის მთელი მიწის ფონზე ძალაში რჩებოდა.

ძველაღმოსავლურ სამყაროში მოვლენათა ასეთი მსვლელობაც ანალოგიას ჰპოვებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან.

თუ საერთოდ ანალოგიაზე ძველაღმოსავლურ და სოციალისტურ პრაქტიკას შორის ბევრს მიუქცევია ყურადღება, სულ უკანასკნელ ხანებში სოციალისტურ სისტემაში შემავალ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმა მათ შორის არსებულ ახალ ანალოგიებზე მითითების საშუალება მოგვცა. ისევე როგორც დაბალმა შრომის ნაყოფიერებამ და ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოქმნილმა სხვა სიძნელეებმა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ეკონომიკაში უკიდურეს ცენტრალიზაციაზე ხელი ააღებინა მმართველ წრეებს, იგივე მიმართულებით იწყო განვითარება საზოგადოებრივმა ცხოვრებამ თანამედროვე სოციალისტურ სამყაროშიც: მე მხედველობაში მაქვს ახლა ჩვენთან სსრკ-ში, ჩინეთში და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ტენდენციები, მიმართული ეკონომიკური ცხოვრების დეცენტრალიზაციისაკენ — საოჯახო და ბრიგადული იჯარის დანერგვისაკენ, კერძო-პირადი საკუთრების ფუნქციონირების სფეროს გაფართოებისა და სახელმწიფო საკუთრების სრულიბატონობის შეზღუდვისაკენ და ა. შ. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პროცესს ახლავს პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია — დემოკრატიზაციის პროცესიც. ამასთანავე ისე, როგორც ძველ აღმოსავლეთში, აქაც ცდილობენ სახელმწიფო საკუთრების პრიორიტეტების შენარჩუნებას. ახალ პირობებში, განვითარების სულ სხვა, მაღალ დონეზე — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში ეს კიდევ უფრო გასაგებია, რადგანაც უაღრესად რთული წარმოება და ეკონომიკა აუცილებლად ცენტრალური მართვის ელემენტებსაც მოითხოვს.

ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია-დემოკრატიის ტენდენციების სიძლიერეს ახალ დროში განსაზღვრავს, აგრეთვე, ხალხთა მასების ბევრად მაღალი კულტურული დონე და თვითშეგნება, რის შედეგია დემოკრატიული დისიდენტური მოძრაობის დიდი გაქანება და თვით მმართველ წრეებში რეფორმისტულ-დემოკრატიული ტენდენციების წარმოქმნა, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ სტალინიზმის ზეცენტრალიზაციის ეპოქის შემდეგ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმულის გამო ჩვენ მაინც არ შეიძლება ილუზიების ტყვეობაში აღმოვჩნდეთ და უკეთესობისაკენ მიმავალი ერთადერთი და მარტივი გზა დავისახოთ — ქვეყანა გადავიყვანოთ შეუზღუდავი კერძო საკუთრების რელსებზე და ამ გზით მივაღწიოთ ეკონომიკურ კეთილდღეობას, დემოკრატიული წყობილების დამყარებას და ყველა სხვა უპირატესობას. ვითარება, როგორც ჩანს, არ არის ასე მარტივი. წარსულშიც აღმოსავლეთის დასავლეთთან

ინტენსიური კონტაქტიც კი როდი იწვევდა დასავლურ მოდელზე სწრაფსა და სრულ გადასვლას. ასე იყო ელინიზმის ეპოქაში, ჯერ-ჯერ დროის დასავლეთევროპული კოლონიალიზმის დროს და ასე არის დღევანდელი ნეოკოლონიალიზმის პირობებშიც. უძველესი დროიდან მსოფლიოს აღმოსავლურ და სამხრეთ რეგიონებში ცხოვრების შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა, რაც არსებობისათვის საჭირო მინიმუმის მიღწევას შედარებით ადვილს ხდიდა. აქვე ბევრგან არსებობდა დიდი კოლექტიური სამუშაოების წარმოების მოთხოვნილება, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობისა და მეურნეობის კოლექტიურად წარმოების ტენდენციების დამკვიდრებას უწყობდა ხელს. ყველაფერი ეს თანდათან გარკვეული სახის მყარი ტრადიციების შექმნას იწვევდა ხალხის ყოფასა და ფსიქიკაში, ფსიქიკის თავისებური მოდელის ფორმირებას უწყობდა ხელს. ამ ასპექტში „რეალური სოციალიზმის" ძირითადი კერა — რუსეთი ბევრ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლურ საზოგადოებასთან.

მარქსიზმის ფუძემდებლები, როგორც ცნობილია, თანამედროვე რუსეთსაც აღმოსავლური სამყაროს შემადგენელ ნაწილად — „წარმოების აზიური წესის" მქონე ქვეყნად განიხილავდნენ. „ძველი თემები — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — იქ, სადაც ისინი არსებობდნენ, ათასწლეულების მანძილზე წარმოადგენდნენ ყველაზე უფრო უხეში სახელმწიფოებრივი ფორმის, აღმოსავლური დესპოტიზმის, საფუძველს, ინდოეთიდან (დაწყებული) ვიდრე რ უ ს ე თ ა მ დ ე". მას აღნიშნული აქვს, აგრეთვე, რომ ჰოლანდიელების მიერ კუნძულ იავაზე აღმოსავლური მოდელის მიხედვით წარმოების ორგანიზაცია, ისევე, როგორც ინდოეთსა და რ უ ს ე თ შ ი, წარმოადგენს „ამჟამად შესანიშნავ და უაღრესად ფართო საფუძველს ექსპლუატაციისა და დესპოტიზმისათვის".

კარგად არის ცნობილი ისიც თუ კ. მარქსი, რუსი რევოლუციონერის ვ. ზასულიჩისადმი მიწერილ წერილში რა დიდ იმედებს ამყარებდა რუსულ თემზე, როგორც მომავალში აქ სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის ხელისშემწყობ ფაქტორზე.

ძველი რუსეთის ჩამორჩენილობა მისმა ამ თემურ-კოლექტიური ცხოვრების ტრადიციების სიძლიერემ და მასზე დამყარებულმა დესპოტური პოლიტიკური წყობილების ხანგრძლივმა არსებობამაც განსაზღვრა. ეს ფაქტორები განაგრძობდა მოქმედებას საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც. ამიტომ არის, რომ „დასავლურ რელსებზე" გადასვლა და ამით სწრაფი და ძლიერი ეფექტის მიღწევა არ გამოიყურება რეალურად. რა თქმა უნდა სსრკ-ს ბევრ რეგიონსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ასეთი, „აღმოსავლური საზოგადოებისათვის" დამახასიათებელი ტრადიციები და ფაქტორები არ არსებობენ

და საზოგადოების დასავლური მოდელისაკენ მოძრაობას აქ ამ მხრივ დაბრკოლება არ ხვდება. თუმცა ფაქტია, რომ ასეთ რეფორმებმაც ხიწის ინდივიდუალურ (კერძო) საკუთრებაზე გადასვლის მრსურნე ყოველ შემთხვევაში დღეს არც ისე ბევრი ჩანს. ეტყობა, კოლექტიურ მეურნეობასაც თავისი მიმზიდველობა აქვს — ათასნაირ საძრომს ქმნის, რომ მწარმოებელმა დაძაბულად არ იმუშაოს, დიდად არ დაიტვირთოს თავი. დიდ კოლექტივში ყოფნას სხვა დადებითი მხარეებიც შეეძლება ჰქონდეს. მეორე მხრივ, საკუთრივ რუსეთიც არ შეიძლება განიხილებოდეს წმინდა „აღმოსავლური ტიპის" წარმონაქმნად, მასში დიდია დასავლური ნაკადიც. იგივე ითქმის სხვათა შორის, თვით ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებაც, რომელთა შორის ამ თვალსაზრისით არაერთი არსებითი სახის განსხვავება შეიძლება დავინახოთ. ბევრგან აქ არ იყო კოლექტიურად მეურნეობის წარმოების აუცილებლობა და არაერთი სხვა ფაქტორი მოქმედებდა, რომელიც საზოგადოების წმინდა აღმოსავლური მოდელის შექმნას ხელს არ უწყობდა.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმას, რომ, როგორც წესი, კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოება ზედნაშენის სახით უფრო ეგუება დემოკრატიულ წესწყობილებას, ხოლო „კოლექტიურ" — სახელმწიფო, სათემო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოება — ავტორიტარულ, დესპოტურ მმართველობას; მაგრამ ამ საქმეშიც დღევანდელ ეპოქას უეჭველად კორექტივები შეაქვს — ახალ დროს ძველაღმოსავლური სახის დესპოტიზმი, რა თქმა უნდა, მთლად ვერ მოერგება, თუმცა დროდადრო მან მასშტაბურობითა და სისასტიკით შეიძლება ძველაღმოსავლურს დიდად გადააჭარბოს (ამისი ნიმუშია ჩვენი „სტალინიზმი"). საბჭოთა კავშირის ისტორიაც მოწმობს, რომ დემოკრატიული ტენდენციები ამ, საერთო მექანიზმის თვალსაზრისით ძველაღმოსავლური ტიპის, წესწყობილებას მძლავრ წინააღმდეგობას უწევენ და დროდადრო წარმატებებსაც აღწევენ (ამის მაგალითია 50—60-იანი წლების მიჯნაზე და დღეს ჩვენში მიმდინარე რეფორმები, მძლავრი დემოკრატიული, დისიდენტური მოძრაობა და შედეგი — წყობილების ლიბერალიზაცია). მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, წარმოების მაღალი ტექნიკური დონე — მექანიზაცია-ავტომატიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და სხვ. უეჭველად ამუხრუჭებენ დესპოტიზმისა და ტოტალიტარიზმის, ბიუროკრატიის სრული ბატონობისაკენ მიმართულ ტენდენციებს. მთელ მსოფლიოში ისახება პერსპექტივები რაციონალურ საწყისებზე აგებული საზოგადოების ფორმირებისათვის, საკუთრების დარგშიც კომპრომისებისა და კონვერგენციის პროცესის გაღრმავებისათვის. როგორ განვითარდება ეს რთული პროცესი — ამას მომავალი გვიჩვენებს.

Г. А. МЕЛИКИШВИЛИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДРЕВНИЙ ВОСТОК И СОВРЕМЕННОСТЬ

Резюме

В статье дается обзор неоднократно дискутируемого вопроса об аналогиях социально-экономического и государственного строя древневосточных стран (в частности «Великих речных цивилизаций» — Вавилония, Египет) с современной социалистической практикой. Источником этих аналогий является в обоих случаях отсутствие или ограниченное функционирование института частной собственности, преобладание государственной собственности на землю, коллективное ведение хозяйства и т. д., на которых зиждется деспотическая (авторитарная) форма правления. Все это обусловливает низкий уровень производительности труда и ведет к тупиковой ситуации, в первую очередь, в экономике означенных стран. Правители древневосточных стран, в которых означенные тенденции достигали своего апогея (эпоха III династии Ура в Вавилонии, Древнее царство Египта), предпринимали попытки перехода к новой системе землевладения — раздавали государственные (царские) земли их работникам в индивидуальное пользование под условием выплаты налогов (resp. доли урожая) и выполнения ряда других обязанностей. То же самое происходит ныне в странах «реального социализма», в которых в политическом аспекте оно сопровождается ослаблением авторитарного правления, децентрализацией и либерализацией — демократизацией общественной жизни.

Конечно, отмеченные аналогии между Древним Востоком и современным социализмом весьма условны, поскольку речь идет об обществах, стоящих на совершенно разных уровнях развития производительных сил, культуры и т. д., что определяет глубокую специфику обстановки в современном социалистическом мире по сравнению с Древним Востоком.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით მუსხელიშვილი

დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა

საქართველოს მეფეთა ოფიციალური ტიტულატურა მთლიანი სახით პირველად გიორგი III მიერ გაცემულ სიგელებში გვხვდება: „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“[1].

სინამდვილეში ამ სახით ტიტულატურა უფრო ადრე უნდა შექმნილიყო და თუკი იგი გიორგი III უწინარესი ხანიდან შემორჩენილი არა გვაქვს, ეს მხოლოდ იმ პერიოდის ქართულ დოკუმენტურ წყაროთა სიმცირეს მიეწერება. თვით ამ ტიტულატურის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პოლიტიკური პროცესის შედეგია, რომლის მნიშვნელოვანი ეტაპებიც კანონზომიერად და თანმიმდევრულად აისახა მასში[2].

საქმე ის არის, რომ მრავალსაუკუნოვანი სოციალური განვითარების შედეგად, VIII—IX სს-ში მომავალი ერთიანი საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი ერთეული წარმოიქმნა: ე. წ. „აფხაზთა სამეფო“ დასავლეთ საქართველოში, „ქართველთა სამეფო“ — სამხრეთ-დასავლეთით, ჰერეთის სამეფო და კახეთის საქორეპისკოპოსო — აღმოსავლეთ საქართველოში და ე. წ. „სომეხთა სამეფო“ — სამხრეთში, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე[3].

ამავე პერიოდში იწყება, როგორც ცნობილია, ბრძოლა ამ სამეფო-სამთავროთა შორის პირველობისათვის და ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, რაც ორ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა.

978 წ. დასავლეთი საქართველოს უმემკვიდრეოდ დარჩენილ ტახტზე, თვით დასავლეთი საქართველოს დიდებულთა მოწვევით, ადის ბაგ-

---

[1] იხ. მაგალითად: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის გამოცემა, 1965, გვ. 20, 24.

[2] იხ. ჯ. სტეფნაძე, XI—XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. კრებ.: „ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან“, 1976, გვ. 156—165. იქვეა საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა.

[3] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატ ბაგრატიონი, რომელსაც, ცხადია, „აფხაზთა მეფის“ ტიტული უნდა მიეღო. მართლაც, მარტვილის (ჭყონდიდის) ტაძრის 996 წლის წარწერაში იგი სწორედ „აფხაზთა მეფის“ ტიტულით იხსენიება[4].

იგივე ბაგრატი, დავით დიდი კურაპალატის სიკვდილის (1001 წ.) შემდეგ, როგორც მისი მემკვიდრე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტახტზეც ადის და ამიერიდან იგი „აფხაზთა და ქართველთა მეფედ“ იწოდება. მართლაც, ხცისის (წვიმოეთის) 1002 წ-ის წარწერაში იგი მოიხსენიება, როგორც „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“[5], ხოლო ქუთაისის ტაძრის (1003 წ.) წარწერაში, როგორც „კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“[6].

1008 წ., როგორც „მატიანე ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, ბაგრატმა „წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს. მას ჟამსა იყო ქორეპისკოპოსად დავით. ხოლო მან არა. ინება მოცემა ციხეთა... (ბაგრატ) წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა... დადგა თიანეთს, და იწყო შემუსვრად კახეთისა... და მას ჟამსა აღიღო ქუეყანა ჰერეთისა და განაჩინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა“[7]. წყაროს ამ ჩვენებიდან ცხადია, რომ 1008 წ. ბაგრატმა მხოლოდ ჰერეთის სამეფოს აღება შესძლო. ბუნებრივია, ბაგრატს ამიერიდან „ჰერთა მეფის“ ტიტულიც შეეძინა და საგულისხმოა, რომ ნიკორწმინდის წარწერაში იგი წარმოდგენილია სწორედ, როგორც „აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“[8]. „რანთა მეფე“ ჰერეთის მეფის ოფიციალური ტიტული იყო.

1010 წ. ბაგრატმა იმავე ქართველი მემატიანის ცნობით, „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი“[9]. მის ტიტულზე, ცხადია, ესეც უნდა ასახულიყო და აისახა კიდეც: კაცხის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში იგი მოიხსენიება უკვე, როგორც „აფხაზთა და ქართველთა მეფე

---

[4] იხ. ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, 1980, გვ. 34—35.

[5] იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. I, 1892, გვ. 143. M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. 3e livraison, St.-Petersbourg, 1851, VI rapport, p. 99 (ქვემოთ: მ. ბროსე).

[6] იხ. ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 54; შდ. იქვე, გვ. 53.

[7] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 279 (ქვემოთ: ქცა).

[8] მ. ბროსე, დასახ. ნაშრომი, XII მოხსენება, გვ. 55; ს. კაკაბაძე, წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთ ეპიგრაფიულ მასალის შესახებ. „საისტორიო კრებული“, IV, 1929, გვ. 102, 103. ტერმინების — „ჰერეთი“ და „რანი“ — გარკვეული აზრით იდენტურობისათვის იხ. Мусхелишвили Д. Из исторической географии Восточной Грузии, 1980, с. 41, 42.

[9] ქცა, I, გვ. 279.

ტაოჲსა და რანთა და კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა ქუეყანა-პალატი"[10].

ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ, 1110 წ., დავით აღმაშენებლის დროს, „შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი. და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე"[11]. ქალაქი სამშვილდე „სომეხთა მეფის" რეზიდენცია იყო. ეს გარემოება აგრეთვე უნდა დასტყობოდა საქართველოს მეფის ტიტულატურას და, მართლაც, დავით მეფის საწინამძღვრო ჯვარზე და მის დროს მოჭრილ ერთ-ერთ მონეტაზე იგი (ტიტულატურა) უკვე ამგვარია: „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე დავით" (ჯვარზე) ან „დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა" (მონეტაზე)[12].

მემატიანის ცნობით, 1123 წ. დავით აღმაშენებელი „თუესა ივნისსა კუალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი — სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართლად". ხოლო 1124 წ. „აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაჴსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა (დავითს). და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მჴედარი წინაშე უდგა. წარემართა და ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი"[13].

ამგვარად, 1123 წ. დავით აღმაშენებელმა შარვანი დაიმორჩილა, ხოლო 1124 წ. ანისის სამეფო ანუ სომხეთი და, ფაქტობრივად, თითქმის მთელი ამიერკავკასია გააერთიანა. ასეთი პოლიტიკური ვითარება მეტ-ნაკლები სტაბილურობით გრძელდება მთელი XII—XIII საუკუნეები და შემდგომ ხანაშიც. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს უნდა ასახულიყო საქართველოს მეფეთა ტიტულატურაზეც და თუმცა უშუალოდ დავითის ან მისი მემკვიდრის, დემეტრეს დროიდან საამისო პირ-

---

[10] ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56. ეს ერთადერთი ხსენებაა „ტაოჲსა" ქართველ მეფეთა ამდროინდელ ტიტულატურაში. საქმე ის არის, რომ მაშინ როდესაც ბაგრატ III „აფხაზთა და ქართველთა მეფის" ტიტულს ატარებდა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მამამისი გურგენი ამიერტაოს მფლობელი, რომელსაც ამიტომ „მეფეთ-მეფის" წოდება ჰქონდა. მისი სიკვდილის შემდეგ (1008 წ.) ტაო ბაგრატის ხელში გადადის და, ჩანს, ეს არის ასახული კაცხის წარწერაში. საერთოდ კაცხის წარწერა, ისევე როგორც ნიკორწმინდისა, უნდა მოწმობდეს, რომ ამ დროს საქართველოს მეფეთა ტიტულატურა საბოლოოდ დახვეწილი არ არის.

[11] ქცა, I, გვ. 331.

[12] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 1969, გვ. 66.

[13] ქცა, I, გვ. 344, 345.

დაპირი საბუთი არ შემოგვრჩენია, მაგრამ სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ მაინცდამაინც დავითის მეფობის ბოლო წლებში, ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციების შედეგად ქართველ მეფეთა ტიტულატურას უნდა შემატებოდა „შარვანშა“ — შარვანშის გამგებელთა და „შაჰანშა“ — ანისის სომხური სამეფოს გამგებელთა ტიტულები[14].

როგორც ვხედავთ, საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების ზემოაღნიშნული პოლიტიკური პროცესის შედეგად თანდათანობით შემუშავდა საქართველოს მეფეთა ჩვენთვის უკვე ცნობილი ოფიციალური ტიტულატურა — „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“, — რომელიც უკვე დავით აღმაშენებლის შვილიშვილის, გიორგი III დროიდან დაწყებული კარგად არის ფიქსირებული ქართულ დოკუმენტურ წყაროებში.

გარდა იმისა, რომ, როგორც ეს ნათლად გამოჩნდა ქართული ნარატიული და ეპიგრაფიკული წყაროების ჩვენებათა შეჯერების საფუძველზე, ამ ტიტულატურაში ობიექტურად და კანონზომიერად არის ასახული X—XII საუკუნეების განმავლობაში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესის მაგისტრალური ტენდენცია, ისიც უნდა ითქვას, რომ მისი (ტიტულატურის) ცალკეული კომპონენტები წარმოადგენენ იმ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებს, რომლებიც უშუალოდ ინკორპორირებულნი იქნენ ერთ სახელმწიფოდ. საქართველოს ვასალური ერთეულები ქართულ ოფიციალურ ტიტულატურაში არ ასახულა[15]. ჩვენ კი ვიცით, რომ XII ს-ში ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გავლენა მის სახელმწიფოებრივ ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა. ბევრი მეზობელი ქვეყანა მასთან ვასალურ ურთიერთობაში ანუ „ყმადნაფიცის“ დამოკიდებულებაში იყო. მაგალითად, წყაროს თანადროული ჩვენების მიხედვით, ასეთად ითვლებოდა „სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“[16].

---

[14] ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[15] იქვე გვ. 169; Мусхелишвили Д. Из исторической географии, с. 52.

[16] ქცა, II, 1959, გვ. 147. „სახლი შარვანშეთი“ ანუ შარვანი, ინკორპორირებული მთლიანად დავით აღმაშენებლის მიერ, 1155 წ. ორად იქნა გაყოფილი: დასავლეთი ნაწილი უშუალოდ საქართველოში დარჩა, აღმოსავლურმა ვასალური სტატუსი მიიღო (იხ. Мусхелишвили Д., Из исторической географии, с. 56—58).

საამისო საინტერესო მასალას შეიცავს საქართველოს მეფეთა აღმოსავლური ტიტულატურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1972 წ. მ. თოდუამ გამოაქვეყნა ექსცერპტები თავრიზის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი კრებულიდან. ეს კრებული გადაწერილი ყოფილა 1219 წელს და შეიცავს მახლობელი აღმოსავლეთის ხელისუფალთა ოფიციალური მიმოწერის ნიმუშებს, რომელთა შორის შემონახულია წერილები XII—XIII ს-ის დასაწყისის ქართველი მეფეებისა და სახელმწიფო მოღვაწეებისადმი[17]. გამომცემელი აღნიშნავს: „თვითონ ძეგლის დანიშნულება (იგი ოფიციალურ მიმოწერათა ნიმუშების კრებულია) იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადად აქ ჩამოთვლილი ტიტულები და მათი რიგი ოფიციალური მიმართვის დროს სავალდებულო თუ არა, სასურველი მაინც იყო"[18].

კრებულში სხვადასხვა წერილთა შორის შემონახულია ერთი, დასათაურებული ამგვარად: „პასუხი მეფე დავითს, აბხაზის პატრონს"[19]. მ. თოდუას აზრით, წერილი უნდა დათარიღდეს 1210—1219 წლებით, მისი ავტორი უნდა იყოს რუმის სულთანი ქაიქავუს I, ხოლო ადრესატი — გიორგი-ლაშა[20].

საქმე ის არის, რომ გამომცემლის მიხედვით წერილის შინაარსი თითქოს გიორგი-ლაშას დროინდელ სიტუაციაზე მიუთითებს, ხოლო სათაურში მოხსენიებული „მეფე დავითი" გარკვეული პიროვნება კი არ უნდა იყოს, არამედ საქართველოს მეფეთა ზოგადი ზედწოდება, რომელიც, როგორც ცნობილია, ხშირად იხმარება ქართულ დოკუმენტებში („იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატონიანი"...).

ვფიქრობთ, ამ წერილის, ისევე როგორც მეორე წერილის სათაურში მოხსენიებული „მეფე დავითი" საკუთარი სახელი უნდა იყოს და, ამდენად, იგი სრულიად კონკრეტული პიროვნებაა. ამას ტექსტის პირდაპირი (და ბუნებრივი) გაგება უნდა მოწმობდეს (აკი ერთ-ერთი წერილის ადრესატი — გიორგი-ლაშა — პირდაპირაა დასახელებული)[21] და მიუხედავად გამომცემლის მიერ ზემონაჩვენებ კომენტარში წარმოდგენილ საყურადღებო მოსაზრებებისა, გვგონია, თვით წერილის შინაარსიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ აზრს. გარდა ამისა, შეუძლებელია წერილის ავტორი რუმის სულთანი იყოს, რადგან იგი წერილში თავის თავს საქართველოს მეფის „მონას" და მისი „კურთხეული გვარის მლოცველს" უწოდებს"[22]. წერილის ავტორი ქართ-

---

[17] მ. თ ო დ უ ა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, 1979, გვ. 3, 4.

[18] იქვე, გვ. 33, 34 (კომენტარი № 3).

[19] იქვე, გვ. 5, 6 (წერილი № 1).

[20] იქვე, გვ. 31—33 (კომენტარი № 1).

[21] იქვე, გვ. 28 (წერილი № 17).

[22] იქვე, გვ. 5_{15-17}.

ველთა მეფის ინფორმატორი ჩანს, რომელიც საქართველოს გარეთ, სხვა ქვეყანაში (რუმის სასულთნოში?) იმყოფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არის მეფე დავითი?

რამდენადაც „მიმოწერა“ 1219 წ. არის გადაწერილი, თავისთავად ცხადია, საქართველოს მეფეთაგან ადრესატი შეიძლება იყოს ან დავით აღმაშენებელი ან მისი შვილიშვილი დავით დემეტრეს ძე. ამ უკანასკნელის გულისხმობა ფრიად საეჭვოა, რამდენადაც იგი მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში იჯდა სამეფო ტახტზე. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ მეორე წერილი დასათაურებულია ამგვარად: „პასუხი თბილისის პატრონ მეფე დავითს“[23] — იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ამ დავით აღმაშენებელი იგულისხმება, რამდენადაც სწორედ მან აიღო 1122 წ. მაჰმადიანთაგან თბილისი და ამდენადვე ამ უკანასკნელთა თვალში იგი par excellence მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და პოლიტიკური ცენტრის „თბილისის პატრონი მეფე“ იყო. ამდენადვე მეორე წერილი 1122—1125 წლებით დათარიღდება.

ამგვარად, ორივე წერილის ადრესატი დავით აღმაშენებელი უნდა იყოს.

ჩვენი განხილვის საგანია ტიტულატურა, რომლითაც დავითი მოიხსენიება პირველ წერილში: „აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა მეფე“[24]. საკითხავია: რეალურია თუ არა ისტორიული თვალსაზრისით ეს ტიტულატურა[25].

ეჭვი არ არის, „აბხაზის მეფე“ უნდა გულისხმობდეს ქართული ოფიციალური ტიტულატურის „მეფე აფხაზთას“ ანუ დასავლეთ საქართველოს სუვერენს. უფრო ზედმიწევნით „აბხაზის მეფე“ ეკვივალენტური უნდა იყოს ქართულის „მეფე აფხაზთა და ქართველთა“.

---

[23] მ. თ ო დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 6 (წერილი № 2).

[24] იქვე, გვ. 5.

[25] ამ ტიტულატურის რეალურ-ისტორიულობის საკითხს მე იმიტომ ვსვამ, რომ როგორც ეს მოსალოდნელია ეპისტოლარულ ურთიერთობაში, ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ტიტულატურა სრული სიზუსტით, როგორც წესი, არ არის ხოლმე დაცული და ხშირად იგი სხვადასხვა არარეალური ეპითეტებით ხასიათდება. ამას ჩვენი შემთხვევისათვის მ. თოდუაც აღნიშნავს: „საერთოდ არაა გამორიცხული, რომ ზოგი მიმართვა ეპითეტი (ვასფ) იყოს და, ამდენად, მოზომილი კი ჰქონდეთ, მაგრამ მაინც ოფიციალურ ტიტულს (ლაყაბს) არ წარმოადგენდეს“ (იქვე, გვ. 34, კომენტარი № 3). ასეთი ვითარება უნდა გვქონდეს მეორე წერილის შემთხვევაში, რომელშიც მეფე დავითი „აბხაზთა მეფეთა მეფის, რუმისა და რუსის მარზბანის“ ტიტულით იხსენიება (იქვე, გვ. 6, 7). ასეთივე ვითარებაა, ჩემი აზრით, სხვა ქართველ დიდებულთადმი მიმართვებშიც, რომელთაგან ერთ-ერთი — ამირსპასალარი — სხვათა შორის „რუსის სარდლად“ იწოდება (იქვე, გვ. 27, წერილი № 15).

ჩვენ ალარ გავაგრძელებთ საუბარს იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის შესახებ, რომ ჩვენთვის საინტერესო ეპოქის თანადროულ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ (კერძოდ, მუსლიმანურ) წყაროებში ტერმინი „აბხაზი" მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს შესატყვისად იხმარებოდა, რისი მიზეზიც იყო ის უბრალო გარემოება, რომ საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში გარკვეული მიზეზის გამო, როგორც უკვე ვიცით, პირველ კომპონენტად „მეფე აფხაზთა" იყო.

ასეთი მნიშვნელობით იხმარება, კერძოდ „აბხაზი" თვით განსახილველ „მიმოწერაში", თუნდაც დავითისადმი მიმართულ პირველ წერილში, რომლის სათაურშიც, როგორც ვიცით, ადრესატი „აბხაზის პატრონად" იწოდება. ასეთივე სურათია გიორგი-ლაშასადმი მიმართულ წერილში (მის სათაურში), რომლის ტექსტშიც საქართველოს მეფე ამგვარადაა სახელდებული: „აბხაზის, შაქისა და ალანის მეფეთა მეფე, მესიის თანაშემწე ლაშა, ძე მეფე გიორგის ასულისა"[26]. ანალოგიური ვითარებაა საქართველოს ანონიმური მეფეებისადმი მიმართული ორი წერილის სათაურებშიც, მაგრამ თვით ტექსტებში ერთ-ერთი მეფე „გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფედ"[27], ხოლო მეორე „აბხაზისა და ალანის სამეფოს შემწეობის, არმანის ფალავნის, შაქის, ყეფჩაყისა და ხაზარის ამირათა მეფის"[28] ტიტულით წარმოგვიდგება. ეს ორი უკანასკნელი მიმართვა (ისევე როგორც გიორგი-ლაშასი) დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროისა უნდა იყოს.

ამგვარად, „მიმოწერაში" დამოწმებული ტიტული — „აბხაზის მეფე" — სავსებით რეალური პოლიტიკურ-ტერიტორიული შინაარსის ცნებაა.

ასეთივე რეალური პოლიტიკური და ტერიტორიული შინაარსის ტერმინია „შაქის მეფე". საქართველოს მეფის მსგავსი წოდება, გარდა „მიმოწერაში" დაცული წერილებისა, თანადროული სხვა წყაროთიც დასტურდება. ეს არის პოეტ ფალაკი შარვანელის ოდა, მიძღვნილი დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრესადმი, რომელშიც ეს უკანასკნელი „აბხაზისა და შაქის შაჰანშაჰად, ჰორიზონტების მეფედ" იწოდება[29].

რეალურ-ისტორიულად „შაქის სამეფო" X ს-ის არაბულ-სპარსულ წყაროებში ქართული „ჰერეთის სამეფოს" აღმნიშვნელია, ხოლო

---

[26] მ. თ ო დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 28 (წერილი № 17).

[27] იქვე, გვ. 7 (წერილი № 3). აქ, როგორც ვხედავთ, „გურჯის" („ქართველთა") და „აბხაზის" („აფხაზთა") მეფე ტიტულატურაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია. „ხაზარის" მეფის შესახებ იხ. ქვემოთ.

[28] იქვე, გვ. 29 (წერილი № 23). „არმანი", ცხადია, სომხეთს ნიშნავს.

[29] Б у н и я т о в З. М. Грузия и Ширван в первой половине XII века. Сборн.: «Грузия в эпоху Руставели», Тб., 1966, с. 289.

XI—XII ს-თვის „შაქის სამეფო“ მუსლიმანურ წყაროებში უკვე გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის ანუ „რანთა და კახთა“ ქართულ სამეფოს გულისხმობს[30]. ამგვარად, ეს ტერმინიც „მიმოწერაში“ და, ვერძოდ, დავით აღმაშენებლისადმი მიმართულ წერილში სავსებით რეალური შინაარსისაა.

ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ წერილის ტიტულატურის „აბხაზის და შაქის მეფე“ ზედმიწევნით გულისხმობს ქართული ოფიციალური სამეფო ტიტულატურის „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფეს“. აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამგვარად მოიხსენიება დავით აღმაშენებელი მის მიერ გაცემულ, ერთადერთ შემორჩენილ სიგელში[31].

„ალანის მეფე“, ცხადია, ალანეთის ანუ ქართული წყაროების „ოვსეთის სამეფოს“ ქვეშევრდომობას გულისხმობს. მართლაც, როგორც ეს დიდი ხანია აღიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, 1118 წლიდან იმიერკავკასიაში მდებარე ოსეთის სამეფო დავით აღმაშენებლის მცდელობის შედეგად ვასალურ ურთიერთობას ამყარებს საქართველოსთან[32]. „მიმოწერის“ ზემოხსენებული მოწმობაც ამის დასტური უნდა იყოს და, ამდენად, „ალანის“ მოხსენიებაც დავით აღმაშენებლის ტიტულატურაში — სავსებით რეალური ისტორიული ვითარების ამსახველი.

დასასრულ, საკითხავია: რას გულისხმობს ტიტულატურის „რუსი“?

როგორც ცნობილია, მუსლიმანურ წყაროებში ეს ტერმინი მიემართება სკანდინავიელებს, ნორმანებს, რომელთა სამხედრო ექსპანსიაც IX—XI საუკუნეებში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში კარგად არის ცნობილი („ვიკინგები“). მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კიევის რუსეთში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში. ამ სახელმწიფოს სახელწოდებაც სწორედ ამ ხალხისგან წარმოსდგება. ამგვარად, დროთა ვითარებაში ტერმინი

---

[30] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Мусхелишвили Д. Из исторической географии, с. 36—43.

[31] ი. ცინცაძე, დავით მეფის სიგელი, ჟურნ. „საქართველოს არქივი“, II, 1927, გვ. 16. სავარაუდოა, ეს სიგელი 1110 წლამდე იყოს გაცემული. ასევე უნდა დათარიღდეს დავით აღმაშენებლის პირადი ჯვრის წარწერა, რომელშიც იგი იხსენიება, როგორც „დავით აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტეანობისაი“ (იხ. Чубинашвили Г. Н., Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, с. 614).

[32] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1983, გვ. 199; მ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს-ის ბოლოს და XII ს-ის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებელი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, 1979, გვ. 246.

„რუსი“ კიევის რუსეთის სამთავროთა და მათი მოსახლეობის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალურია თუ არა ამ ტერმინის არეკვლა დავით აღმაშენებლის ტიტულატურაში? რამდენადაც ამ უკანასკნელის სამი ზემოგანხილული კომპონენტი, როგორც უნდა დავრწმუნებულიყავით, დავით აღმაშენებლის ეპოქისათვის ისტორიული თვალსაზრისით სავსებით კორექტულია, ამდენადვე ვფიქრობთ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მეოთხე კომპონენტის რეალურ ისტორიულობაშიც. გარდა ამისა, ისევე როგორც სამი ზემოაღნიშნული კომპონენტი („აბხაზი“, „შაქი“, „ალანი“), „რუსიც“, ეჭვი არ არის, მსხვილი სახელმწიფოებრივი ერთეული უნდა იყოს, რასაც მ. თოდუაც ხაზგასმით აღნიშნავს[33].

მ. თოდუას ფრიად საინტერესო მასალა აქვს შეკრებილი „რუსის“ რაობის დასადგენად[34] და, საბოლოო ჯამში, ასეთ დასკვნამდე მიდის: „რუსი“ „გარკვეული ტერიტორიის მქონე ოლქი თუ ქვეყანაა; მას თავისი მკვიდრი ადგილსამყოფელი გააჩნია, თავისი ციხე-სიმაგრეები აქვს; იგი ხაზარის, დარუბანდის და ალანის მეზობელია, მდებარეობს შაბურანიდან ხაზარამდე, დაახლოებით ჩრდილო-კავკასიის აღმოსავლეთ თუ ცენტრალურ-აღმოსავლეთ ნაწილში... იგი ცალკე პოლიტიკური ერთეულია...[35] რუსის ეს ერთეული ამ დროისათვის (ე. ი. XII ს-ის მეორე ნახევარი, დ. მ.) ხელდებული ყოფილა მთელს ამიერ და იმიერ კავკასიაში გაბატონებული ბაგრატიონთა სამეფო სახლისა, რაც ამ უკანასკნელთა ტიტულატურაშიაც ასახულა“[36].

მ. თოდუას ამ საყურადღებო და არგუმენტირებულ მოსაზრებებში, ვფიქრობთ, ერთი საეჭვო გარემოებაა, რაც საბოლოო დასკვნასაც საეჭვოდ ხდის. კერძოდ, არსაიდან ჩანს, რომ XII ს-ის მეორე ნახევრის ეს „რუსი“ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ტერიტორიული (სახელმწიფოებრივი) ერთეული ყოფილიყო, ტერიტორიულადაც მეტ-ნაკლებად შესატყვისი „აბხაზის“, „შაქის“ ან „ალანისა“. თანადროული წყარო (ხაყანი შარვანელი) ასახელებს არა რუსის ციხე-სიმაგრეებს, არამედ მხოლოდ ერთ ციხეს[37]. იმავე ხაყანის დივანში, როგორც მ. თოდუა მიუთითებს, ერთგან წერია, რომ შარვანშაჰი ახსართანი „რუსს დარუბანდივით აიღებს“[38]. ამგვარი შეთანაპირება უნდა მიუთითებდეს, რომ „რუსი“ ტერიტორიულად დარუბანდივით მცირე ერთეულია.

---

[33] მ. თ ო დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[34] იქვე, გვ. 37—48 (კომენტარი № 6).

[35] იქვე, გვ. 44. სხვა ადგილას (გვ. 42) მ. თოდუა აღნიშნავს, რომ „რუსი კასპიის ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყანაა“.

[36] იქვე, გვ. 48.

[37] იქვე, გვ. 41.

[38] იქვე.

ზოგადი მოსაზრებებიც თითქოს მსგავსი დასკვნის საფუძველს იძ-
ლევა. მაგალითად, ა. ნასონოვი აღნიშნავდა, რომ იმიერკავკასიურ ტომ-
ებს, რომლებიც იმთავითვე აზიელ მომთაბარეთა სარბიელს წარმო-
ადგენდა, არ შეიძლება შეექმნათ მყარი საფუძველი მკვიდრი პოლი-
ტიკური წარმონაქმნებისათვის[39]. ხოლო ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა,
რომ რუსები ვერ დაემკვიდრნენ კასპიის ზღვაზე[40]. თანამედროვე ის-
ტორიკოსები ახალი მასალის საფუძველზე თუმცა კი მიუთითებენ,
რომ სვიატოსლავის 965 წლის ხაზარეთში ცნობილი ლაშქრობის შე-
დეგად რუს ავანტურისტ-ვაჭართა „ცალკეულმა ჯგუფებმა", ჩანს,
შეაღწიეს კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, დარუბანდის
მახლობლად[41] თუ ჩრდილოეთ დაღესტანში[42], მაგრამ რომ აქ რუსებს
რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული, სახელმწიფო შეექმნათ,
ეს არსაიდან ჩანს. ჩვენთვის საინტერესო „მიმოწერაში" შემონახული
ტიტულატურის კონტექსტი კი, როგორც ვიცით, სწორედ ასეთ მნიშ-
ვნელოვან სახელმწიფოებრივ ერთეულს გულისხმობს. გარდა ამისა,
ტიტულატურაში შემონახული „რუსი", რამდენადაც, ჩვენი აზრით, ეს
ტიტულატურა დავით აღმაშენებელს მიეკუთვნება, XII ს-ის პირველი
მეოთხედის ვითარებას უნდა ასახავდეს, ხოლო მ. თოდუას მიერ მო-
ტანილი არგუმენტაცია XII ს-ის მეორე ნახევრის წყაროებს ემყარება.
ამდენად, ეს უკანასკნელი არ გამოდგება პირველის ინტერპრეტაცი-
ათვის.

ყველაფერი ზემოთქმული იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩვენთვის
საინტერესო ტიტულატურის „რუსი" სხვაგან ვეძებოთ და არა ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში. გვგონია, ეს უნდა იყოს კავკასიის
საპირისპირო მხარეს, ჩრდილო-დასავლეთით, ტამანის ნახევარკუნძულ-
ზე მდებარე ტმუტარაკანის რუსული სამთავრო.

როგორც ირკვევა, ტმუტარაკანის სამთავრო დაარსებულ იქნა
944 წ. ბიზანტიელთა ხელშეწყობით, კიევის დიდი მთავრის იგორის
ინიციატივით, როდესაც მან რუსთა ამიერკავკასიაში, კერძოდ, ქალაქ
ბარდავზე ლაშქრობის წინ ტამანის ნახევარკუნძულზე მანამდე ხაზარ-
თა კუთვნილი ციხე-სიმაგრე ხელთ იგდო[43]. როგორც ჩანს, ამის შემ-
დეგაც X ს-ის 80-იან წლებში, როდესაც რუსები დარუბანდის მახ-

---

39 Насонов А. П. Тмуторокань в истории Восточной Европы X века. Исторические записки, 1940, № 6, с. 95.

40 Бартольд В. В., Арабские известия о русах. Сочинения, т. II, ч. 1, с. 856.

41 Минорский В. Ф., История Ширвана и Дербенда X—XI веков, 1963, с. 152.

42 История Дагестана, т. I, 1967, с. 174.

43 Насонов А. Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 91, 92.

ლობლად ჩანან და XI ს-ის 30-იან წლებშიც, როდესაც ისინი რამდენიმეჯერ ლაშქრავენ შარვანს, სწორედ ტმუტარაკანის სამთავროა ის ბაზა, საიდანაც ხდებოდა რუსთა რეიდები კასპიის ზღვაში[44].

საინტერესოა, მიემართება თუ არა წყაროებში დამოწმებული ტერმინი „რუსი" სახელდობრ ტმუტარაკანის სამთავროს? თავი რომ გავანებოთ არაბული წყაროებიდან კარგად ცნობილ „რუსთა კუნძულს", რომელსაც ორიენტალისტი ა. კრიმსკი ტამანის ნახევარკუნძულზე ათავსებდა[45], (მაგრამ ეს მოსაზრება ამჟამად გაზიარებული არ არის[46]), X ს-ის შუახანების არაბი მწერალი მასუდი პირდაპირ მიუთითებს, რომ მდ. დონი „მიერთვის ნიტასის ზღვის ყურეს — რუსების ზღვას, რომელშიც სხვები არ დასცურავენ და ისინი (რუსები) დაემკვიდრნენ მის ერთ-ერთ ნაპირზე"[47]. „რუსების ზღვას", როგორც ცნობილია, არაბები შავ ზღვას უწოდებდნენ, ხოლო წყაროსეული „ნიტას", ვ. მინორსკის აზრით, შეცდომის შედეგია და უნდა ყოფილიყო „მაიტას" ანუ ანტიკური წყაროების მეოტიდა — აზოვის ზღვა[48]. როგორც ვხედავთ, კონტექსტი ისეთია, რომ რუსების დამკვიდრების ტერიტორია სწორედ ტამანის ნახევარკუნძულს ანუ ტმუტარაკანის რუსული სამთავროს ტერიტორიას უნდა გულისხმობდეს (მდ. აზოვის და შავი ზღვის საზიარო ტერიტორია).

სხვათა შორის, ასეთ მინიშნებას მასუდის ცნობაში ვ. მინორსკიც ხედავს, მაგრამ საამისოდ არაბი მწერლის ჩვენებას ნაადრევად თვლის. საქმე ის არის, რომ მასუდიმ თავისი ეს შრომა („მურუჯ ად-ძაჰაბ") 943 წ. დაამთავრა, ხოლო ტმუტარაკანის სამთავროს წარმოქმნას ვ. მინორსკი 1030 წლისათვის ვარაუდობს[49]. მაგრამ ჩვენ ა. ნასონოვის გამოკვლევის შემდეგ ვიცით, რომ ეს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა 944 წლისათვის ივარაუდება, რაც გაზიარებულია რუსულ ისტორიოგრაფიაში[50]. მეორე მხრივ, ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ თუმცა კი მასუდის ზემოხსენებული ნაშრომი, ძირითადად, 943 წლისთვის დაუმთავრებია, მაგრამ დამატებები შემდგომშიც შეჰქონდა, ვიდ-

---

[44] შდ. Минорский В. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 152—154.

[45] Бартольд В. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 819, შენ. 13; შდ. მ. თოდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 39, შენ. 21, VIII.

[46] Бартольд В. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 823; Минорский В. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 147; Новосельцев А. П., Восточные источники о восточных славянах VI—IX вв. Сборн.: «Древнерусское государство и его международное значение», М., 1965, с. 408.

[47] მასუდის ტექსტის რუსული თარგმანი იხ. Минорский В. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

[48] იქვე, გვ. 196, შენ. 33.

[49] იქვე, გვ. 153, 154.

[50] იხ. Очерки истории СССР. Период феодализма. IX—XV вв., ч. I, М., 1953, с. 84; СИЭ, 14, с. 261, 262.

რე სიკვდილამდე (956 წ.)[51]. ამდენად, სავსებით შესაძლებელია ტმუ-
ტარაკანის სამთავროს არსებობა ტამანის ნახევარკუნძულზე ასახული-
ყო მისი ნაშრომის საბოლოო რედაქციაში, რომელიც არ შემონახუ-
ლა[52].

ამ მხრივ, კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რომ სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, კერძოდ, XI ს-ის 80—90-იან წლებში, ოლეგ ტმუტარაკანის მთავრის ბიზანტიელი მეუღლე „რუსის არქონტისად" იწოდება[53].

მეორე მხრივ, ტამანის ნახევარკუნძულზე წარმოქმნილი ტმუტა-
რაკანის რუსული სამთავრო, ეჭვი არ არის, გარკვეულ პოლიტიკურ,
ეკონომიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობაში უნდა ჩაბმულიყო მის
მეზობელ კავკასიელ ხალხებთან და, კერძოდ, „აფხაზთა სამეფოსთან",
რომელიც სწორედ X ს-ის მეორე მეოთხედიდან, გიორგი II აფხაზთა
მეფის დროს (922—957 წწ.), თავისი პოლიტიკური, კულტურული და
ეკონომიკური აღმავლობის კულმინაციას აღწევს[54]. ტყუილად ხომ არ
არის აღნიშნული რუსულ ისტორიოგრაფიაში, რომ ტმუტარაკანი წარ-
მოადგენდა სავაჭრო პორტს, რომლის საშუალებით საზღვაო ვაჭრობას
ეწეოდნენ კავკასიის ხალხებიც და მათ შორის ოსები, ქაშაგები (ჩერ-
ქეზები) და „ობეზები"[55]. ამ უკანასკნელი ტერმინით კი ძველ რუსულ
მატიანეებში, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, ქართველები იგუ-
ლისხმებიან[56].

მ. არტამონოვის აზრით, ტმუტარაკანის მნიშვნელობა არ შემოიფარგლებოდა ქერჩის სრუტის ორივე მხარეს განლაგებული მცირე ტერიტორიით, არამედ იგი იყო ცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსული სამფლობელოებისა. იგი აკონტროლებდა არა მარტო დონისპირეთს და ყუბანს, არამედ ვოლგის ქვემო დინების ტერიტორიასაც. ტმუტარაკანი კიევის რუსეთიდან მოშორებული პატარა სამთავრო კი არ იყო, არამედ მსხვილი პოლიტიკური ცენტრი აღმოსავლეთ ევროპის დაბლობის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილისა[57]. ამგვარად, ტმუ-
ტარაკანის სამთავრო ფრიად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულად
წარმოგვიდგება.

---

51 Минорский В. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 188, შენ. 1.

52 იქვე.

53 იხ. Артамонов М. И., История хазар. Л., 1962, с. 444, прим. 20.

54 იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, 1980, გვ. 181, შენ. 123 და გვ. 224.

55 Очерки истории СССР, с. 400.

56 Пайчадзе Г. Г., Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989.

57 Артамонов М. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 440, 449; შდ. Очерки истории СССР, с. 401, 402.

თუ, ერთი მხრივ, რუსული ხალხური ეპოსი ტმუტარაკანის მთავარს, მსტისლავ ვლადიმერის ძეს (988—1036 წწ.) მიაწერს ჩრდილოეთ-დასავლეთი იმიერკავკასიის ზოგიერთი ტომის, კერძოდ ოსების და ქაშაგების დამორჩილებას[58], მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ უკვე X ს-შივე ტმუტარაკანის სამთავრო „აფხაზთა სამეფოს“ უშუალოდ გამეზობლებოდა.

საქმე ის არის, რომ ტმუტარაკანის რუსული სამთავრო ადგილობრივი, ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური მოდგმის ტომების, ჯიქების ტერიტორიაზე წარმოიქმნა (მნიშვნელობა არა აქვს ამჟამად ჩვენთვის იმას, რომ მანამდე ჯიქების ეს ტერიტორია ხაზართა სახელმწიფოში შედიოდა). მაგალითად, 1237 წელს დომინიკანელი ბერი იულიანე პირდაპირ აღნიშნავს, რომ იგი კონსტანტინოპოლიდან „მოვიდა მიწაზე, რომელსაც ეწოდება ზიხია (ჯიქეთი, დ. მ.), ქალაქში რომელსაც მატრიკა (ტმუტარაკანი, დ. მ.) ეწოდება“[59]. უფრო ადრე (952 წ.) კონსტანტინე პორფიროგენეტიც აღნიშნავდა, რომ „ბოსპორის პირდაპირ არის ეგრეთწოდებული ტამატარხას ციხე (ტმუტარაკანი, დ. მ.)... ტამატარხიდან 18 თუ 20 მილის მანძილზე არის მდინარე ეგრეთწოდებული უკრუხი (ყუბანი, დ. მ.), რომელიც ჰყოფს ჯიქეთსა და ტამატარხას. უკრუხიდან ნიკოფსის მდინარემდე, სადაც ამავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა“[60].

აქედან ნათელია, რომ ტმუტარაკანის სამთავრო, რომლის ტერიტორიის ჩამოყალიბებაც, ცხადია, თანდათანობით ხდებოდა და რომლის ცენტრსაც კონსტანტინე პორფიროგენეტისეული „ტამატარხის ციხე“ წარმოადგენდა, ფაქტობრივად, ჯიქების ტერიტორიაზე წარმოქმნილა. ხოლო ჯიქეთს კი, ყოველ შემთხვევაში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, სწორედ ამ ხანებში „აფხაზთა მეფეები“ ფლობენ[61]. იგივე კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს, რომ „ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი მდინარე ნიკოფსიიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე, უჭირავს აბაზგიის ქვეყანას“[62].

ციხე-ქალაქი ნიკოფსია, როგორც ცნობილია, მდებარეობდა დღევანდელი ტუაფსეს ჩრდილოეთით ოციოდე კმ-ზე, მდ. ნეგოფსუხოს შესართავთან ზღვისპირა კონცხზე[63] და წარმოადგენდა არა მხოლოდ

---

58 Очерки истории СССР, с. 401; СИЭ, т. 14, с. 261.

59 Насонов А. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

60 „გეორგიკა“, IV_2, 1952, გვ. 231.

61 ქცა, I, გვ. 157, 268.

62 „გეორგიკა“, IV_2, გვ. 233.

63 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141, 142.

აფხაზთა სამეფოს საზღვარს X ს-ში, არამედ ასეთადვე დარჩა იგი გაერთიანებული საქართველოს მონარქიისათვის XII—XIII საუკუნეებშიც, რომელიც, როგორც ცნობილია, გადაჭიმული იყო „ნიკოფსიით დარუბანდამდე". ოვალი ნიკოფსია საკუთრივ „აფხაზთა სამეფოს" ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეს კარგად ჩანს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან"[64].

ამგვარად, თითქოს არ უნდა იყოს საეჭვო X—XI საუკუნეებში ტმუტარაკანის რუსული სამთავროსა და ქართული „აფხაზეთის სამეფოს" უშუალო მეზობლობა. ამდენადვე, არ უნდა იყოს გამორიცხული ბერძნულ-ბიზანტიურ გავლენასთან ერთად ამ სამთავროზე მაღალგანვითარებული ქართული ფეოდალური კულტურულ-პოლიტიკური გავლენის არსებობაც.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბიზანტიური ეკთესისების ანუ საეკლესიო ეპარქიათა ნუსხების მონაცემები. კერძოდ, ნიშანდობლივია, რომ VII—IX საუკუნეების ბიზანტიური საეკლესიო სტრუქტურის მიხედვით „ჯიქეთის ეპარქიაში" სამი ავტოკეფალური საეპისკოპოსოა გაერთიანებული: ქერსონის, ბოსპორის და ნიკოფსიის[65]. პირველი ორი ყირიმის ნახევარკუნძულის ცნობილი ქალაქებია და, ცხადია, მათი დიოცეზებიც ყირიმში მდებარეობენ. რაც შეეხება ნიკოფსიას, მისი სამრევლო, უეჭველია, კავკასიის სანაპიროს გულისხმობს.

აქედან ჩანს, ჯერ ერთი, რომ მთელი ტამანის ნახევარკუნძული, რომელზედაც უფრო გვიან ტმუტარაკანის რუსული სამთავრო წარმოიქმნა, მართლაც, ჯიქეთის ტერიტორია ყოფილა. გარდა ამისა, ჩანს, ნიკოფსიის საეპისკოპოსოს ტერიტორია მოიცავს, როგორც „აფხაზთა სამეფოში" შემავალ ნაწილს ჯიქეთისას, ასევე ჯიქეთის დანარჩენ ნაწილსაც. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, იმდენად, რამდენადაც იგი „აფხაზთა სამეფოს" ტერიტორიაზე მდებარეობდა, რომელზეც აღმოსავლურ-ქართული ფეოდალური კულტურა IX ს-ში მაინც საყოველთაოდ იყო გავრცელებული, ამ უკანასკნელის გარკვეული გავლენა მთელი ჯიქეთის ტერიტორიაზე (ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში) არ უნდა იყოს მოულოდნელი მით უმეტეს, რომ ჩანს იმავე IX ს-ის მეორე ნახევრიდან (ყოველ შემთხვევაში X ს-ის პირველი წლებიდანვე ეს უცილობლად მტკიცდება) ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო იერარქიულად ურთიერთობას წყვეტს კონსტანტინოპოლთან და მცხეთის საკათალიკოსოს ემორჩილება[66].

---

[64] ამაზე ყურადღება გაამახვილა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, იხ., „გეორგიკა", IV_2, გვ. 231, შენ. 1.

[65] „გეორგიკა", IV_2, გვ. 129, 139—141.

[66] იქვე, გვ. 197, 232, შენ. 1.

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ სრულიად ბუნებრივად უნდა გვეჩვენოს ის ფაქტი, რომ ჩერნიგოვის კათედრალური ეკლესია აგებული მსტისლავ ტმუტარაკანის მთავრის მიერ მას შემდეგ, რაც მან ჩერნიგოვი ხელთ ჩაიგდო, მშენებლობის ტექნიკის თავისებურებებით ახლო დგას ქართული არქიტექტურის ნიმუშებთან[67].

XI ს-ის 30—40-იან წლებში ყივჩაყების შემოსევებმა და ამით გამოწვეულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა აღმოსავლეთი ევროპის სტეპებში გაართულა ტმუტარაკანის სამთავროს ურთიერთობანი კიევის რუსეთთან. XI ს-ის შუახანებიდან მისი პოლიტიკური მნიშვნელობა ეცემა. სტეპებში ყივჩაყთა გაბატონებამ იგი მოსწყვიტა კიევის რუსეთს[68]. უკანასკნელად რუსულ მატიანეებში ტმუტარაკანი 1094 წლისათვის იხსენიება. შემდგომში კი მისი ხსენება იქ აღარაა და, ბუნებრივია, თუ რუს მთავართა მდგომარეობა ტმუტარაკანის სამთავროში ამ დროს არამყარია[69]. XII ს-ის მეორე ნახევარში კი ტმუტარაკანი ბიზანტიის იმპერიის მფლობელობაში მოექცა[70].

ამგვარად, თითქოს პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც მყარდება XII ს. პირველი ნახევრისათვის ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში და, კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთ იმიერკავკასიაში — ტმუტარაკანის სამთავროს იზოლაცია კიევის რუსეთისაგან ყივჩაყთა თარეშის შედეგად, მეორე მხრივ, თვით ყივჩაყთა დასუსტება ვლადიმერ მონომახის ლაშქრობათა შედეგად XII ს-ის დასაწყისში — იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ პერიოდის რომელიღაც მონაკვეთზე ვივარაუდოთ ტმუტარაკანის რუსული სამთავროს საქართველოს სამეფოს მიმართ ვასალურ ურთიერთობაში შემოსვლა, რასაც დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა უნდა მოწმობდეს. თუკი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ასეთი ვითარება მოსალოდნელია დავითის მეფობის ბოლო წლებში. და, მართლაც, თვით ზემოხსენებული ტიტულატურა 1118—1125 წლებში შეიძლება შექმნილიყო, მაინცდამაინც მას შემდეგ, რაც „ოვსეთი" („ალანი") საქართველოს ყმადნაფიცი შეიქნა 1118 წ. (იხ. ზემოთ).

აღსანიშნავია, რომ „მიმოწერაში" შემონახულ ბევრ წერილში ქართველი მეფისა თუ დიდებულის ტიტულატურაში სხვასთან ერთად იხმარება აგრეთვე ტერმინი „ხაზარი". მაგალითად, როგორც ვიცით, ერთ-ერთ „აბხაზის მეფეს" მიემართება: „გურჯის, აბხაზის, ალანის,

---

67 იხ. История русской литературы, под редакцией А. С. Орлова, М., 1941, с. 16.

68 Артамонов М. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 449, 453.

69 Насонов А. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

70 იქვე, გვ. 98.

შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე"; ან ჭყონდიდელს — „აბხაზისა და ხაზარის ვაზირთა მეფე"[71] და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. თოდუა ამასთან დაკავშირებით წერს: „საყურადღებოა ისიც, რომ ამ წერილებში თუ ხაზარი ან ყიფჩაყია დასახელებული, რუსი ნახსენები არაა (იხ. წერილები აფხაზთა მეფისადმი — III; ანტონი ჭყონდიდელისადმი — XIX; ვარდან (დადიანისადმი?) — XX; შალვა სარგისის ძისადმი — XXI; ზაქარიასადმი — XXII"[72].

ამგვარად „რუსი" და „ხაზარი" სინონიმურ ცნებებადაა მიჩნეული[73]. არა მგონია ასეთი იდენტიფიკაცია სწორი იყოს და, ყოველ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების" გვიანდელი, XVIII ს-ის ნუსხების მინაწერი, რომ „ხაზარეთი რუსეთია"[74], საამისო არგუმენტად არ გამოდგება, რადგან აქ, უეჭველია, მწერალს „ხაზარეთის" მისი დროისათვის გასაგები გეოგრაფიული დეტერმინაცია აქვს მხედველობაში.

თუკი ვარაუდი, რომ დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურის „რუსი" ტმუტარაკანის სამთავროს გულისხმობს, სწორია, მაშინ „ხაზარის" მასთან გაიგივება გამორიცხული უნდა იყოს, რადგან ყველა ის პირი ვის ტიტულატურაშიც „ხაზარი" იხსენიება XII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწე ჩანს, ე. ი. იმ დროისა, როდესაც ტმუტარაკანის ტერიტორია ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაშია.

მაგრამ, ჩვენი აზრით, „ხაზარის" გეოგრაფიული იდენტიფიკაცია შესაძლებელია და ეს სწორად აქვს მითითებული იმავე მ. თოდუას, როდესაც თავისი ნაშრომის სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ „ხაზარი აქ ალბათ დარუბანდის ხაზარობას გულისხმობს"[75].

მართალია, X ს-ის მეორე ნახევარში ჯერ სვიატოსლავის (965 წ.), ხოლო შემდეგ ვლადიმერის (985 წ.) მიერ ხაზართა სამეფოს დალაშქვრის შედეგად, ეს ოდესღაც ძლიერი სახელმწიფო საბოლოოდ დაეცა და გაქრა, მაგრამ თვით ხაზარები მათ ძირითად ტერიტორიაზე ქვემო ვოლგიდან დაღისტნამდე კიდევ დიდხანს მომთაბარეობდნენ[76]. სწორედ ამ ტერიტორიაზე გულისხმობს „ხაზარს" ხაყანი შარვანელი, რომელიც, სხვათა შორის, კარგად ასხვავებს „რუსს" და „ხაზარს"[77], რაც თავისთავად გამორიცხავს ამ ტერმინთა გაიგივებას. გარდა ამისა, X ს-ის სპარსული გეოგრაფია, „ჰოდუდ ალ-ალემი" იცნობს „ხაზართა დარუ-

---

[71] მ. თ ო დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 7 და 28.

[72] იქვე, გვ. 45.

[73] იქვე, გვ. 51; შდრ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, და მოვიდეს ვარანგნი..., 1988.

[74] ქცა, I, გვ. 11.

[75] მ. თ ო დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 86 (კომენტარი № 150).

[76] А р т а м о н о в М. И., დასახ. ნაშრომი, შვ. 426, 435, 436, 445.

[77] მ. თ ო დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 40, 42.

ბანდს“ (დარბანდი-ი ხაზარან)[78]. „დარუბანდელ ხაზარებს“ იცნობს აგრეთვე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“[79], რაც დარუბანდის ამირათადმი დაქვემდებარებულ თუ მათ მოკავშირე ხაზარებს უნდა გულისხმობდეს[80]. აი სწორედ ეს სახელმწიფოებრივი ერთეული (დარუბანდი მათდამი მორჩილ ხაზარებთან ერთად) უნდა იგულისხმებოდეს ტიტულატურისეულ „ხაზარში“.

ქართველ მეფეთა, კერძოდ კი დავით აღმაშენებლის, აღმოსავლურ წყაროებში ხმარებული, ტიტულატურა, განსხვავებით ქართულ ოფიციალურ დოკუმენტებში შემონახული ტიტულატურისაგან, რომელშიც ასახულია მხოლოდ უშუალოდ ინკორპორირებულ ქვეყანათა, სამეფოთა მეთაურების ტიტულები, ნაწილობრივ წარმოგვიჩენს საქართველოს სამეფოსთან ვასალურ ურთიერთობაში მყოფ ქვეყნებსაც: „ალანი“ (ოსეთი), „რუსი“ (ტმუტარაკანის სამთავრო), „ხაზარი“ (დარუბანდი მახლობელი ხაზარებითურთ. ეს უკანასკნელი წოდება ანონიმური „აბხაზის მეფის“ ტიტულატურიდანაა). ამგვარად, ქართული და აღმოსავლური ტიტულატურა ერთმანეთს ავსებს და უფრო სრულად წარმოგვიდგენს საქართველოს მეფეთა მფლობელობის არეალს.

Д. Л. МУСХЕЛИШВИЛИ

ВОСТОЧНАЯ ТИТУЛАТУРА ЦАРЯ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ

Резюме

В Тавризской муниципальной библиотеке хранится рукописный сборник, переписанный в 1219 г., который содержит образцы официальной переписки ближневосточных государственных деятелей. Проф. М. Тодуа перевел на грузинский и издал письма, адресованные грузинским правителям. Одно из них, являющееся «Ответом царю Давиду владетелю Абхаза» и, по нашему мнению, направленное к царю объединенной монархии Грузии Давиду Строителю,

---

[78] ისთახრი, ჰოლუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებით და საძიებლებითურთ ვ. ფუთურიძისა, 1937, გვ. 16.

[79] ქცა, II, გვ. 17; შდ. ხაყანი: „შენი მახვილი ხაზარს იპყრობს და დარუბანდსაც“ (მ. თ ო დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 50).

[80] А р т а м о н о в М. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 445, რაც შეეხება „ყეფჩაყს“, იგი ერთადერთხელ იხსენიება და ისიც „ხაზართან“ ერთად, რაც მათ იგივეობას აგრეთვე გამორიცხავს.

содержит следующую титулатуру: «Царь царей Абхаза, Шаки, Алана и Руса». Разбирая и интерпретируя эту титулатуру грузинского царя, автор данной статьи приходит к выводу, что «Рус» в этом контексте означает Тмутараканское княжество, которое к концу первой четверти XII века, так же как и Осетинское царство на Северном Кавказе («Алан»), находилось в вассальной зависимости от феодальной монархии Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ნორაკიძე

ქართული ეროვნული ხასიათი ვეფხისტყაოსნის მიხედვით

ეროვნული ხასიათის საკითხებზე ეთნიკურ ფსიქოლოგიაში არსებული ლიტერატურის ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ მკვლევარები ეროვნულ ხასიათში გულისხმობენ პიროვნების შედარებით გამძლე — სტაბილურ მახასიათებლებს, რომლებიც მოდალურია ერის ზრდადამთავრებულ წევრებისათვის.

ეროვნული ხასიათის კვლევის დროს ძირითადად შემდეგ პრობლემებს გამოყოფენ: 1. ეროვნულ ხასიათსა და მოდალურ პიროვნებას შორის მიმართებას, 2. თეორიულ პრობლემებს მოდალური პიროვნების აღწერაში (რა მიდგომით, მეთოდებით უნდა იქნეს იგი დახასიათებული), 3. სოციალურ-კულტურული სისტემების გავლენას მოდალური პიროვნების ფორმირებაზე, 4. მოდალური პიროვნების გავლენას სოციალური სისტემების ფუნქციობაზე.

ეროვნული ხასიათით კვლევა განსხვავებული თეორიების საფუძველზე ძირითადად შემდეგი სამი მიმართულებით წარიმართა.

1. ერის სოციალურ ჯგუფებში შემავალი ცალკეული ინდივიდების, როგორც ამ ჯგუფებისათვის სპეციფიკური მოდალური ხასიათის ფსიქოლოგიური მეთოდებით შესწავლა; 2. ერის მიერ შექმნილი კულტურის ფენომენების — (ხელოვნების, რელიგიის, ენის, ფოლკლორის და სხვა) შესწავლა იმგვარად, რომ ამ ფენომენების დახასიათების გზით შესაძლებელი გახდეს მოდალური პიროვნების შესახებ მსჯელობა; 3. ბავშვის აღზრდის სისტემების ანალიზი — ბავშვობის წლებში ჩასახული ხასიათის თვისებების, როგორც მოდალური პიროვნების შემეცნების კრიტერიუმის შესწავლა. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ყველა ამ მიმართულებით დაწყებულია კვლევითი მუშაობა ქართული ეროვნული ხასიათის შესასწავლად.

ჩვენს კვლევაში ნაგულისხმევია, რომ ეროვნული ხასიათი მკვეთრად თავს იჩენს ისეთ ადამიანში, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მოქმედების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, რეფლექსის დონეზე გააჩნია თავისი ერთიანი იდენტიფიკა-

ციის განცდა. ასეთი ადამიანი ნათლადაა ასახული მხატვრულ ნაწარმოებებში, ერის ისტორიაში, კერძოდ, საქართველოს ისტორიაში — „ქართლის ცხოვრებაში“ (მემატიანეთა გადმოცემებში) და ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებში.

ამრიგად, ერის მხატვრული შემოქმედება, ისტორიის წყაროები, ხალხური შემოქმედება — მითოლოგია, პოეზია, ზღაპრები, მუსიკა, ცეკვა, ზნე-ჩვეულებები, რიტუალები, რელიგია არის ულეველი წყარო, რომელშიც შეიძლება ამოვიკითხოთ ეროვნული ხასიათი. მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეროვნული ხასიათი, რომელიც ჩამოყალიბდა ერის ისტორიის მსვლელობაში და რომელიც თავს იჩენს მოდალურ პიროვნებაში, შეისწავლება აგრეთვე დღევანდელი კულტურის წარმომადგენლების მოდალური პიროვნების თავისებურებებთან მიმართებაში.

ჩვენს მიერ ეთნიკურ ფსიქოლოგიურ ასპექტში, ეროვნული ხასიათის ამსახველი მოდალური პიროვნების კვლევის პროცესში გამოყენებულია მხატვრულ ლიტერატურაში მოცემული პერსონაჟები, მათი ფსიქოლოგიური ანალიზის გზით გამოყოფილია მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებები, რომელიც მოდალურია იმ პერიოდისათვის, როდესაც დაიწერა ეს ნაწარმოები. ჩვენს კვლევას ლიტერატურის პერსონაჟების ანალიზის დროს პიროვნების თვისებების განხილვა ემყარება ამ პერსონაჟების წამყვანი განწყობების — თემების გამოყოფის პრინციპს.

დ. უზნაძის მიერ დაფუძნებული განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით თემა არის შემოქმედის პოზიცია (განწყობა) სამყაროში მიმდინარე მოვლენებისადმი. იგი წარმოადგენს ცხოვრების მანძილზე პიროვნების მოთხოვნილებებისა და გარემოს მოთხოვნების ერთიანობის ნიადაგზე ფორმირებულ დიდი პიროვნული წონის განწყობებს — პიროვნების მტკიცე შინაგან პოზიციებს, დამოკიდებულებებს საკუთარი თავისა და გარემოსამყაროსადმი.

ფსიქოლოგიური ანალიზით გამოყოფილი თემები, რომლებიც ასახავენ პიროვნების ხასიათის ძირითად კომპონენტებს, შემდეგია: 1) „მე“-ს ღირებულებები, ამ ღირებულებების რეალიზაციისათვის აუცილებელი პიროვნული თვისებები, „მე“-ს კონცეფცია; 2) ნებელობის დინამიკა, რომელიც გულისხმობს მიზნების მიღწევისათვის ბრძოლის ძალას და თვითრეგულაციის თავისებურებას; 3) ძირითადი თვისებების ინტეგრაციის მაჩვენებლები.

განწყობის ფსიქოლოგიის ასპექტში ეროვნული ხასიათის შესწავლის გზით შესაძლებელია დავძლიოთ იმ პრობლემის კვლევაში გაბატონებული ატომისტური მიდგომა, როდესაც ერს, როგორც პიროვნებას ახასიათებენ მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული დადებითი და უარ-

ყოფითი თვისებების მაჩვენებლებით; სინამდვილეში ეს ცალკეული თვისებები იმის მიხედვით თუ როგორია პიროვნების მთლიანი სტრუქტურის თავისებურება განსხვავებულ როლს შეიძლება ასრულებდნენ მის სოციალურ ქცევაში. ამ ასპექტში შესწავლილი იყო ვეფხისტყაოსნის გმირების ხასიათები, როგორც ერის ძირითადი პიროვნების თვისების გამოხატულებანი, აგრეთვე შესწავლილია ქართულ მწერლობაში მოცემული ვეფხისტყაოსნის იდეალური ტიპების შესაძლო პროტოტიპების — გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების და დავით აღმაშენებლის პიროვნების ბუნება. შექმნილია მათი ფსიქოლოგიური პორტრეტები, აქ მოკლედ შევჩერდებით „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქცევასა და განცდებში გამოვლენილ ეროვნული ხასიათის ზოგიერთ მხარეზე.

ვეფხისტყაოსნის გმირების ქარაქტეროლოგიური ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოს კულტურის აღორძინების ხანაში ქართული მოდალური პიროვნება ფლობდა ხასიათის ისეთ თვისებებს, რომელიც სრული, უმაღლესად განვითარებული, მთლიანი — ინტეგრირებული, მომწიფებული პიროვნებისათვისაა ნიშნული. იგი თავისთავს განიცდის როგორც ადამიანობის იდეით გამსჭვალული თავისუფალი ნების ადამიანად. პიროვნების თვისებად ქცეული მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მიხედვით მოღვაწეობის განწყობა იმდენად ზოგადია, რომ იგი თავს იჩენს არა მხოლოდ საკუთარი ეთნიკური ან სოციალური ჯგუფების მიმართ, არამედ სხვა ერებთან და მთლიანად კაცობრიობასთან დამოკიდებულებაში.

პოემაში მოცემული მოდალური პიროვნებები რელიგიისადმი — მეტაფიზიკურისადმი დამოკიდებულების მიხედვით მსგავსნი არიან. მათ სჯერათ, რომ ადამიანი არის არა მხოლოდ გრძნობადი თვისებების მატარებელი არსება, არამედ მეტაფიზიკურიც, ადამიანზე მაღლა მდგომი, სამყაროს შემქმნელი, სამყაროში მიმდინარე მოვლენების გამგებლისა და მსაჯულისადმი რწმენა, კეთილ საქმეებში მისი დახმარების იმედი, მათი გაშინაგანებული პიროვნული თვისებაა. ქრისტიანული რელიგია იქცა ერში, როგორც პიროვნებაში კეთილი დისპოზიციური ძალების გაშლის, სოციალურ ურთიერთობაში ჰუმანურობის დამკვიდრების, აგრესიული, იმპულსურად მოქმედი ძალების შეკავების, თავის თავის დაუფლების, თვითმართვის თვისებების განვითარების, სოციალური რეგულაციის უნარის განმტკიცების ხელის შემწყობ მძლავრ ფაქტორად. ერის ხასიათმა თავისებურად, თავისი სულიერი კულტურის, ქცევის დისპოზიციების შესატყვისად შეითვისა უნივერსალობის პრეტენზიის მქონე ქრისტიანული სარწმუნოება. ყოველივე ეს მკვეთრადაა ასახული ვეფხისტყაოსანში, რომლის ძირითადი აზრია სიყვარულისა და მეგობრობის იდეით გასხივოსნებული ადამიანების ამქვეყ-

ნად დამკვიდრება, რომელნიც ერთდროულად მატარებელი არიან, როგორც ღვთაებრივის, ისე გრძნობადის, ძალუძთ მაღალი ჰუმანური მიზნების მიღწევისათვის მიმართონ აგრესიასაც, ერმა შესძლო მოწინავე რელიგიური მოძღვრების შეთვისების გზით მასში დისპოზიციურად მოცემული კეთილი თვისებების განვითარება და განმტკიცება — თავისი მაღალი მიზნების მიღწევის სამსახურში დაყენება.

სოციალური დამოკიდებულებების მიხედვით დამახასიათებელია ურთიერთობაში ღრმა აფილაცია. ანგარების გარეშე ხელგაშლილობა (გაჩუქება, ქონების გაცემა, სტუმართმოყვარეობა). პოემის ძირითადი პიროვნებები ამ მხრივ ლაღი, გულსავსე, გულგაშლილი ადამიანებია, ნიშნეულია გაწეული სიკეთისათვის ღრმა მადლობის გრძნობა, რაც დიდი სულიერი სიმაღლისა და შინაგანი კეთილშობილების გამოხატულებაა. დამახასიათებელია იდეალთან იდენტიფიკაციის წყურვილი, ადამიანის, რომელიც მისი იდეალია, მისი საქციელის, ცხოვრების სტილის, სულიერი თვისებების ქების, თანადგომის, მოთხოვნილება; ახარებთ, როცა ასრულებენ სათაყვანებელი პიროვნების (თავისი იდეალის) დავალებას; ამასთანავე ერთად, მოდალურ პიროვნებაში დამკვიდრებულია ფარული, დისპოზიციურად მოცემული, მძლავრი დომინანტობის, ყურადღების ცენტრში ყოფნის, სხვა ადამიანის უკუგდების მაჩვენებელი თვისებები, ეს თვისებები მოდალურ პიროვნებაში თავს იჩენს კრიზისულ პირობებში, მიზნებისათვის ბრძოლაში შეფერხებების, ფრუსტრაციის სიტუაციებში, ან საღი გადაწყვეტილების ნიადაგზეც, რომელიც ემყარება მიზნის მისაღწევად გონიერ არჩევანს. მაგრამ ასეთი არჩევანი ეფუძნება დიდი პიროვნული წონის განწყობას, დისპოზიციურად დამკვიდრებული დომინანტობის, აგრესიის თვისებას. ასეთი განწყობები შინაგანად უბიძგებენ მას აუცილებელ შემთხვევაში მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომლის შესასრულებლად საჭიროა სიმკაცრე.

რუსთაველმა დაინახა, რომ ქართველში ისე, როგორც ყველა ადამიანში, ჩანერგილია მძაფრი აგრესიის უნარი, შურისძიების, სიმკაცრის ტენდენცია, მაგრამ ეს თვისებები შეადგენენ მისი პიროვნების სტრუქტურის ცალკეულ კომპონენტს, მასში წამყვანია სიკეთე, სიკეთისათვის თავგანწირვა, ზეციური, ქრისტიანული ზნეობრივი გრძნობების ხორციელ ადამიანთა შორის დამკვიდრება. აგრესია, დომინანტობა, შურისგება, მხოლოდ ერთ-ერთი იარაღია პირადი თუ მაღალი იდეალური მიზნების მისაღწევად, ამ მიზნებით ინტეგრირებულია მისი პიროვნება და დაძლეულია „ცოდვის“ გამომხატველი პიროვნული თვისებები. ქართულ მოდალურ პიროვნებაში ჭარბობს ზნეობრივად დადებითი თვისებები (პიროვნების ფსიქოლოგია ემყარება არა ლოგიკური კლასიფიკაციის პრინციპს, ერთი თვისების სიჭარბის პრინ-

ციპს — ტიპი არის პიროვნებაში ჭარბი თვისება ან თვისებათა კომპლექსი, რომელიც არ გამორიცხავს ამავე პიროვნებაში უფრო სუსტი სხვა თვისებების არსებობას). მოდალურ პიროვნებათა ხასიათში ჭარბადაა მოცემული თავშეუკავებლობის, თვითმართვის თვისებები, რომლითაც დაძლეულია და რეგულირებულია პიროვნების იმპულსურობა და აგრესიულობა. მთლიანი პიროვნების ყველა შინაგანი ძალა წარმართულია მაღალი მიზნის მისაღწევად.

ვეფხისტყაოსნის მოდალური პიროვნებები თავის სოციალურ როლებში განუხრელნი, უღალატონი, თავდადებული, კეთილი და მკაცრი მეთოდებით მოქმედი პიროვნებებია, მაგრამ პოემის საზოგადოებაში არიან ისეთი პირები, რომლებიც ღალატობენ საზოგადოების მოლოდინებს. აშკარაა, რომ პოეტი რეალურად წვდება ადამიანის ხასიათის მანკიერ მხარეებს, აღიარებს პოემის პერსონაჟებში ამგვარი ხასიათის თვისებების არსებობას, იგი აძაგებს ხასიათის უზნეო მხარეს, გაუტანლობას, უპირმტკიცობას, მრუშობას, ხასიათში შინაგანი ლოგიკის მოკლებულობას, ასეთი თვისებები ვერ ჩაითვლება რუსთაველის პოემის საზოგადოებაში მყოფი ძირითადი პიროვნების დამახასიათებლად, მაგრამ მათი არსებობა უეჭველია. ამგვარი ხასიათის ადამიანები ფართო გასაქანს პოულობენ პირადი ან მთელი ერის ცხოვრების კრიტიკულ სიტუაციებში.

პოემის ძირითადი პიროვნებების მე-ს გრძნობა ურთიერთმსგავსია. ყველას უმაღლეს დონეზე განვითარებული აქვთ ეს გრძნობა. იგი განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ცხოვრების კრიტიკულ პირობებში. მე-ს გრძნობა გულისხმობს სხეულებრივ მე-ს, თვითიდენტურობას, თვითპატივისცემას, თვითგანვრცობას, თვითხატს და მათს გამაერთიანებელ საკუთარი „ცხოვრების ფილოსოფიას“ — როცა პიროვნებაჰ იცის რა არის მისთვის ცენტრალური ღირებულებები — სიცოცხლის არსად ქცეული ქცევის მოტივები, რომელთა ნებელობით აქტივობაში გაშლა ემყარება შეძენილ ან თანდაყოლილ დიდი პიროვნული წონის განწყობებს.

პოემის გმირებში, როგორც მოდალურ პიროვნებებში, ნათლადაა მოცემული მე-ს იდენტიფიკაციის ცნობიერება, მათ ძალუძთ ცხოვრების კრიტიკულ პირობებში განიცადონ თავისი თავი, როგორც მთლიანობა, მათ აქვთ ცოდნა იმისა, თუ რა ამთლიანებს მათ პიროვნებას (მიუხედავად ცხოვრების მსვლელობაში მრავალი ცვლილებისა), ესაა მათი ცენტრალური მიზნების მიღწევისათვის განუხრელი აქტივობა. ამ აქტივობის წარმმართველია მეგობრობისა და სიყვარულის პათოსი, რომელთა განზოგადების ნიადაგზე ჩნდება მრავალი ჰუმანური შინაარსის თვისებები. საკუთარი მე-ს მიზნების მიღწევისა და თვითრეალიზაციისათვის ბრძოლა თხოულობს არა მხოლოდ აფილაციას, შინაგან

სითბოს, გულკეთილობას, სიკეთის გამომხატველი ხასიათის თვისებებით მოქმედებას, არამედ აგრესიულობის, დომინანტობიდან გამომდინარე ქცევის აქტივობას, მე-ს იმგვარ თვისებას, რომელსაც აქვს განზოგადების უნარი. იგი ეხება არა მხოლოდ პირად ცხოვრებას, არამედ მრავალ სოციალურ დამოკიდებულებას (პოემის გმირების მოქმედების არე მეტად ფართოა, იგი მოიცავს ცალკეული ერების, სახელმწიფოების, როგორც საკუთარი, ისე სხვების ცხოვრებას). იგი თვითგანვრცობადია, შეიძლება ეხებოდეს ეროვნულ და საკაცობრიო მნიშვნელობებს, ზოგადადამიანურ მიზნებს, ადამიანთა იდეის კონკრეტულ ადამიანში დამკვიდრების ჰუმანურ იდეას.

პოემის გმირების მე-ს კონცეფციის განხილვამაც დაგვარწმუნა, რომ მათ სჯერათ და სწამთ საკუთარი მიზნების მაღალი ღირებულება, გააჩნიათ მტკიცე დარწმუნებულობა მათი სიდიადისა, განვითარებული აქვთ თავისი ღირსების, საკუთარი თავის პატივისცემის (თვითპატივისცემის) გრძნობა. საკუთარ თავზე მათი წარმოდგენის შინაარსი გულისხმობს არა მხოლოდ პირად ცხოვრებას, არამედ სხვა ადამიანებს — სოციალურად ზემდგომ და ქვემდგომ ადამიანებს, ერების ურთიერთდამოკიდებულებას და აქედან აღმოცენებულ სოციალურ მოვლენებს (ომისა და მშვიდობის მოვლენებს), ამ პრობლემების გადაწყვეტაში ისინი აღვსილნი არიან თვითდარწმუნებულობით, მარცხის შემთხვევაში არ კარგავენ ადამიანური ღირსების გრძნობას, არ მიმართავენ თვითდამცირების გამომხატველ შინაგან განქიქებას (თავისი მიზნების მარცხის პერიოდში ტარიელმა შეინარჩუნა შინაგანი სიამაყე, თავისი იდეისადმი პატივისცემა. ამასვე ამტკიცებს ნესტანის წერილი ქაჯეთის ციხიდან. ავთანდილის მე-ს კონცეფცია მიუღწევლის მიღწევაში უშრეტი ენერგიის გამოვლენის და თვითდაჯერებული ოპტიმიზმის სრული გამოხატულებაა).

საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურის აყვავების პერიოდში ერის მოდალური პიროვნებების თავის თავზე წარმოდგენა კარგად შეესატყვისება მთელი ერის, როგორც პიროვნების მე-ს კონცეფციას. ეროვნული თვითცნობიერება, თვითხატი, აღბეჭდილია, ოპტიმიზმით, წარსულის სათავეების დიდი პატივისცემით, აწმყოში ძლიერების, საკუთარი ღირსების, უპირატესობის გრძნობით, მომავალში წარმატების იმედით, მთლიანში საკუთარი უპირატესობის ცნობიერებით, ერის ყველა მიზანი, განსაკუთრებით პოლიტიკურ სფეროში მიღწევა, როგორც ჰუმანური ისე მკაცრი აგრესიული მეთოდების გამოყენებით, უპირატესობა ენიჭება ჰუმანურ მიდგომას — ურთიერთსიყვარულს, მეგობრობას, შეწყალებას, ადამიანის ღირსების დიდ პატივისცემას.

თუ რამდენად სტაბილურია და გამძლე საქართველოს ძლიერების ხანაში გამოვლენილი ქართული ხასიათის სტრუქტურა, და ამ სტრუქტურის შემადგენელი ცალკეული თვისება, ამას გამოაჩენს დღევანდელი ქართველი ერის ხასიათის ექსპერიმენტული მეთოდებით კვლევის შედეგები.

В. Г. НОРАКИДЗЕ

ГРУЗИНСКИЙ НАЦИОНАЛЬНЫЙ ХАРАКТЕР ПО ПОЭМЕ ШОТА РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

С целью исследования отражающей национальный характер модальной личности в аспекте этнической психологии выполнен характерологический анализ поведения и переживаний персонажей поэмы, установлены существенные характеристики, модальные для эпохи создания поэмы. Установлено, что в эпоху возрождения грузинская модальная личность обладала чертами характера, свойственными целостной, внутренне интегрированной личности, когда личность переживает себя как человека свободной воли и установки к деятельности, мотивированные высокими моральными целями, являются настолько всеобщими, что они проявляются как по отношению к близким этническим и социальным группам, так и к другим народам и всему человечеству.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზეჭალა შანიძე

დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი

დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ძირითად ქართულ წყაროს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, რომელსაც დღეს მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ვიცნობთ. ივ. ჯავახიშვილმა ადრევე გამოთქვა აზრი, რომ უცნობი ავტორის მიერ დაწერილი თხზულება „ქართლის ცხოვრებაში“ შესატანად შეკვეცილი და ნარედაქციევი უნდა ყოფილიყო (8, გვ. 210). არსებობს ცნობა, რომ XIX საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა ნაწარმოების სრული ტექსტი, მაგრამ კიდეც რომ ვირწმუნოთ მისი სისწორე, თხზულების კვლევისათვის იგი არაფერს იძლევა, რადგან თვითონ მთლიანი ტექსტი არსად ჩანს. ამრიგად, ტექსტის დადგენისათვის ჩვენ კვლავ მხოლოდ და მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებს უნდა დავეყრდნოთ; ამავე დროს ისიც კარგად არის ცნობილი, რომ არცერთი ნუსხა, ე. წ. „ძველი“, ვახტანგის წინარედროინდელი რედაქციისა, XVI—XVII საუკუნეებზე ადრეული არ არის. მარიამისეული და ანასეული ნუსხების გამოცემები (ე. თაყაიშვილისა — 1906 და ს. ყაუხჩიშვილისა — 1942) კარგად გვიჩვენებს, თუ რამდენი ტექსტობრივი დამახინჯება განუცდია მრავალგზისი გადაწერის პროცესის შედეგად ამ ნუსხებში შეტანილ თხზულებებს. ა. შანიძე საგანგებოდ აღნიშნავდა XV—XVII სს. გადაწერილი ძველი ისტორიული თუ ლიტერატურული ძეგლების სავალალო მდგომარეობას და მათ შორის პირველად „ქართლის ცხოვრებას“ ასახელებდა (4, გვ. 222). განსაკუთრებით შერყვნილია ნაწარმოებები, რომლებიც ენისა და ტექსტის სტრუქტურის მხრივ რთულია: „დავითის ცხოვრება“, რომლის ავტორი უთუოდ დავითის თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირია, განსაკუთრებით საჭიროებს ტექსტოლოგიურ შესწავლას, რადგან იგი დაწერილია XI ს. ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი ავტორის მიერ. ნაწარმოებ ფორმათა სიხშირე ლექსიკაში, აღზევებული სტილი, ნათარგმნი სასულიერო მწერლობის კვალობაზე გამართული ვრცელი სინტაქსური კონსტრუქციები, ბიბლიურ პარალელებზე დაყრდნობილი პოეტური ტროპები ხშირად სრულიად გაუგე-

ბარი იყო გადამწერთათვის, ამიტომ ბევრი ადგილი ძველ ნუსხებშიც კი შერყვნილია და ზოგჯერ უაზროც.

ნაწარმოების ცალკე „აღდგენილი დედნის“ დაბეჭდვის აუცილებლობა ივ. ჯავახიშვილმა ადრევე აღნიშნა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის პირველსავე გამოცემაში (1916, გვ. 165). 1936 წ. დაწერილ წერილშიც იგი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ უმნიშვნელოვანესი ქართული ძეგლები ცალ-ცალკე უნდა იქნას გამოცემული (7, გვ. 266); მან თვითონვე გვიჩვენა ასეთი გამოცემის მაგალითები, თუმცა მის მიერ დამზადებული ზოგი უმნიშვნელოვანესი ძეგლის გამოქვეყნებას თვითონ იგი სიცოცხლეში ვერ მოესწრო („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, 1944, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, 1946).

მარი ბროსეს გამოცემა „ქართლის ცხოვრებისა“ (1849 წ.), როგორც დღეს კარგად არის ცნობილი, ემყარებოდა მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის სამ ნუსხას; ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოსულ „ქართლის ცხოვრებაში“ (I ტომი გამოქვეყნდა 1955 წ.) შეკრებილი იყო იმ დროს ცნობილი ყველა ძირითადი ნუსხა, მათ შორის ბროსეს დროს უცნობი — ანასეული, მარიამისეული და სხვები — სულ თხუთმეტი. ამ გამოცემამ უდიდესი როლი შეასრულა და იგი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას მკითხველისათვის. მაგრამ ამავე დროს სწორედ ამ გამოცემამ დაგვანახა როგორც ჩვენს ხელთ მყოფი ტექსტის საერთო სურათი, ისე მისი ტექსტოლოგიური შესწავლის შემდგომი აუცილებლობაც.

პირველი ცდა დავითის ისტორიკოსის თხზულების ცალკე გამოცემისა ტექსტოლოგიური გამოკვლევითურთ განხორციელებულია ჩვენს მიერ („ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, 1990); გამოცემისათვის გამოყენებული იყო ე. წ. „ძველი ჯგუფის“ ხუთი ნუსხა: ჭალაშვილისეული (C), ანასეული (A), მარიამისეული (M), მაჩაბლისეული (m) და კიდევ ერთი, რომელიც აღმოაჩინა ა. კლიმიაშვილმა 1959 წ. (3, გვ. 371). იგი გადაწერილია 1697 წ. სვეტიცხოველში არსებული დედნიდან, რომელიც უკვე 1546 წ. ჩანს და ერთადერთია „ძველი ჯგუფის“ ხელნაწერთა შორის, რომელიც დაწერილია ნუსხურად („ცხორებაჲ“ გვ. 27). ამ ნუსხაში, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ძალზე შერყვნილია ტექსტობრივად, ძველი ენობრივი ნორმები უფროა დაცული, ვიდრე მხედრულად ნაწერ ნუსხებში. „ვახტანგისეული რედაქციის“ ნუსხათაგან შერჩეული იყო სამი — რუმიანცევისეული (R), ჯანაშვილისეული (D) და თეიმურაზისეული (T), რადგან არსებულ ნუსხათა შესწავლამ დაგვანახა, რომ სხვები, უფრო გვიანდელი, დავითის ისტორიკოსის თხზულების შესასწავლად ახალ მონაცემებს არ იძლევა.

ამასთან დაკავშირებით უნდა შეინიშნოს: ისტორიკოსის თხზულებაზე მუშაობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების სისწორე „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ თხზულებათა ცალ-ცალკე შესწავლის აუცილებლობის შესახებ. კვლევისას გამოვლინებულ იქნა არა მარტო ამ თხზულების ტექსტისთვის საყურადღებო მონაცემები, არამედ გამოჩნდა ზოგიერთი გარემოებაც, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მთლიანობაში შესწავლისათვის შესაძლოა არ იყოს მნიშვნელობას მოკლებული; ეს შეიძლება ითქვას როგორც „ძველი ჯგუფის“ ნუსხათა რედაქციულ ჯგუფებად დაყოფაზე, ისე „ვახტანგისეული რედაქციის“ შესახებაც.

ისტორიკოსის თხზულების ტექსტის შესწავლამ და ნუსხათა შეჯერებამ გვიჩვენა, რომ „ძველი ჯგუფის“ ხუთივე ნუსხა შეიცავს ტექსტის ერთ რედაქციას. მათ საერთო დედნად (არქეტიპად) უნდა ვიგულისხმოთ არა ნაწარმოების ავტორისეული ტექსტი, არამედ ის, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ შესატანად იყო ნარედაქციევი და შეკვეცილი. ეს არ გამორიცხავს არსებულ ნუსხათა გარკვეული დაჯგუფების შესაძლებლობას; მაგალითად, MQm ჯგუფისათვის საერთო აშკარა ტექსტობრივი შეცდომები აშკარად გულისხმობს მათ წარმომავლობას ერთი შუამავალი დედნიდან („ცხორებაჲ“, გვ. 25—29, 130). ყველა ნუსხისათვის საერთო დედანი უკვე XII საუკუნეში უნდა არსებულიყო, რადგან დავითის ცხოვრების ტექსტის ძველი სომხური თარგმანი ძირითადად ჩვენთვის ცნობილს მისდევს. ის, რომ CAMQm ნუსხებში თხზულების ერთი რედაქცია გვაქვს, მტკიცდება იმით, რომ არცერთ მათგანში არ მოიპოვება სხვებისაგან განსხვავებული, შინაარსეულად მთლიანი თხრობა ავტორის მიერ აღწერილ პერიოდში მომხდარი ამბების შესახებ. ერთადერთი გამონაკლისი არის ეპიზოდი წმინდა გიორგის გამოჩენისა დიდგორის ბრძოლაში, რომელიც არ არის MQm-ში. დანარჩენ შემთხვევებში კი, როგორც ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, ვარიანტთა აბსოლუტური უმრავლესობა ისტორიკოსის თხზულებაში ტექსტის საგანგებო მიზანდასახული რედაქციული სწორების ან გადაკეთების შედეგი არ არის; ვარიანტები ძირითადად წარმოადგენს ტექსტის მრავალგზისი გადაწერის პროცესში დაშვებულ უნებლიე შეცდომებს, ტექსტის შემოკლებას (წინადადების ფარგლებში), რთულ სინტაქსურ კონსტრუქციათა გამარტივებას და მათ შეცვლას უფრო უბრალოთი, გაუგებარ სიტყვათა გააზრებას. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ხშირ შემთხვევაში სწორი ფრაზა აღდგენილია „ნაწილ-ნაწილ“, სხვადასხვა ნუსხათა მონაცემების მიხედვით; არსებითად, ეს არის ერთადერთი გზა ისტორიკოსის თხზულების ავტორისეულ ტექსტთან მეტ-ნაკლებად დაახლოებული „აღდგენილი დედნის“ (ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ) თავდაპირველი სახის გა-

სათვალისწინებლად. ჩვენს გამოცემაშიც ავტორისეული ტექსტის „აღსადგენად“ იმავე პროცედურას მივმართავთ.

ავტორისეული ტექსტის მეტნაკლებად სწორი სახით წარმოდგენა მნიშვნელოვანია არა მარტო იმისათვის, რომ მისი, როგორც ისტორიული წყაროს, სისწორე წარმოვიდგინოთ, არამედ იმისათვის, რომ გამოვაჩინოთ იგი, როგორც ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი; „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, როგორც თავისი ჟანრობრივი, ენობრივი და ლიტერატურული სპეციფიკის მქონე ნაწარმოები დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია, თუმცა ყველა სპეციალისტი ერთხმად აღნიშნავს ნაწარმოების ავტორის განსწავლულობას და თხზულების მაღალმხატვრულ ღირსებას.

ტექსტის სწორება-აღდგენა ენობრივ დონეზე, რა თქმა უნდა, მისი შინაარსეული მხრისთვისაც არის მნიშვნელოვანი, მაგალითად: იქ, სადაც მოთხრობილია, რომ დავითი ჩაუსაფრდა განძიდან შემოსულ თურქებს, ნათქვამია: „ლოჭინით კერძო მძოვარი ნახირი ქალაქისა წარმოიტაცონ“ (ასეა ადრეულ გამოცემებში, შდრ. ჩვენი გამოცემის ტექსტი, 73[1]). იმის მიხედვით, თუ როგორი დაწერილობით წარმოვადგენთ მსაზღვრელ-საზღვრულს, აზრი იცვლება. ქ ა ლ ა ქ ი ს ა (მიმართულებითი ბრ.) გულისხმობს „ქალაქის მიმართულებით, ქალაქისაკენ მიმავალს“, ხოლო თუ აღვადგენთ სავარაუდებელ ფორმას ქ ა ლ ა ქ ი ს ა ჲ (ნანათესაობითარ სახელობითს), მაშინ ეს სიტყვა იმის აღმნიშვნელი იქნება, რომ ნახირი „ქალაქისა თუ ქალაქის მცხოვრებთა“ კუთვნილება ყოფილა.

საზოგადოდ, ენობრივ ფორმათა უეჭველი დამახინჯება (ქართულში საერთოდ არარსებული ფორმების ან სიტყვათა ცალკეული, თავისთავად სწორი ფორმების უადგილოდ ხმარება და სხვა) იმდენად ხშირია ნუსხებში, რომ სავანგებო სწორება მოითხოვა. აქ უნდა დაისვას საკითხი: ასეთი სწორება უთუოდ გამართლებულია, მაგრამ საკითხავია: რა ფარგლებში? მაგალითად, ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობდა, რომ ზოგიერთი ახალი ენობრივი ფორმა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში შეპირობებულია იმით, რომ იგი საერო ლიტერატურის ძეგლია (ქც, გვ. 51). პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, შეიძლება თუ არა ეს კითხვა დავაყენოთ საზოგადოდ მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, რომელიც სხვადასხვა დროს დაწერილ, სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილ თხზულებათა კრებულს შეადგენს. რაც შეეხება კერძოდ „დავითის ისტორიკოსის თხზულებას“, მისი შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი მთლიანად ენის, სტილის, პოეტიკის თვალსაზრი-

---

[1] გამოცემაში თხზულების ტექსტი პარაგრაფებად დავყავით და ტექსტზე მითითებაც მათ მიხედვით ხდება.

სით XI საუკუნის სამწერლობო ტრადიციებს მიჰყვება და სწორედ ეს-
გარემოება განსაზღვრავს მისი ტექსტის დადგენის პრინციპებს. ამ გა-
რემოებას ისიც ამტკიცებს, რომ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) ნუსხუ-
რად ნაწერ Q ხელნაწერში, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი არ იცნობდა,
ენობრივი ფორმები ბევრად უფრო ახალია ნაწარმოების დაწერის
დროინდელ სხვა ძეგლების ფორმებთან; სირთულეს ქმნის ის, რომ
ზოგიერთი ფორმა კლასიკური ძველი ქართულის ბოლო პერიოდში
უკვე პარალელური ხმარებისაა (ძველი და ახალი), მაგრამ ავტორის
საერთო ენობრივ-სტილისტური კონცეფციის გათვალისწინებით შე-
ვეცადეთ გამოგვეყენებინა მისი დაწერის დროსათვის დამახასიათებე-
ლი საზოგადო ნორმები და ამასთან გამოგვეჩინა ავტორისათვის სპე-
ციფიკურიც. ამგვარი ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე ისტორიულ
თუ ფაქტობრივ რეალიათა გათვალისწინებით გასწორებულ იქნა ცალ-
კეული ფორმა თუ ტექსტის მონაკვეთი.

შეიძლება დავასახელოთ ასეთი შესწორების ზოგიერთი ნიმუში.

1. ნუსხებში და წინა გამოცემებში არსებული გაუგებარი სიტყვა
მ ა ს ლ ა თ ა („წარვიდა ღამე ყოველ მ ა ს ლ ა თ ა კაცითა ათასხუ-
თასითა“) სპეციალისტებმა მიიჩნიეს გაურკვეველი ადგილმდებარეო-
ბის მქონე ტოპონიმად. ჩვენი ვარაუდით, მ ა ს ლ ა თ ა არის არა ად-
გილის აღმნიშვნელი სიტყვა, არამედ ნუსხურად დაწერილი დედნის
დაქარაგმებული სიტყვის არასწორად გახსნის შედეგად მიღებული
დამახინჯება (არის მხოლოდ A-ში, გამოტოვებულია CMQm-ში). აქ
სავარაუდებელია მს˘ლთა, რომელიც უნდა ყოფილიყო მ ი ს ე უ ლ ი-
თ ა — „მისი საკუთარი, მისი“. მსგავსი ფორმები ძალზე ძველია, არის
ჯერ კიდევ „სინურ მრავალთავში“ და დადასტურებულია უფრო გვია-
ნაც, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ („ცნეს ნაქმრად ტარიელისად,
თქვეს: საქმე არს მ ი ს ე უ ლ ი“). ასეც არის შესწორებული ჩვენს
გამოცემაში („ცხორებაჲ“, გვ. 33).

თხზულების დასაწყისში ნახსენები ორი თურქი მხედართმთავრის
სახელი ნუსხებში სრულიად დამახინჯებულად არის მოცემული: იასი
ვინმე და ბუჟღუშ (ქც², 320). აღმოსავლური ისტორიული წყაროების
მონაცემებმა საშუალება მოგვცა აღგვედგინა ამ პირთა სახელების
სწორი თავდაპირველი ფორმა და გაგვეთვალისწინებინა ის ფონეტიკუ-
რი და გრაფიკული ცვლილებები, რომელთა შედეგადაც მიღებულია
სხვადასხვა ნუსხათა დამახინჯებული ვარიანტები. თავდაპირველი
ფორმები აღდგენილია ასე: ი ს ა ბ ა რ ი და ა ბ უ-ი ა ყ უ ბ
(„ცხორ.“ გვ. 86).

ასეთივე დამახინჯების შედეგად მიგვაჩნია თურქთა მიერ წაღებუ-
ლი ალაფის ჩამოთვლისას სიტყვა ბ ა გ რ ა ტ ე უ ლ ი, რომელიც
შემდეგ კონტექსტში გვხვდება: „სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლა-

«თანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეელნი პატიოსანნი“ [ქც², გვ. 319]. ამ სახით ეს სიტყვა მხოლოდ CA-შია, სხვაგან არის: გ ა რ ტ ე უ ლ ნ ი და მსგავსი დამახინჯებები. კონტექსტის მიხედვით, აქ კუთვნილების აღმნიშვნელი სიტყვა ზედმეტია; ჩამოთვლილია სრულიად კონკრეტული, პრაქტიკული დანიშნულების საგნები, სასმელი ჭურჭლები, რამაც მოგვცა საშუალება გვეევარაუდებინა აქაც ამავე მნიშვნელობის სიტყვა; ესეც ავტორის სტილისათვის არის დამახასიათებელი — სინონიმთა ხმარება და სტილისტური პარალელიზმის შექმნა; ჩვენ მიერ აქ ნავარაუდევია თავდაპირველი კ ა რ ა ს ე უ ლ ი — ბერძნული წარმოშობის სიტყვა, რომელიც იმ დროს ქართულში საკმაოდ გავრცელებული იყო; იგი აგრეთვე სასმისს აღნიშნავს და ნახმარია თვითონ დავითის ანდერძშიც, რომელიც მან შიომღვიმის ლავრას დაუწერა (არის ამ დროის სხვა ძეგლებშიც) („ცხორებაჲ“, გვ. 45).

დავითის ერთ-ერთი ბრძოლა თურქებთან მოხდა წყალდიდობის დროს. მტკვარი ადიდდა და გულდამშვიდებულმა თურქებმა ივარაუდეს, რომ მეფე ადიდებულ წყალზე ვერ გადავიდოდა. წყლის მდგომარეობის აღსანიშნავად ნუსხებში არსებულ ვარიანტთაგან ს. ყაუხჩიშვილს გამოცემაში შეურჩევია შემდეგი: გაცურდა დ ა უ ზ რ ა ვ ს ა წყალსა (ქც², გვ. 340); ეს იკითხვისი უმართებულოდ მიგვაჩნია, რადგან საგანგებოდ აღნიშვნა, რომ დიდი წყალდიდობის დროს წყალი დ ა უ ზ რ ა ვ ი, ანუ გ ა უ ყ ი ნ ა ვ ი ა, უაზრობაა. ჩვენი ვარაუდით, აქ უნდა გვქონოდა XI საუკუნეში საკმაოდ კარგად ცნობილი სპარსულიდან შემოსული სიტყვა — დ ა უ ჰ ა მ რ ა ვ ი — უთვალავი, უზომოდ ბევრი (აქედან არის წარმომდგარი დღევანდელი უ ა მ რ ა ვ ი).

სიტყვა დამახინჯებული უნდა იყოს გრაფიკულ ნიადაგზე — დედნის მ და ზ ასოების აღრევის გამო ეს შეიძლება მომხდარიყო როგორც ნუსხური, ისე მხედრული დედნიდან გადაწერისას — ნუსხებში ორივე შემთხვევის მაგალითები გვაქვს. შესაბამისად, ჩვენს მიერ ტექსტი გასწორებულია ასე: „გაცურდა დ ა უ ჰ ა მ რ ა ვ ს ა მას წყალსა“ („ცხორებაჲ“, გვ. 42).

დედნის მორფოლოგიური ფორმების დამახინჯების ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი — ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებულ დავითის მეომრებს, ნუსხათა საერთო ჩვენების მიხედვით, ს ა ნ თ ლ ი თ მოჰყავდათ ტყე-ღრეებში დამალული დატყვევებული მტრები (ქც², გვ. 328). ამ ადგილისათვის მ. ბროსესაც მიუქცევია ყურადღება და შენიშვნაში აღუნიშნავს, რომ უფრო მისაღები იქნებოდა ს ა ბ ლ ი თ ა. ჩვენი ვარაუდით, აქ უნდა გვქონდეს XI—XII საუკუნის ენისათვის ჩვეულებრივი ფორმა: გამოსვლითი მნიშვნელობით ნახმარი მოქმედებითი ბრუნვის ორმაგი ნიშნით (შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ თ ვ ა ლ-

თ ა თ ე. ი. „თვალებიდან“), რაც აზრობრივად სრულიად გამართულ ტექსტს იძლევა: ს ა მ ა ლ ა ვ თ ა ჲ ა თ ტ ყ ე თ ა და ღ რ ე თ ა ჲ ა თ — „ტყეებსა ღრეებში მდებარე სამალავებიდან“ („ცხორებაჲ“, გვ. 52). უნდა შეინიშნოს, რომ ს ა ნ თ ლ ი თ ა ფორმის მცდარობა შეუნიშნავს მ. წერეთელსაც, რომელსაც ეს ტექსტი გერმანულიდან აქვს ნათარგმნი (9, გვ. 52) და სანთლითა სიტყვის შესაბამისად გერმანულ თარგმანში აქვს სიტყვა (Versteken), რომელიც სწორედ ამას ნიშნავს — „სამალავი“, „საფარი“.

ნაწარმოების სტილისა და პოეტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სპეციფიკური სინტაქსი. თავისებურებათა შორის აღსანიშნავია განკერძოებული განსაზღვრებები, სიხშირე ერთგვარწევრებიან სინტაქსურ წევრთა ხმარებისა სინტაქსურ კონსტრუქციათა ყველა დონეზე და სხვა. ამ მოვლენათა გათვალისწინებით შესაძლებელია გავასწოროთ ზოგიერთი ადგილი.

ის მონაკვეთი ტექსტისა, სადაც გიორგი ჭყონდიდელია დახასიათებული, ხშირად ყოფილა მსჯელობის საგანი ისტორიკოსთა შორის. აზრთა სხვადასხვაობას სწორედ ტექსტობრივი დამახინჯება იწვევს. ტექსტის შინაგანი ჩვენებისა და სომხური წყაროს მოშველიებით ეს ადგილი აღდგენილია შემდეგი სახით: „მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, თავს-მდები სიყრმითგანთა პატრონის-მსახურებათაჲ“ („ცხორებაჲ“, გვ. 76) — აქ გვაქვს ავტორის სტილისათვის ჩვეულებრივი განსაზღვრება, რომლის მაგალითები ძალზე მრავლად გვხვდება ისტორიკოსის თხზულებაში.

ავტორის ენისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე ნიშანდობლივია სტილისტური სიმეტრია ანუ პარალელიზმი, რომელიც თხზულების პოეტიკის: ერთ-ერთი ყველაზე უფრო სპეციფიკური ნიშანია (იგი ამ ეპოქის სხვა თხზულებებსაც ახასიათებს): ადგილსა ყოვლად შ უ ე ნ ი ე რ ს ა და უ ნ ა კ ლ უ ლ ო ს ა, 28; მეფემან დავით, უ შ ი შ მ ა ნ და უ ძ რ ა ვ მ ა ნ გ უ ლ ი თ ა, 55; ნადირნი უ ც ხ ო ნ ი და ძ კ რ ა დ ს ა პ ო ვ ნ ე ბ ე ლ ნ ი, 65. ამის საფუძველზე წარმოვადგინეთ კონიექტურა, რომელიც ისტორიული ფაქტების გადმოცემის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილს ეხება: ავტორი აღნიშნავდა, რომ ერწუხის ბრძოლაში დავითმა „მ ც ი რ ე დ ი თ ა ლ ა შ ქ რ ი თ ა და გ ა ნ წ ი რ უ ლ ი თ ა ერითა დაჴოცნა სულტანისა იგი სპანი ურიცხუნი“ (ქც², გვ. 328).

გ ა ნ წ ი რ უ ლ იკითხვისს, რომელიც საერთოა ყველა არსებული ნუსხისათვის, დღემდე ეჭვი არ გამოუწვევია თავისთავად. სადავო იყო მხოლოდ, თუ სახელდობრ რა სახის ან როგორი ლაშქარი უნდა ყოფილიყო გ ა ნ წ ი რ უ ლ ი. ჩვენი აზრით კი, ავტორისეულ ტექსტში სხვა სიტყვა უნდა გვქონოდა: ლ ა შ ქ რ ი თ ა და ე რ ი თ ა სტი-

ლისტური სიმეტრიის წევრებია, იდენტური მნიშვნელობისა, ასევე სიმეტრიის წევრები უნდა იყოს მათი განსაზღვრებანი: ამიტომ მ ე ტ ა ნ ო ბ ა სიტყვის ფარდად სავარაუდებელია არა ბ ე ბ ვ ნ ა ნ ა ლ ი თ ა (როგორც ნუსხებშია), არამედ გ ა ნ წ ი ლ უ ლ ი თ ა. გ ა ნ წ ი ლ ვ ა ძველ ქართულში ნიშნავს „გაყოფას, განაწილებას". შესაბამისად გ ა ნ წ ი ლ უ ლ ი არის „გაყოფილი, ნაწილი, მცირე". გ ა ნ წ ი ლ უ ლ ი, როგორც სტილისტური სიმეტრიის წევრი, ზუსტად არის „ჩამჯდარი" ტექსტში და მისი გასწორების საფუძველს იძლევა („ცხორებაჲ", გვ. 91). უნდა შეინიშნოს, რომ სტილისტური პარალელიზმას „დაშლა", მისი წევრების გამოკლება (ხშირად ტექსტის დამახინჯებითაც) ცალკეულ ადგილებში თხზულების ტექსტის დამახინჯების ერთერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

დიდგორის ბრძოლის ეპიზოდი, რომელიც C-ში საერთოდ გამოტოვებულია, ხოლო A-ში ტექსტობრივად დამახინჯებული, MQm ნუსხებში გამოავლენს თხრობის სწორ თანმიმდევრობას, რომელიც სწორედ სტილისტური პარალელიზმის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს („ცხორებაჲ", გვ. 98).

დავითის ცხოვრების მკვლევრებს გამოვლინებული აქვთ მრავალი ლიტერატურული წყარო, რომლითაც სარგებლობდა ავტორი; ისინი უმთავრესად ბერძნული კლასიკური ცივილიზაციის სფეროს განეკუთვნება. მაგრამ დღემდე სათანადოდ არ არის გაანალიზებული ქრისტიანული მწერლობა, როგორც მემატიანის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკურ-ლიტერატურული კონცეფციის საფუძველი. ამის გარეშე კი შეუძლებელია არა მარტო მრავალი პოეტური სახის „გახსნა" ნაწარმოებში, არამედ ზოგიერთი ადგილის გარკვევა ტექსტის გაგების დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია ნაწარმოებში სასულიერო მწერლობის გავლენის გამოვლინება.

კვლევამ გამოავლინა ტექსტში მრავალი ბიბლიური ციტატა, როგორც აშკარა (წყაროზე მითითებით), ისე „ფარული"; თხზულების სიუჟეტური სიტუაციები ბიბლიურ მინიშნებებს შეიცავს. დავითი შედარებულია ბიბლიურ გმირებთან: ბიბლიურ დავითთან, გოლიათთან, ბესელიელთან, ეთან იზრაიტელთან, აგრეთვე ქრისტიანული ეკლესიის ისეთ წარმომადგენლებთან, როგორიც იყვნენ წმინდა ანტონი და ბასილი კესარიელი. ბიბლიური რემინისცენციები (თხზულებაში ასამდე ასეთი შემთხვევაა გამოვლინებული) საშუალებას გვაძლევს ტექსტის ზოგიერთი საეჭვო ადგილის შესახებ გამოვთქვათ მოსაზრება, მაგალითად, ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩანართად მიჩნეული შედარება ბოროტი მღვდელმთავრებისა ავაზაკებთან, რომლებიც ერდოდან ჩადიან და არა კარიდან შედიან (ქც², 327, შენიშვნა), სინამდვილეში ავტორისეული ტექსტის კუთვნილებაა („ცხორებაჲ", გვ. 117). ასეთივე ბიბლიური

ალუზიაა მიქცეული კედლად (კლდედ MQ, კლდეთა C, კლდე m, სულ არ არის A-ში), რომელიც ბიბლიის მიხედვით ჯერ-გად არის ცნობილი და „მამრს, მამაკაცებს საზოგადოდ“ აღნიშნავს („ცხორებაჲ“, გვ. 115).

სასულიერო მწერლობიდან არის აღებული აგრეთვე მრავალი შედარება. ავტორს კარგად სცოდნია ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანები; ზოგ შემთხვევაში პირდაპირ ჩანს, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ავტორს წყაროდ ჰქონდა ეფთვიმე მთაწმიდელის ან ეფრემ მცირის თარგმანები („ცხორებაჲ“, გვ. 121).

ასეთი განსწავლულობა ავტორისა, საერო და სასულიერო მწერლობის ცოდნის მსგავსი გამოვლინება, ვფიქრობთ, დამატებით არაპირდაპირ ცნობებსაც გვაწვდის ავტორის შესახებ: ეს იყო მწიგნობარი და ალბათ სასულიერო პირი.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ძველი ჯგუფის ყველა ნუსხა, მიუხედავად მათი სხვაობებისა, ამ თხზულებისათვის ერთი რედაქციის ტექსტს შეიცავს. ეს არ გულისხმობს იმას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ სხვა თხზულებებშიც (იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მათ დღეს ვიცნობთ) უთუოდ ასეთივე მდგომარეობა უნდა გვქონდეს.

ნუსხების ფილიაციის სქემა ჩვენ სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი, ვიდრე ს. ყაუხჩიშვილს და საურმაგ კაკაბაძეს („ცხორებაჲ“, გვ. 140), მაგრამ უდავოა, რომ ხსენებულ ხელნაწერთა მიმართება საერთო არქეტიპთან სხვადასხვაგვარია; ეს კი ნიშნავს, რომ ამის შედეგად ცალკეულ, ერთმანეთისაგან წარმომავლობით დაშორებულ ნუსხებში, შესაძლოა, ზოგიერთ თხზულებაში რედაქციული ცვლილებებიც შეეტანათ; ამასვე მოწმობს ის სხვაობებიც ნუსხათა შედგენილობებში, რომლებიც კარგად არის ცნობილი.

ვახტანგისეულ რედაქციასთან დაკავშირებითაც იგივე შეიძლება ითქვას: დავითის ცხოვრების ტექსტუალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ ვახტანგისეული „სწავლულ კაცთა“ ნარედაქციევი „ქ. ც-ბის“ ტექსტის სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვა ვითარება გვაქვს. ჩანართები, რომლებიც ვახტანგისეულ ნუსხებში არის და ერთბაშად მიანიშნებს „სწავლულ კაცთა“ ნამუშევარზე, დავითის ცხოვრებაში საზოგადოდ არ მოიპოვება. ერთადერთი ჩანართი, რომელიც დავითის ცხოვრებაში გვაქვს „ვახტანგის რედაქციის“ ადრეულ ნუსხებში, არის ჩანართი ანისის აღებისა და კატრონიკე დედოფლის საფლავის მონახულების შესახებ. RT-ში იგი არ ჩანს და ვახტანგისეულად ვერ ჩაითვლება. სხვა რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა, გარდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში საყოველთაოდ გატარებული სათაურების გავრცობისა, ამ ნუსხებში არ ჩანს. საზოგადოდ, იმ ყველა ნიშნიდან, რომელსაც

კ. გრიგოლია ვახტანგის რედაქციისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს (1, გვ. 199), „დავითის ცხოვრებას“ მხოლოდ საშ. შეეძლება შეეხებოდეს; მათგან უკვე მოვიხსენიეთ სათაურების—ვაგრცობა და ჩანართები (უკეთ, მათი უქონლობა), რაც შეეხება ტექსტის შესწორება-გამართვას, აქ ასეთი სურათი გვაქვს: ტექსტში არ გვაქვს მონაცემები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა გვევარაუდა, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონდა რაიმე ჩვენთვის უცნობი წყაროები. ჩვენს მიერ გამოვლინებული შეცდომები და დამახინჯებები, ნუსხათა სხვადასხვა ჯგუფებისათვის დამახასიათებელი, ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებშიც არის, რაც უეჭველად ადასტურებს, რომ ამ თხზულების რედაქტირების დროს ვახტანგს მხოლოდ A და M (ან მათი ტიპის სხვა ნუსხები) ჰქონია ხელთ. ამის კარგი მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ დიდგორის ბრძოლის ეპიზოდში RDT ნუსხები თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს A-ს დამახინჯებულ ტექსტს („ცხორებაჲ“, გვ. 98). ამავე დროს, ვახტანგს მის ხელთ მყოფი ნუსხებიდან შეურჩევია მისი თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტები, რომლებიც ხან A, ხან კი M ნუსხებს მიჰყვება („ცხორებაჲ“, გვ. 149—150). სხვა წყაროების კვალი აქ არ ჩანს.

აქ დგება შემდგომი საკითხი: შეიძლება თუ არა დავითის ცხოვრების ტექსტი RDT ნუსხებში „ვახტანგისეული რედაქციისად“ მივიჩნიოთ? ამ კითხვაზე პასუხი შემდეგნაირად უნდა გაიცეს. ეს არ არის გადამუშავებული, ახალი, ძველისაგან დიდად განსხვავებული რედაქცია თხზულებისა. „ვახტანგისეული რედაქცია“ დავითის ცხოვრებისათვის პირობითი ტერმინია; არსებითად ეს არის ცდა ტექსტის კრიტიკულად დადგენისა; ვახტანგი დავითის ისტორიკოსის თხზულებას მოექცა ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანს“ — ცნობილია, რომ ა. შანიძემ დაასაბუთა, რომ ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია ვახტანგის მიერ შეძლებისდაგვარად კრიტიკულად დადგენილი ტექსტი (5, გვ. 83). ვახტანგის მიერ ჩატარებული პროცედურა ტექსტზე იმავე ხასიათის მუშაობას წარმოადგენს, რასაც თანამედროვე გამომცემლისა; უნდა შეინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი წმინდა ენობრივი მორფოლოგიური ფორმა ვახტანგისეულ ხელნაწერებში უფრო შეესაბამება ძველ ნორმებს, ვიდრე „ძველი ჯგუფის“ ნუსხებში. არც ეს ნიშნავს, რომ ვახტანგს ჩვენთვის უცნობი ძველი ნუსხები ჰქონდა ხელთ; ასეთი შემთხვევები ერთეულია, დანარჩენ შემთხვევებში კი ვახტანგისეული ნუსხები ენობრივი თვალსაზრისით ისეთივე სიჭრელესა და შერყვნილ ენობრივ ფორმებს გვაჩვენებს, როგორიც ჩვეულებრივია XVIII ს. ხელ-

ნაწერთათვის საზოგადოდ. ამრიგად, „ქ. ც-ბის“ „ვახტანგისეულ-რედაქციის“ რაობაზე მსჯელობისას მასში შეტანილ თხზულებათა მიხედვით ცალ-ცალკე უნდა ვიმსჯელოთ, რადგან ცალკეულ თხზულებებში ერთგვაროვანი სურათი არ გვაქვს.

М. А. ШАНИДЗЕ

ТЕКСТ СОЧИНЕНИЯ ИСТОРИКА ДАВИДА

Резюме

В работе рассматриваются вопросы, связанные с изучением текста «Жизнеописания царя царей Давида», написанного неизвестным автором в первой половине XI века и дошедшего до нас лишь в сокращенном виде, в составе «Картлис Цховреба» («Истории Грузии»), в поздних списках XVI—XVII вв. Предложены чтения отдельных мест, отличающиеся от соответствующих мест в существующих изданиях. Текст произведения, хотя и представленный в списках различной группировки, выявляет наличие единой редакции. Существующие разночтения представляют лишь искажения и сокращения, допущенные в процессе неоднократного переписывания. В «Вахтанговской редакции»: текст «Жизнеописания Давида» также не является отдельной самостоятельной редакцией. Анализ текста показывает, что Вахтанг попытался установить, по мере своих возможностей, критический текст «Жизнеописания Давида» на основе списков известного нам типа: других, недоступных ныне источников для этого произведения Вахтанг в своем распоряжении не имел.

დასახელებული ლიტერატურა და შემოკლებები

1. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება. ნარკვევები ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, თბ., 1954.

2. ა. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების ერთი ახალი ნუსხა 1697 წლიდა. სმამ, ტ. IV, № 9, 1960.

3. ქც²: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.

4. ა. შ ა ნ ი ძ ე, დღევანდელი ვითარება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში. თხზულებანი, V, თბ., 1986.

5. ა. შ ა ნ ი ძ ე, ვახტანგის დედანი „ვეფხისტყაოსნისა“. თხზულებანი, V, თბ., 1986.

6. „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ. თბ., 1990.

7. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. მრავალთავი, V, თბ., 1975.

8. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1916 [ახალი გამოცემა: თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977].

9. Das Leben des Koenigs der Koenige Dawith... übersetzt von M. v. Tseretheli. Bedi Kartlisa, v. II—III, Paris, 1957.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ჭილაშვილი

ნეკრესის არქეოლოგიის დასაწყისი

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა მოპოვებულია მას შემდეგ, რაც იწყება ქართული ქალაქების გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ რეგიონში. ნაყოფიერი საველე სამუშაოების შედეგად არაერთი ანტიკური თუ შუა საუკუნეების ხანის ქალაქი იქნა აღმოჩენილი და საქართველოს ისტორიის ფურცლებს შეემატა მეტად მეტყველი ადგილები ხანგრძლივი პერიოდის როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე განსაკუთრებით კულტურულ-ისტორიული მდგომარეობის შესახებ.

ამ ბოლო ხანებში, ძველ ქართულ ქალაქებს, რომლებიც არქეოლოგიური შესწავლის ობიექტებს წარმოადგენენ, კიდევ ერთი ქალაქი მიემატა და იმ პირველი შედეგების მიხედვით, იმედი მოგვეცა, რომ საქმე გვაქვს მეტად მნიშვნელოვან ნაქალაქართან, რომლის შესწავლაც ბევრი ბუნდოვანი ისტორიული მოვლენის შესახებ გაგვამახვილებინებს ყურადღებას. ეს არის ქალაქი ნეკრესი — ისტორიული ჰერეთის და შემდეგ კი ისტორიული კახეთის ერთ-ერთი საყურადღებო პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ცენტრი, რომლის შესახებაც ორიოდე ცნობა თუ მოგვეპოვება წერილობით წყაროებში.

მაშ ასე, ჩვენი განსჯის საგანია ნეკრესის ნაქალაქარი და იქ ხუთი სეზონის (1984, 1986—1989 წწ.) განმავლობაში ჩატარებული საველე კვლევა-ძიების მოკლე შედეგების გაცნობა. ფაქტიურად საქმე ეხება ნეკრესის არქეოლოგიური შესწავლის დასაწყის ეტაპს, რომელსაც ფართო სადაზვერვო სამუშაოების პრეტენზიები ექნება მხოლოდ — ძირითადი საქმიანობა წინაა და მას ჩვენი ტემპების მიხედვით ალბათ რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება.

ვერ ვიტყვი, რომ ნეკრესში არქეოლოგიური გათხრები წინასწარ განჭვრეტილი და დაგეგმილი სამუშაოების ნუსხის მიხედვით იყოს წამოწყებული. ის სრულიად შემთხვევით დაიწყო და დაკავშირებული იყო დაცვითი სამუშაოების განხორციელებასთან ერთ-ერთი ძეგლის

გადარჩენის მიზნით. რაც შეეხება ნაქალაქარის დაზვერვებს, ასევე სამუშაოები არაერთი არქეოლოგის მიერ ყოფილა განხორციელებული ადრე, მათ შორის ჩემს მიერაც, განსაკუთრებით 1969 წლის შემდეგ, როდესაც მიხდებოდა გათხრების ჩატარება გავაზის და შემდეგ კი არეშის ნაქალაქარებზე. სწორედ ამ პერიოდში რამდენიმეგზის მოხდა ნეკრესის მიდამოების ხელყოფა დიდი მასშტაბის მიწის სამუშაოებით, რამაც კარგა ხანია ხელი ამაღებინა განზრახვაზე, — მეთხოვნა უფლება იქ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე, იმ მარტივად ასახსნელი მოტივის გამო, რომ ნაქალაქარი უკვე განადგურებული იყო. მაგრამ როგორც გამოირკვა, ხელის ჩაქნევა ნაადრევი ყოფილა და ამაში დავრწმუნდი 1984 წ. როდესაც ნეკრესის ნაქალაქარზე არსებული ერთ-ერთი ობიექტის გადარჩენის მიზნით არეშის ექსპედიციამ გადაინაცვლა ნეკრესის ნაქალაქარზე[1].

ნეკრესის ნაქალაქარი მდებარეობს ყვარლის რაიონში, რაიონული ცენტრიდან დასავლეთით 8 კმ-ზე, ყვარელ-თელავის შარაგზიდან მარჯვენა მხარეს 3 კმ-ზე, მთიანი კავკასიონისა და ალაზნის ველის შესაყარზე. ნაქალაქარს უკავია კავკასიონიდან გამომავალ ორ კონცხს შორის ვაკე ადგილი და ნაწილობრივ დღეს ტყით დაფარული ფერდობი. კონცხებს შორის მანძილი 1 კმ-ია. ერთ-ერთ, აღმოსავლეთის კლდოვან კონცხზე განლაგებულია ნეკრესის ადრექრისტიანული ხანით დათარიღებული (მათ შორის ერთი IV საუკუნით) ეკლესიების, მეცნიერებაში კარგად ცნობილი ანსამბლი. მის ძირში დაცემულ ადგილზე, რომელიც შილდის კოლმეურნეობის სავარგულს წარმოადგენს (12 ჰა სახვნელი მიწაა), 1981—82 წწ. ტერიტორიის გასუფთავების და სახნავად მომზადების მიზნით, დაუწყიათ მიწის ზევით არსებული ძველი ნაგებობების დანგრევა და მოსწორება. ასეთნაირად, ნაგებობა, რომლის კედლებიც მექანიზატორების გადმოცემით დაახლოებით 1,5 მ-ზე ჩანდა მიწის ზევით, დაანგრიეს და მოასწორეს, საფუძვლების ამოყრა კი ჯერ ვერ შესძლეს და მიატოვეს. ასე შევიტყეთ ძეგლის დანგრევა, აღვაკვეთინეთ იქ მიწის სამუშაოები და მიზნად დავისახეთ მისი შესწავლა თუნდაც საძირკვლების დონეზე, რადგანაც ეჭვიც არ შემპარვია, რომ საქმე უნდა გვქონოდა ნეკრესის რომელიღაც არქიტექტურულ ნაგებობასთან. მოსახლეობა ამ ადგილს „საკირეებს" ეძახდა, ნანგრევებიც კირის გამოსაწვავ ღუმლების ნაშთად იყო მიჩნეული.

---

[1] 1984 წ. ექსპედიციის შემადგენლობა: ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი), ვ. ცისკარიშვილი, ნ. აფხაზავა, კ. გოცაძე, გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, დ. აბჟანდაძე, ნ. ბახტაძე. 1986 წლიდან შემადგენლობა იცვლება: ლ. ჭილაშვილი, კ. გოცაძე, ნ. ბახტაძე, თ. კერესელიძე, დ. აბჟანდაძე, თ. ბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველე სამუშაოების დაწყებისას, პირველი რიგის ამოცანად, დავისახეთ „საკირეების“ ტერიტორიის გასუფთავება ტექნიკით დანგრეული კედლებიდან მომდინარე ქვა-ღორღისაგან. ფართობი საკმაოდ დიდია, დაახლოებით 30×60 მ. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წმენდის დროს ტექნიკა არ გამოგვიყენებია, ცხადი გახდება, რომ ორი სეზონის მუშაობა რომელიც ამ საქმეს მოხმარდა, არც ისე ხანგრძლივია, თანაც ღორღის გატანისას ხდებოდა ქვის მასალის გადარჩევა მომავალი საკონსერვაციო სამუშაოებისათვის და აგურ-კრამიტის ნამტვრევების გადაწყობა, რაც ასევე გარკვეული წესების და სიფხიზლის დაცვასთან იყო დაკავშირებული. სამწუხაროდ, უწესრიგოდ არეული და ადგილგადანაცვლებული მასის გამო ქვების დანიშვნას არავითარი აზრი არა ჰქონდა და მხოლოდ მათი განცალკევებით დავკმაყოფილდით.

ქვა-ღორღის გატანასთან ერთად, რამდენიმე ადგილზე მოისინჯა საძირკვლებიც და გამოჩნდა, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი არ დაზიანებულა და გეგმარების აღდგენის საშუალება არსებობდა, ასე იმედიანად ადგილის მოსუფთავებასთან ერთად, შევუდექით ხელუხლებელი კედლების გამოჩენასაც და სულ მალე დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილ რაღაც მონუმენტური ნაგებობის ნაშთთან. მონუმენტურობაზე მიუთითებდა კირდუღაბზე დიდრონი ქვებით ნაგები სქელი კედლები (სიგანე 1,6 მ) და ვრცელი სათავსები (სურ. 1, 2).

შემდგომმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ შედარებით ცუდად უნდა იყოს შენახული ნაგებობის ნაშთები ქვაყრილიანი ნანგრევების გარეთ და ხშირი ხვნის გამო ალბათ იმედიც არ უნდა გვქონდეს, რომ მივაგნებთ რამეს, მაგრამ ძირითად ზოლზე კი სადაც ქვა-ღორღი იყო გასატანი, დაახლოებით 75—80 მმ სიგრძეზე, სურათის აღდგენის საშუალება არსებობს და სწორედ აქ მოგვიხდა ძირითადი სამუშაოების წარმოება.

ძეგლზე სამუშაოების გაშლასთან ერთად ნაგებობა უფრო და უფრო რთულ სახეს იღებდა. პირვანდელი შთაბეჭდილება, რომ ის თითქოსდა მხოლოდ ქვა-ღორღის ფენის ქვეშ იქნებოდა მოქცეული, არ გამართლდა და კედლები გაგრძელდა როგორც ჩრდილოეთის ისე სამხრეთის მხარეს. თითქოს და ორი გრძივი კედელი ჩანდა, რომლის არეშიდაც იყო მოჭიმული რამდენიმე სათავსი, მაგრამ დაღრმავებისას გამოჩნდა რამდენიმე უცნაური დეტალი, თანაც სხვა სამშენებლო ფენისა, რამაც მთელ ფართობზე დაღრმავება და ყოველი მხრით თხრილის გაფართოება მოითხოვა. დასავლეთის ნაწილში გამოჩნდა ნალისებრად მორკალული კედელი, რომელიც მაშინვე აფსიდის ნაწილად ჩავთვალეთ და რამდენადაც რკალის წვერო მიმართული იყო აღმოსავლეთით,

ნაეკლესიარად ვიგულისხმეთ. აქ თითქოს მოულოდნელი არაფერია, მაგრამ ასეთივე მორკალული კედელი, წვეროთი სამხრეთით, გამოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში, რამაც ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია და როდესაც თხრილის სამხრეთ ნაწილშიც გამოჩნდა ჩრდილოეთით მიმართული მსგავსივე ნალისებრი აბსიდი (ეს უკვე მესამე), ცხა-

ნახ. 1

დი შეიქმნა, რომ აბსიდებით მორთულ მსგავსი ნაგებობების ანსამბლთან უნდა გვქონოდა საქმე, რაც წრის შესაკვრელად აღმოსავლეთით თხრილის გაფართოების საკითხს აყენებდა. 1989 წ. აღმოსავლეთის მხარესაც გამოჩნდა აბსიდიანი ნაგებობის ნაშთი, რომლის რკალის



ნახ. 2

წვერო დასავლეთით იყო დამხრობილი. ეს ნაგებობა ყველაზე ნაკლულად გამოიყურება. მისი გათხრა არ არის დასრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, დღევანდელი მონაცემებით, „საკირეებზე“ გათხრილი ნაგებობა მშენებლობის ორი ფენით უნდა წარმოვიდგინოთ, ქვედაა აბსიდიანი ნაგებობების ფენა, ზედა კი ციხე-დარბაზი, რომელიც ჩართული უნდა იყოს ქალაქის საერთო თავდაცვითი ნაგებობების სისტემაში (სურ. 2).

ქვედა ფენა წარმოდგენილია თითქმის ერთი გეგმარების ოთხი ნაგებობით (ერთის, აღმოსავლეთ მხარეს მდებარის, მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი), რომელთათვისაც განმსაზღვრელია სათავსის სწორკუთხა არე ერთ მხარეს არსებული აბსიდით. აბსიდის რკალის წვეროები მიმართულია ერთ შემთხვევაში აღმოსავლეთით, მეორე ნაგებობისა სამხრეთით და ასე, ჩრდილოეთით და დასავლეთით. აღნიშნული ნაგებობებით იქმნება არქიტექტურულ ნაგებობათა ანსამბლი, რომლის შემადგენელი ნაწილების რკალური კედლები ერთმანეთის პირისპირ არიან დამხრობილი. მათ შორის არე კი უკავია ოთხკუთხა ნაგებობას.

მოკლე აღწერა: ნაგებობა აღმოსავლეთით დამხრობილი აბსიდით ნაკლულია — დასავლეთის ნაწილი ხვნის დროს ჩამოუჭრიათ (აქ ბულდოზერის გატეხილი დანა იყო დადასტურებული). აბსიდი ძლიერაა მორკალული — ნამდვილი ნალია. რკალის წვეროებს შორის მანძილი 5.2 მ-ია. რკალის სიღრმე 3,6 მ-ია. ნაგებობის სამხრეთის კედელი აბსიდის კუთხიდან დაცილებულია 0,9 მ-ით. კედელი მიემართება დასავლეთით 2,7 მ მანძილზე, შემდეგ მორღვეულია. ჩანს კირ-დუღაბი და კედლის ნაშთი, პერანგის ქვები მოცლილი აქვს. კედლის სისქეა 1,65 მ. აბსიდის ნაწილი და მთლიანად ნაგებობის ინტერიერი დაახლოებით 0,6—0,8 მ სიმაღლეზე ამოვსებული იყო ქვიშის მსგავსი ფიქლის ფხვიერი მასით. შთაბეჭდილებაა, რომ ნაგებობა მწყობრიდან არის გამოსული საგანგებოდ — კედლებიდან მოხსნილია პერანგის ქვები (საძირკვლის ნაშთებიც კი) და იგი მოსწორებულია და შევსებული საამისოდ სპეციალურად მოზიდული ფიქალ-ქვიშით. მაშასადამე, ნაგებობა დაანგრიეს, ზედაპირი მოასწორეს ნიადაგის დონეზე და შემდეგ მისსავე ნაწილზე დააშენეს სხვა ნაგებობა, რისთვისაც გამოიყენეს აბსიდიანი შენობის ქვები. აქვე ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ზედა ნაგებობის კედლები ზოგ ადგილას ემთხვევა ქვედას კედლებს, ამიტომ ასეთ ადგილებში ქვედა ნაგებობის კედლები ხელუხლებელია.

ქვედა ფენის ნაგებობა ჩრდილოეთით დამხრობილი აბსიდით მდებარეობს თხრილის სამხრეთ ნაწილში (სურ. 3). აბსიდი აქაც ნალისებრია. აბსიდის რკალის წვეროებს შორის მანძილი 5,1 მ-ია, სიღრმე — 3,4 მ. მცირეოდენი სხვაობაა ზემოთ აღწერილთან შედარებით. აბსი-

დის დასავლეთის კუთხიდან კედლამდე 0,67 მ-ია. დასავლეთის კედლის სიგრძეა 6,4 მ, სიგანე ცენტრალური ნავისა — 6,25 მ. სხვა ზომები ვერ დგინდება ზედა ფენის ნაგებობის გამო. ნაგებობა სამი სიგრძივი არით უნდა იყოს შედგენილი. მშენებლობის ტექნიკა ისეთივეა, როგორიც ზევით აღწერილ ნაგებობისა. სამშენებლო მასალა მხოლოდ დიდრონი



ნახ. 3

ქვაა, კედლები ნაგებია კირ-დუღაბზე. კედლები შედარებით უკეთ არის შემონახული.

ნაგებობა სამხრეთით მიქცეული აბსიდით თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს (სურ. 4). აბსიდის რკალის წვეროებს შორის მანძილი 5,15 მ-ია, სიღრმე — 4,0 მ. კედლების სიგანეა 1,65 მ. ნაგებობის კედლები საგანგებოდ არის დანგრეული, მოხსნილია პერანგის ქვები. კედლების მიმართულება კირდუღაბის კვალით კარგად დგინდება.

ნაგებობა დასავლეთით დამხრობილი აბსიდით ითხრება თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში. ჯერჯერობით გამოჩნდა აბსიდის ჩრდილოეთ-დასავლეთი კუთხე და რკალის ნაწილი კირ-დუღაბის კვალით. მისი რესტავრაცია შესაძლებელია.

აბსიდიან ნაგებობებს შორის არსებულ არეში გაითხარა ვრცელი, თითქმის სწორკუთხა გეგმარების ნაგებობა (9,5×8 მ). აქაც მსგავსივე

ნახ. 4

სურათი გვაქვს — კარგად არის დაფიქსირებული კედელი მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში, არ არის შემორჩენილი დასავლეთის კედელი, ასევე სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-დასავლეთის კუთხეები (სურ. 5). სამაგიეროდ, აქ მთელ ზოლზე ისე კარგად შეინიშნებოდა კირ-დუღაბის ფენა, რომ სურათის აღდგენა აქ არავითარ სიძნელესთან არ იქნება დაკავშირებული. აქაც ანალოგიური ამბავია — კედლები

მოუშლიათ და გამოუყენებიათ ზედა ფენის ნაგებობის საჭიროებისათვის. სათავსოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი იყო ... ქმის კვადრატული ბაქანი (2,8×1,6 მ) თიხატკეპნილით მოგებული (ხანძრისაგან გამომწვარია). სათავსოს იატაკი აგურით იქნებოდა დაფარული, რომელიც ბულდოზერებით იყო დანგრეული. მთელ ფართობზე იყო მიმობნეული აგურის ნამტვრევები.

საბოლოოდ ქვედა ფენის ნაგებობების ასეთი სურათი შეიძლება წარმოვიდგინოთ: ნაგებობები ჰქმნიან ერთ ანსამბლს, რომელიც ვითარდება ოთხკუთხა ნაგებობის ირგვლივ. მის ოთხივე კედელს ებჯი-



ნახ. 5

ნება ოთხი სწორკუთხა ნაგებობა შედგენილი სამნავიანი თუ სამგრძელსათავსიანი ინტერიერით ოთხკუთხა ნაგებობის მხარეს დამხრობილი აბსიდით. წარმოდგენილი რეკონსტრუქცია სავარაუდოა და კორექტივები იქნება შეტანილი შემდგომი გათხრების შესაბამისად (სურ. 6).

როგორც ირკვევა, ქვედა ფენის ნაგებობები მწყობრიდან არის გამოსული წინასწარ მოფიქრებული და საგულდაგულოდ განხორციელებული ღონისძიების შედეგად — დაუნგრევიათ კედლები, საძირკვლიანად მოუთხრიათ, მიწის პირამდე მოუსწორებიათ დაფხვნილი ფიქლისებრი ქვიშით და შემდეგ კი შესდგომიან მონუმენტური ნაგებობის ციხე-დარბაზის მშენებლობას, ისე რომ ახალი შენობის კედლე-



Gab. 6

ბი დამთხვეოდა ძველი ნაგებობისას. ქვედა ფენის კედლებში არსად აგური არ არის გამოყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედა ფენის ნაგებობის კედლები მსგავსადვეა ნაგები ფლეთილი ქვით კირ-დულაბზე. გამოყენებულია ბრტყელი აგურებიც (სისქე მერყეობს 2—3 სმ შორის, სიგრძე 33—38 სმ). ნაგებობა საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო — დასავლეთის მხარეს გადაწვენილი კედლის ფრაგმენტის მიხედვით, რომელიც აგურის წყობას წარმოადგენდა და სასწაულად ხელუხლებლად იყო შემორჩენილი. კედლის სიმაღლე — 6 მ მაინც უნდა ყოფილიყო. ამ მანძილით იყო დაცილებული კედლის ფრაგმენტი კედლის გარეთა პირისაგან. დღევანდელი მონაცემებით, ზედა ფენის ნაგებობაში რამდენიმე მოზრდილი სათავსი შეიძლება გაირჩეს, მაგრამ ამჯერად ამ საკითხის გარკვევისაგან სჯობს თავი შევიკავოთ, რამდენადაც მომავალი გათხრები ბევრ კორექტივს გვპირდება ძეგლის მთლიანობაში გარკვევისათვის.

რაც შეეხება ქვედა ფენაში წარმოდგენილ ნაგებობათა ანსამბლს, აქაც, ცხადია, ბევრს მოველით შემდგომი საველე კვლევა-ძიებით, მაგრამ სურათი თითქმის იკვეთება დღესაც, ძეგლის მეტ-ნაკლებად რეკონსტრუირების საშუალება არსებობს და წინასწარული ვარაუდის გამოთქმისგანაც თავის შეკავებას აზრი არა აქვს, მით უმეტეს, რომ ძეგლის გამოჩენის საწყის ეტაპზევე შეგვიმუშავდა აზრი და უნდა ითქვას ერთადერთი, რომ ის საკულტო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო და მისი არქიტექტურაცა და განლაგებაც ფუნქციონალურად ერთ თემას ემსახურება. ეს არის შეკრული, ერთ სისტემაში თავმოყრილი სამსახური, რომლის ცენტრია ოთხკუთხა ნაგებობა. აი აქ იყრის თავს, თუ პირიქით აქედან ვრცელდება ირგვლივ აბსიდიან ნაგებობებში სულიერ იდეალზე დამყარებული რიტუალი, თუ წეს-ადათის სამსახური.

როდესაც ძეგლის ხასიათის განსაზღვრას ვისახავთ მიზნად, თარიღის გარეშე გაძნელებული იქნება მისი მეტნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენა და ამდენად ჯერ თარიღის გარკვევა ვცადოთ, რაც არც თუ იოლი საქმეა, რამდენადაც თხრის დროს არქეოლოგიური მასალები ცოტა იყო დადასტურებული, ისიც ერთგვაროვანი — წითელკეციანი თიხის ნაწარმის ნატეხები. აქ არის წითელპრიალა ნაწარმი, ყელწიბოვანი და ყურიანი დოქების ფრაგმენტები, რომელთა თარიღიც ანალოგების მიხედვით III—V საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს. ზედა ფენაში დადასტურებული დიდი ზომის ბრტყელი და თხელი აგურებიც III—V სს. დათარიღებას უჭერენ მხარს. ზედა ფენის ერთ-ერთი

სათავსის კარის ზღურბლზე დადასტურებული ნახანძრალის ფენიდან აღებული ნახშირის ანალიზმა ახ. წ. 420 წელი მოგვცა[2]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღის განსაზღვრისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ის ორიოდე წერილობითი ცნობაც, რომელიც ქართულ ისტორიულ ტრადიციას შემოუნახავს. ლეონტი მროველის მიხედვით, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც იმეორებს, ნეკრესის შენების დაწყება მეფე ფანაჯომს მიეწერება (ძვ. წ. II საუკ.). „ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენს. და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი"[3]. იმავე საუკუნის ბოლოს „ამან არშაკ განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი"...[4] ჩვენი ძეგლის მეორე ფენის მშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა მეჩვენება ლ. მროველისავე ცნობა, რომელიც მიბრიან მეფის მამამძუძის მირვანოზის საქმიანობას შეეხება. ეს არის ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისი: „ხოლო ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი"[5]. მაშ ასე, IV საუკუნის დასაწყისში ნეკრესში „მოუმტკიცებიათ" ქალაქის ზღუდენი და ეს ხდება აქ ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე. ვფიქრობ, თამამად შეიძლება წყაროს ამ ცნობის საფუძველზე, რა თქმა უნდა სხვა მონაცემების გათვალისწინებითაც, ზედა ფენის ნაგებობის შექმნა დავათარიღოთ IV საუკუნის I ნახევრით.

ეს უნდა ჩაითვალოს ქალაქ ნეკრესის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მომენტად, რაც განსაკუთრებული მსჯელობის საგნად უქცევია კიდევაც ისტორიკოსს. მაგრამ აქ მეორე მომენტია გასარჩევი და ისიც არც თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი. ქალაქის ზღუდის მომტკიცებისას ერთ-ერთი ყურადსაღები ძეგლი გაუწირავთ — დაუნგრევიათ და ციხე-დარბაზის კედლები ზედვე გადაუტარებიათ, მოუსპიათ რა მისთვის არა მარტო ფუნქციური ღირსება, არამედ, როგორც იტყვიან, მოუთხრიათ საფუძვლიანად. ხაზგასასმელია: ეს არის ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე, როდესაც მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა ახალნერგ სარწმუნოებასა და მანამდე არსებულ კულტებს შორის. შეეძლოთ თუ არა ციხე-სასახლის მშენებლობის საბაბით დაენგრიათ ქრისტიანული ტაძარი? ასეთი მაგალითები ჩვენში ისტორიამ არ იცის. ვიცით არაერთი შემთხვევა, როდესაც ეკ-

---

[2] ანალიზი ჩატარებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახშირბადის იზოტოპების ლაბორატორიაში. ხელმძღვანელი ც. ბურჭულაძე.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29.

[4] იქვე, გვ. 33.

[5] იქვე, გვ. 65.

ლესიას ამაგრებენ, მიუშენებენ კოშკებს, ზღუდეს ან სამეურნეო ნაგებობას, მისი დანგრევის და ზედ არასაეკლესიო შენობის დადგმის ... თხვევები არ არის ცნობილი. ნეკრესის მაგალითის მიხედვით არსებული სატაძრო კომპლექსი ადვილად გაწირეს, ისეთი შთაბეჭდილებაც კია, რომ ციხე-სასახლის მშენებლობა სწორედ აქ პირველ რიგში მის განადგურებას ისახავდა მიზნად.

აქედან გამომდინარე, მე ვუშვებ ვარაუდს, რომ ნაგებობის პირველი ფენა, რომელიც წარმოდგენილია ქრისტიანობამდელი სარწმუნოების ტაძრით, დანგრეულ იქნა საგანგებოდ, ქრისტიანობის დანერგვის ჟამს. ის საფუძვლიანად მოთხარეს და ზედ ციხე-სასახლე ააშენეს, რომელიც ამიერიდან ქალაქის დაცვის სისტემაში იქნა შეყვანილი, სავარაუდოდ წერილობითი წყაროს მიხედვით IV ს-ის პირველ ნახევარში.

ცხადია, ისმის საკითხი თუ როგორი მრწამსის მაღიარებელთა ტაძართან უნდა გვქონდეს საქმე ნეკრესის ნაგებობის მიხედვით. აქ ერთი გარემოების გათვალისწინებაა საჭირო. აღნიშნული ძეგლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით პირდაპირი ხაზით დაახლოებით 500 მეტრზე, კლდოვან კონცხზე მდებარეობს ადრექრისტიანული ხანის ძეგლების კომპლექსი, რომელიც გამოკვლეული აქვს და გამოქვეყნებული გ. ჩუბინაშვილს[6]. აქ მომდევნო ხანის ძეგლებიცაა შემორჩენილი. აღნიშნული ძეგლების რიგში გ. ჩუბინაშვილი გამოყოფს და ყველაზე ადრეულად — IV საუკუნისად მიიჩნევს ერთ მომცრო ნაგებობას, რომლის ირგვლივაც, შემდგომ, რამდენიმე ეკლესია იქნა აღმოცენებული. აღნიშნული უადრესი ეკლესია მეტად უცნაურია და თვით პატივცემულმა გიორგი ჩუბინაშვილმაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება: „Очень высок, вытянут — производит впечатление башни". მე აქ არ შევეხები ძეგლის გ. ჩუბინაშვილისეულ ინტერპრეტაციას, არც სხვა გამოთქმულ მოსაზრებებს, მხოლოდ ერთს შევნიშნავ — აღნიშნული ძეგლის დათარიღება IV საუკუნით არ უნდა იწვევდეს ეჭვებს, დამატებით აღნიშნულიდან, მიმაჩნია, რომ ის პირვანდელი დანიშნულებით წინაქრისტიანული სამლოცველო უნდა ყოფილიყო. მისი დღეობა, რომელიც დღემდე განსაზღვრულია საშობაო კულტმსახურებით, წინაქრისტიანულია და უნდა უკავშირდებოდეს მითრას. ცნობილია, რომ საშობაო დღესასწაული მითრას დაბადების დღის აღსანიშნავად იყო დაწესებული, რომელსაც შემდეგ, ქრისტეს ავტორიტეტის ასაწევად, ქრისტესშობასაც დაუკავშირდა, რაც რუდიმენტირებულია ნეკრესში. აღნიშნულის დასამტკიცებლად ორი სხვა მომენტიც შეიძლება მოვიშველიოთ: პირველი, რომ აქ დასტურდება ღორის შეწირვა და ის როგორც იშვიათი ფენომენი კვლავ არის შემორჩენილი — ნეკრესობის

---

[6] Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, I, с. 38.

რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. ტახი მითრას კულტთან დაკავშირებული ცხოველია[7]. მეორე: ნეკრესის IV ს-ით დათარიღებული ეკლესიის ერთ-ერთი შემორჩენილი ნაწილია აბსიდში მოთავსებული ღრმული, რომელიც კრიპტად არის მიჩნეული. მე ვფიქრობ, ეს არის პირვანდელი დანიშნულებით გათვალისწინებული მითრას მლოცველებისათვის. თუ ჩემს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული აზრი მისაღები იქნება, მაშინ ნეკრესის ანსამბლის IV საუკუნით დათარიღებული ქრისტიანული ეკლესიის პირვანდელი ფენა მითრას კულტმსახურების ადგილად უნდა იქნას მიჩნეული (მითრეუმი), რომელიც ქრისტიანობის დამკვიდრების ჟამს IV საუკუნეში ქრისტიანულ ეკლესიად გადაუკეთებიათ.

აღნიშნულ ძეგლზე ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილად ვცანი აბსიდებიანი ნაგებობების კომპლექსის გააზრებასთან დაკავშირებით, რამდენადაც მიმაჩნია ის წინაქრისტიანული რელიგიის საკულტო ნაგებობად. აქვე მახლობლად არსებული მათრას კულტმსახურების ტაძარი გვაძლევს უფლებას, რომ აბსიდიანი ნაგებობების კომპლექსიც მითრეუმად მივიჩნიოთ? ვფიქრობ, დადებითად შეიძლება ვუპასუხოთ დასმულ კითხვას, მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრ საბუთიანობას ვართ მოკლებული. უფრო მეტიც, აბსიდებიანი ნაგებობების კომპლექსი და უკვე ნახსენები ნეკრესის მითრეუმი (?) ერთი რიტუალის და ერთიანი დღესასწაულის კომპლექსური აღსრულების წევრები უნდა იყვნენ მეტოქ-მისალოცის და მთავარი ტაძრის მნიშვნელობით.

როდესაც ნაგებობის საკულტო დანიშნულებაზე გვაქვს საუბარი, ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს კვადრატულ ნაგებობაში დაცული აგურის ბაქანი, რომელიც, შესაძლოა, სამსხვერპლო ბაქნად იქნას მიჩნეული, ასევე უნდა მოვიხსენიოთ სამხრეთის აბსიდიან ნაგებობაში დადასტურებული თიხის მოზრდილი განიერმუცლიანი და ბრტყელძირიანი ქილის ქვედა ნაწილი, რომელსაც აშკარად ემჩნევა ცეცხლის

---

[7] ს. მაკალათიას აღწერილი აქვს სამეგრელოში შემორჩენილი დღესასწაული „მირსობა", რომელიც დიდმარხვის დაწყებამდე იმართებოდა და რომლისთვისაც საგანგებოდ ასუქებდნენ ღორს. ასეთ ღორს „ომირსე" ეწოდებოდა, (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ღვთაება მათრას კულტი საქართველოში, საქ. მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 186). მირსობის დღესასწაული მათრას კულტთან არის დაკავშირებული და ის თებერვალში სრულდებოდა. საყურადღებოა, რომ ძველ ქართულ კალენდარში თებერვალს „მიჰრაკანი" ერქვა (ბ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, საქ. მუზეუმის მოამბე, VI, 1931 წ. გვ. 437). თვის დასახელებაც, ეჭვი არ არის, მათრას სახელთან არის დაკავშირებული (მიჰრაკანი). სპარსეთში მიჰრის თვის 16-ში იმართებოდა მიჰრაკანის დღესასწაული, რომელიც მითრას დღეობად არის მიჩნეული (მითრაკანი). იხ. Cl. Huart, Ancient Persia and Iranian civilization, London and Henley, გვ. 189. აქ მიჰრაკანი შემოდგომის ბუნიობას ემთხვეოდა (Cl. Huart, იქვე, გვ. 158).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი. ძირის დიამეტრია 14,5 სმ. ფსკერზე სამფეხა საღგარის ნაშთი შემორჩენილი. ვფიქრობ, რაღაც რიტუალთან დაკავშირებულ ნივთს უნდა განეკუთვნებოდეს (სურ. 7).

წარმართულ კულტმსახურებასთან რომ უნდა გვქონდეს საქმე ჩანს ერთი შემორჩენილი ტოპონიმის მიხედვითაც. კონცხზე განლაგებული ანსამბლის ტერიტორიას „ნაზვრევი გორა" ჰქვია. ს. ორბელიანის განმარტებით, „ზორვა კერპთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი" ყოფილა, რაც კარგად მიესადაგება ადგილის დანიშნულებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთში მითრას კულტის ფუნქციური საქმიანობის შესახებ ძალზე ცოტაა ცნობილი,



ნახ. 7

შედარებით ნაკლები, ვიდრე რომაულ სამყაროში. ამიტომ იყო, რომ კლემენტ ჰუარტი (Huart), ირანის სიძველეების და ცივილიზაციის შესანიშნავი მკვლევარი, აღნიშნავდა: მისი (მითრას) „საქმიანობის შესახებ სპარსეთში არაფერი ვიცითო"[8]. ისიც არ ვიცით როგორი სინთეზი არსებობდა მითრასა და მაზდეანობას შორის და სად იყო მათ შორის შეხვედრის თუ დაშორების წერტილები. ნეკრესის შესასწავლი არქიტექტურული ანსამბლის განლაგების და სხვა თითქოსდა უმნიშ-

[8] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

ვნელო დეტალების მიხედვით მზის კულტის დაშვება აუცილებელია[9]. ჯვლავ უნდა მოვიშველიო საბა ორბელიანის ავტორიტეტი, რომლის თქმითაც მითრა თურმე „ძველის სპარსულის ენით მზე“ ყოფილა.

აბსიდიანი ნაგებობის ანსამბლი, როგორც ზევით ითქვა, დანგრეულია და მწყობრიდან გამოსული IV ს. დასაწყისში. რამდენ ხანს იყო მოქმედებაში, ძნელი დასადგენია. ვერაფერს ვამბობთ კულტის შემოსვლის გზების შესახებაც — რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა დასავლურს (რომაულს) თუ აღმოსავლურს (სპარსულს), რაც უფრო ნათელყოფდა ძეგლის თარიღს. ჯერჯერობით ახალი მასალების გამოჩენამდე სავარაუდოდ უნდა ვაღიაროთ ძეგლის დაფუძნება III საუკუნეში.

რაც შეეხება ზედა ფენის ნაგებობის თარიღს, როგორც ითქვა, მისი აგება უნდა ვივარაუდოთ IV ს. დასაწყისში, დანგრევა კი V—VI სს. მიჯნაზე. ჯუანშერის გადმოცემით: „ესხნეს ვახტანგსა ბერძენისა ცოლისაგან სამ ძე და ორ ასულ. ხოლო ძესა მისსა პირმშოსა პირველსა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი“[10]. სპარსელების შემოსევის დროს იმავე ჯუანშერის თქმით, მათ შეუმუსრავთ კამბეჩოვანი, ჭერემი და ველის-ციხე. ადვილი მოსალოდნელია, რომ ნეკრესიც, რომელიც მტკიცედ იყო მოზღუდული და გამაგრებული, სპარსელების მხედველობის არეში მოხვდებოდა და ზურგში ასეთ ძლიერ პუნქტს არ დაიტოვებდნენ დაულაშქრავს. ამიტომ უნდა დავუშვათ მისი დანგრევა ხსენებული ოპერაციის დროს. თუ ეს ყველაფერი რეალური სურათის ამსახველი იქნება, მაშინ ნეკრესის ციხე-დარბაზის თარიღად IV—V საუკუნეების აღიარებას წინ არაფერი უნდა გადაეღობოს. შემდგომი საველე სამუშაოები იმედია დააზუსტებენ თარიღებსაც და ძეგლების ფუნქცია-დანიშნულებასაც.

მეორე უბანი, რომელსაც ექსპედიცია სწავლობს, მდებარეობს ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში, იმ კონცხის სამხრეთის მხარეს, რომელსაც დასავლეთის ზღვრად ვთვლით. ადგილობრივი მოსახლეობა ადგილს ეძახის „ნაგებებს“, მთლიანად ყურეს კი „სამარხების სერს“. ორივე სახელი ყურადღებამისაქცევია, რადგანაც ძველ ძეგლებზე მიგვანიშნებს. ადგილზე დაზვერვისას ჩანდა ქვებით ნაგები კედლების ნაშთები, რამაც გადაგვაწყვეტინა აქ დაზვერვითი სამუშაოების წარმოება და პირველი წლის სამუშაოების შემდეგ კი (1986 წ.), ადგილის

---

[9] სამართლიანად არის შენიშნული, რომ მითრაიზმს, განსაკუთრებით მზის პატივსაცემად გამართულ მის დღეობებს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის კულტის ცალკეული ელემენტების ფორმირებასა და დადგენაში (История Византии, I, 1967, 147).

[10] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199.

პირაღებით გათხრა, რამდენადაც მეტად საყურადღებო ძეგლები იყო დაფიქსირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველე სამუშაოების პირველი შედეგი შეიძლება ადგილის ზედაპირული და მცირეოდენი გათხრითი საქმიანობით მიღებული შთაბეჭდილებით შემოვფარგლოთ, როდესაც დადგინდა, რომ საქმე გვაქვს სქელი კედლებით მოჭიმულ სამ დიდ არესთან. ექსპედიციამ პირველ რიგში ცენტრალური ვრცელი სათავსის შესწავლა გადაწყვიტა და შეუდგა მის პირაღებით თხრას. განსხვავებით „საკირეებზე" გათხრილი ნაგებობებისა, აქ კედლები სხვა ტექნიკითაა ნაგები — ფლეთილი ქვები ალაგია არა ჰორიზონტული წყობით, არამედ ვერტიკალურად. აგურები არ არის დადასტურებული, კრამიტების ნატეხები არის.

ექსპედიციამ სათავსის მთელ ფართობზე დაიწყო გათხრა და მთლიანად კონტურების გამოჩენას ორი სეზონი მოანდომა. ეს არის ოთხკუთხა ნაგებობა, რომლის კედლების პერიმეტრზედაც (გარდა სამხრეთის კედლისა) საწნახლები და ცისტერნებია განლაგებული (სურ. 8). ძეგლი რამდენიმე სამშენებლო ფენით არის წარმოდგენილი. ყველაზე ქვედა ფენაა ოთხკუთხა ნაგებობა, რომელიც პირობითად შეიძლება სასახლე-დარბაზს მივაკუთვნოთ; მისი მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, ის მარნად უქცევიათ — საწნახლები და ცისტერნები აუშენებიათ, შემდეგი მესამე ფენა უფრო ვრცელ არეს შეიცავს. არსებულ ნაგებობას დასავლეთის მხრიდან მთელ სიგრძეზე მიაშენეს თაღედით დამშვენებული და კამერულად გადახურული ღია პორტიკი, რომლის იატაკის დონეც გაცილებით მაღალია, ვიდრე მარნისა.

სასახლე-დარბაზის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ ის ვრცელ ადგილს მოიცავდა (დაახლოებით 400 კვ. მ), რომლის სახურავიც ქვით ნაგებ სვეტებს ეყრდნობოდა. შესასვლელი ჰქონდა დასავლეთიდან, რომელიც ქვით ნაგებ ორ სვეტზე მდგარა. რამდენიმე ნასვეტარი ინტერიერშიც არის დადასტურებული. სვეტები ნაგებია რიყის და ფლეთილი ქვებით და შემდეგ გალესილი მტკიცე ხსნარით, ისე რომ, ქვის ფაქტურა ჰქონდა მიცემული. აღნიშნული სვეტები ზუსტი ანალოგიაა არეშის ბაზილიკაში დადასტურებული სვეტებისა (V ს.). ერთი კარი დატანებული ჰქონია ჩრდილოეთის კედელშიაც. ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში, ქვედა ნაწილში, დადასტურდა ქვა ქართული წარწერით (სურ. 9).

სასახლე-დარბაზის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ აქ მარანი მოუწყვიათ. არსებული ინტერიერი შეუცვლიათ — ჩრდილოეთის კარი ამოუქოლავთ და საწნახელ-ცისტერნები მიუშენებიათ კედლებისათვის. სულ ხუთი საწნახელი და ორი ცისტერნაა გათხრილი. საწნახლები დანომრილია დასავლეთის, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლების მიხედვით, თანმიმდევრულად:

საწნახელი № 1 ნაშენია ფლეთილი დიდრონი ქვებით კირ-დოლაბზე. კედლები მოლესილი ყოფილა თხელი და მტკიცე კირხსნარით. სიგრძე — 6,5 მ. ჭრილში იგი თითქმის ნახევარწრიულია. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები ვერტიკალურია. აღმოსავლეთის კედლის ძირში, სამხრეთის კედლიდან 3-3 მ-ზე ვიწრო რკინის მილი აქვს დატანე-



ჭრილი I-I

ნახ. 8

ბული. საწნახელი მიდგმულია დასავლეთის ძირითად კედელთან. საწნახელის დასავლეთ კედლებში ჩატანებული იყო ქართულწარწერიანი ქვა. მეორე წარწერიანი ქვა სამხრეთის კედლის თავზე იდო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწნახელი № 2 პირველის მსგავსად მარნის დასავლეთის კედელზეა მიდგმული. ნაგებია დიდრონი ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე. ქვა-ლები მოლესილია მტკიცე ხსნარით, სიგრძეა 4,85 მ; შემორჩენილი სიმაღლე — 0,8 მ. ფსკერი ბრტყელია 0,4—0,5 მ სიგანისა. გრძივი კედ-

ნახ. 9

ლები ქვევით და ქვევით ფართოვდება და ფსკერის სიგანეც თანდათან კლებულობს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ფსკერზე რკინის მილი აქვს დატანებული. საწნახელში დადასტურებულია თიხის ჭურჭლის ნატეხები — წითელპრიალა, ჩალისფრად გამომწვარი, პატარა ზომის ჭინჭილები და ჯამების ფრაგმენტები, ანალოგიების მიხედვით IV—V საუკუნეებით დასათარიღებელი.

ცისტერნა № 1 ჩრდილოეთიდან ეკვრის მეორე საწნახელს, დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით მარნის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ, ისე რომ, ცისტერნის ჩრდილოეთის კედელი მარნის კედელიცაა. ცისტერნის ზომებია 3,4×1,82 მ. ჩრდილოეთი კედელი შემორჩენილია 2 მ სიმაღლეზე, დასავლეთისა — 1,5—2,0 მ-ზე. სამხრეთის კედელი — 1,1 მ-ზე; აღმოსავლეთის კედელი — 0,7 მ-ზე. ცისტერნის კედლები ისეთივენაირად არის ნაგები როგორც მარნის და საწნახლების კედლები. ყველა კედელი შიგნიდან გალესილია მტკიცე ხსნარით, რომელიც ალაგ-ალაგ ჩამოშლილია. იატაკი ქვის ფილებით ყოფილა მოგებული ისიც მსგავსადვე გალესილი. ცისტერნა სავსე იყო მიწით. იატაკზე ნაცრის ფენა იდო. ცისტერნის ჩრდილოეთ კედელში, დასავლეთის კედლიდან 0,45 მ-ზე დატანებულია ორივე მხრივ ქვებით შემოლაგებული არხი (0,2×0,17 მ), რომლითაც თიხის მილები შემოდიოდა ჩრდილოეთით მდებარე სათავსიდან.

ცისტერნა № 2 პირველის გვერდით მდებარეობს. მათ შორის არსებულ 0,9 მ სიგანის კედელზე, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით არის დაქანებული, ღარიანი კრამიტებით არხია მოწყობილი. აღნიშნული ცისტერნა პირველზე დიდია, მისი ჩრდილოეთის კედელი 2 მ-ზეა შემორჩენილი, სამხრეთისა — 0,7 მ-ზე; აღმოსავლეთის — 0,6—0,85 მ-ზე. სამხრეთის კედლის ძირში, დასავლეთის კედლიდან 0,32 მ-ზე შემორჩენილია თიხის მილი 7 სმ დიამეტრისა (მილის სისქით). ცისტერნის კედლები და იატაკი გალესილია.

საწნახელი № 3 მარნის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ არის მოწყობილი. ნაკლულია. შედარებით კარგად დასავლეთის ჩამკეტი კედელი ჩანს. ჩრდილოეთ კედლის წყობის მხოლოდ ორი რიგია შემორჩენილი, სამხრეთისა კი — ერთი. ამ კედლის ძირში, დასავლეთის კედლიდან 3 მ-ზე დატანებული ყოფილა თიხის მილი. საწნახლის სიგრძეა 6,15 მ, მოლესილი იატაკის სიგანეა 0,7 მ.

აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ ორი საწნახელია გაწმენდილი.

საწნახელი № 4. სიგრძეა 6 მ, იატაკის სიგანე — 0,6 მ. გალესილი ყოფილა მსგავსად სხვა საწნახლებისა. დასავლეთის კედელში, სამხრეთ კედლიდან 0,9 მ-ზე დატანებული აქვს თიხის მილი (დიამეტრი კედლის სისქით 6,5 სმ). მილი ჩასმული ყოფილა (ისევე როგორც პირველსა და მეორე საწნახელში) კირხსნარით ამოვსებულ ქვებში.

საწნახელი № 5 მეოთხე საწნახელის გაგრძელებაზე მდებარეობს აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ. ცუდად არის შემორჩენილი. ვარაუდით ანალოგიური უნდა იყოს სხვა საწნახლებისა. სიგრძეა 6,5 მ, ფსკერის სიგანე — 0,6 მ.

ზევით, მშენებლობის სამი ფენის შესახებ მქონდა საუბარი. სამწუხაროდ, თხრისას დადასტურებული არქეოლოგიური მასალების — ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადად კერამიკის, ცალკეულ შრეებად წარმოდგენა ვერ ხერხდება
და დათარიღება ანალოგიების მიხედვით მოგვიწევს. თიხის ნაწარმში
ჭარბობს წითელპრიალა და ჩალისფრად გამომწვარი ჭურჭლების ნა-
წილები, რომელთა ზოგადად ადრეფეოდალური ხანით დათარიღება
ეჭვებს არ უნდა იწვევდეს. აქ არის IV და V სს-ით დათარიღებული

ნახ. 10



ნახ. 11

ნაწარმის ანალოგიები — მცირე ზომის ჭინჭილის ნატეხები, ბრტყელ-
ძირიანი საშუალო ზომის ნაწარმის ფრაგმენტები და სხვ. კორდოვან
ფენაში დადასტურებულია მოჭიქული ნაწარმის ნიმუშებიც.

ყველაზე სენსაციურია ქართული წარწერების აღმოჩენა, რამაც გასაგები გარემოების გამო გააძლიერა ძეგლისადმი ინტერესი და გადაგვაწყვეტინა საველე სამუშაოების მასშტაბების გაზრდა.

წარწერა № 1 აღმოჩნდა 1986 წ. შესრულებულია ამოკვეთით ქვაზე (ქვის სიგრძე — 46 სმ; სიგანე — 17,5 სმ; სისქე — 7—7,5 სმ). წარწერა ოთხ რიგად არის განლაგებული (სურ. 10, 17). პირველსა და მეორე რიგში ორ-ორი ასოა, მესამეში სამი და მეოთხეში ერთი. ასოთა მოხაზულობა მერყეობს 2—4 სმ შორის.

 Շկ — აბ
Ъշ — ზა
Ղղԩ — გიგ
 Հ — ჩ

პირველი ორი სტრიქონი შეიძლება გადმოსცემდეს საკუთარ სახელს „აბაზა“ (?).

ნახ. 12

წარწერიანი ქვა აღმოჩნდა შენობის ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკიდან დაახლოებით 20 სმ-ზე. ის როგორც სამშენებლო ქვა ჩაშენებული იყო კედელში ჰორიზონტულად, მეორადი გამოყენებით. ამდენად, ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს ნასახლე-დარბაზის ფუნქციონირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა № 2 ამოჭრილია ქვაზე (ქვის სიგრძე — 68 სმ; სიგანე — 12—14,5 სმ). წარწერას უკავია 10,7 სმ. წარწერა ერთსტრიქონიანია, გამოსახულია ექვსი ასონიშანი (სურ. 12, 13).

ᲬᲣᲓᲠᲙᲣ — ლევაკი.

წარწერა აღმოჩნდა 1986 წ. № 1 საწნახლის სამხრეთ კედლის თავზე. ქვას სტელის იერი აქვს. წარწერით გადმოცემულია საკუთარი სახელი. ასოების სიგრძეა 2—3 სმ შორის.



ნახ. 13

წარწერა № 3 აღმოჩნდა 1987 წ. შესრულებულია სტელაზე, რომელიც ჩაშენებული იყო მეორადი გამოყენებით № 1 საწნახლის და-

სავლეთის კედელში, სამხრეთის კედელიდან 0,95 მ დაცილებით (ქვის სიგრძე — 69 სმ; სიგანე — 20—23 სმ. ასოების სიგრძეა 2—3 სმ ფორის). წარწერა ორსტრიქონიანია, შესრულებული ამოკაწვრით, ქვის კიდეში (სურ. 14, 15).

პირველ სტრიქონში შვიდი ასონიშანია.

ᏣᏍᏓᏍᏂᏆ (Ꮯ) — თობულ (ა)

მეშვიდე ასონიშანი ნაკლულია, მხოლოდ ქვედა რკალია შემორჩენილი. შეიძლება აღსდგეს Ꮯ (ა).

მეორე სტრიქონში ხუთი ასონიშანია:

ᏏᏣᏕᏅᏁ — სამნი.

ნახ. 14

წარწერა იკითხება: „თობულ (ა) სამნი“. პირველ სიტყვაში ალბათ საკუთარი სახელი უნდა ამოვიცნოთ. მეორე შეიძლება რიცხვითი სახელი იყოს, ანდა „სამანი“ მიჯნის აღმნიშვნელი სიტყვა. თუ ბოლო ვარიანტით წავიკითხავთ, შეიძლება ვიგულისხმოთ წარწერის და სტელის სახით საქმე გვქონდეს მიჯნის აღმნიშვნელ სტელასთან — სამანის ქვასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა № 4 აღმოჩნდა 1987 წ. ნამარნალის წმენდის დროს (ქვის სტელის ნატეხია. შემორჩენილია ნაწილი: 35×19 სმ). წარწერა, რომელიც ამოჭრილი ყოფილა ორ სტრიქონად, დაზიანებულია. რამდენიმე ასო ჩანს პირველ სტრიქონში (ს . . . ⵎⵓ), მაგრამ ვერ იშიფრება (სურ. 16, 17).



ნახ. 15

მეორე სტრიქონში რვა ასონიშანია. პირველი (Ↄⵓ), მეორე (ⵓⵓ), მეოთხე (ⵓⵓ), მეექვსე (ⵐⵓ), მეშვიდე (ⵍⵓ), მერვე (ⵐⵓ) კარგად ჩანს. მესამეს და მეხუთეს ნაწილები გადაშლილია და ვერ იკითხება.

წარწერა № 5 ძლიერ არის დაზიანებული. აღმოჩნდა 1987 წ. ნამარნალის თხრის დროს. ესეც სტელის ნაწილია (33×21 სმ), გამოყე-

ნებული ყოფილა კედლის მშენებლობის დროს. შეიმჩნევა მხოლოდ რამდენიმე ასოს მოხაზულობა (სურ. 18, 19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა № 6 აღმოჩნდა 1987 წ. ნამარნალის თხრის დროს. წარწერა შესრულებულია ქვევრის პირზე, ამოკაწრულია სველ თიხაზე,

ნახ. 16

გამოწვამდე. შემორჩენილია მხოლოდ წარწერის ნაწილი ორ სტრიქონად (სურ. 20, 21).

პირველი სტრიქონი სამი სიტყვისაგან შედგება. პირველი და მესამე დაქარაგმებულია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲚ ᲦᲐᲠᲗᲘ — მბ ესე ჭური.

მეორე სტრიქონი შედგება ექვსი ასოსაგან:

ᲓᲐᲕᲠᲒᲔ — დავრგე

წაკითხვა: „მბ ესე ჭური დავრგე“.

ზემოთ აღნიშნული ექვსი წარწერიდან ხუთი ქვაზეა ამოკვეთილი, რომელთაც სტელების ფორმა აქვთ. ხუთიდან სამზე საკუთარი სახე-

ნახ. 17

ლები ჩანს მოთავსებული. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სტელები წარწერებით შუა საუკუნეებში საფლავის ქვების დანიშნულებით გამოიყენებოდა. ასეთი მაგალითები ცნობილია



Бъв. 18

ბოლნისის სიონის, ბოლნისის „ლამაზი გორის“ და რუსთავის [illegible]ლების მიხედვით[11]. მაგრამ აღნიშნულ ძეგლებზე ან ჯვარია გამოსახული, ან ვედრება შეწყალების, მოხსენიების თაობაზე. ნეკრესის წარწერებში კი ასეთ რამეს ვერ ვხვდებით. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია და მეტად მნიშვნელოვანიც:



ნახ. 19

თუ ნეკრესის სტელების მიხედვით დავუშვებთ მათი საფლავის ქვებად გამოცხადებას, თანაც ქრისტიანული ცნობილი ფორმულების აღნიშვნის გარეშე, მაშინ ეს ერთხელ კიდევ გაგვამახვილებინებს ყურადღებას მათ სიძველეზე. რაც შეეხება № 3 წარწერას, სადაც თობულაა მოხსენიებული, როგორც აღვნიშნე, არ გამოვრიცხავ მის სამანის ქვად მიჩნევას.

---

[11] ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 73 და შემდეგ; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 148, 149, ტაბ. XXXVI—XXXXII.

რაც შეეხება წარწერების პალეოგრაფიულ მხარეს, ისინი ძველი ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ნიშნებით არიან ცნობილი: Ⴓ (ბ) თავშეკრულია, Ⴐ (ე), Ⴑ (ვ), Ⴔ (ლ) მარცხნივ გაზიდული ხაზების გარეშეა, ისე რომ მათი ჩათვლა ძველი ქართული წარწერების რიგში არ უნდა იყოს გადამეტებული სითამამის ნაყოფი.

წარწერების თარიღის განსაზღვრა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა მოხერხდეს სტრატიგრაფიული ფენებისა და თანმხლები არქეოლოგიური მასალების მიხედვით, რაც შემდეგნაირ სურათს იძლევა.

ზევით უკვე ითქვა, რომ ნეკრესის „ნაგებების“ უბანზე, ცენტრალურ ნაგებობაში მშენებლობის სამი ფენა გამოიყოფა: ყველაზე უძვე-



ნახ. 20

ლესია სასახლე-დარბაზი, რომლის შესასვლელიც, ქვით ნაგები მრგვალი სვეტებით იყო მოწყობილი და ასეთივე სვეტებზე დაყრდნობილი კამაროვანი სახურავი ჰქონდა. მეორე ფენაა მარანი, რომელიც მოუწყვიათ სასახლე-დარბაზის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ. მშენებლობის მესამე ფენაში ვგულისხმობ ვრცელ ნაგებობას, რომლისთვისაც დასავლეთის მხრიდან ღია პორტიკი მიუშენებიათ.

ქართული წერილობითი ცნობების მიხედვით ნეკრესში დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები წარმოებს IV საუკუნეში. ამ საუკუნის დასაწყისში მირვანოზმა „მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“[12], საუკუნის მეორე ნახევარში კი თრდატმა „აღაშენა ეკლესია

[12] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

ნეკრესისა"[13]. აი ამ დროს, ე. ი. IV ს. II ნახევარში არის საგულისხმებელი სასახლე-დარბაზის მშენებლობა. ეს კარგად დგინდება არქეოლოგიური მონაპოვრებით.

როგორც აღნიშნული იყო, № 1 წარწერა აღმოჩნდა სასახლის კედელში. ის ჩაატანეს როგორც სამშენებლო მასალა, მეორადი გამოყენებით. ის უფრო ძველია, ვიდრე სასახლე. მისი ფუნქცია შეწყდა სასახლის მშენებლობის დროს. აქედან გამომდინარე წარწერიანი ქვა უნდა დათარიღდეს IV საუკუნის პირველი ნახევრით მაინც. ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს ფენის თანმხლები კერამიკული მასალა — ზედაპირპრიალა ან შეღებილი, წითლად და ჩალისფრად გამომწვარი ნაწარმი, რაც ურბნისის ნაქალაქარის მონაპოვრების მიხედვით კარგად არის დათარიღებული IV საუკუნით. ტექნოლოგიური ხერხები რამდენადმე ეწევა ამ მასალას III საუკუნისაკენაც. წარწერების თარიღის

ნახ. 21

განსაზღვრისას, როგორც ყველაზე ქვედა ფენის შემცველი მასალისა, ანგარიშშია ჩასათვლელი თანმხლები კერამიკის ერთი ჯგუფი, რომელიც აშკარად ძველია, ვიდრე ზემოთ ნახსენები IV ს. მასალები, თუმცა ჯერჯერობით მათი ზუსტი განსაზღვრა არ შეგვიძლია. აი ამიტომ აღვნიშნავ წარწერების თარიღს პირობითად. რა თქმა უნდა, ეს თარიღი — IV ს. პირველი ნახევარი, არ არის მტკიცე, და ეს არის გამოწვეული ზემოთ აღნიშნული გარემოებით. კვლავაც გავიმეორებ და უფრო დავაზუსტებ: ფენის თანმხლებ არქეოლოგიურ მასალაში, რომელიც უნდა დაგვეხმაროს წარწერების დათარიღებაში, წარმოდგენილია, შედარებით ჭარბი რაოდენობით, მოწითალოდ და ჩალისფრად გამომწვარი პირმოყრილი ჯამები, მაღალი ქუსლით, კარგად გამომწვარი და გაპრიალებული, ზოგჯერ მოწითალოდ ან მოყავისფროდ შეღებილი ზედაპირით, რომელთა პარალელებიც ცნობილია რამდენიმე პუნქტიდან,

[13] იქვე, გვ. 137.

მაგრამ, სამწუხაროდ, თარიღის განსაზღვრაში ერთიანი აზრი არ არსებობს, თანაც მცდარობა რამდენიმე საუკუნეს მოიცავს. ასეთ ვითარებაში ნეკრესში აღმოჩენილი მასალების დათარიღებიდან, ამჯერად თავის შეკავება სჯობს და ქვებზე მოთავსებული წარწერების თარიღიც ჯერჯერობით IV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს. ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო, ეს ვერ ჩაითვლება საბოლოო თარიღად.

ვერ ვიტყვი, რომ წარწერები ერთი ხელით იყოს შესრულებული ანდა გრაფემების გამოყვანის ერთი სტილი ჩანდეს: № 2 წარწერა





ნახ. 22

(ლევაკი) აშკარად განსხვავდება სხვებისაგან კუთხოვანი მოყვანილობის ასონიშნებით, ერთმანეთს ძლიერ მიემსგავსებიან № 3 და № 4 წარწერები. აქედან გამომდინარე სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ მათი შექმნა ერთ რომელიმე ვიწრო ქრონოლოგიურ ჭრილში იყოს საგულისხმებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ქვევრის პირზე მოთავსებულ წარწერას, ის მარნის ფუნქციონირების დროისაა და თარიღად VI ს. შეიძლება მივიღოთ. სასახლე-დარბაზი მწყობრიდან არის გამოსული V—VI სს. მიჯნაზე „ბარბარეს კირეების“ ციხე-დარბაზთან ერთად. VI საუკუნიდან სასახლე-დარბაზს უცვლიან სახეს და იგი მარნად გადაუკეთებიათ — სასახლის ტერიტორიაზე აშენებენ საწნახლებს და ცისტერნებს.

VI საუკუნეში ნეკრესის ნაქალაქარზე მშენებლობის ახალი ტალღა ჩანს, რომლის დამადასტურებლადაც გამოდგება „ნაგებებში“ მარნის მახლობლად სამეკლესიანი ბაზილიკის დაფიქსირება. ექსპედიციამ მას მიაკვლია და გათხარა 1988—1989 წწ. (სურ. 22).

იგი წარმოადგენს სამეკლესიანი ბაზილიკების კარგად ნაცნობ ძეგლს, რომლის პარალელებიც კახეთის ამ რეგიონში საკმაოდ ბლო-



ნახ. 23

მად არის და პირველ რიგში კი ანალოგს პოულობს თვით ნეკრესის ანსამბლში შემავალ ძეგლთან. მისი თარიღი მეზობლად მდებარე არქიტექტურულ ნაგებობებთან შეპირისპირებითაც კარგად ისაზღვრება VI საუკუნით. ის ფუნქციონირებდა განვითარებულ ფეოდალურ ხანაშიც.

ექსპედიციის ერთი რაზმი 1986 წ. შეუდგა ქალაქის ზღუდის გამოვლენას და შესწავლას. როგორც ზევითაც ითქვა, ქალაქი ნეკრესი კავკასიონიდან გამომავალ ორ კონცხს შორის არის საგულვებელი, ოთა-მელსაც წერილობითი ცნობის მიხედვით თავისი ზღუდე ჰქონია. სწორედ ზღუდის ტრასა გამოდგა ის ბუჩქნარით და ეკალ-ბარდით დაფარული ზოლი, რომელიც ორივე კონცხის საშორისზე იყო გადაჭიმული. ექსპედიციამ ორი ადგილი მოსინჯა სადაზვერვო თხრილებით და ორივეგან გამოჩნდა კედლის ნაშთები, რომლებიც ეჭვგარეშეა ძველი გალავნის ნაწილები უნდა იყოს. ხშირი ხვნის დროს ეს ადგილები ძლიერ არის დაზიანებული და ზღუდის მხოლოდ სულ ქვედა ნაწილის მიგნება იქნა შესაძლებელი, წარმოდგენილი ქვების ერთი ან ორი რიგით. დღეისათვის სულ შესწავლილია ზღუდის ნაწილი 50 მეტრის მანძილზე. კედელი მშრალი წყობით ყოფილა ამოყვანილი დიდრონი ქვებით. სიგანე ყველგან 1,8 მეტრია (სურ. 23).

ასეთი სურათი შეიძლება წარმოვიდგინოთ ნეკრესის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ, რითაც ალბათ დავრწმუნდებით, რომ ექსპედიციას წინ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება ელის, რასაც დიდი ინტერესით შეხვდება ჩვენი საზოგადოება.

Л. А. ЧИЛАШВИЛИ

НАЧАЛО АРХЕОЛОГИИ НЕКРЕСИ

Резюме

В грузинской историографии о древнем городе Некреси известно очень мало — разве только искусствоведческие работы о комплексе христианских памятников раннего этапа, расположенных на возвышенном скальном мысу городища. Случайные находки на территории городища, а также археологические разведки, проводимые здесь, вместе с незначительными данными письменных источников, бесспорно указывают, что мы имеем дело с первостепенным памятником древней Грузии.

Археологическая экспедиция под руководством автора статьи приступила к полевым исследованиям Некреси после тревожного сигнала об уничтожении старого сооружения, находящегося в восточной части городища.

Экспедиция застала памятник в весьма плачевном состоянии — надземная часть была снесена механизацией, место было покрыто искусственно созданными развалинами. Экспедиции в первую очередь пришлось освобождать место от

груды развалин сооружения и вслед за этим приступить к раскопкам по обширной территории, занятой остатками стен. Место это местным населением именуется как «Сакирееби» (место сжигания извести).

Пять сезонов полевых разысканий (1984, 1986—1989 гг.) выявили остатки крупных сооружений, в которых можно выделить два строительных слоя. Верхний слой представлен постройками, условно относимыми к укрепленному дворцовому сооружению. На его монументальность указывают уцелевшие обширные помещения, выстроенные крупным булыжником на известковом растворе. Неполная длина памятника 70 м, толщина стен 1,6 м. Сооружение верхнего слоя датируется IV—V вв. (рис. 1—5).

Нижний слой представлен сложным комплексом архитектурных построек, который развивается вокруг крупного помещения квадратной планировки с сохранившейся маленькой площадкой из кирпича и обожженной глины. Со всех четырех сторон к квадратному сооружению примыкают сооружения удлиненной формы, с одной стороны заканчивающиеся подковообразной апсидой (рис. 6). По мнению автора, комплекс можно отнести к культовому сооружению дохристианской эпохи. На это указывают вышеназванная площадка-жертвенник (?) и фрагмент глиняного предмета, предназначенного для какого-то ритуала (рис. 7). Предположительно, разрушение комплекса датируется началом IV века н. э. В это же время на этом месте воздвигаются стены импозантного сооружения верхнего слоя.

Вторым объектом полевых работ экспедиции с 1986 года стало место на западном краю городища, которое местным населением называется «Нагебеби» («Место построек») или же «Самархебис сери» («Долина могил»). На этом месте экспедицией изучается часть огромного комплекса сооружений, состоящего по крайней мере из трех слоев архитектурных памятников. Постройки самого нижнего слоя, относимые к дворцовому сооружению, датируются IV—VI вв. н. э. К культурному слою, предшествовавшему дворцевому сооружению, относятся пять грузинских надписей, выполненных на камнях. На трех упомянуты собственные имена, две надписи сильно повреждены, не поддаются расшифровке (рис. 16—19). Надписи датируются первой половиной IV века. Их можно

считать самыми ранними надписями из известных на сегодня древнегрузинских надписей (рис. 9—15). Одна грузинская надпись сохранилась на венчике винного сосуда-квеври, датируется VI веком (рис. 20—21).

На этом же участке раскопана церковь типа трехцерковной базилики, датируемая VI веком.

Экспедиции удалось обнаружить трассу городской оборонительной стены протяженностью до одного километра. Кладка сухая, выложена крупными камнями. Ширина 1,8 м. Раскопана часть стены на растоянии около 50 м.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გვახარია

დავით აღმაშენებლის ეპოქა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ჩასახვა

გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული განვითარების პირობების წყალობით საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანულ სამყაროსთან. ეს კავშირი ნათლად აისახა ენაში, მატერიალური კულტურის ძეგლებში, ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში. სამწუხაროდ, ამჟამად მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება გავადევნოთ თვალი ამ ურთიერთობათა ნაკვალევს. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს კვალი ენობრივი მონაცემების შესწავლისას[1].

ასევე ადრიდანვე ვრცელდებოდა ირანული მითები და ლეგენდები მთელს ამიერკავკასიაში. მაგალითად, ლეგენდა მიუვალ მთაზე მიჯაჭვული ბევრასფ აჟიდაჰაკის შესახებ გვხვდება სომეხ ისტორიკოსთან მოვსეს ხორენაცისთან (V—VII სს.), რომლის „სომხეთის ისტორიაში" დაცულია მოკლე ქარგა ბიურასპ (ბევრასფ) აჟიდაჰაკისა და ჰრუდენის (ფერიდუნის) თქმულებისა[2]. აქვე მოვსეს ხორენაცი იძლევა ბიურასპის, ერთი შეხედვით, უჩვეულო დახასიათებას: მას თითქოს სურდაო, რომ ადამიანის ცხოვრება არ ყოფილიყო სხვებისათვის დაფარული, ქადაგებდა ქონების ერთობასა და უფლებათა თანასწორობას...

აქედან გამომდინარე, საინტერესო, თუმცა ჰიპოთეტურ დასკვნას გვთავაზობს სომეხი მკვლევარი ბ. ჩუკასზიანი: ხომ არ არსებობდა ძველად ისტორიული პირი, სახელად დაჰაკი, რომელიც ღარიბთა და უპოვართა ინტერესებს იცავდა? სახელის გასატეხად გაბატონებულმა ფენამ მიაწერა მას ბოროტი თვისებები, დაუკავშირა იგი აჰრიმანს და ეპითეტად მის სახელს დაუმატა „აჟი" (გველი)[3].

---

[1] მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.

[2] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თარგმნა ა. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 97—98.

[3] Б. Л. Чукасзян, Армяно-иранские литературные связи в V—XVIII веках, АКД, Ереван, 1962, с. 13.

ბევრასფის შესახებ არსებული ლეგენდა მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ აისახა „ქართლის ცხოვრებაში“. ლეონტი მროველს მთელი ციტატა აქვს წარმოდგენილი, ამასთან, თითქოს წყაროც არის დამოწმებული: „ხოლო მიერითგან განძლიერდეს სპარსნი მიერ მზისა აღმოსავლითგან, ნათესავნი ნებროთისნი. და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, „რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი, გუელთა უფალი, და დაბა მთასა ზედა, რომელ არს კაცი შეუვალიო“. ესევითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა...“[4] (ხაზი ჩვენია — ა. გ.).

უფრო მეტიც, ლეგენდიდან აღებული ფრაზა პ. ინგოროყვამ აღადგინა, როგორც გარითმული სალექსო ტაეპი (მესნევის ტიპისა), ხოლო მის წყაროდ ივარაუდა ფალაური „ხვატაი-ნამაკი“ („უფალთა წიგნი“):

„რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი გუელთა უფალი,
და დაბა მთასა [რაჲს] ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალი“[5].

აღსანიშნავია, რომ შემდგომში პ. ინგოროყვამ აღდგენილი სიტყვა „რაჲს“, რითაც მან შეავსო ნაკლული მარცვალი, შეცვალა სიტყვით „მას“ („დაბა მთასა მას ზედა“).

ლეონტი მროველის ამ ცნობასთან დაკავშირებით ორი მომენტი იქცევს ყურადღებას: 1) „მზისა აღმოსავლითგან“ არ უნდა იყოს ჩვეულებრივი გამოთქმა, იგი კონკრეტულ მხარეს გულისხმობს და წარმოადგენს სპარსული გეოგრაფიული სახელწოდების — „ხორასნის“ ფალაური ეტიმოლოგიის სიტყვასიტყვით თარგმანს: „ხორ“ („მზე“) + „ასან“ („ამომავალი“). ეს ეტიმოლოგია აისახა სპარსულ და ქართულ „ვისრამიანში“[6]; 2) „ბევრასფი, გუელთა უფალი“ შეესატყვისება ფალაურ-სპარსულ „ბევრასფ“ („10 000 ცხენის მფლობელი“) + აჟი-დაჰაკას („ცეცხლოვანი გველი“, „ბოროტი გველი“)[7]. ქართულის მიხედვით „დაჰაკას“ შეეფარდება „უფალი“, ხოლო მთელი გამოთქმა სპარსული ტექსტისა „ბევრასფ აჟი-დაჰაკა“ გაგებულია და თარგმნილი,

---

[4] ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის რედ.), I, თბ., 1955, გვ. 12—13.

[5] პავლე ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, ტფ., 1938, გვ. 7—8.

[6] ფახრედდინ ასად გორგანი, ვის ო რამინ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მ. თოდუამ და ა. გვახარიამ, რედაქტორი ქ. აინი), თეჰრანი, 1970, 291; ვისრამიანი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, რედაქტორი გ. წერეთელი), თბ., 1962, გვ. 169.

[7] ასეა ახსნილი სავარაუდოდ ეს სახელი სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. М. Н. Боголюбов, Заххак и Ажи-Дахака, Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока, Л., II, 1982, с. 76).

როგორც „ბევრასფი გუელთა უფალი“ (მძიმე მათ შორის საჭირო არ არის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში სავსებით იყო შემზადებული ნიადაგი კლასიკური სპარსული კულტურის ასათვისებლად, რადგან კარგად იყო ცნობილი მისი ძველსპარსული და ფალაური (საშუალსპარსული) საფუძვლები.

ამავე დროს, სწორედ დავით აღმაშენებლის ეპოქას ემთხვევა ახალი სპარსული მწერლობის აღმავლობა ირანსა და სხვა სპარსულენოვან რეგიონებში. შთამბეჭდავად არის დახასიათებული ეს პროცესი მოსკოველი ირანისტის კ. ჩაიკინის (1889—1939) წერილში, რომელიც მან თავის თბილისელ კოლეგასა და მეგობარს იური (გიორგი) მარს (1893—1935) გამოუგზავნა 1933 წლის 5 მაისს და რომელიც კარგა ხანს უცნობი იყო მეცნიერებისათვის: „მე, ჩემო ძვირფასო, აი როგორი წარმოდგენა შემექმნა (იგი წინასწარ „აკვიატებული“ კი არ გახლავთ, არამედ ლიტერატურულ ფაქტებზე დაკვირვების შედეგია) ჰიჯრის IV საუკუნეში (X ს. ა. გ.) ირანი განიცდის ჰუმარიტ რენესანსს. ისევე, როგორც ევროპაში, იწყებენ კულტურული წარსულის აღორძინებას. რუდაქი წერს „ქილილას“ (ინდურ-ბუდისტური კულტურული წარსული). აბულმოეიედი — „იოსებ ო ზელიხას“ (გებრაისტული კულტურული წარსული), სხვები და მათ შორის დაყიყი — ნაციონალურ ზოროასტრულ წარსულს აღწერს. რენესანსმა გადმოხეთქა ჰიჯრის IV საუკუნის საზღვრები და V საუკუნის პირველი მეოთხედიც მოიცვა. ფერდოვსი წერს „შაჰნამეს“ (ნაციონალური ეპოსი); მასვე მიეწერება „იოსებ ო ზელიხა“; ონსორი წერს ბუდისტურ რომანს, წერს ბერძნულ და, შესაძლებელია, ირანულ ან ირანულ-ბერძნულ რომანს. ამ რიგის უკანასკნელი თხზულებაა „ვის ო რამინი“. ერთი სიტყვით, საკუთარი თუ მახლობელი მეზობლების კულტურული წარსული აღორძინებულია პოეტური ძეგლების მძლავრი კრებულის სახით“...[8].

აქვე უნდა ითქვას, რომ კ. ჩაიკინის მსჯელობა მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ი. მარის ძიებებს საქართველოს უახლოესი მეზობლისა და მოკავშირის — შარვანის ლიტერატურული სკოლის უბრწყინვალესი წარმომადგენლების — ხაყანის, ფალაქის, ნიზამისა და სხვათა შემოქმედების ბუნდოვან მხარეთა შესწავლის გზაზე, კერძოდ, მათ ტიპოლოგიურ და კონტაქტურ შეხვედრებს აგრეთვე ამ ეპოქაში მკვეთრად გამოხატული ქართული საერო მწერლობის ჩასახვა-განვითარე-

---

[8] Ю. Н. Марр, К. И. Чайкин, Хакани, Незами, Руставели, редакция, предисловие, примечания С. М. Марр и А. А. Гвахария, Тб., 1966, с. 43—44 (თარგმნილია ჩვენს მიერ—ა. გ.).

ბის ტენდენციებთან. ი. მარმა ამ კვლევა-ძიებაში აქტიურად ჩაება საკავშირო აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის თანამშრომლები ვლ. ფუთურიძე, მ. ხუბუა, დ. გორდეევი. შემდგომში ამ საკითხებს საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს კ. კეკელიძემ, ალ. ბარამიძემ, შ. ნუცუბიძემ, დ. კობიძემ, ელ. მეტრეველმა, მ. თოდუამ და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე ლენინგრადელი (ე. ბერტელსი, ი. ორბელი, ა. ბოლდირევი, ო. ვილჩევსკი) და ბაქოელი (ზ. ბუნიატოვი, დ. ალიევა) კოლეგების ნაშრომები.

კვლევის ეს მიმართულება განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანდა, რადგან შარვანში, ირანულ-არაბული კულტურის თვალუწვდენ მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, ამ ერთგვარად მივარდნილ კუთხეში (კ. ჩაიკინის გამოთქმით — „დათვის ბუნაგში"), სულ რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე შეიქმნა პოეტური, პროზაული, მთარგმნელობითი, ლექსიკოგრაფიული და ისტორიოგრაფიული ჟანრის შედევრები[9]. ვერავითარი გეოგრაფიული ჩარჩოები ვერ ზღუდავდნენ მათ სწრაფ გავრცელებას. ხაყანის ყასიდები (ხოტბები) დაუყოვნებლივ იწვევდნენ მიბაძვებს ირანსა თუ შუა აზიაში, ხოლო ნიზამის პოემების პირველი გამგრძელებელი ინდოეთში მცხოვრები სპარსულენოვანი პოეტი ხოსროვ დეჰლევი (XIII ს.) იყო.

მითუმეტეს ნაცნობი და მახლობელი იყო შარვანის კულტურული ცხოვრება ქართველებისათვის. ერთ ე. წ. „ქრისტიანულ ყასიდაში" ხაყანი წერს: „ბაგრატიონთა კარი ღიაა ჩემთვის". მით უფრო ღია იყო შარვანშაჰთა კარი ქართველი მოღვაწეებისათვის და ამ კარის გაღების პატივი სწორედ დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, რ. მეტრეველი და სხვ.) კარგადაა გაშუქებული დავით აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლი მუსლიმ დამპყრობთაგან საქართველოს განთავისუფლების საქმეში, იყვნენ ეს თურქ-სელჩუკები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, განჯის ამირა კახეთში, არაბები თბილისში — ყველას მისწვდა მისი მსახვრალი მახვილი. მაგრამ აი რა არის განსაკუთრებით საყურადღებო ჩვენთვის: ძლევამოსილი მეფის დამოკიდებულება დამარცხებული მტრისადმი. ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით, თბილისის აღების შემდეგ „იგი თურმე გაჯავრებულ გულზე ჯერ მკაცრად მოჰპყრობია ქალაქის მცხოვრებთ, მაგრამ მერე, როდესაც გულის წყრომა დაუცხრა, ტფილისის მკვიდრთათვის ბევრი წყალობა უქმნია. დავით აღმაშენებელმა თურმე მაჰმადიანებს სხვადასხვა უპირატესობა მიანიჭა: ბრძანება გასცა, რომ ტფილისში ღორი არავის

---

9 З. М. Буниятов, Государство атабеков Азербайджана, Баку, 1973, с. 225—236.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკლა, მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსარების სრული თავისუფლება მიანიჭა და დააწესა, რომ საზოგადო აბანოში იმ დროს, როდესაც მაჰმადიანები იქ იყვნენ, ქართველები არ შესულიყვნენ"[10].

უფრო მეტიც, არაბი ისტორიკოსების გადმოცემით, „მას სუფიებისა და პოეტებისათვისაც თავშესაფარი აუგია, ხშირად, ქონებრივადაც დახმარება გაუწევია და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა"[11]. ცხადია, ყოველივე ეს გულისხმობდა უპირველესად პიროვნულ მომზადებასა და განსწავლულობას იმ ეპოქისათვის რენესანსულ სიმაღლემდე ასული არაბულ-ისლამური მეცნიერებისა და კულტურის ურთულეს საკითხებში. „გასაოცარი ეს არის, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — რომ დავით აღმაშენებელს საუცხოოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც. მუჰამმედი ალ-ჰამავი ამბობს, რომ მეფე დავითი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ხშირად იმაზეც-კი ეკამათებოდა, თუ კურანი როგორ და საითგან წარმოსდგაო"[12].

დავით აღმაშენებელი კარგად იცნობდა შუა საუკუნეების აღმოსავლური ადაბის (ცოდნის) ერთ-ერთ უპირატეს დარგს — ასტროლოგიას. პოეტურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში „გალობანი სინანულისანი", ერთგან იკითხება:

„ზენაჲსა მოძრაობისა
ასურასტანული ზმნობაჲ,
და ცთომილთა ვარსკულავთა
და უცთომელთა.

კრებაჲ და ვანყრაჲ, სუმ და ბედი და შობის დღე,
ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ"[13].

არსებობს ცნობა დავით აღმაშენებლისდროინდელ საქართველოში ობსერვატორიის არსებობისა. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით იოანე ჭიმჭიმელის (ზოგი მკვლევრის აზრით იგივე იოანე პეტრიწის) სახელით ცნობილი სახოტბო ლექსი, რომლის საკმაოდ დამახინჯებული ტექსტი მოთავსებულია „ისტორიანი და აზმანის" ბოლოში: „იოანე იტყვის ჭიმჭიმელი:

---

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 204.
[11] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.
[12] იქვე, გვ. 211.
[13] დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ე ლ ი, გალობანი სინანულისანი, თბ., 1989, გვ. 22.

„თუ თალი მილისეველმან სფერო შესახა შამსისი,
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგა დაყიყა ჯამსისი,
დავით, — ვთქვა, — ზესთა განდიდნეს, მით ჯრმალი ჯორცსა სჭამს მისი,
აქილევისებრ ძალითა მპყრობელად ელადს ჯამს ისი“[14].

ივ. ლოლაშვილის გააზრებით, ახალი ქართულით ეს ნიშნავს: „იოანე ჭიმჭიმელი ამბობს: თუ თალი მილისეველმა (ფილოსოფოსმა თალესმა) მზის სფერო (სიმრგვალე) გამოსახა (ან: სფეროს სიდიდე განსაზღვრა), ასტროლაბი მოიმარჯვა და ჯიმშედ ჯამის მინუტი უჩვენა, მე (უნდა) ვთქვა: დავითი (როგორც მეფე და მეომარი) განდიდდა (ამაღლდა, აღზევდა) უზენაესად იმით, რომ მისი ხმალი (მტრის) ხორცს სჭამს (მტერს მუსრს ავლებს), და მას მართებს (ან: ის ჯერარს) აქილევსისებრი ძალით ელადეთის მპყრობელი იყოს“[15].

ეს სტროფი საგანგებო განხილვას მოითხოვს, ზოგი რამ დასაზუსტებელია (ჯამსი აქ არ უნდა ნიშნავდეს ჯიმშედ მეფეს და სხვ.).

მაგრამ ერთი რამ ახლავე უნდა გასწორდეს: „მან ისტრულაბსა დასცა“ განეკუთვნება არა თალესს, არამედ აქ დავით მეფე იგულისხმება, ე. ი., თუ თალესმა მზის სფერო აღწერა, დავითმა იგი ასტროლაბზე (ასტრონომიული ხელსაწყო) გადმოიტანა და გამოსახა[16]. მთავარი მაინც ამჯერად ის არის, რომ მთელი ძირითადი ტერმინოლოგია აქ არაბულ-სპარსულია: შამსი (არაბ. მზე), დაყიყა (არაბ.-სპარს. მინუტი), ისტრულაბი (არაბული ფორმაა ბერძნული სახელწოდებისა). ყოველივე ეს კი ზუსტად ასახავს ავტორის (და, მაშასადამე, დავითის) თანადროულ ვითარებას.

დავით აღმაშენებელმა მუსლიმურ სამთავროებთან, კერძოდ, შარვანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად, სამხედრო კავშირებთან ერთად, კიდევ ერთი გონივრული ნაბიჯი გადადგა: მან თავისი უფროსი ასული თამარი მიათხოვა შარვანშაჰ აფრიდუნის ძეს ფახრედდინ მანუჩაჰრ II-ს. „დავითის მიერ თავისი პირმშო ასულის შარვანშაჰის მემკვიდრეზე დაქორწინების ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს მეფე შარვანთან კეთილ ურთიერთობას და მოკავშირეობას თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში“[17]. ორი სამეფო კარის დამოყვრებამ დადებითი შედეგი გამოიღო არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ დაახლოებასა და ურთი-

---

[14] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 114.

[15] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, მრავალკარედი, თბ., 1984, გვ. 4.

[16] სამწუხაროდ, ამ მოხსენების დაწერისას ჩვენთვის უცნობი აღმოჩნდა ასტრონომ გ. გიორგობიანის ნაშრომი ამ საკითხზე. საგულისხმოა, რომ ჩვენი ვარაუდი დაემთხვა სპეციალისტის მოსაზრებას.

[17] ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 125, 1968, გვ. 29.

ერთობაში. განსაკუთრებით ითქმის ეს თამარისა და მანუჩაჰრის ვაჟის შარვანშაჰ ახსათანის (ქართულ-სომხური წყაროების აღსართანი) მმართველობის წლებში (1156—1196).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარვანელი პოეტები კარგად იცნობდნენ საქართველოს, მის ისტორიულ, გეოგრაფიულ, კულტურულ რეალიებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ დავითის ვაჟის დემეტრეს გარდაცვალება დაიტირა ორმა ცნობილმა სპარსულენოვანმა პოეტმა ფალაქიმ (1107—1156) და ხაყანიმ (1120—1199), რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს ქართულ წყაროთა მწირ ცნობებს ამ ქართველი მოღვაწის შესახებ[18]. საინტერესოა, რომ ხაყანი შარვანელი დემეტრეს სპარსული კონსტრუქციით გაწყობილი არაბული ტიტულატურით მოიხსენიებს: „ჰუსამე მასიჰ" („მესიის მახვილი"), ხოლო მის ქვრივს — „ალემე აყლ" („გონების საუფლო"). ხაყანისვე ეკუთვნის ცნობილი „ქრისტიანული ყასიდა", მიძღვნილი, როგორც ვარაუდობდა ი. მარი, ანდრონიკ კომნენისადმი, რომელშიც მოხსენიებულია ბაგრატიონთა რეზიდენციები ნაჭარმაგევი და მუხრანი, ხოლო მის რობაიებში სარითმოდ ქართული სიტყვებიც კი იხმარება[19]. ასევე კარგად იცნობს და ხშირად იხსენიებს საქართველოს ნიზამი განჯელი, რომლის შემოქმედება ტიპოლოგიურად ახლოს დგას ქართულ საერო მწერლობასთან[20].

ცხადია, ანალოგიური ვითარება ბუნებრივად ირეკლებოდა მეზობელ, მოკავშირე და შარვანის მფარველ საქართველოში. ნ. ბერძენიშვილის ზუსტი დახასიათებით, „უკვე დიდი ხანი იყო, რაც ფეოდალური საქართველოს სულიერი კულტურა ქრისტიანობით აღარ ამოიწურებოდა. აღმოსავლეთის არაქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობას ქართველი ხალხისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული ფეოდალური საზოგადოება თანდათან მჭიდრო კულტურულ კავშირს აბამდა მეზობელი ქვეყნების ფეოდალურ საზოგადოებასთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სარწმუნოებისანი იყვნენ ეს მეზობლები. ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ამ ახალ საფეხურზე აღორძინდა ქართული საერო მხატვრული მწერლობა და პოეზია. მეზობელ ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე

---

[18] З. М. Буниятов, Грузия и Ширван в первой половине XII века, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ,, 1966; О. Л. Вильчевский, Ода Хакани грузинскому царю Димитрию I, сб. Исследования по истории культуры народов Востока. М.—Л., 1960.

[19] Ю. Н. Марр, К вопросу о позднейших толкованиях Хакани, сб. Хакани, Незами, Руставели, I. М.—Л., 1939.

[20] ა. გვახარია, ნიზამი და საქართველო, „მნათობი", № 12, 1953; Д. Алиева, Из истории азербайджанско-грузинских литературных связей. Баку, 1958.

საქართველოში თანდათან გავრცელდა აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურა, მეცნიერება"[21].

ბუნებრივია, შარვანის განთქმული პოეტური სკოლა, ეროვნულ-ენელთა შემოქმედების კარგმა ნაცნობობამ და სიახლოვემ თავისი ნაყოფი გამოიღო საქართველოში, კერძოდ, ქართულ საერო მწერლობაში (თემატიკა, მხატვრული ხერხები, ჟანრის ადაპტაცია). ჩვეულებრივ, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას XII საუკუნის მეორე ნახევარს, თამარის ეპოქას უკავშირებენ, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი დასაწყისი სწორედ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანას ემთხვევა, საფუძველი მას უფრო ადრე უნდა ჩაყროდა.

ჯერ კიდევ ნიკო მარმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ „ნინოს ცხოვრების" X საუკუნის ხელნაწერში ქართული ასოებით ჩაწერილია მთელი ფრაზა ახალსპარსულ (ფარსი-დარი) ენაზე (რომელშიც ჩართულია ერთი არაბული სიტყვა „რასულ-წინასწარმეტყველი"). იქვე დართული ქართული თარგმანის დახმარებით ნ. მარმა გონებამახვილურად აღადგინა გადამწერის მიერ დამახინჯებული სპარსული ტექსტი[22].

სქოლიოში აღნიშნულმა ამ, ერთის შეხედვით, უმნიშვნელო დეტალმა ძალზე დიდ დასკვნამდე მიიყვანა მკვლევარი: „ნინოს ცხოვრების" ეს რედაქცია საეჭვოა IX საუკუნეზე ადრე დათარიღდესო. დღეს გამოთქმულია ვარაუდი ამ ძეგლის ადრინდელობისა და სპარსული ფრაზის მოგვიანებით ჩამატების შესახებ[23]. ჩვენთვის ამჯერად სხვა რამ არის მთავარი: X ს. ხელნაწერში ახალსპარსულზე დადასტურებული ფრაზა და მისი ზუსტი ქართული თარგმანი მოწმობს, რა დროიდან შეეძლოთ ქართველებს ამ ენაზე დაწერილ თხზულებათა გაცნობა. კარგა ხანს ყურადღების გარეშე დარჩენილ ამ ფაქტს სათანადო შეფასება მისცა ვ. გაბაშვილმა: „არ შეიძლება ყურადღება არ მიექციოს ახალი სპარსულის დადასტურებამ „შატბერდის კრებულში" (X ს.). მისი მნიშვნელობა ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ახალმა სპარსულმა სახელმწიფო და სალიტერატურო ენის ადგილი დაიკავა IX—X სს. ეს კი იმის უტყუარ მოწმობას წარმოადგენს, თუ

---

[21] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 48.

[22] Н. Марр, Хитон господен в книжных легендах армян, грузин и ассирийцев, Сборник статей учеников В. Р. Розена, СПб., 1897, с. 7.

[23] დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. მ. ჩხარტიშვილის საინტერესო მონოგრაფია „ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები" („ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი"), თბ., 1987; იხ. აგრეთვე მისი რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილისეული თარგმანი „Обращение Грузии". Тб., 1989.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სწრაფად ვრცელდებოდა აღმოსავლეთის ახალი მოვლენები საქართველოში"[24].

ამრიგად, XI—XII საუკუნეებისათვის შექმნილი ვითარება როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და, განსაკუთრებით, მეზობლად, ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას. გზა ამ ურთიერთობისა, სპარსულენოვანი პოეტური კულტურის ნაცნობობისა და ათვისებისა კი, პირველ ყოვლისა, შარვანზე გადიოდა. ამ გზით შემოდის დავითის მიერ დამარცხებული თურქ-სელჩუკთა კარის მოხელის ფახრედდინ გორგანის მიერ შექმნილი რომანული შედევრი „ვისი და რამინი" საქართველოში და მისი დაწერიდან სულ რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ ბრწყინვალე ქართულ პროზაულ ძეგლად „ვისრამიანად" მოგვევლინება. ამ დროს უნდა თარგმნილიყო ფირდოუსის „შაჰნამე", ოდნავ მოგვიანებით ნიზამის პოემები, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ქართველი მეხოტბენი მშვენივრად იცნობდნენ და ითვისებდნენ ხაყანისა და ფალაქის პოეტურ მიღწევებს ყასიდის შემდგომი სრულყოფის დარგში. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ეს რეგიონი დაედო საფუძვლად ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის ცნობილ თეორიას.

ხოლო საფუძველი ყოველივე ამას, როგორც ითქვა, ჩაუყარა „საქართველოის ყოვლის მპყრობელმან" (ანა კალანდაძე) დავით აღმაშენებელმა.

P. S. 1989 წლის დეკემბერში აღინიშნა დავით აღმაშენებლის ტახტზე ასვლის 900 წელი თბილისში და ნიზამის „ლეილისა და მაჯნუნის" დაწერის 800 წელი ბაქოში. „ლეილი და მაჯნუნი" ნიზამის დაუკვეთა შარვანშაჰ ახსათანმა, რომელიც იყო დავით აღმაშენებლის შვილიშვილი!

А. А. ГВАХАРИЯ

ЭПОХА ДАВИДА СТРОИТЕЛЯ И ЗАРОЖДЕНИЕ ГРУЗИНО-ПЕРСИДСКИХ ЛИТЕРАТУРНЫХ СВЯЗЕЙ

Резюме

С именем Давида Строителя (1073—1125) связано политическое и культурное возрождение Грузии. К началу XII века он сумел не только освободить ее от нашествия

[24] ვ. გაბაშვილი, საქართველო და აღმოსავლეთი (V—X სს.), კრებ. „საქართველო და აღმოსავლეთი", თბ., 1984, გვ. 23.

внешних вражеских сил, но и объединить и укрепить внутри страны прогрессивные слои общества. Прекрасно образованная личность, поэт и философ, он всесторонне поддерживал культурные связи как с христианскими, так и мусульманскими странами. Особое значение имели тесные контакты с государством Ширвана, где именно в эпоху Давида Строителя достигала высокого уровня персоязычная поэтическая школа. Близкое знакомство грузинского общества с творчеством ее представителей (Низами, Хакани, Фалаки и др.) способствовало зарождению и развитию грузино-персидских литературных связей.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ხახუტაიშვილი

ქართველური სამყარო და რკინის წარმოების ადრეული საფეხური ძველ ახლო აღმოსავლეთში

იმ ძირითად წანამძღვართა შორის, რომელთაც ჯერ დავით აღმაშენებლისა და მისი ეპოქის ფენომენი მოგვცეს, ხოლო შემდეგ საკაცობრიო კულტურას „ვეფხისტყაოსანში" ჩადებული ადამიანური სიბრძნის შეუდარებელი განზოგადებანი შესძინეს, შეიძლებოდა მიგვეთითებინა ისეთი „პროზაული" რამ, როგორიცაა ქართველური სამყაროს უდიდესი დამსახურება ლითონების, განსაკუთრებით კი რკინა-ფოლადის ტექნოლოგიის მიგნებასა და დანერგვაში. ბიბლიური ცნობა თობელ-კაინზე, რომელიც იყო „კვერით ხუროჲ მჭედელი რკინისა და რვალისა", აგრეთვე ანტიკურ სამყაროში მოარული ლეგენდა რკინისგამომგონებელ ხალიბებზე, აპრიორიც კი, არ შეიძლებოდა რაღაც რეალურის ასახვა არ ყოფილიყო. ანტიკური ტრადიციის რეალობანი ოდნავ მოგვიანებით ქსენოფონტე ათენელმა და არისტოტელემაც დაგვადასტურეს. უკანასკნელი იმაზედაც კი მიგვანიშნებდა, რომ ხალიბებს, ამ ძირძველ სამხრეთკოლხურ ტომს, უჟანგავი ფოლადის მიღების ტექნოლოგიაც ჰქონია.

ასეა თუ ისე, ძველი კულტურული სამყარო შავი მეტალურგიის ადრეული კერის გაჩენას ქართველური მოდგმის ტომების განსახლების ტერიტორიაზე გულისხმობდა, თუმცა თანამედროვე მეცნიერებაში ყველა ასე როდი ფიქრობდა და ფიქრობს.

თუ ვითარების შეფასებას თანამედროვე გადასახედიდან, ქართული უახლოესი ისტორიოგრაფიის პოზიციებიდან მოვინდომებთ, პირველ რიგში არ შეიძლება არ გავიხსენოთ აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სიტყვები, რომლითაც მან 1964 წ. დასტამბული ერთი საექსპედიციო კრებული შეაფასა. „წარმოდგენილი კრებული, წერდა იგი, ძირითადად ერთი პრობლემის გაშუქებას ცდილობს. ეს პრობლემა საქართველოს ძველი ისტორიის პირველხარისხოვან პრობლემათა რიგისაა. საკითხი შეეხება ქართველი ტომების წვლილს რკინის მსოფლიო მეტალურგიაში. მეცნიერებაში აღიარებულია ამ მიმართულებით ქართველ ტომთა დიდი დამსახურება მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ასპარეზზე. მაგრამ დღემდის ასეთი დამსახურება, უპირატესად იმ ქართველ ტომებს მიეწერებოდა, რომელთა საცხოვრებელი აწინდელი საქართველოს ტერიტორიის გარეთ, შავი ზღვის სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიდამოებში იგულისხმებოდა. ასე რომ, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს მკვიდრი ქართველი ტომები ამ დიდი სამეურნეო-კულტურული შემოქმედებიდან გამოთიშული რჩებოდნენ... ჩატარებული ექსპედიციის სერიოზული დამსახურება მეცნიერების წინაშე ისაა, რომ მან ამ აღმოჩენით დღემდე არსებული მეცნიერული ცოდნა საგრძნობლად შეავსო და უცილობლად დაადგინა, რომ მეცნიერებაში აქამდე ცნობილ მეტალურგიის არეალი ამიერიდან უყოყმანოდ უნდა გაფართოვდეს და მასში აწინდელი საქართველოს შავიზღვისპირეთმა შესაფერისი ადგილი უნდა დაიჭიროს... ჯერ ნაადრევია... იმ მეცნიერული შედეგების მთლად გათვალისწინება, რაც ამ ფაქტის დადგენას მოჰყვება. უდავო კი ამთავითვე ისაა, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ცოდნის მოპოვებით საქართველოს უძველესი ისტორიის დაბინდულ უბანში ისეთი შუქი იქნა შეტანილი, რომ ამიერიდან მხოლოდ მის სინათლეზე შეიძლება ამ ხაზით შემდგომი მეცნიერული წარმატება... ეს არის დიდი საქმის დასაწყისი. მისი წარმატება ყოვლად საიმედო ჩანს. გვწამს, რომ მალე აღმოგვაჩნდება რკინის მეტალურგიის მაჩვენებელი დიდი რაოდენობის მასალა და ჩვენ შეგვეძლება ისეთივე ნივთიანი მსჯელობა გავმართოთ ქართველ ტომთა განვითარების ამ ახალი (რკინის ხანის) საფეხურის შესახებ, როგორი სისრულითაც მის წინარე მეტალურგიის (ბრინჯაოს ხანა) ჩვენებათა საფუძველზე ვმსჯელობთ"[1].

ეს იყო ნათქვამი 27 წლის წინათ. საკითხავია რა ვითარება გვაქვს დღეს, რა გაკეთდა და რა არის მიღწეული?

უნდა ითქვას, რომ დროის მოცემულ მონაკვეთში ძველი სამყაროს შავი მეტალურგიის შესწავლაზე ინტენსიურად აგრძელებდნენ მუშაობას როგორც ევროპელი, ისე ამერიკელი მკვლევარები. კერძოდ, რ. პლეინერი, ლ. ეიჩისონი, პ. ძაკანინი, ა. სნოუდგრასი, რ. ტილკოტი, ჰ. ბახმანი, ფრ. დორნერი, ჟ. სიგელოვა და სხვები — ევროპიდან, რ. მადინი, ჯ. მიული, თ. უილერი, ჯ. უოლდბაუმი, ტ. ვერტაიმი, ვ. პიგოტი, თ. სტეკი, გ. პოსელი, ბ. ბრონსონი და სხვები — შეერთებული შტატებიდან, ი. გძელიშვილი, რ. აბრამიშვილი, თ. მიქელაძე, გ. გიორგაძე, გ. არეშიანი, ა. ტერენოჟკინი, ბ. შრამკო, მ. სტოსოვა, კ. ფიცხე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, „წინასიტყვაობა" კრებულისა: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები", I, თბ., 1964, გვ. 4—5.

ლაური, ვ. კოტოვიჩი, ვიაჩ. ივანოვი და სხვები — საბჭოთა კავშირი-დან[2].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კვლევის შედეგებს შევაჯამებთ, დავადასტურებთ, რომ ახლო აღმოსავლეთში (დასავლეთ ირანი, ზაგროსის მთიანეთი, ანატოლია, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, ეგვიპტე და ეგეოსის სამყარო) ცივი ბერვის ქურაში მიღებული რკინის გამოყენება უკვე შუაბრინჯაოს ხანაშივე იწყება. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ რკინას ხეთები და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხები. არქეოლოგიას მოეპოვება 500-ზე მეტი რკინის ნივთი, რომლებიც ძვ. წ. XII საუკუნეზე უწინარეს პერიოდით თარიღდება[3]. ლურსმული ტექსტების მიხედვით განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ რკინას ანატოლიაში ახალხეთურ ხანაში[4]. უნდა ითქვას, რომ კვლევის პროცესში უარყოფილ იქნა ჰიპოთეზა ხეთების მონოპოლიის შესახებ რკინის წარმოებაში.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ ქართველ ტომთა განსახლების ტერიტორიაზე, რკინის გამოყენების ფაქტები დადასტურდა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან (რ. აბრამიშვილი, ბ. შატბერაშვილი და სხვ.). ეგვიპტეში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, შუამდინარეთში (ასირია, ბაბილონია, ელამი და ა. შ.) გვაქვს რკინის გამოყენების უფრო ადრეული ფაქტები[5], ასევეა ცენტრალურ ანატოლიაში და მიმდებარე რეგიონებში (მითანიელები, ხეთები და ა. შ.)[6].

ახლო აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან რკინის დამუშავების ტექნოლოგიაში, კერძოდ წრთობა-დაფოლადებაში თანდათანობით იძენენ ისეთ გამოც-

---

[2] Хахутайшвили Д. А., Производство железа в древней Колхиде. Тбилиси, 1987, с. 6—38; Авилова Л. И., Терехова Н. Н. Советско-американский симпозиум «Древнейшая металлургия Старого Света» (Тбилиси—Сигнах, 1989). «Советская археология», 1989, 3, с. 290—296; Сборник: „The Coming of the Iron Age", New—Haven—London, 1980.

[3] Anthony M. Snodgrass. Iron and Early Metallurgy in the Mediteranean. „The Coming of the Iron Age", 1980; Jane C. Waldraun. The First Archaeological Appearance of Iron and the Transition of Iron Age".

[4] Siegelova J. Gewinnung und Verarbeitung von Fisen im Hethitischen Reich in 2 jahrtausend v. u. z. „Annals of the Naprstek Museum 12". Prague, 1984; Гиоргадзе Г. Г. Производство и применение железа в Центральной Анатолии по данным хеттских клинописных текстов. В сборнике: „Древний Восток. Этнокультурные связи." Москва, 1988.

[5] J. C. Waldbaum. The First...

[6] Dorner F. K. et al „Arsamaia at Nymphais". Jahrbuch des Deutschen Archaeologischen Institutes. 80, Berlin, 1965, p. 88—235; Roland F. Tylecot. Furnaces Crusibles and Slags. „The Coming of the Iron Age", p. 211—212.

დილებას, რომ ბრინჯაო თანდათანობით თმობს პოზიციებს, იწყება რკინის ფართო სამეურნეო ათვისების ხანა — ნამდვილი რკინის ხანა.

მიუხედავად იმისა, რომ ხეთები და ასირიელები, მითანელები და ურარტელები, ეგეოსისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხალხები ადრე, ჯერ კიდევ II ათასწლეულში შეუდგნენ რკინის გამოყენებას, ხოლო შემდეგ წრთობა-დაფოლადების ხერხებსაც დაეუფლნენ, მეცნიერებას მოცემული ვრცელი არეალიდან იმის დასადასტურებლად, რომ აქ რკინის ადგილობრივი წარმოება არსებობდა, უაღრესად მწირი მონაცემები მოეპოვება. კერძოდ, გვაქვს ერთი წერილობითი და ორი არქეოლოგიური, ისიც მოგვიანო დოკუმენტი იმის სავარაუდოდ, რომ აქ, ამ არეალში, ძვ. წ. VII საუკუნემდე რკინის ადგილობრივი წარმოება არსებობდა. არქეოლოგიურ ფაქტთაგან მიუთითებენ: ფ. დორნერის მიერ ასამეაში ნიმფაიოსთან იენიკალეს მიდამოებში აღმოჩენილ მომრგვალებულძირიან პატარა ქურაზე (h — 100 სმ, d — 40 სმ, კედლების სისქე — 3—4 სმ), რომელიც ზოგადად წინაფეოდალური ხანით თარიღდება[7]. და გ. ბახმანის მიერ სირზაში ქ. მალათიის მახლობლად დადასტურებულ რკინის წიდების დიდ გროვაზე, რომელიც, მისი სიტყვით, ძვ. წ. VIII საუკუნით შეიძლება დათარიღდეს[8]. რა თქმა უნდა, ამგვარი მონაცემები ბევრს არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რა ვითარება იყო ახლოაღმოსავლეთ-ეგეიდა-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რეგიონებში ძვ. წ. II ათასწლეულსა და I ათასწლეულის პირველ მეოთხედში.

რაც შეეხება წერილობით ცნობას, იგი თარიღდება ძვ. წ. XIII საუკუნის პირველი ნახევრით და წარმოადგენს ხეთების მეფე ხათუსილი III-ის (დაახლოებით 1304—1280 წწ.) პასუხს ასირიის მეფის თხოვნაზე. აი ადგილიც ამ ლურსმური წერილიდან (გრ. გიორგაძის მიხედვით):

„რაც შეეხება კარგ რკინას, რომლის შესახებაც შენ მე მწერ, კარგი რკინა ქიცუვატნაში, ჩემი ბეჭდის სახლში, აღარ არის. რკინა დასამზადებლად ძალიან ძნელია. **მე მივწერე,** რათა მათ დაიწყონ კარგი რკინის დამზადება. მათ ჯერ არ დაუმთავრებიათ, როგორც კი დაამთავრებენ, მე შენ გამოგიგზავნი. ამჟამად კი მე შენ გიგზავნი რკინისგან დამზადებულ ხანჯლის პირს“[9].

აღნიშნული წერილიდან (იქ ნათქვამია — „მე მივწერე“) იმისი ვარაუდიც შეიძლება, რომ რკინა უშუალოდ ხეთების სამეფოს ცენტრა-

---

[7] Bachmann. Archiv für Eisenhüttenwesen. Duesseldorf Verien Deutscher Eisenhüttenleute, 38, 1967, p. 809—812; Tylecot R. F. Opid. cit., p. 212.

[8] Гиоргадзе Г. Г. Производство и применение железа в Центральной Анатолии по данным хеттских...

[9] Хахутайшвили Д. А. Производство железа..., с. 58—59.

ლურ რეგიონში კი არ მზადდებოდა, არამედ სადღაც სხვაგან, სადაც
მეფეს უნდა გაეგზავნა წერილობითი დავალება „კარგი რკინის“ მომ-
ზადების შესახებ. ასეთ მხარედ, როგორც ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ
შავიზღვისპირეთში განლაგებული ხალიბია იყო, რომელიც უშუალოდ
ემეზობლებოდა ხეთების სამეფოს ან სულაც მის ქვემდებარე ტერიტო-
რიას წარმოადგენდა[10].

მეცნიერება თითქოს გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დადგა. სა-
მეცნიერო ლიტერატურაში ზედიზედ ჩნდება ახალი და ახალი თეო-
რიები თუ ჰიპოთეზები რკინის წარმოების ძირითადი თუ თავდაპირვე-
ლი სამშობლოს შესახებ. მსოფლიო არქეოლოგიის ამ ხანდაზმულად
გადაუჭრელი პრობლემის გადაწყვეტა წილად ხვდა საქართველოს მეც-
ნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიე-
რო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარებს[11].

დადგენილ იქნა, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, რო-
მელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსაც მიითვლიდა, ძვ. წ.
II ათასწლეულის პირველ ნახევარშივე უკვე ფუნქციონირებდა მეტ-
ნაკლები სიმძლავრის რკინისსადნობი კერები, რომლებიც თანდათან
მოღონიერდნენ და ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ბოლოს
შეადგინეს რკინის მეტალურგიის ერთიანი ცენტრი, რომელიც 5-ზე მეტ
ძირითად და რამდენიმე პერიფერიულ კერას მიითვლიდა. დადგენილ
იქნა რკინისსადნობი სახელოსნოების აღნაგობა და სადნობი ქურების
განვითარების ძირითადი ეტაპები, ქრონოლოგია, სანედლეულო ბაზა,
ტექნოლოგიის ძირითადი საკითხები, ენერგეტიკული პოტენციალი და
ენერგიის წყარო, შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი მხარე და ა. შ.

რაც მთავარია, აღრიცხულია ამ პროფილის 400-მდე არქეოლოგი-
ური ობიექტი. ამასთან, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, თითოეუ-
ლი ობიექტი შეიძლება შეიცავდეს ერთიდან სამამდე რკინისსადნობ
სახელოსნოს ქურით, ფარდულით, მადნისა და თიხის მარაგის შესანახი
უბნებით, მადნისა და ცხელი ლუგვი მასის დასამუშავებელი მაგიდით
და წარმოების ნარჩენების დასაყრელი მოედნით.

უძველესი რკინისსადნობი სახელოსნოები ძვ. წ. II ათასწლეულის
პირველ ნახევარს მიეკუთვნება, ხოლო ყველაზე გვიანდელი — ძვ. წ.
VI—V საუკუნეს. ამასთან გამოირკვა, რომ რკინის მიღების ძველკოლ-

---

10 Гзелишвили И. А. Железоплавильное дело в древней Грузии. Тб., 1964, с. 31—52, 81—83, 87; Хахутайшвили Д. А. Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987.

11 Хахутайшвили Д. А. Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987.

ხური წესი საქართველოს ზოგიერთ მხარეში XIX საუკუნემდე შემოინახა[12].

ამგვარად, გამოირკვა, რომ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მთისწინა ზოლი, რომელიც ქართველური ტომების განსახლების რეგიონი იყო, წარმოადგენდა შავი მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთ ძირითად სამშობლოს. ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროს დაწინაურებული ქვეყნები საკმაოდ ადრიდანვე იყენებდნენ რკინა-ფოლადის ნაწარმს, მაგრამ ძვ. წ. VII საუკუნემდე არ აწარმოებდნენ მას, გვაფიქრებინებს, რომ ქართველური სამყარო შავ ლითონს აწარმოებდა არა მარტო საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ ინტენსიურად გაჰქონდა იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსის სამყაროს დაწინაურებულ ქვეყნებში (ასირია, ხეთები, ურარტუ და ა. შ.).

Д. А. ХАХУТАЙШВИЛИ

КАРТВЕЛЬСКИЙ МИР И РАННИЙ ЭТАП ПРОИЗВОДСТВА ЖЕЛЕЗА НА ДРЕВНЕМ БЛИЖНЕМ ВОСТОКЕ

Резюме

В работе, на основе обобщения результатов археологического изучения колхидского центра древнежелезной металлургии, предлагается вывод, гласящий, что одной из первичных областей зарождения и становления производства железа являлась предгорная полоса Восточного и Юго-Восточного Причерноморья, т. е. регион расселения картвельских (грузинских) племен колхидской группы.

Обилие в данном регионе остатков ранних железоплавильных мастерских (XVIII—VI вв. до н. э.) и почти полное их отсутствие до VII в. до н. э. в соседних с Колхидой областях свидетельствует о том, что колхидские племена являлись основными производителями раннего железа и главным его экспортером в страны Восточного Закавказья, Ближнего Востока и Эгейского мира.

---

[12] Хахутайшвили Д. А. Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნადარეიშვილი

სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციის საკითხი დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში

დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა ჯერჯერობით მაინც ამოუწურავი თემაა ისტორიული მეცნიერებისათვის. დიდი სახელმწიფო მოღვაწეების და მოაზროვნეების ქმნილებათა კომენტატორებად მაინც, პირველ ყოვლისა, ის ეპოქა უნდა ჩაითვალოს, რომელმაც შვა და აღზარდა ისინი.

ამ მხრივ დრო, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დავითი, მეტად წინააღმდეგობრივი იყო. ერთი მხრივ, ჯვაროსნულ ლაშქრობათა ხანა აღმოსავლეთში, ლაშქრობისა, რომელსაც ერთმა ისტორიკოსმა „კაცობრიობის სიგიჟის საუკეთესო ძეგლი“ უწოდა. ამასთან ერთად საქართველოში ამ ხანებში ადგილი ჰქონდა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ, მაგრამ კარგი სამხედრო ორგანიზაციის მქონე ნომადების, მეჯოგე ხალხების ყოვლის წამლეკავ მოძალებას. კავკასიასა და საქართველოზე მათი გავლენა მხოლოდ უარყოფითი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამასთან ჯვაროსანთა ლაშქრობის შედეგების გამოყენება თავის სასარგებლოდ შესძლო დავით აღმაშენებელმა.

შუა აზიიდან დაძრულმა სელჩუკებმა შედარებით ადვილად დაიპყრეს ვრცელი ირანის სახელმწიფო, ბიზანტიასაც მოახრევინეს ქედი და დიდი ვნება მიაყენეს კავკასიაში მოსახლე კულტურულ და მიწათმოქმედ ხალხებს. ალფ-არსლანის (1063—72) ზეობის წლებში სელჩუკებმა სასტიკ ბრძოლებში დაამარცხეს სომხები და დაიპყრეს სომხეთიც (1064 წელს).

მთელ ცივილიზებულ მსოფლიოზე შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ბიზანტიელთა დამარცხებამ მანასკერტთან 1071 წელს.

პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის და კულტურის მატარებელი ხალხები და სახელმწიფოები ზედიზედ მარცხდებოდნენ. ისტორიის ჩარხი უკუღმა იწყებდა ტრიალს. სელჩუკებმა 1081 წლისათვის დაიპყრეს მცირე აზიაც.

თითქოს და განგებამ რისხვით მოიხედა ცივილიზებული სამყაროსაკენ და ნიჭიერი და სასტიკი სარდლებით „ამარაგებდა“ სელჩუკებს.

სელჩუკთა სახელმწიფომ თავისი დიდების ზენიტს მელიქ-შაჰის დროს (1072—92) მიაღწია. მათ დაიპყრეს ყარახანიდების სახელმწიფო შუა აზიაში და დაიმორჩილეს საქართველოც.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო: სამეფოს საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, ქვეყანა თურქების თარეშისაგან მოქანცული“.

დავით მეფეს, პირველ ყოვლისა უნდა ეზრუნა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისათვის. დავითმა გამოიყენა მისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, გამოავლინა დიდი სარდლისა და რეფორმატორის უნარი და ჩქარა ქვეყანას მიეცა შედარებით ნორმალური კულტურული ცხოვრების საშუალება. დავითი თვით განათლებული მონარქი, ხელს უწყობდა ფილოსოფიური ცოდნის განვითარებას სახელმწიფოში. ამასთან XI—XII საუკუნეებში ბიზანტიისა და საქართველოში მზადდებოდა ეპოქა, როდესაც ჰეგელის თქმისა არ იყოს, ადამიანებმა ცაში ღმერთიც კი აიძულეს ფილოსოფიური არგუმენტები მოესმინა.

დავით აღმაშენებლის რეფორმებმა ქართული სახელმწიფოებრიობა ახალ და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს. შეიქმნა მუდმივმოქმედი სასამართლო, მუდმივი არმია, მოწესრიგდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა. სახელმწიფო წესწყობილებაში მოხდა პროგრესული ცვლილებები გონივრული მტკიცე ცენტრალიზმის მიმართულებით, გაძლიერდა სახელმწიფო უშიშროების დამცველი ორგანოები.

მეფე დავით გიორგის ძემ კარგად უწყოდა, თუ რა რთულ ეპოქაში ცხოვრობდა. მას კარგად უნდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც — მეზობელ სახელმწიფოებში. ამ ამოცანის გადასაჭრელად შეიქმნა სამეთვალყურეო, სადაზვერვო სამსახური, რომელსაც შესაძლოა მანდატურთუხუცესი ხელმძღვანელობდა. ასეთი სამსახური არსებობდა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში და ზოგი რამის სწავლა შეიძლებოდა მეზობლებისაგანაც.

სელჩუკთა სახელმწიფოს ცნობილი განათლებული მოხელე ნიზამ ალ-მულქი (1017—1092) თავის წიგნში „გამგებლობის შესახებ“ (სიასეთნამე) სპეციალურ თავს უძღვნის მსტოვართა საკითხს. ავტორი მიიჩნევს, რომ ხალხისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის აუცილებელია ჯაშუშთა დაგზავნა ყველგან, ყველა სახელმწიფოში — ვაჭრების, მოგზაურების, სუფიების, სამკურნალო საშუალებათა გამყიდველების, მათხოვრების სახით. მსტოვრებს უნდა მიეწოდებინათ სათანადო ინფორმაცია თავიანთი მეფისათვის ყოველივე იმის შესახებ, რასაც გაიგონებდნენ ან საკუთარი თვალით იხილავდნენ.

გასაგებია, რომ მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული ქვეყნის შიგნით და აგრეთვე მე-

ზობელ და შორეულ სახელმწიფოებში არსებული ვითარების შესახებ. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ნიზამ ალ-მულქს, რომელიც, ამიტომ მეფეს ურჩევდა სადაზვერვო სამსახურის გაძლიერებას, სანდო პირებისა და მსტოვართა მეშვეობით სათანადო ინფორმაციის მოპოვებას. „მეფისთვის ძლიერი გონება უკეთესია, ვიდრე ძლიერი არმია", — რჩევას იძლეოდა ვაზირი.

ნიზამ ალ-მულქი 1063 წლიდან ალფ-არსლანის, ხოლო 1072 წლიდან მელიქ-შაჰის ვაზირი იყო.

მალიქ შაჰმა (1072—1092) თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში არა მხოლოდ ძლიერი სადაზვერვო სამსახური შექმნა, არამედ შექმნა კარგად ორგანიზებული მუდმივი არმიაც. მართებულია მოსაზრება, რომ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი იყო სელჩუკთა ახალი ორგანიზაციისათვის ახალი ძალის დაპირისპირება (ვ. გაბაშვილი).

დაზვერვას დაზვერვა უნდა დაპირისპირებოდა, მუდმივ ლაშქარს მუდმივი ლაშქარი.

მაგრამ იმ კონკრეტულ ვითარებაში, როდესაც მეფე დავითი გიორგის ძეს მოუხდა სამოღვაწეოდ გამოსვლა, საიდუმლო სამსახურს განსაკუთრებული როლი უნდა დაკისრებოდა. გამართული პოლიტიკური პოლიციის მეშვეობით არა მარტო სახელმწიფოს შიგნით შეიძლებოდა მშვიდობის დამყარება, არამედ გარეშე მტრების წინააღმდეგ აქტიური მოქმედებაც და მუდმივი არმიის შექმნაც; თუ კი შეიქმნებოდა ისეთი მართლშეგნება, ისეთი შეხედულება, რომ ფეოდალთა ღალატი მხილებიხა და დასჯის გარეშე არ დარჩებოდა, საჭირო აღარ იქნებოდა სასჯელის უმაღლესი ზომის — სიკვდილით დასჯის გამოყენებაც.

თუ კი სახელმწიფოში ხალხში გამჯდარი აზრის სიმტკიცეს მოიპოვებს შეხედულება, რომ არცერთი მნიშვნელოვანი დანაშაული გაუხსნელი არ დარჩება, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება, შესაძლებელი ხდება სიკვდილით დასჯის პრაქტიკაზე ხელის აღება, პოლიტიკურ დამნაშავეთა მიმართაც კი უმაღლესი სასჯელის გამოუყენებლობა, სასჯელთა სისტემის გარკვეული ჰუმანიზაცია.

დავით მეფემ მის თანამოაზრეთა ხელშეწყობით ისეთი სადაზვერვო სამსახური შექმნა, რომელიც მაშინდელი განვითარებული სახელმწიფოების შესაბამის სამეთვალყურეო სამსახურებს თუ არ აღემატებოდა, არც ჩამორჩებოდა თავისი ეფექტურობით.

დავითის ისტორიკოსი დადებითად აფასებს მეფის საქმიანობას ამ მიმართულებით და აღნიშნავს, რომ მეფე გებულობდა ავისგანმზრახველთა ყოველ ნათქვამს, ყოველ საქმეს. ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ „დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ ექმნა ესე: პირველად ორგულებასა და ზაკუასადა ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა

მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თუისსა თანა, ანუ მოყუასსა თუისსა, გინა ყრმათა თუისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირითა აღმოსვლასავე თანა სიტყუისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა".

რა თქმა უნდა, ისტორიკოსი აჭარბებს, მაგრამ იმდროინდელი საზოგადოების შეხედულებას სამეთვალყურეო სამსახურის ეფექტიანობის შესახებ სწორად გადმოგვცემს.

უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებლამდე ქართული სადაზვერვო სამსახური სუსტი იყო, სუსტი იყო კონტრდაზვერვა და საერთოდ პოლიტიკური პოლიცია.

არაბთა სახალიფოში, ბიზანტიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ეს სამსახური მაღალ დონეზე იდგა.

მუსლიმანი ვაჭრები, საფოსტო სამსახურის მუშაკები, მოგზაურები, ხელოსნები, ასტროლოგები, ექიმები, ტაკი-მასხრები და სხვა ათასი ჯურის ხალხი აწოდებდა სადაზვერვო ცნობას სელჩუკ სულთნებს და საქართველოს სხვა მტრებს.

დავით აღმაშენებელმა შექმნა ისეთი სადაზვერვო სამსახური, რომელსაც თავი არ შეურცხვენია ქვეყნის შიგნით უსამართლო რეპრესიებით. თანაც ამ სამეთვალყურეო სამსახურს ბევრი სასარგებლო ცნობა მიუწოდებია მეფისათვის იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მტრის ბანაკში.

კარგმა, საათის მექანიზმივით მომართულმა პოლიტიკურმა პოლიციამ მეფეს საშუალება მისცა დანაშაულთა აღკვეთისა უკვე მისი მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე.

მეფე არჩევანის წინაშე იყო: მას ან უნდა გამოეცა სასტიკი, ბარბაროსული კანონები ქართულ-ბიზანტიური ჰუმანური ტრადიციების საწინააღმდეგოდ, კანონები, რომლებიც ობიექტურად ტერორისტული კანონები იქნებოდნენ, მართალია სახელმწიფო აუცილებლობით ან სახელმწიფოს გაფუჭებულობით გამოწვეულნი, მაგრამ მაინც ტერორისტულ-მხეცური კანონები. ანდა საპოლიციო-სამეთვალყურეო სამსახური უნდა გაეძლიერებინა ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასობრივი რეპრესიების თავიდან აცდენა. ეს კი შესაძლებელი ხდებოდა იმდენად, რამდენადაც სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული თითქმის არცერთი დანაშაული გაუხსნელი არ რჩებოდა და შეიქმნა შეხედულება, რომ სახელმწიფო ორგანოებს არაფერი დაემალებათ, თვით ისიც კი, რასაც ცოლ-ქმარნი პირისპირ, მოწმეთა გარეშე ილაპარაკებენ. საფიქრებელია, რომ მანდატურთუხუცესის ხელქვეითები ქმედითად უჭერდნენ მხარს მეფის ცენტრალისტურ პოლიტიკას. სამეფო ხელისუფლების მომხრეთა შორის უნდა ყოფილიყვნენ საერ-

თოდ საშუალო და წვრილი აზნაურობა, აგრეთვე უშუალოდ მწარმოებელთა ფართო მასები. ამიტომაც ხდებოდა შესაძლებელი მოღალატეთა ცენტრიდანული ძალების განცალკევება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გარემოებამ დავითს საშუალება მისცა მოეხდინა სასჯელთა სისტემის გონივრული ჰუმანიზაცია.

სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაცია სრულიადაც არ ნიშნავდა საერთოდ სასჯელების გამოყენებაზე უარის თქმას. მეტად მკაცრი სასჯელები შედარებით ნაკლებად მკაცრი სასჯელებით იცვლებოდა. მეფე უარს ამბობდა მასობრივი ტერორის პოლიტიკაზე. პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ გონივრულ, ტაქტიკურ ბრძოლას ეწეოდა. არც ერთი პოლიტიკური მოწინააღმდეგე მას სიკვდილით არ დაუსჯია. დასაშვებია, რომ სხეულებრივ სასჯელებს, ასოთდამაზიანებელ სასჯელებს დავითის მეფობის წლებშიც მიმართავდნენ. საერო სასჯელთა სისტემაზე შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინა საეკლესიო სასჯელებმაც. ყოველ შემთხვევაში მონასტერში შედარებით ნაკლებად სასტიკ სასჯელებს იყენებდნენ. ვიცით, რომ ექვთიმე მთაწმინდელი დამნაშავე ბერს თასმით აცემინებდა. სასჯელი დამნაშავის ბრალის შესატყვისი უნდა ყოფილიყო. თასმით ცემა ქართულ მონასტერში დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად სამ ხარისხად ყოფილა დაწესებული. და თუ მსუბუქი გადაცდომისათვის ბერს ოცდაათჯერ ცემდნენ თასმით, სერიოზული დანაშაულისათვის ორმოცჯერ და უფრო მძიმე გარდამავლობისათვის სამოცჯერ „ღუედთა მიმთხვევას“ შეუფარდებდნენ.

ქრისტიანული ეკლესია საერთოდ წინააღმდეგი იყო შურისძიებისა. საეკლესიო მოღვაწეებმა კარგად უწყოდნენ, რომ კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში სასჯელის ძირითადი შინაარსი შურისძიებაა, ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროს გადახდაა, ანუ ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არის „აღდუღებითა სისხლისასათა ქმნილი განძუინებაი მრისხანებისაი“. ავტორის აზრით, სასჯელის მიზანია „მართლმსაჯულებითი იგი მიხდაი პატიჟისაი“.

ვიცით, რომ გიორგი მთაწმინდელი ბაგრატ მეოთხეს მოძღვრავდა, რომ ყოფილიყო მოწყალე „რამეთუ წყალობაი და სამართალი უყვარს უფალსაო“. ჩვენამდე არ მოულწევია ცნობას იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის დროს ვინმე სიკვდილით დაესაჯათ.

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე დავით აღმაშენებლის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი „ერთგულთა შემწყნარებელი იყო და შეცოდებულთა სამართლიანად მწურთელი“. შეცოდებულთა ე. ი. დამნაშავეთა „სამართლიანად“ წვრთნა ქართველ მემატიანეებს მიაჩნიათ მეფეთა საქებარ და სავალდებულო თვისებად.

დავით აღმაშენებლის სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის თეორიული საფუძველი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების წიაღშია საძებნი. დამნაშავე — გზას აცდენილ პირს, [illegible] მოსწორებაზე ზრუნვა არა თუ შესაძლებლად, არამედ სავალდებულოდ მიაჩნდათ.

დავითის ისტორიკოსის სიტყვით, მეფეს ახასიათებდა დამნაშავეთა გამოსწორებაზე ზრუნვა. ხელმწიფე ხედავდა რა ლიპარიტ ამირას ორგულობასა და განდგომას, მან მაინც ინება „გაწურთა“ მისი, „ამისთუისცა პყრობილ ყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისიმე“[1]. მაგრამ ურჩი ფეოდალის გამოსწორება შეუძლებელი გახდა. ლიპარიტ ამირამ „გულისხმის ყოფა არა ინება კეთილისა, დადგა ყოველსა გზასა არა კეთილსა“.

მეფემ ურჩ ფეოდალს ერთგულების ფიცი ჩამოართვა „და ესრეთ მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთგულებისათუის ღმრთისა შუამდგომლად მომცემი განუტევა იგი, და მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა, რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცაღა ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭუელ.

ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწუირისასა: განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თუისსა. იხილა რა მშუიდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო, და საბერძნეთს გაგზავნა და მუნ განეხუა ცხორებასა“.

ცხადია, დავით აღმაშენებელს რომ მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ინტერესებით ეხელმძღვანელა და მხედველობაში არ მიეღო ჰუმანურობისა და გონივრული ლმობიერების პრინციპები, რა თქმა უნდა, იგი გამოუსწორებელ მოღალატე ამირას სიკვდილით დასჯიდა. მას, ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების მესვეურს ეს არ გაუჭირდებოდა.

ცნობილია, რომ რომელიმე განვითარებული ქვეყნის სასჯელთა სისტემა სასჯელის შესახებ რომელიმე განსაზღვრულ მოძღვრებაზეა დაფუძნებული. იქ, სადაც სასჯელთა სისტემაში მთავარი ადგილი უკავია სიკვდილით დასჯას, სასჯელის მიზანია არა იმდენად დამნაშავის სამართლიანი განკითხვა, რამდენადაც საზოგადოების წევრთა დაშინება, რომ სხვებმა ანალოგიური დანაშაული არ ჩაიდინონ. მეტისმე-

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. I, 1955, გვ. 325.

ტად მკაცრი სასჯელების გამოყენების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დაშინებისა და სამაგიეროს მიზღვის თეორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში სასჯელთა სისტემის საფუძვლად დამნაშავეთა წვრთნა-გამოსწორების თეორია მოჩანს.

დავით აღმაშენებელმა ისე შესძლო დიდი ომების მოგება და რეფორმების ჩატარება, რომ მხეცური სასჯელებისათვის არ მიუმართავს და თავი არ შეურცხვენია ერისა და ისტორიის წინაშე. ამიტომაც XIII საუკუნის ისტორიკოსმა მას უწოდა „შეცოდებულთა სამართლიანად მწურთელი".

დავით აღმაშენებლის დროს ქართულმა სახელმწიფოებრიობამ განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. შეიქმნა მუდმივმოქმედი უმაღლესი სასამართლო, მუდმივი არმია, მოწესრიგდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა, სახელმწიფო წესწყობილებაში მოხდა პროგრესული ცვლილებები გონივრული ცენტრალიზმის გაძლიერების მიმართულებით, გაძლიერდა სახელმწიფო უშიშროების დამცველი ორგანოები.

პოლიტიკური პოლიციის მუშაობის ეფექტურობამ მეფეს საშუალება მისცა სახელმწიფო დანაშაულობანი მინიმუმამდე დაეყვანა. თანაც, როგორც წესი, უკვე ვიცით, დამნაშავეთა მხილება ხდებოდა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე. სამეფო ხელისუფლების პროგრესულ ღონისძიებებს, საფიქრებელია, ხალხის უმრავლესობა უჭერდა მხარს. მოიხსნა საშიშროება, რომ მოღალატე ფეოდალები სამეფო ხელისუფლების დამარცხებას შესძლებდნენ. ასეთ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო უშიშროების სამსახურს თითქმის არც ერთი დანაშაული გაუხსნელი არ რჩებოდა, შესაძლებელი გახდა სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაცია. ეფექტურია იმ სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა, სადაც შესაძლებელი ხდება, რომ თითქმის არც ერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება. ზომიერ, მაგრამ აუცდენელ სასჯელს მეტი სამსახურის გაწევა შეუძლია, სახელმწიფოსათვის, ვიდრე მეტისმეტად მკაცრ, მაგრამ ხალხის აზრით უსამართლო სასჯელს.

დავით აღმაშენებლის დროინდელ მართლმსაჯულებას მხედველობაში უნდა მიეღო აგრეთვე კანონიკური სამართლის დებულება, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ჩადენაზე უარის თქმას არ შეეძლო გაექარწყლებინა თვით დანაშაულებრივი განზრახვის ფაქტი. რის შედეგადაც განზრახული დანაშაულის ჩადენაზე უარის თქმა განიხილებოდა როგორც დანაშაულის მონანიება, რაც პიროვნების ნაკლებად საშიშროებაზე მიუთითებდა, მაგრამ დანაშაულს არ აქარწყლებდა. დანაშაულის მომნანიებელი პასუხისმგებლობიდან კი არ თავისუფლდებოდა, არამედ მხოლოდ შედარებით მსუბუქად ისჯებოდა.

საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებლის მეფობის წლებში დანაშაულის ჩადენის მცდელობა ისჯებოდა, მაგრამ ნებაყოფლობით შეწყვეტილი მცდელობა არ ისჯებოდა. კანონმდებელმა ოქროს კიბე გასდო დამნაშავისათვის, რათა ის საზოგადოებაში ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

„დიდ სჯულისკანონში", რომელიც დავითის მეფობის წლებში ითარგმნება და მოქმედი სამართლის წიგნი ხდება, „მბრჭობელთა სამოქალაქოსათა" ხელეწიფებოდათ პატიჟთა „შემცირებაი", ხოლო მონანულთა შეწყნარება, ცოდვის მომნანიებელთა შერიგება ეკლესიასთან და საზოგადოებასთან მოწონებული იყო.

იმ მასალების მიხედვით, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, დავით აღმაშენებელს არცერთი თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე სიკვდილით არ დაუსჯია. ამით აღიარებული იქნა ჰუმანური პრინციპი, რომ ადამიანის სიცოცხლე არის ზღუდე პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე.

დავით აღმაშენებლის სახით ჩვენს წინაშე წარმოდგება არა გენიოსი და ჯალათი ერთ პიროვნებაში, როგორც ეს მომხდარა კიდეც ისტორიაში, არამედ ერთსახედ მოვლენილი პოლიტიკური გენია და ჰუმანისტი.

იყო ქვეყნად პატარა ხალხი და მისი დიდი მეფე, პროგრესის პრინციპის შემოქმედი, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ოპტიმალური ურთიერთობის მოაზროვნე მაძიებელი.

Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ

К ВОПРОСУ О ГУМАНИЗАЦИИ СИСТЕМЫ НАКАЗАНИЯ В ЭПОХУ ЦАРЯ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ (1089—1125)

Резюме

В деятельности царя Давида Строителя по обеспечению гражданского оборота предполагало необходимым условием целенаправленную борьба с преступностью. В этих целях он осуществлял два основных мероприятия: С одной стороны, создание и усиление розыскных и вообще правоохранительных органов для обеспечения неотвратимости наказания виновных, и с другой стороны соблюдение умеренности карательной политики. За политические преступления смертная казнь не применялась, и тем самым признавалось положение, что жизнь человека является преградой при достижении политических целей.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულხან გოგინავა

საქართველოს მწიგნობართუხუცესთა „პროტოჰვპერტიმოსობის“ საკითხის გარკვევისათვის

უკვე თითქმის 150 წელია, მკვლევართა ინტერესს იწვევს საქართველოს მწიგნობართუხუცესთა ბერძნულენოვანი ტიტული — „პროტოჰვპერტიმოსი“, რომელიც სათანადოდ ახსნილი ჯერ კიდევ არ არის.

წყაროებში ეს ტიტული სხვადასხვა ფორმით გვხვდება: „პროტოოპერტიმოსი“ ჩანს შიომღვიმისადმი თამარ მეფის შეწირულების სიგელში[1]; „პროტოვპერტიმოსი“ არის ყინწვისის ფრესკის წარწერაში[2]; „პროტოუპერტიმოსი“ — „წიგნი სააქიმოჲს“ ცნობილ მინაწერში[3]; „პროტოიპერტიმოსი“ კი გვხვდება არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ერთ-ერთი საბუთის ხელრთვაში[4].

პირველად ამ ტიტულს ყურადღება მ. ბროსემ მიაქცია. მან „პროტოჰვპერტიმოსი“ საეკლესიო ტიტულად, ქართველ მიტროპოლიტთა შორის უპირველესის აღმნიშვნელად მიიჩნია[5]. სასულიერო პატივად თვლიდა მას კ. ვაჩეიშვილიც[6]. ივ. ჯავახიშვილი კი აღნიშნავდა, რომ ბიზანტიაში არსებობდა „ჰვპერტიმოსის“ პატივი და, მაშასადამე, „პროტოჰვპერტიმოსი“ ჰვპერტიმოსთ-უხუცესს უნდა უდრიდესო[7], მაგრამ შემდგომი დასკვნების გამოტანისაგან თავს იკავებდა.

შ. მესხიას მიხედვით, „უპერტიმოსის, პროტოუპერტიმოსის თუ პროტოსტრატორის წოდებებს თვით ქართველი მეფეები ანიჭებდნენ თავიანთ საერო მოხელეებს სამეფოს წინაშე განსაკუთრებული დამსა-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 30—31.

[2] კ. ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი, ყინწვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ. — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1963, ტ. XXXII, № 3, გვ. 750.

[3] წიგნი სააქიმოჲ, ლ. კოტეტიშვილის გამ., ტფ., 1936, გვ. 3.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 159.

[5] M. B r o s s e t, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, executé en 1847—1848.—L. 2, S.-Petersbourg, 1850—1851, p. 45.

[6] კ. ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 751.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. VI, თბ., 1982, გვ. 273, სქ. 7.

ხურების გამო, ოღონდ საამისოდ გამოყენებული იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი ბიზანტიური წოდებები"[8]. განსვენებული ეკლესიური ემყარებოდა სამშვილდის თევდორეს სახელობის ეკლესიის წარწერას, რომელიც ე. თაყაიშვილმა ასე წაიკითხა: „ერისთავთ ერისთავმან და ოპერტიმოსმან ავაგ ხორსიძემან... ადიდენ დ(ავით) მეფე"[9]. თავის მოსაზრებას შ. მესხია ამაგრებდა შ. ამირანაშვილის გამოკვლევითაც, რომლის მიხედვით, ყინწვისის ფრესკაზე ტაძრის მშენებელს, ანტონ გლონისთავისძეს, მწიგნობართუხუცესს, „მიუხედავად იმისა, რომ იგი ჭყონდიდელიც იყო, თავზე აქვს საერო თავსაბურავი მეფის გვირგვინის სახის და არა საეკლესიო"[10].

რაც შეეხება სამშვილდის წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერას, რომელიც 1904 წელს გამოქვეყნდა, მისი წაკითხვა მთლად უეჭველი არ უნდა იყოს: საეჭვოა, ე. თაყაიშვილს, თუკი თავის წაკითხვას სანდოდ თვლიდა, არ გაეთვალისწინებინა ეს წარწერა მოგვიანებით, 1937 წელს გამოცემულ ნაშრომში, სადაც იგი დაასკვნის, რომ „პროტო-უპერტიმოსის" ტიტული, რომლითაც სხვა ტიტულთა შორის მოხსენიებულია ჭყონდიდელი... ტრადიციით მომდინარეობს იმ დროიდან, როდესაც ჭყონდიდი შედიოდა აფხაზთა სამეფოში და პირველ ხანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდაო[11]. უკანასკნელ ხანს წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერათაგან ერთ-ერთი ვ. სილოგავამ და გ. გაფრინდაშვილმა ხელახლა შეისწავლეს. ძველსა და ახალ წაკითხვათა შორის საგრძნობი განსხვავებებია. ავტორები, ისევე, როგორც ე. თაყაიშვილი, მიუთითებენ, რომ წარწერა საალმშენებლო ხასიათისაა, მისი მშენებლები ყოფილან სახელმწიფოს დიდი ერისთავთ-ერისთავი და მისი მეუღლე, თუმცა არ აღნიშნავენ, რომ ეს ერისთავთ-ერისთავი „ოპერტიმოსი" იყო[12].

საკითხს ვერ ხსნის შ. ამირანაშვილის გამოკვლევაც. საერო თავსაბურავი იმას როდი ნიშნავს, რომ მწიგნობართუხუცესი ანტონი სასუ-

---

[8] შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 99—100.

[9] Е. С. Такаишвили, Грузинские памятники окрестностей Белаго-Ключа. — Известия Кавказского отд. Имп. Моск. Арх. Общества, вып. I, 1904, с. 45.

[10] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, საბჭოთა ხელოვნება, 1961, № 4, გვ. 67.

[11] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 27.

[12] ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, სამშვილდის წარწერის დარეჯანი, „მრავალთავი", X, 1983, გვ. 25; ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, ეკლესია-მონასტერთა გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე", XXXIX-B, თბ., 1987, გვ. 54.

ლიერო პირი აღარ იყო. თვით „ჭყონდიდლობა“ გულისხმობდა, რომ იგი მონაზონი იყო. ეს კარგად ჩანს „ჯელმწიფის კარის გარიგებიდან“, სადაც მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი „ოთხთა მონაზონთა“ შორის მოიხსენიება[13]. ტბეთის ეპისკოპოსიც კი, რომელიც შავშეთის ერისთავიც იყო, დარბაზობის დროს ეპისკოპოსებს შორის ზის[14], რადგან იგი პირველყოვლისა მონაზონია. ხოლო რაც მწიგნობართუხუცესთა ჩაცმულობას შეეხება, წყაროების ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ სასულიერო პირთა ტანისამოსი ყოფილა. გავიხსენოთ ბასილ მწიგნობართუხუცესის ამბავიც: როცა ეკლესიამ მისი დასჯა მოითხოვა, ერთ-ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ მან „ჩოჯანიცა აღიჯადა“[15], ე. ი. მონაზონობას თავი დაანება, საერო ტანისამოსი ჩაიცვა[16] და მთავრობა მიიტაცაო.

შ. მესხია წერს, რომ „დუ კანჟის მიხედვით პროტოუპერტიმოსის წოდება ენიჭებოდა უპირველეს მოქალაქეს, ქვეყნის, ქალაქის უპირველეს პირს, როგორც საპატიო წოდება“[17], მაგრამ ეს რაღაც გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს, რადგან შ. დუ კანჟთან ამ ტიტულის ახსნას, მიუხედავად ბევრი ცდისა, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბიზანტიოლოგიურ ლიტერატურაში ტიტული „პროტოჰუპერტიმოსი“ დადასტურებული არა გვაქვს, ხოლო პატივი „ჰუპერტიმოსობისა“ კი არც თუ იშვიათად გვხვდება. მაგ., ნ. სკაბალანოვიჩი თავის ცნობილ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ამ ტიტულით დაჯილდოებული იყვნენ ბიზანტიელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, ყოფილი „პროტოასიკრიტისი“ (მწიგნობართუხუცესი), მონაზონი მიქაელ პსელოსი და აგრეთვე ნიკომიდიელი მიქაელი, ბოტანიატის პირველი მინისტრი[18] (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამ ორ მიქაელს აიგივებს კიდეც)[19].

---

[13] ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამ., თბ., 1970, გვ. 44, 48.

[14] იქვე, გვ. 45.

[15] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ტფ., 1906, გვ. 712.

[16] ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, თხზ., ტ. VI, გვ. 357; მისივე, ქართველი ერის ისტორია, თხზ., ტ. III, თბ., 1982, გვ. 82—83.

[17] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

[18] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, СПб., 1884, с. 158—159.

[19] იხ. ჰ. გელცერის მიერ დაწერილი მონაკვეთი წიგნში: K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen litteratur, Zweite Auflage, München, 1897, s. 433—434.

ნ. სკაბალანოვიჩი „ჰიპერტიმოსს“ სასულიერო პირთა საპატიო ტიტულად მიიჩნევდა[20]; ასევე ფიქრობდა პ. ბეზობრაზოვიც[21]. „ბიზანტიის ისტორიის ნარკვევებში“ კი ვ. ბენეშევიჩი განმარტავს, რომ „ჰიპერტიმოსი“ საპატიო ტიტულია, რომელიც მიტროპოლიტებს ეძლეოდათ[22]. აქვე შევნიშნავთ, რომ ბიზანტიაში „ჰიპერტიმოსი“ ეპითეტსაც წარმოადგენდა და რაც მთავარია, მხოლოდ სასულიერო პირებს მიემართებოდათ[23].

გვაქვს კიდევ ერთი საინტერესო ცნობაც. ჰ. გელცერის ნაშრომას მიხედვით ალექსი I კომნენოსმა ვენეციისაგან მიღებული სამხედრო დახმარების სანაცვლოდ 1082 წლის სიგელით ვენეციის დოჟს პროტოსევასტოსობა უბოძა, ხოლო პატრიარქს — ჰიპერტიმოსისა (Hypertimos), „იმპერიაში პატრიარქის (მხედველობაშია კონსტანტინოპოლის პატრიარქი — ს. გ.) შემდეგ უწარჩინებულესი სასულიერო იერარქების საპატიო ტიტული“[24]. მეტს ვერაფერს უმატებს ბიზანტიის ისტორიის ამ მოვლენას გ. ოსტროგორსკიც[25].

რომ „ჰიპერტიმოსის“ ტიტული მხოლოდ სასულიერო პირებს ეძლეოდათ, მტკიცდება ამ სიტყვის ეტიმოლოგიითაც. სოფოკლეს ბერძნული ლექსიკონის მიხედვით იგი ნიშნავს „very honorable“-ს[26], რისი შესატყვისი ქართული თარგმანი, ჩვენი აზრით, არის „ყოვლად ღირსი“, რაც საქართველოში სასულიერო პირებს მიემართებოდათ[27]. „პროტოჰიპერტიმოსიც“ უპირველესს უნდა აღნიშნავდეს „ღირსთა“ შორის. ვინაიდან ეს უკანასკნელი ბიზანტიურ სინამდვილეში დადასტურებული არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ „პროტოჰიპერტიმოსის“ ტიტული ქართველ მწიგნობართუხუცესებს ქართველი მეფეების მიერ ეძლეოდათ ბიზანტიის მსგავსად, როგორც პატრიარქის შემდეგ უმაღლეს სასულიერო იერარქს.

---

[20] ნ. სკაბალანოვიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[21] П. В. Безобразов, Византийский писатель и государственный деятель Михаил Пселл, ч. I, М., 1890, с. 540.

[22] Очерки по истории Византии, доп. выпуск, под ред. В. Н. Бенешевича, С.-Петербург, 1914, с. 116.

[23] კ. კრუმბახერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[24] H. Gelzer, Byzantinische kulturgeschichte, Tübingen, 1909. s. 124.

[25] G. Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen Staats, München, 1965, s. 300.

[26] E. A. Sophocles, Greek lexicon of the roman and byzantine periods (From B. C. 146—to A. D. 1100), vol. 2, New-York, (S. D.), p. 1115.

[27] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ი. დოლიძის გამ., გვ. 126.

С. А. ГОГИНАВА

ეროვნული ბიბლიოთეკა

К ВОПРОСУ О ТИТУЛЕ «ПРОТОИПЕРТИМ» ГРУЗИНСКИХ МЦИГНОБАРТУХУЦЕСОВ-КАНЦЛЕРОВ

Резюме

В работе рассмотрен вопрос о грекоязычном титуле мцигнобартухуцесов (канцлеров) единой феодальной Грузии — «протоипертим». В Византии имелся титул «ипертим» (честнейший, достойный), но не «протоипертим». Высказано предположение, что этот титул в превосходной степени жаловался грузинскими царями мцигнобартухуцесам как духовным лицам, поскольку они одновременно являлись и чкондидскими епископами.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე თოფურია

დავით აღმაშენებელი და ამიერკავკასია

ნანა სამარგულიანის და 9 აპრილის
სხვა მოწამეთა ნათელ ხსოვნას

დავით აღმაშენებლის მეფობამ ჭეშმარიტად მთელი ეპოქა შექმნა საქართველოს ისტორიაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი მოღვაწეობა მთლიანად ამიერკავკასიაშიც.

ჭაბუკი მეფის ტახტზე ასვლის დროს აქაც რთული ვითარება იყო. ამ დროისათვის უკვე დასრულდა ალბანთა სამეფოს გაქრობა. ხოლო იგი, — ადგილობრივი ტომების ძირძველი, მაგრამ შედარებით სუსტი გაერთიანება, ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად რომ აღიარებდა, — კარგი საწინდარი იყო, საქართველოსა და სომხეთთან ერთად, კავკასიის ცივილიზაციის შემდგომი შექმნისა და დაცვა-განმტკიცებისათვის.

მაგრამ განსაკუთრებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის დროს საზოგადოებრივ განვითარებაში დაწყებულმა ძირეულმა ცვლილებებმა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების უღელტეხილზე შეაყენა. იცვლებოდა კავკასიის ისტორიულ ვითარებაში აღმოცენებული ძირძველი ეთნიკური და ენობრივი სინამდვილე, სოციალურ-ეკონომიკური წყობა, კულტურული ტრადიციები. არაბთა ბატონობის დროს დაწყებული ეს პროცესი თურქებმა დაასრულეს... საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოძალებულმა და დამკვიდრებულმა თურქულმა ტომებმა შეიწოვა და გააქრო ადგილობრივი ალბანური ეთნოსი. ასე მივიღეთ „უღელტეხილის“ მეორე მხარეს თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხი თავისი ენით, კულტურით, რწმენით (ისლამი) და მსოფლმხედველობით.

შუა აზიიდან დაძრულმა მომთაბარე მესაქონლე თურქ-ოღუზთა ურდოებმა XI საუკუნეში თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთი დაი-

---

* მოხსენდა 1989 წლის აპრილში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გამართულ დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას. მოკლედ დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის 26 იანვრის ნომერში.

ბყრეს; 1071 წელს მანაზკერტთან ბიზანტიის იმპერატორის განადგურების შემდეგ — მცირე აზია, სირია და პალესტინა. „ხოლო განძლრავებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი ბევრნი, ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს, რომელნიცა აიხუნეს თურქთა და დაემკვდრნეს მას შინა“[1]. არაბთა აბასიანმა ხალიფამ, ისლამური აღმოსავლეთის სასულიერო „მამამ“ მორჩილად დახარა თავი ველური ძალის წინაშე და მათი ერთ-ერთი სელჩუკიანი მთავარსარდალი სულთნად და „მეფედ აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“ აღიარა.

თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და დაიმორჩილეს ამიერკავკასიაც; მათი მახვილი საქართველოსაც მძლავრად მოსწვდა. „და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, — იქვე განაგრძობს ხსენებული ისტორიკოსი, — განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოჯრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა“[2].

ბაგრატ მეოთხე მედგრად დაუხვდა თურქ-სელჩუკებს და მათ ზურგს ამოფარებულ, საუკუნის წინათ განძაში დამკვიდრებულ ქურთ შადადიანებს, კარგად რომ მოითბეს ხელი შექმნილი პოლიტიკური ვითარებით. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ბაგრატ მეფემ ხარაჯა ანუ სულთნის მორჩილება კისრად არ იდვა. „...არებდა სულტანი მოციქულთა, და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა, ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა. ხოლო არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა, არამედ ავლენდა იგიცა მოციქულთა, და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყუთ სიყუარული“. ამას „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს[3].

მაგრამ მომდევნო ხანაში კიდევ უფრო „განმრავლდა ჭირი“. ნიშანდობლივი ის არის, რომ თურქი თურქს ურჩევს: «„რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“. ხოლო მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი»[4].

მკალი იგი მოედო მთელ საქართველოს: „...ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი... დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი... მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვდეს... და

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 318.

[2] იქვე, გვ. 318—19.

[3] იქვე, გვ. 314.

[4] იქვე, გვ. 319.

ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამ-
სი...“[5] ანუ წელი 1080.

თუ რას წარმოადგენდა თურქთა ეს ურდოები და რა მოქმედება მათ ბატონობას, კარგად ჩანს მათი დახასიათებიდან, იგივე ისტორიკოსი რომ გვაწვდის. „...სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა[6], და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თუთოფერი და საძუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხვ, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი. ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თვსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყვთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა ალმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა, და ესეოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო“. და არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თვთ სულტანისაგან“[7].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მომთაბარეთა ასეთ სრულ დახასიათებას იშვიათად თუ იპოვის მკვლევარი შუა საუკუნეთა მატიანეებში. სწორედ ეს გახლავთ მომთაბარული ანუ ექსტენსიური ანუ ჩამორჩენილი მეურნეობა, რომლის არსია არა მეურნეობის გაუმჯობესება, არამედ გაფართოება, ადგილიდან ადგილზე გადასვლა. მის მიმდევარს ბევრი არაფერი უნდა: საძოვარს სადაც წააწყდება თავის ფალანგას („ნაბდის სახლი“) ან ხარგას („ბალანთ კარავი“) იქვე გაშლის, ნახირს საძოვარზე მიუშვებს და... მეურნეობაც გაიმართა. მას არ სჭირდება, ვთქვათ, ვაზის ჩაყრა, მისი ლოლიაობა და მოსავლის ლოდინი.

აღწერილ მიწიერ სამოთხეს ხომ დაპყრობა და შენარჩუნება უნდოდა. დაიპყრეს და გარკვეულ ჟამამდე ინარჩუნებდნენ კიდეც! თუ როგორ, აი, მხოლოდ ორიოდ ამონაწერი ქართულ მატიანეთაგან: „...და იწყო ოჯრებად და ჯოცად კაცისა... და მოისრა ურიცხვ სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოჯრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძო-

---

[5] იქვე, გვ. 320.

[6] გავიხსენოთ, ძველ ქართულში „თივა — ბალახი, მწვანილი“.

[7] იქვე, გვ. 332.

რისათა არღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი... და სისხლის მწვ-
მელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა
ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვა მისი სამრისული
და შესაძრწუნებელი, და არე-არე სისხლის წვმა ეხილვა კაცთა...“[8].

„...განგრძელდა ესევითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა... და არა იყო
მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოჯრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა,
და ნაცვლად კაცთა მჭეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას
შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისა-
თა... რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვსთა, ხო-
ლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა. და
მღდელნი რომელნიმე თვთ შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხუერპლი-
სასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირივნეს
მეუფისათა თანა. და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს,
მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ,
ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო
და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი
სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი“[9].

ასევე ახასიათებენ თურქთა თარეშს სომხეთის მიწა-წყალზე სომე-
ხი მემატიანენიც.

„ცეცხლი უცხო და მბრძოლი“... მასთან შერკინება არგუნა საწუთ-
რომ დავით აღმაშენებელს. შეერკინა და დაშრიტა კიდეც. ამიტომაც
არის უკვდავი მისი სახელი საქართველოში.

თურქ-სელჩუკთა იმპერიის მზე მალიქ-შაჰის სიკვდილთან (1092 წ.)
ერთად ჩაესვენა. მოხდა ისტორიაში ჩვეულებრივი ამბავი: ძალით შე-
კოწიწებული გაერთიანება ხუხულასავით დაიშალა ცალკეულ სამფლო-
ბელოებად.

ამ დროისათვის და შემდგომაც ძირითად ძალას ამიერკავკასიაში
თურქთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა რომ შეეძლო, გაერთიანებისა
და აღმავლობის გზაზე მდგომი საქართველო იყო. ცალკეულ სამეფო-
სამთავროებად დაშლილი ქრისტიანული სომხეთი, სამწუხაროდ, ვერ
შედგა იმავე გზაზე, აქ არც დავით აღმაშენებლის მსგავსი პიროვნება
გამოჩნდა. ხოლო შადადიანთა სახელმწიფო, — ცენტრით განძაში,
არანს (აღნიშნულ ხანაში მტკვრისა და არეზის შუამდინარეთი) რომ
ფლობდა, — ახლა უკვე გადაშენებული, სელჩუკიან სულთანთა ათა-
ბაგების თუ სხვა მოხელეთა სამფლობელოდ ქცეულიყო.

აქედან დაწყებული და მთელი მომდევნო შუა საუკუნეების გან-
მავლობაში განძა საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური

---

[8] „მატიანე ქართლისა“, იქვე, გვ. 309.

[9] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, იქვე, გვ. 320.

ძალების ბურჯად გადაიქცა. რაც შეეხება შარვანის სამეფოს (მტკვრის ჩრდილოეთით, საბჭოთა აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ზღვის სანაპიროზე) და დარუბანდის საამიროს (შარვანის უშუალო ჩრდილოელი მეზობელი), მათ გაუძლეს თურქ-სელჩუკთა პირველ შემოტევებს და ახლა არსებობისთვის იბრძოდნენ.

შარვანი, ძირძველი საზოგადოებრივი განვითარებით, კავკასიის ისტორიულ სინამდვილეში ბუნებრივად აღმოცენებულ, თავისთავად პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. იგივე ითქმის დარუბანდის შესახებაც. ისლამის მოძალების შედეგად ამ მხარეში წარმოშობილი ისლამური ორიენტაციის ძალთაგან განსხვავებით, მთლიანობაში არც შარვანს, არც დარუბანდს გულზე არ ეხატებოდა სელჩუკიანთა იმპერიაში გათქვეფა ან, უკეთეს შემთხვევაში, უსახო სატელიტად ქცევა. ამის გამო იყო, რომ იმთავითვე იჩინა თავი შეურიგებელმა წინააღმდეგობამ შარვანშაჰებსა და სელჩუკიან ხელისუფლებს შორის.

ნათლად ირკვევა, თუ რომელი ძალები ივარაუდებოდა საქართველოს მოკავშირედ ამიერკავკასიაში. ისიც უნდა ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის დროისათვის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი არსი უკვე გამოკვეთილი იყო. ეს იყო მომთაბარე, ჩამორჩენილი, დამანგრეველი ძალების და მათ სამსახურში ჩამდგარი ისლამის, როგორც მოწინააღმდეგე იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა.

სწორი საშინაო პოლიტიკის და ხელსაყრელი საგარეო ვითარების შედეგად „...შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“[10]. ჭეშმარიტად ასეა, თუ სწორ საფუძველზე მდგომი მიწიერი ძლიერებას მიაღწევ, „ზეციურიც“ შენს ხელშემწყობად მოგევლინება.

ყოველწლიურ ხარაჯაზე უარის თქმა დამოუკიდებლობის გამოცხადებას და სელჩუკიანი სულთნის მორჩილების უარყოფას ნიშნავდა.

კახეთის და განსაკუთრებით ჰერეთის შემოერთების და ერწუხის ომში გამარჯვებით (აქ ქართველებს განძის ათაბაგიც ებრძოდა) საქართველო უშუალოდ ჩაერთო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკაში. იგი აშკარად დაუპირისპირდა განძას. არც თუ იშვიათად, დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ გარეშე მტერთან ერთად ქართველი დიდებულებიც იბრძოდნენ. ეს იყო მიმდინარე პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი და უარყოფითი ნიშანი, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, მუდამ თან სდევდა საქართველოს ბედს.

დავით აღმაშენებელს უშუალოდ განძის წინააღმდეგ არ მიუმართავს თავისი მძლავრი მახვილი. მან პირველ რიგში შარვანს მიაპყრო

---

[10] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 326.

ყურადღება და მისი დაცვა, შემომტკიცება დაისახა მიზნად. რატომ? „შარვანისათვის ომი ღრმად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა“ იყო, „რომლის მოგებით დავითი თურქ-სელჩუკებს ამიერკავკასიიდან საბოლოოდ გადარეკავდა. საფიქრებელია, რომ ეს გადამწყვეტი ომი რანში (განჯისთვის) მოხდებოდა, სადაც მტერი ყველაზე უფრო მტკიცედ იჯდა. ასე რომ, შარვანისათვის ბრძოლა მომავალი განჯის ომის შემზადება იყო“[11].

შარვანში თავისი გავლენის განსამტკიცებლად მეფე დავითმა შარვანშაჰთან მოყვრული კავშირი გააბა. მან „პირმშო ასული თჳსი თამარი“ გაგზავნა „დედოფლად შარვანისა“, ხოლო „ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად... რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“[12].

საგულისხმოა, რომ მეფეს კი არ სთხოვენ, იგი თვით აგზავნის თავის ქალწულთ სძლად ერთს საბერძნეთს, მეორეს — შარვანს. საგულისხმოა ისიც, რომ მეფე დავითმა პირმშო ასული ჯერ შარვანს გაგზავნა. აშკარად იკვეთება საქართველოს მეფის მზარდი საერთაშორისო გავლენა და ის მნიშვნელობაც, შარვანს რომ ენიჭებოდა საგარეო პოლიტიკაში.

დავით აღმაშენებელი შარვანში სწრაფად და მძლავრად მოქმედებდა. 1117—1124 წლებში მან შვიდჯერ დალაშქრა ეს მხარე. იბრძოდა იქ მეფის ძე დემეტრეც. შედეგი ის იყო, რომ საქართველოს გავლენა და სახელი შარვანში განმტკიცდა და ამაღლდა.

მოწინააღმდეგე ძალებმა შარვანშიც იმავე, ისტორიულად კარგად გამოცდილ, ქარგაზე ააგეს თავისი პოლიტიკა, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოსთვისაც არ წარმოადგენდა უცხო ხილს და რომელიც შემდგომაც, — თვით ჩვენს დროშიც, — არა ერთხელ ჩამდგარა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალთა სამსახურში. კერძოდ, ანტიქართულმა ძალებმა შარვანში მესამე ძალას, ერაყის სელჩუკიან სულთანს მოუხმეს.

1123 წლის ზაფხულში «...მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვანშა, აიღო შამახია და მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე, და მოუწერა წიგნი და მორქუა, ვითარმედ: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ ველთა

---

[11] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 256. აქვე შევნიშნავთ, რომ დავით აღმაშენებელმა ველარ მოასწრო „განჯისათვის ომის“ გადახდა და ამ რთული ამოცანის გადაჭრა. იგი საქართველოს შემდგომმა მესვეურებმაც ვერ გადაწყვიტეს.

[12] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 334.

და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე“»[13].

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტყეთა მეფე“ გავიდა „სამალავთათგან“. ზოგიერთი ბუნდოვანი ცნობის გამო ბრძოლის სრული მიმდინარეობა მთლად ნათელი არ არის. თუმცა, საბოლოო შედეგი ეჭვს არ იწვევს — ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა მტერი[14]. ხოლო თვით სულთანი ხელმოცარული და სასოწარკვეთილი შამახიიდან ღამით „...გაიპარა, და სასდუნით მეოტი... წარვიდა სოფლად თკსად“[15].

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „სასდუნი“ არის „მწკრის გასადინარი ნაჯურეტი“, „მწკრე“ კი არის „მყრალი ლაფი“. მაშასადამე, მემატიანეს ცნობაში უნდა ვიგულისხმოთ აბანოს ან ფეხსადგილის, საპირფარეშოს მილი, შესაძლებელია — კანალიზაციის დახურული სადინარიც[16]. ასე, რომ ცხადი ხდება რა დღეშიც ჩავარდნილა თურქთა ყოყლოჩინა სულთანი, თუკი მან სასდუნის გავლით უშველა თავს.

შარვანისათვის ბრძოლის საბოლოო შედეგი კი ის გახლდათ, რომ მომდევნო, 1124 წელს მეფე დავითი „წარემართა შარვანს, აღიღო ქალაქი შამახია... სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თკსი სკმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი... კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“[17] — განმგებელად და ზედამხედველადო!

ამ ღონისძიების შეფასების დროს მთავარია შემფასებლის მსოფლმხედველობა, შეფასების ათვლის წერტილი. ეს არ იყო ანექსია. ეს იყო შექმნილი ვითარების საპასუხოდ, შარვანის ოდინდელი საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად, მის სასარგებლოდ და დასაცავად განხორციელებული აღნიშნული ვითარების ძირეულად გადასაჭრელი გადამწყვეტი ღონისძიება. მივაქციოთ ყურადღება თუ ვინ დაინიშნა შარვანის განმგებელად და ზედამხედველად. „კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“, პიროვნება, რომლის ხელი, გნებავთ თანამდებობა, აერთიანებდა საერო და სასულიერო ხელისუფლებას და რომელსაც ძირითადი ადგილი ეკუთვნოდა მეფის საშინაო პოლიტიკის განხორციელებაში. ამ პოლიტიკის მიხედვით შარვანი პროგრესული ანუ სწო-

---

[13] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 343.

[14] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 242—243.

[15] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 344.

[16] ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ამიერკავკასიის ქალაქების ტოპოგრაფიის მაღალი დონე.

[17] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 345.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი პოლიტიკის მიმდევარი სამეფო კარის გამგებლობაში გადადიოდა და არა რომელიმე თავნება ფეოდალის სამფლობელოში.

საგულისხმოა ისიც, რომ მეფემ შარვანის ციხეებსა და ქალაქებში „დაუტევნა ლაშქარნი ჰერნი და კახნი“ და არა, ვთქვათ, ყივჩაყთა ლაშქარი. ჰერნი და კახნი ხომ შარვანის ძირძველი მეზობლები იყვნენ, მისი სისხლი და ხორცი ეკონომიკურადაც, სოციალურადაც, კულტურულადაც და თუ მათ შორის რაიმე სხვაობა (უმთავრესად ეთნიკურ-ენობრივი ხასიათისა) ჯერ კიდევ არსებობდა, მისი შედარებაც არ შეიძლება იმ სხვაობასთან, რომელსაც უკვე ჰქონდა ფესვი მოკიდებული ამ მხარეში და რომელიც უაღრესად იმძლავრებდა იმ ვითარებაში, რომელიც მოჰყვებოდა აქ სულთნის მიერ შეპყრობილი შარვანშაჰის ხელისუფლების გაუქმებას, ისლამის და მისი შესაბამისი საზოგადოებრივი წყობის გაბატონებას. ეს, სამწუხაროდ, ასეც მოხდა შემდგომში.

რომელმა ძალებმა მიიწვია სულთანი შარვანში, რა ამოძრავებდა მათ, როგორ ეთანხმებოდა მათი მისწრაფებანი შარვანის ძირძველი მოსახლეობის გულისწადილს? ხოლო დავით აღმაშენებელმა „განაგო ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეფე დავითი ებრძვის იმავე ლეკებს და ქურდებს[18], როდესაც ესენი დარუბანდელის მხარეზე იბრძვიან შარვანის წინააღმდეგ[19].

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა ეს ღონისძიება შარვანში ეთნოგენეზის პროცესებსაც მჭიდროდ უკავშირდებოდა, ცხადი გახდება დავით აღმაშენებლის ანუ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელობა ამიერკავკასიის ამ კუთხეში.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ოციან წლებშივე დავითის მემკვიდრის, მეფე დემეტრეს დროს აღსდგა შარვანშაჰის ხელისუფლება, ხოლო თამარის ხანაში ისევ შარვანშაჰი საქართველოს სამეფო კარის სიძედ გახდომის სურვილს აცხადებს და თამარ მეფეს ხელს თხოვს. ანექსირებულ ქვეყანას კი არც საკუთარი ხელისუფლება (შარვანშაჰი) გააჩნია და, მით უმეტეს, ვერც „მანექსირებლის“ სიძედ გახდომას გაბედავს.

შარვანთან ურთიერთობა თავისთავად მოითხოვდა დარუბანდთან დამოკიდებულების გარკვევას; თუნდაც იმიტომ, რომ აღებულ ხანაშიც მათ შორის მტრობა და შუღლი დამკვიდრებულიყო.

---

[18] „...ქურდნი სატომო სახელია...“ — იხ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ნიკო ბერძენიშვილი — „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი, ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 24.

[19] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 344, 345.

ვითარებაში გასარკვევად უნდა ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენდა დარუბანდი. ძალზე მოკლედ: ეს იყო ძლიერ გამაგრებული ციხე-ქალაქი, სინამდვილეში ქალაქი-სახელმწიფო. კარგად მოწყობილი ნავსადგურით იგი დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, აქამდეც და შემდგომშიც. საუკუნეების განმავლობაში, წარმატებით რომ იცავდა თავისი პაწაწინა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

შარვანი ცდილობდა, ზოგჯერ წარმატებითაც, დარუბანდის დაპყრობას, იქ თავისი გავლენის განმტკიცებას. მაგრამ XII საუკუნის პირველ მეოთხედში საამისოდ მას ძალა ნამდვილად არ შესწევდა. აქვე დავძენთ, არა თუ შარვანმა, დარუბანდი ვერ აიღო ან ვერ დაიმორჩილა აღმოსავლეთის შემძვრელმა ძალებმაც კი (ჯალალ ალ-დინი, მონღოლები...).

დავით აღმაშენებელს, არსებული ცნობების თანახმად, უშუალოდ დარუბანდზე არ გაულაშქრია, იგი არ აუღია და არც დაუმორჩილებია. თუმცა ვიცით, რომ ქართველთა ლაშქარი „...დაესხნეს შაბურანს, დარბანდელსა, და მოსწყჳდნეს ჭურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი... და მიმდგომი მათი ჭუეყანა“[20]. თუ გავითვალისწინებთ, რომ შაბურანი შარვანის ქალაქი იყო, ყველაფერი ნათელი ხდება: დავით აღმაშენებელი შარვანის ქვეყანაში ებრძვის დარუბანდელს, მის მხარდამჭერ ძალებს და შარვანის მდგომარეობის განმტკიცებისათვის იღვწის.

სწორი პოლიტიკური ალღო დავით აღმაშენებელს დარუბანდთან ურთიერთობის გამწვავებას არ კარნახობდა. აქაც ვლინდება მისი დიპლომატიის მოქნილობა, მიზანშეწონილობა და დიდი პოლიტიკური მოღვაწის ნიჭი.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკამ შარვანი იხსნა თურქ-სელჩუკთა ანექსიისგან. ყოველი ძირძველი, კავკასიაში არსებული თითოეული ეთნიკური ჯგუფის თუ პოლიტიკური ერთეულის დაცვა-შენარჩუნება ხომ კავკასიის თავისთავადობისთვის ბრძოლას ნიშნავდა. აქვე გავიხსენოთ მისი ღვაწლი ოვსთა და ყივჩაყთა შორის გამწვავებული ურთიერთობის მშვიდობიანად მოწესრიგების საქმეში: „შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და იყო შორის მათსა სიყუარული და მშჳდობა ვითარცა ძმათა“[21].

---

[20] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 344.

[21] იქვე, გვ. 336.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელი ებრძოდა თურქ-სელჩუკთა მოძალებას არა მარტო შარვანში — მთელს ამერკავკასიაში. ისევ ორიოდ ცნობა: 1124 წლის მაისში მან „აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტეროწაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი"; ივნისში „წარემართა ლაშქარითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის, და, რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოვლო ბულთა-ყური, და დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა". სხვა დროს „...დაესხა თურქთა, რაჯსის პირსა მდგომთა, და მოსრა სიმრავლე მათი" (რაჯსი იგივე არეზი, არაქსია). „გაზაფხულ განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეტია. ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახა მეფემან იგინიცა და ალონს მტკუარსა გაცურდა ყივჩაყითა დაუზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი...". და საერთოდ — „...იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხეთისა დიდისა[22]. რამეთუ არა დაშურებოდა, არცა მოეწყინებოდა, არამედ ჟამიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ, მართებდა და განაგებდა მსგავსად მისსა დიდ-გონეობითა, და ვინღამცა იყო წინამდგომი მისი, და ანუ მიმმართი ომისა მის წინაშე". და ერთი ცნობაც: „...წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა... ჩამოვლო მგზავრ, დაესხა სევგელამეჯს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა"[23].

შესაძლებელია, დღეს ვინმეს კარავში მოტირალის არდატოვება არაჰუმანურად მოეჩვენოს. მაგრამ როდესაც იმავე კარვის ბინადარი თავგამოდებით ცდილობს შენს სამყოფელში ძეხორციელი არ დაგიტოვოს მოტირლად — ამას რაღა ვუყოთ, ვის შესჩივლებდი?..

მემატიანე გადმოგვცემს: „ამათ ესევითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჭელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მოუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნული მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თჳსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა"[24].

გავიხსენოთ, ამ ჩივილის დროს თბილისი ჯერ კიდევ მუსლიმთა ხელშია და იგი (თბილისის საამიროს ნაშთი) საქართველოს სახელმწი-

---

[22] ამ ცნობაში ყურადღებას იპყრობს „სპარსეთი", რომელშიც მემატიანე, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სწორედ შარვანისა და დიდი სომხეთისგან დარჩენილ ნაწილს გულისხმობს. ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

[23] იქვე, გვ. 344, 334, 337, 340.

[24] იქვე, გვ. 340.

ფოებრივ სხეულზე პოლიტიკურ მუწუკად იჯდა. თურქთა ანუ ისლამური სამყაროს წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის პირობებში ტფილელი ვაჭრები თავის სოციალურ, — არა ეთნიკურ, — ძმებთან ერთად, რა თქმა უნდა, თავს შევიწროებულად იგრძნობდნენ. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ვაჭარი, — სახელდობრ დიდვაჭარი და განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, — არად დაგიდევს ეროვნულ საწადელს. მისთვის მთავარი და სანუკვარი პოლიტიკური სიმშვიდე და ღია საზღვრებია, ესე იგი — იმპერია. სადაც ასეთ პირობებს წააწყდება, თავის დახლსაც იქვე გაშლის. ასე რომ, არ არის მოულოდნელი განძელ-ტფილელ-დმანელი ვაჭრებიც, — თურქებთან ერთად, — დავით აღმაშენებლის პოლიტიკით აქოთქოთებულნი, იგივე მესამე ძალას რომ უხმობენ ამიერკავკასიაში.

ამ ჩივილს, როგორც ცნობილია, მუსლიმურ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებული ლაშქრობის დიდგორში სასტიკი დამარცხება და თბილისის აღება მოჰყვა. ეს ამბავი ნამდვილად მოულოდნელი იყო მუსლიმური სამყაროსათვის.

ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა დავით აღმაშენებლის მიერ მუსლიმთა მიმართ განხორციელებული შემწყნარებლობის და პატივისცემის პოლიტიკა.

დვით აღმაშენებლის პოლიტიკას და მის მოღვაწეობას ამიერკავკასიაში ამჯერად, ცხადია, სრულად არ განვიხილავთ. ქართული მატიანეს ერთ ცნობას კი უსათუოდ შევეხებით.

1124 წლის „აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაჯსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა“. საქართველოს მეფემ არ დააყოვნა, 60 ათასი მხედრით ანისისკენ გაემართა და „...აიღო ქალაქი ანისი და ციხენი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“.

ამ შემთხვევაშიც, შარვანის მსგავსად, ნათლად გამოიკვეთა ანისის საზოგადოებრივ ძალთა პოლიტიკური მიდრეკილება. ამასთან დაკავშირებით, მცირე ისტორიული წიაღსვლა: სომეხთა ანისის სამეფომ თავი ვერ გაართვა „განმრავლებულ ჭირს“, ბიზანტიის მოძალებასაც ვეღარ გაუძლო და 1045 წელს ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა. 1064 წელს კი ანისი თურქ-სელჩუკთა სულთანმა ალფ არსლანმა აიღო და შემდეგ ქალაქი, ცხადია, სულთნის თანხმობით, ზემოხსენებული განძის შადადიანების ანისის შტოს ხელში აღმოჩნდა.

ანისის აღებისთანავე დავით აღმაშენებელმა „დაიპყრა არფასლანიანნი და ამოსწყვდნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი

მოერწყო. იმუქფა[25] ღმრთის მოყუარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდარი. იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედუფალსა კატრონიტეს და იქივე ესაფლავა. მაშინ მივიდა თუთ მეფე დავით და კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და ერთობილი ლაშქარი საფლავსა ზედა, და ახლად წესი აღუგეს. და თუთ მეფემან სამგზის საფლავსა ჩასძახა: „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იჴსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ჴელთაგან“.

ანისთან დაკავშირებული დამოწმებული ორი ამონაწერის გამოწვლილვით განხილვას არ შევუდგებით. ყურადღებას იმსახურებს მემატიანეს თვალსაზრისი სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის არსის, მიზანდასახულობის შესახებ.

სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ზოგად ერთობასთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოება — აი, ის კვეთი, რომელზეც აღმოცენდა და რომელიც ასაზრდოებდა ამ ორი ხალხის ურთიერთკავშირს და თანადგომას მათი არსებობის ჭეშმარიტად ხანგრძლივი დროის, ათასეული წლების განმავლობაში...

ეს არის განძი, კავკასიის ხალხთა ისტორიაში დაუნჯებული და იგი უნდა გვახსოვდეს ყველას, მასზე უნდა ვაგებდეთ დღევანდელ ჩვენს აუცილებელ თანაარსებობას კავკასიის ყველა ხალხი, დიდი თუ პატარა, მიუხედავად სარწმუნოებისა. და, რომ სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად იმავე ხალხების თანაარსებობა შესაძლებელი იყო და ხორციელდებოდა კიდეც — საამისო არა ერთი და ორი მაგალითის დამოწმება შეიძლება იმავე კავკასიის ისტორიული გამოცდილებიდან. .

ახლა თვით დავით აღმაშენებელის სიტყვებს გავეცნოთ მისსავე „გალობანი სინანულისანში“: „...ბოროტად გარდავხჰედ / საზღვართა, და შევჰრთე სახლი სახლსა, / და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა /მივჰხვეჭე ნაწილი მათი /და ვიღწვიდ უმეზობლობასა / ვითარმცა მარტოდ მკვიდრობად ქუეყანასა ზედა...“; და შემდეგ „განრაჲ-ეღოს წივნი დღესა შინა სასჯელისასა / და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად მსაჯული მართლსჯიდე/, მსახურთა რისხვა ქროდის / მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლი/, მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო“.

დიდებული მეფის მსაჯული მხოლოდ მისი მშობელი ხალხია, რომელმაც მას, ერთადერთს, „აღმაშენებელი“ უწოდა. და თუ მაინც აწრიალდება კითხვა, პოეტის მიერ მშვენივრად გამოთქმული, — „...ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო /მიუტევები?/ ღირსმსახურებდი ქართულ

---

[25] ანუ სამაგიერო მოიმოქმედა.

მიწა-წყალს, რაი გადარდებს?..“ (ანა კალანდაძე), — მას პირველ რიგში ისტორიკოსმა უნდა გასცეს პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განა მხოლოდ ქართულ მიწა-წყალს ემსახურა დავით აღმაშენებელი? „ბოროტად გარდავხჰედ საზღვართა და შევრთე სახლი სახლსა“-ო! მაშ, რა ექნა მეფეს, როდესაც მას ანელთა თავადთა მწიგნობარნი თხოვნით ეახლნენ? თუკი ქალაქის მაღალი სოციალური ფენა საჭიროდ თვლის თურქ-სელჩუკთა და მათ დამქაშ შადადიანთა ბატონობისგან თავის დაღწევას, ხომ ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა მშრომელი მოსახლეობა. მაშ, რა უნდა მოემოქმედა მეფეს — „ცეცხლი უცხო და მბრძოლისთვის“ დაეთმო ანისი, შარვანი... მთლიანად ამიერკავკასია? და განა დავით აღმაშენებელი და მისი სწორუპოვარი ხელმძღვანელობით მოქმედი საქართველოს სახელმწიფო კავკასიაში უცხო, მესამე ძალას წარმოადგენდა?..

ახლა კი მათე ურჰაელს (ედესელს) მოვუსმინოთ: „იყო მეფე დავითი წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი“; და იქვე: „დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“; და ერთი ნაწყვეტიც: „იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგანაც იხილეს განთავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან“[26].

განა ვინმე ავალებდა XII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის ცნობილ ქალაქში მცხოვრებ სომეხ მემატიანეს დაეწერა ეს სტრიქონები?

მაშ, ვისთვის, თუ არა საქართველოსთვის, ჭეშმარიტი მეზობლისათვის, უნდა მიემართათ ანელთა, ვისი იმედი უნდა ჰქონოდათ პირველ რიგში, და არსებითი და უმთავრესი — გაუწბილდა განა სომხეთს ეს იმედი?

„შევრთე სახლი სახლსა“-ო. მერედა, განა „წააგო“, — თუ ასე, უხეშად, ვიტყვით, — შარვანის სახლმა საქართველოსთან „შერთვით“? თუ როგორი იყო ეს „შერთვა“ — ზემოთ განვიხილეთ. თუ არა ეს „შერთვა“, განა მასაც განძის შადადიანთა სახლის ბედი არ ელოდა? განძის შადადიანთა, რომელთა გასაგისიც კი არ გადურჩა არანში თურქ-სელჩუკთა ბატონობას. შარვანი კი, როგორც ცნობილია, პოლიტიკურ თავისთავადობას ამიერკავკასიაში თვით რუსთა შემოჭრის დრომდე ინარჩუნებდა. აღარაფერს ვამბობთ შარვანის და კავკასიის სხვა სახლების მდგომარეობის შესახებ თამარის ეპოქის საქართველოში.. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

---

[26] ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966, გვ. 247—248.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის პოლიტიკა ამიერკავკასიის ისტორიულად ჩამოყალიბებული, სასურველი გზით განვითარებას ემსახურებოდა, ყველივე ღირებული, რაც კი კავკასიის ხალხთა თუ სახელმწიფოთა თანაარსებობის ისტორიაში შემუშავებულა, დღეს სახელმძღვანელოდ უნდა დავისახოთ. დღეს, როდესაც იმავე ამიერკავკასიაში აგრე რიგად გამწვავდა ხალხთა შორის ურთიერთობა. უნდა დავისახოთ, რამეთუ მრავალი პრობლემათაგანი, ამიერკავკასიის ისტორიულ სინამდვილეში აღმოცენებული, დღესაც ობიექტურ შესწავლას და გადაჭრას ელის.

П. А. ТОПУРИА

ДАВИД СТРОИТЕЛЬ И ЗАКАВКАЗЬЕ

Резюме

В статье изучается деятельность Давида Строителя (1089—1125), создателя единого грузинского государства, в Закавказье, суть которой выражалась в непримиримой борьбе против нашествий кочевых орд турок-сельджуков и сохранении здесь исконных, исторически сложившихся социально-экономических структур и культурных традиций.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ აბაშმაძე

ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგია

მეცნიერულ ლიტერატურაში აკად. შ. ნუცუბიძის მიერ წამოყენებული მოსაზრება XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს კულტურის თვისობრივად ახალი, რენესანსული ბუნების შესახებ, თანდათანობით გაბატონებული შეხედულება ხდება. როგორც უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებმა ცხადყო, სადავოს აღარ უნდა წარმოადგენდეს XII საუკუნის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებების დასახასიათებლად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XIV—XVI საუკუნეების მძლავრი იდეოლოგიური მოძრაობის აღმნიშვნელი ცნების, „რენესანსის", გამოყენება. ამ ეპოქის ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მრავალი დარგის განვითარების არა მარტო არაჩვეულებრივად მაღალი დონე, არამედ თვისობრივად ახალი, ორიგინალური ზედნაშენი ცხადყოფს იმ დიდ გარდატეხას, რამაც დასაბამი მისცა წინანდელი ეპოქებისაგან განსხვავებულ, სრულიად ახალ პერიოდს ქართული კულტურის ისტორიაში.

ქართული რენესანსის მოტივები და მათი თავისებურებანი საკმაო სისრულით არის შესწავლილი XII საუკუნის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა დარგის მიხედვით, მაგრამ ფეოდალური საქართველოს აღორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგია და მისი შინაარსის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები ჯერჯერობით სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. XII საუკუნის საქართველოს სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული თავისებურებების გამო კი ქართული რენესანსის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს სწორედ პოლიტიკური მოძღვრებები შეადგენს. ამასთან ერთად, საყურადღებოა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგების ურთიერთშედარებას იმ ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში არსებული მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების პროცესში ჩამოყალიბებულმა მრავალფეროვანმა პოლიტიკურმა მოძღვრებებმა და დოქტრინებმა არსებითად განსაზღვრა ქართული რენესანსის ბუნება.

კაცობრიობის ისტორიაში შუა საუკუნეები აღორძინების ეპოქამდე აღინიშნა არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკის დაცვით, არამედ ადამიანთა აზროვნების დონის ჩამოქვეითებითა და ცხოვრების ფორმების შეზღუდვით. კარჩაკეტილი ნატურალური ფეოდალური მეურნეობა, ჩამორჩენილი საწარმოო ძალებითა და განუვითარებელი ტექნიკით, ფეოდალური საზოგადოების ის უმთავრესი ეკონომიკური ბაზისი იყო, რომელსაც თვისობრივად მდარე და შინაარსიერარიბი ზედნაშენი შეესაბამებოდა. ადამიანთა გონებაზე შუა საუკუნეებში განუყოფლად ბატონობს რელიგია და სწორედ ამიტომ ზედნაშენის ყველა შემადგენელი ნაწილი მხოლოდ რელიგიის მშრალი დოგმატებისადმია დაქვემდებარებული. ფეოდალიზმის განვითარების ამ ეტაპზე ერთადერთ მისაღებ და აღიარებულ იდეოლოგიას წარმოადგენს რელიგია, რომლის უბადრუკი დოგმების მიხედვით სქოლასტიკა ცდილობს ახსნას ბუნებისა და საზოგადოების განვითარების მოვლენები. რელიგიის ასეთი გაბატონებული მდგომარეობის გამო შუა საუკუნეებში ადამიანთა სულიერი ცხოვრების მესვეურებად და ბაირახტრებად გამოდიან უმთავრესად ეკლესიის მსახურნი — ეპისკოპოსები, ბერები, მეუდაბნოეები, განდეგილები და ა. შ. შუა საუკუნეების ეპოქის ადამიანთა სულიერი ცხოვრების ყველა დარგის განმსაზღვრელი, საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები — ავრელუს ავგუსტინე, თომა აქვინელი და სხვ., ფილოსოფიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებას მთლიანად რელიგიის სამსახურს უქვემდებარებენ და ფართოდ უხსნიან გზას სქოლასტიკას. შუა საუკუნეების რელიგიისადმი დაქვემდებარებული იდეოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს ამქვეყნიური სიამოვნებისა და სიკეთის უარყოფას, დაბეჯითებით ქადაგებს ასკეტიზმსა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი სრულ ინდიფერენტიზმს, ღვთის უმაღლესობისა და ყოვლისმძლეობის შიშით უარყოფს ადამიანთა გონების უძლეველობასა და საზოგადოებისა და ბუნების მოვლენების შეცნობის შეუძლებლობას, იმქვეყნიურ ცხოვრებაში სრული ნეტარების დაპირებებით თრგუნავს რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობებით წარმოშობილ ადამიანთა ინტერესებსა და მისწრაფებებს. ადამიანის პიროვნება მისი ყოველდღიური საამქვეყნო ინტერესებით ღვთაებრიობის შარავანდედით შემოსილი საზოგადოებრივი ურთიერთობების პასიურ ელემენტად არის აღიარებული და შუა საუკუნეების რელიგიური სქოლასტიკა მისტიციზმთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბნელეთისმოციქულობის იდეების გავრცელებას რენესანსამდელი პერიოდის ყველაზე რეაქციული პოლიტიკური დაწესებულებით — ინკვიზიციით უზრუნველყოფს. ყოველივე ახალი, პროგრესული, რომელიც რელიგიური სქოლასტიკის ტყვეობისაგან

ადამიანთა განთავისუფლებისაკენ არის მიმართული და ადამიანთა გონების უძლეველობის დამტკიცებას ემსახურება, სასტიკად ისჯება.

მაგრამ XIV—XV საუკუნეებში და განსაკუთრებით XVI საუკუნიდან ფეოდალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყება დიდი გარდატეხის პერიოდი, რომელიც ცნობილია აღორძინების ეპოქის სახელწოდებით.

რენესანსი შეეხო ფეოდალური საზოგადოების სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა დარგს, ხელოვნებას, ლიტერატურას, მეცნიერებას და ა. შ. აღორძინების ეპოქის სრულიად ახალი იდეოლოგიის წარმომადგენლები კრიტიკულად არიან განწყობილი რელიგიური დოგმატებისა და სქოლასტიკის მიმართ, იწყება ადამიანის გონებაზე და ცდაზე დამყარებული, რელიგიისაგან დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების ადამიანთა ყოველდღიური ინტერესებისა და მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას. აღორძინების ეპოქის მეცნიერება მკვეთრად უპირისპირდება რელიგიურ მსოფლმხედველობას და მის მოთხოვნათა წინააღმდეგ დამაჯერებლად ცხადყოფს ადამიანთა შემოქმედებითი შესაძლებლობის უნარსა და მისი გონების უძლეველობას. მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებასთან ერთად რენესანსის ეპოქაში შეიმჩნევა განსაკუთრებული დაინტერესებულობა ანტიკური კულტურისადმი. აღორძინების ეპოქის ახალი, საერო ხასიათის ადამიანთა სულიერი კულტურა, თავის მოთხოვნებს მის ყველა დარგში შუა საუკუნეების რელიგიური დოგმატების საწინააღმდეგოდ ასაბუთებს ანტიკური ეპოქის კულტურული და მეცნიერული მემკვიდრეობით, რომელიც მთლიანად თავისუფალი იყო რელიგიური სქოლასტიკისაგან და რწმენის არჩევანის სრულ თავისუფლებას ემყარებოდა, თუმცა მიუხედავად ამისა, აღორძინების ეპოქაც ცდილობდა ზოგჯერ რაციონალიზმის მისტიკასთან შერიგებას.

შუა საუკუნეების სულიერი კულტურის ამ ახალ ეპოქაში არსებითად იცვლება შეხედულებანი ადამიანზე, ბუნებაზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე. წარმოებს თანმიმდევრული ბრძოლა რელიგიური ასკეტიზმის დასაძლევად და დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის ობიექტი ხდება ადამიანის ბუნება, რომლის შეცნობასაც აღორძინების ეპოქის იდეოლოგების აზრით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სულიერი ცხოვრებისა და ბუნების მოვლენების რთული პროცესების გასაგებად და ასახსნელად. ადამიანთა სულიერი ცხოვრების ყველა დარგში ღვთაებრივი (divina) ადგილს უთმობს ადამიანურს (humana) და სწორედ ამიტომ ამქვეყნიური ცხოვრების საერთო ინტერესები ყველა ინტერესთა, და განსაკუთრებით სასულიერო ინტერესთა შორისაც, უპირველესად ცხადდება.

შუა საუკუნეების რელიგიური მისტიციზმისა და სქოლასტიკისაგან განსხვავებით, აღორძინების ეპოქის უმთავრესი იდეური მიმართულების — ჰუმანიზმის მედროშეებად გამოდიან საერო პირები: სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, ფილოსოფოსები, მხატვრები, ხელოვნების დარგის მუშაკები და ა. შ., რომლებიც სრულიად ახლებურად უდგებიან ამქვეყნიურ ლაღ და სიამოვნებით აღსავსე ცხოვრებას. მათთვის ყოველივე ადამიანური ჭეშმარიტების უმაღლესი ინსტანციაა და სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას უნდა იმსახურებდეს ყველგან და ყველას მხრივ, მათ შორის საეკლესიო ხელისუფლების მხრივაც.

ყველგან, სადაც კი ადამიანთა ცხოვრების ისტორია იცნობს აღორძინების ეპოქას, რენესანსმა და მისმა ცხოველმყოფელმა იდეებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა პოლიტიკაშიც. რენესანსი შუა საუკუნეების ფეოდალურ საზოგადოებაში პოლიტიკით დაიწყო და მთელი სისრულით მისი მოთხოვნები პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებით განსაზღვრულ აზროვნებაში გამოვლინდა. საქმე ის არის, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებული XIV—XV საუკუნეებიდან და განსაკუთრებით XVI საუკუნეში მომხდარი უდიდესი ეკონომიკური ძვრების შედეგად, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ პოლიტიკური ცხოვრებისადმი. ვაჭრობისა და ხელოსნობის სწრაფი განვითარების შედეგად დასავლეთ ევროპაში ირღვევა ფეოდალური კარჩაკეტილობას საზღვრები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყება სამეურნეო გამოცოცხლება, რაც თავდაპირველად იწვევს ეკონომიკური კონტაქტების განვითარებას ცალკეული ქვეყნების შიგნით, ხოლო მოგვიანებით ევროპისა და აზიის სახელმწიფოებს შორისაც ფართო სამეურნეო და პოლიტიკური კავშირები მყარდება. 1492 წელს აღმოჩენილ იქნა სრულიად ახალი კონტინენტი ამერიკა, 1497 წელს ვასკო-დე-გამამ აღმოაჩინა ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი სავაჭრო გზა, 1519 წელს მაგელანი აწყობს დიდ მოგზაურობას, რომელიც დასაბამს აძლევს ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული კავშირების გაფართოებას. ევროპის ქვეყნებს შორის გაცხოველებული სამეურნეო და ეკონომიკური კავშირები, რაც წარმოების განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი ხდება, აუცილებელს ხდის გემთმშენებლობის, ზღვაოსნობის, სამხედრო საქმის, ასტრონომიის, მათემატიკის და სხვა დარგების განვითარებას.

ამასთან ერთად, ფეოდალურ ეკონომიკაში ჩასახული ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობანი, რომელიც თანდათან ვითარდება, საზოგადოებაში მრავალფეროვანი კლასობრივი ბრძოლის საფუძველი ხდება. საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირებული კლასები მწვავე ბრძოლის პროცესში ქმნიან ფეოდალიზმის სხვადასხვა ეკონომიკური წყობის თავისებურებებით განსაზღვრულ იდეოლოგიას, რომელშიც უმ-

თავრესი ადგილი პოლიტიკური შინაარსის პრობლემებს აქვს დამმობილი. შუა საუკუნეების ეპოქაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად მომძლავრებული მესამე წოდება, რომლის იდეოლოგია თავისი შინაარსით მთლიანად რენესანსის მოტივებს ემყარება, თავისი სოციალურ-კულტურული და კლასობრივი ინტერესების განხორციელებას რელიგიური სქოლასტიკისაგან თავისუფალ პოლიტიკას უკავშირებს უპირატესად. რელიგიურ სქოლასტიკას აღარ ძალუძს ევროპაში XVI საუკუნიდან დაწყებული დიდი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების ახსნა და ამ ეპოქის მოწინავე მოაზროვნეები გაცხოველებით იწყებენ მუშაობას საერო პოლიტიკურ პრობლემებზე. ფეოდალურ საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირებული კლასები თავიანთი მისწრაფებების განხორციელებას და ინტერესების დაცვას სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას უკავშირებენ. აღორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგია თავის მოწოდებას იმაში ხედავს, რომ ფეოდალურ სახელმწიფოს ღვთაებრიობის შარავანდედი ჩამოაცილოს და ყოველგვარი სახელმწიფოებრიობა ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობისა და საზოგადოებაში წოდებრივ ინტერესთა ბრძოლის შედეგად გამოაცხადოს.

სწორედ ამ გარემოებებით უნდა აიხსნას აღორძინების ეპოქის დიდი იდეოლოგების, ნ. მაკიაველისა და ჟან-ბოდენის, მარტინ ლუთერისა და თომას მიუნცერის, თომას მორისა და თომაზო კამპანელას, აგრეთვე, XVII საუკუნის ბუნებითი სამართლის მეტად ორიგინალური სკოლის სახელოვან წარმომადგენელთა (თ. ჰობსი, ჯ. ლოკი, ბ. სპინოზა, ჰ. გროციუსი და სხვ.) განსაკუთრებული დაინტერესება სახელმწიფოსა და სამართლის იმ საკითხებით, რომლებიც რენესანსის იდეოლოგიის შინაარსს განსაზღვრავს უმეტესწილად. რენესანსის ზემოაღნიშნულმა პოლიტიკურმა იდეოლოგებმა კრიტიკულად გადაამუშავეს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ფეოდალურ-თეოლოგიური მოძღვრებანი, რომლებიც ადამიანთა ინტერესებით განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან დამოუკიდებლად ღვთაებრიობის, ე. წ. წმინდა მოტივებით ხსნიდნენ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხებს და საფუძველი ჩაუყარეს ახალი ეპოქის კლასობრივ ძალთა თანაფარდობით შეპირობებულ საერთო შინაარსის იდეოლოგიას. ამ იდეოლოგიის ყველა ძირითადი შემადგენელი მხარე ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში არსებული ცალკეული სამთავროების ნაცვლად ქვეყნის ცენტრალიზაცია და ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნა; სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესობა, შეუზღუდველობა და მუდმივობა (სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი); საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ ყოველგვადი ხერხებისა და

მეთოდების გამოყენების მაკიაველისტური პოლიტიკის მიზანშეწონილობა; საეკლესიო ხელისუფლების შეზღუდვასთან ერთად საერო ხელისუფლების უპირატესობის უზრუნველსაყოფად მუდმივი არმიის შექმნის მოთხოვნა; კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მესამე წოდების მშვიდობიანი განვითარების მიზნით საზოგადოებრივი სოლიდარიზმი; ბუნებითი სამართლის პრინციპებთან ყველა ფეოდალური დაწესებულებების შეუსაბამობა და მათი დაუყოვნებლივი შეცვლა ე წ. გონების შესაბამისი დაწესებულებებით ფეოდალიზმის მოდუნებული პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგ არის მიმართული.

აღორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის ყველა მოტივი, რაც დამახასიათებელი იყო XIV—XVI სს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, მთლიანად გვხვდება XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში.

ქართული რენესანსი XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, ძირითადად ისე დაიწყო, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ადამიანთა სულიერი ცხოვრების წამყვან დარგებში საეკლესიო ხელისუფლებაზე საერო ხელისუფლების გამარჯვების შედეგად, თანდათანობით მცირდება რელიგიის მსახურთა — ეპისკოპოსების, ბერების, განდეგილების და სხვათა როლი და მათ ადგილს იკავებენ საერო მოღვაწეები — მეფეები, მინისტრები, მეცნიერები, პოეტები, მხატვრები, ფილოსოფოსები და ა. შ. მაგრამ, XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში რენესანსის საერო კულტურის განვითარების ყველაზე ხელსაყრელი პირობებიც არსებობდა, ფეოდალურ საქართველოში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საეკლესიო ხელისუფლებას ძლიერება ინკვიზიციას არ ემყარებოდა. სწორედ ამიტომ, ქართული რენესანსის წარმოშობამდე, ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში გაბატონებული რელიგიური დოგმატიკა არა მარტო შედარებით იოლად იქნა დაძლეული, არამედ იგი მთლიანად დაექვემდებარა საერო ხელისუფლების პოლიტიკურ იდეოლოგიას. როდესაც ქართულ რენესანსზე, მისი შინაარსის განმსაზღვრელ ისტორიულ პირობებზე და, განსაკუთრებით, ქართული რენესანსის უმთავრეს შემადგენელ ნაწილზე ვლაპარაკობთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქ სპეციფიკურ გარემოებასთან გვაქვს საქმე. როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად აღინიშნა, ქართული რენესანსი, დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღორძინების ეპოქისაგან განსხვავებით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა დაწინაურებამ და XII საუკუნის ფეოდალური სახელმწიფოებრიობის არნახულმა აღზევებამ განსაზღვრა. სწორედ ამიტომ

ქართული რენესანსის ძირითადი სპეციფიკური მოტივი, მის შინაარსის განმსაზღვრელი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ეს პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ შეიმუშავა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მშონე ხალხებზე ქართული მრავალეროვანი სახელმწიფოებრიობის წარმატებით გასახორციელებლად (სხვათაშორის, რენესანსს თითქმის ყველა ქვეყანაში ჰქონდა თავისი სპეციფიკური განმსაზღვრელი ნიშანი, რის გამო მეცნიერება სპეციალური შესწავლის საგნად ხდის იტალიურ რენესანსს, ფრანგულ რენესანსს და ა. შ.). მართლაც, ქართული რენესანსის ბუნება ისტორიულად დაკავშირებულია XII საუკუნეში ფეოდალური საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დაწინაურებასთან და ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით მრავალეროვანი საერთოკავკასიური სახელმწიფოს შექმნასთან. ფეოდალური საქართველოს შიგნით კლასობრივ ძალთა განლაგების შეცვლამ[1] და აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე ხელსაყრელი საგარეო პირობების ჩამოყალიბებამ, ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გავრცელებას თითქმის მთელ კავკასიაში. როგორც ცნობილია, XI საუკუნის დასასრულს, ფეოდალურ საქართველოში შიგნით ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა, რომლებმაც აიძულეს საქართველოს მეფე გიორგი II გადამდგარიყო და სამეფო ტახტი თავისი ჭაბუკი ვაჟიშვილისათვის დავითისათვის გადაეცათ, მოხერხებულად გამოიყენეს ჯვაროსნული ომების შედეგად თურქ-სელჩუკთა ბატონობის შესუსტება მცირე აზიაში და ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით სამეფო ხელისუფლებამ შექმნა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხებისაგან შემდგარი უზარმაზარი სახელმწიფო. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, XII საუკუნის დასასრულს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრები მოიცავდნენ გარდა საქართველოს ძირითადი ტერიტორიისა, მთელ კავკასიასაც; ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას: სამხრეთით კი საქართველოს ვასალური სამფლობელოები ვრცელდებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერზინჯანამდე, სადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულებისა ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო ალამი"[2].

ფეოდალური საქართველოს ტერიტორიის ზრდა-გაფართოებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებზე წარმატებით განხორციელება სამეფო ხელისუფლების წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს. გარდა სამხედრო ძლიერე-

---

[1] რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1972, გვ. 134.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 409.

ბისათვის ზრუნვისა, სახელმწიფო ხელისუფლება მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის პროცესში, საქართველოს მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხების სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათზე იდეოლოგიური ზემოქმედების განხორციელებისათვის, ქმნის ორიგინალურ პოლიტიკურ მოძღვრებებს, ხელს უწყობს ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების მქონე ხალხთა ინტერესების შესაბამისი კულტურისა და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგების განვითარებას. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ცხადია, რომ რაც უფრო და უფრო მეტად გაიზრდება და გაფართოვდება საქართველოს მეფეების საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქნებოდა მეფობის უფლებისათვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოეპოვებინათ იმიტომ, რომ ქართველ მეფეებს თავიანთი ძლიერებისა და ხელისუფლების განსამტკიცებლად აზნაურებთან უხდებოდათ ბრძოლა... ამ გამწვავებული ბრძოლის მოსაგებად მარტო მკლავხმლის ძალა არ კმაროდა, ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისათვის ზნეობრივი ძალაც აუცილებლად საჭირო იყო“[3].

სამეფო ხელისუფლების მიერ ფეოდალური საქართველოს მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა სარწმუნოების ხალხების კულტურის საკითხთა გადაწყვეტა არა ერთი რომელიმე სარწმუნოების (ქრისტიანული, მაჰმადიანური), არამედ მხოლოდ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად, თავისი შინაარსით რენესანსულია.

ქართული რენესანსის მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის მთავარი განმსაზღვრელი ნაწილი — XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს გაბატონებული პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებაში სხვადასხვა მებრძოლი კლასის ინტერესებს გამოხატავს, გადმოცემულია საქართველოს სახელგანთქმული მეფისა და ფეოდალიზმის განსაკუთრებული მმართველობის ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის იდეოლოგის — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის — ყუთლუარსლანისა და ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის პოლიტიკურ მოძღვრებაში.

დავით აღმაშენებელი, რომელმაც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნა დიდი მრავალეროვანი სახელმწიფო, მის მიერ განხორციელებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმებით, თავის სწავლულ რაზმთან ერთად სამეფო ხელისუფლების საშუალებით მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურ-

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბ., 1929, გვ. 116—117.

თიერთობების მოწესრიგებისას ხელმძღვანელობს იმ დიდი მეცნიერული მემკვიდრეობით, რომელიც წინანდელი ეპოქების სახელმწიფოთა მეფეების პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების შედეგად ჩამოყალიბდა. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებისას, რელიგიური დოგმატების ნაცვლად ადამიანის გონებასა და ცდაზე დამყარებული ცოდნით ხელმძღვანელობა, რაც რენესანსის იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა, დავით აღმაშენებლის ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს წარსულის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებისას, დავით აღმაშენებელი რომ ქართული მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვის აუცილებელ პირობად თვლიდა, ამის შესახებ მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს: „ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთუმცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი. პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ ძღუანებულთა ანუ ვერას წარმართებულთა შემთხუეულნი წინაგანსაკრძალებლად სახედ არ შემოეხუნეს და არა მიეხმარნეს. ვითარმაც იტყჳს სოლომონ, ვითარმედ: „იცნის ქცეულებანი ჟამთანი, აღხსნანი იგავთანი და გარდასულთა შეამსგავსნის მომავალნი, — არა თუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნანდკლვე დიდი განსაგებელი რათა იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერვინ სხუამან“[4]. მემატიანე ღრმად არის დარწმუნებული, რომ დავით აღმაშენებელი მსოფლიო მასშტაბის დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც კარგად იცის წარსულის ისტორიული მემკვიდრეობა („იცნის ქცეულებანი ჟამთანი“) და ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიური დოგმატებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ წარსული ისტორიის გამოცდილებით („გარდასულთა შეამსგავსნის მომავალნი“). დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის მმართველობის ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის იდეებით, ცდილობს მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი და სწორედ ამიტომ, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესობისა და შეუზღუდველობის რენესანსულ თეორიას ქმნის. ამ მოსაზრების შესაბამისად იგი საერო ხელისუფლებას მტკიცედ უმორჩილებს საეკლესიო ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შეუზღუდველი და განუსაზღვრელი ჩარევის აუცილებლობას ასაბუთებს. აბსოლუტისტური სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის განუსაზღვრელობას დავით აღმაშენებლის მემატიანე უძირო უფსკრულს ადარებს: „ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხო-

---

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 350—351.

ვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი. სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა საკვირველ ცნობანი. მხედართა განწესებანი საერონი შიშნი. სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალი, მოციქულთა შემხუევანი და პასუხნი. მეძღუნეთა ჯეროვანნი მოსაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებელთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყჳსნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი"[5].

ადრინდელი რენესანსის დიდი თეორეტიკოსი დავით აღმაშენებელი, ამ ახალი ეპოქის იდეოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად, საერო და ადამიანური ინტერესების თვალსაზრისით იკვლევს სახელმწიფოს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიც არის სახელმწიფოს არსი, სახელმწიფოს ფორმა, სამეფო ტახტის მემკვიდრეობა და სხვა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმორწმუნე დავით აღმაშენებელი, ისე როგორც რენესანსის სხვა იდეოლოგებიც, სახელმწიფოს ღვთაებრივი წარმოშობის მოსაზრებაზე დგას. მისი აზრით, ღმერთის ნებით ადიან მეფენი ტახტზე, და ღმერთის ნების შესაბამისად ემხობა სამეფონი. თავის ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი" დავითი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას ღმერთისაგან აქვს მინიჭებული სამეფო ხელისუფლება: „ბუნებითსა რა პროფირსა თჳთ მფლობელობასა-თანა, მეფობისაცა შარავანდედნი მარწმუნენ"[6]. დავით აღმაშენებლის კრიტიკული დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის დოგმატებისადმი[7] იმას გვაფიქრებინებს, რომ რჯულშემწყალებელი მეფის — დავითის ღმერთი არ არის ერთი რომელიმე სარწმუნოების მიერ აღიარებული ღმერთი, არამედ იგი მხოლოდ რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი გონების შესაბამისი ღმერთია.

დავით აღმაშენებლის რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის ყველაზე საინტერესო, დღემდის თითქმის სრულიად შეუსწავლელი, მისი სამართლებრივი შეხედულებანია. ამჯერად ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვრცლად შევჩერდეთ დავით აღმაშენებლის სამართლებრივ მოძღვრებაზე, მაგრამ ამ მოძღვრების რენესანსული ბუნების ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ჯერჯერობით იმის მითითებაც საკმარისი იქნება, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ კავკასიის ქვეყნებში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებისა და აგრეთვე ქვეყნის შიგნით ურჩ ფეოდალ-

---

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 351.

[6] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფ., 1898, გვ. 104.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, გვ. 416—417.

თა წინააღმდეგობის დათრგუნვისათვის დავით აღმაშენებელი ქმნის ბუნებითი სამართლის („ბუნებითი სჯულის") თანმიმდევრულ მოძღვრებას. ცნობილია, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრებები ყველგან, სადაც კი აღორძინების ეპოქა დაიწყო, რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის შინაარსის ძირითადი განმსაზღვრელი ნაწილი გახდა.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების ჰუმანისტურმა სულისკვეთებამ განსაზღვრა დავით აღმაშენებლის საკანონმდებლო საქმიანობა. ჰუმანისტი მეფის სამართალშემოქმედებით მოღვაწეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებული შემდეგი საკანონმდებლო ძეგლები: „რუის-ურბნისის 1104 წლის კრების ძეგლისწერა", 1124 წლისა და 1125 წლის ანდერძები, აგრეთვე სამართლებრივ-ფილოსოფიური თხზულება „გალობანი სინანულისანი". იმდროინდელი იურიდიული მეცნიერების დონის შესაბამისად ამ ძეგლებში გადმოცემულია „კანონები უცთომელი, ყოვლად შუენიერი და დაწყობილი" ქართული სამართლის სხვადასხვა დარგებიდან (სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო-საქორწინო და ა. შ.).

თურქ-სელჩუკების მიერ საქართველოში გავრცელებული ველური ჩვევების აღმოფხვრისა და ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამაღლების საქმეში დიდი როლი შეასრულა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულმა რუის-ურბნისის კრებამ, რომელმაც მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტი „ძეგლისწერა". რუის-ურბნისის კრების მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა ეხება საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას, საეკლესიო თანამდებობების დაკავების წესებს, ეკლესია-მონასტრების ქონების დაცვას და ა. შ. სასულიერო ხელისუფლების განსამტკიცებლად ეკლესიიდან განიდევნა „ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღდელმთავრებისასა" — და მათ ჩამოერთვა სასულიერო წოდებები, უღირსთა ადგილებზე დაინიშნა ღირსეულნი, განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე ეკლესიის მსახურთ მათი წარმოშობისაგან განურჩევლად აეკრძალათ მაღალი თანამდებობების დაკავება, კერძოდ, ეპისკოპოსად ხელდასხმული შეიძლებოდა ყოფილიყო 35 წლის ასაკს მიღწეული სასულიერო პირი, მღვდლად — 30 წლის, დიაკვნად — 25 წლის და წიგნის მკითხველად— 8 წლისა. ამასთან ერთად, აიკრძალა საეკლესიო იერარქიის გარეშე ეკლესიაში თანამდებობის მიღება, თანამდებობის გაყიდვა, მექრთამეობა, საეკლესიო ქონების მოხმარება პირადი საჭიროებისათვის და ა. შ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუის-ურბნისის კრების მიერ მიღებული ძეგლისწერის იმ ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავდა საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების განმტკიცებას. კანონით აიკრძალა ეკლე-

სიის გარეშე ქორწინება, დადგინდა საქორწინო ასაკი და საქორწინო ურთიერთობის სუბიექტები, დიდი ყურადღება დაეთმო ოჯახის სიწმინდის დაცვას, დაუშვებლად იქნა მიჩნეული არასრულწლოვანთა ქორწინება, მართლმადიდებელი მამაკაცის შეუღლება მწვალებელ ან წარმართ ქალთან და პირიქით. კანონით განისაზღვრა განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში თურქ-სელჩუკების მიერ (სოდომის ცოდვა, მრუშობა, გინება, კაცის კვლა, კერპთაყვანისცემა და ა. შ.) და დადგინდა შესაბამისი სასჯელები.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა ცხადყოფს დავით აღმაშენებლის ეპოქაში არსებული ქართული იურიდიული მეცნიერების მაღალ დონეს, განვითარებულ საკანონმდებლო ტექნიკას და მოწინავე სამართლებრივ კულტურას, რაც მთელი სისრულით გამოვლინდა მოგვიანებით, როცა კანონმდებელმა მეფემ გააერთიანა ცენტრალურ სახელმწიფო აპარატში ორი მეტად მნიშვნელოვანი თანამდებობა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელისა და შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ახალი თანამდებობა, რითაც სამეფო ხელისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა საეკლესიო ხელისუფლებაზე. როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, ასეთი გავლენიანი თანამდებობის პირი წინათ არც საქართველოში და არც მეზობელ ქვეყნებში იმ დროს არ არსებობდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შემოღებით დავით აღმაშენებელმა ეკლესიაზე მოპოვებული გამარჯვების გასამტკიცებლად შეზღუდა საეკლესიო იურისდიქციის ფარგლები და განახორციელა სასამართლო რეფორმა, კერძოდ, შექმნა უმაღლესი სასამართლო ინსტანცია — სააჯო კარი, რომლის საქმიანობას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი წარმართავდა.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების განსამტკიცებლად დიდი საკანონმდებლო მუშაობა ჩაატარა დავით აღმაშენებელმა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველი კანონის შესაცვლელად. დავით აღმაშენებლამდე IX საუკუნიდან მოყოლებული, როგორც ი. ჯავახიშვილი წერს, სამეფო ტახტის მემკვიდრეობა პირმშოობაზე იყო დამოკიდებული, მანამდე ყოველთვის სამეფო ტახტზე მხოლოდ განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი ადიოდა. დავით აღმაშენებელს 1125 წლის ანდერძის ცვლილება შეაქვს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესებში და მას უკავშირებს ქართველი ხალხის წინაშე მდგარ საშინაო და საგარეო ამოცანების წარმატებით განხორციელებას. სამეფო ტახტის მემკვიდრეს, მისი აზრით, განსაზღვრავს ღმერთი, რომელიც მემკვიდრეს მეფობისათვის აუცილებელი თვისებებით — სიბრძნით, სიწმინდით, ახოვნებით და მხნეობით აჯილდოებს. დავითი წერს, რომ ღმერთმა „მომცა პირველად

შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემთა“.

1125 წლის ანდერძში დავითმა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესებში ცვლილება შეიტანა და დაადგინა, რომ უფროს ვაჟიშვილს დიმიტრის „მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღმრთისათა, რათა ძმაი მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-ყოს... შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა“. დავითის მიერ შედგენილი საკანონმდებლო აქტიდან კარგად ჩანს, რომ იგი სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრის პირად ღირსებებს და რაც მთავარია, სახელმწიფოს მართვის უნარს. დავით აღმაშენებლის ამ ახალ საანდერძო განკარგულებას სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდგომ პერიოდში იმ დიდი აჯანყების მონაწილეთა პოზიციების გასარკვევად, რომელიც მსხვილ ფეოდალთა წაქეზებითა და დახმარებით დემნა უფლისწულმა მოაწყო სწორედ სამეფო ტახტის დასაპატრონებლად.

დავით აღმაშენებლის მთელი საკანონმდებლო საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისაკენ. ამ მხრივ წარმოებულ მრავალფეროვან საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძლიერი შეიარაღებული არმიის შექმნას. სამეფო ხელისუფლებამ დიდი სამხედრო რეფორმა განახორციელა, შექმნა მუდმივი არმია ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ყივჩაღებისა და სახელმწიფოში არსებული ლაშქრისაგან. სამხედრო რეფორმის შემადგენელი ნაწილი იყო აგრეთვე დისციპლინის განმტკიცება არმიაში, ცვლილებები ომის წარმოების სტრატეგიასა და ტაქტიკაში და ა. შ.

დავით აღმაშენებელმა დაადგინა ახალი პოლიტიკური რეჟიმი, შეიმუშავა ახალი პოლიტიკური კურსი და განსაზღვრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმატებით განხორციელების ფორმები, ხერხები და მეთოდები.

დავით აღმაშენებლის ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შინაარსი მნიშვნელოვნად განაპირობა თეოლოგიის რენესანსულმა ჰუმანიზაციამ, რასაც მოგვიანებით ფართო გასაქანი მიეცა რეფორმაციის ბელადის მარტინ ლუთერის შრომებში, მანამდე კი, როგორც შ. ნუცუბიძემ ცხადყო, თეოლოგიის ჰუმანიზაციის პრობლემების დამუშავება სათავეს იღებს დავით აღმაშენებელის ნააზრევში. დავითის აზრით, რადგან ადამიანის ბუნება ყველგან და ყველა დროში მუდმივი და უცვლელია, ყველა ადამიანს ერთნაირი წარმოდგენა აქვს ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრეს ფენომენებზე (სიცოცხლე, ბედნიერება და ა. შ.). ადამიანის ცხოვრების მიზანი ბედნიერებაა, სრული ბედნიერება და

საბოლოო ნეტარება შეიძლება მიღწეულ იქნეს ღმერთის საშუალებით, ღმერთი არის კეთილ საწყისებზე დამყარებული უმაღლესი არსება; როგორც დავითი და მისი სწავლულები ამტკიცებენ, „ბუნებით მოწყალე და სახიერი“, ღმერთის მიერ დადგენილი წესი არის „კეთილი და სათნო“, ღმერთი იძლევა მტრებზე გამარჯვებას, თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ „იქმნა ბრძოლა ფიცხელი და შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი“, „აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი... ესოდენ ადვილად და მოსწრაფედ ხელთ უხსნა ღმერთმან საკვირველებათამან“.

ღმერთის ეს რენესანსული ინტერპრეტაცია გახდა დავით აღმაშენებლის მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე დამყარებული ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის — ტოლერანტიზმის (რჯულშემწყნარებლობის) საფუძველი. ცნობილია, რომ დავითი ყოველმხრივ მხარს უჭერდა და მფარველობდა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხს, ხშირად დადიოდა არა მარტო ქრისტიანულ ეკლესიებსა და მონასტრებში, არამედ მეჩეთებშიც, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იდეოლოგიურ-დოგმატიკური ხასიათის დისპუტებში და ყველას აკვირვებდა ღრმა ცოდნითა და ფართო განათლებით. დავით აღმაშენებელი ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ირანელ სუფიებსა და პოეტებს, ამ მიზნით ჰუმანისტმა მეფემ მათ სპეციალური თავშესაფარიც კი აუგო თბილისში.

სამეფო ხელისუფლების ტოლერანტული პოლიტიკის დაინტერესებით უნდა აიხსნას დავით აღმაშენებლის მიერ მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების შეერთება. როგორც ნ. ბერძენიშვილმა გამოიკვლია, დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ეს ახალი თანამდებობა თავისი ხასიათითა და ბუნებით არსებითად განსხვავდება ყველა იმ თანამდებობიდან, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, როგორც უმაღლესი ხელისუფლების ყველაზე გავლენიანი თანამდებობის პირის გაჩენა სამეფო ხელისუფლებაში ნაწილობრივ დავით აღმაშენებლის მიერ შემუშავებული ტოლერანტული პოლიტიკით უნდა აიხსნას, კერძოდ, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც მეფის შემდეგ პირველი პირი იყო საქართველოში, უზრუნველყოფდა დავით აღმაშენებლის ინტერესების შესაბამისად ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებას სხვადასხვა სარწმუნოების და ეროვნების ხალხებზე.

შუა საუკუნეებში დავით აღმაშენებლის სახელმწიფოში განხორციელებული ტოლერანტიზმი იმდროინდელი მსოფლიოსათვის უცხო იყო. რჯულშემწყნარებლობა საკანონმდებლო წესით მოგვიანებით დადგინდა, 1786 წელს დამტკიცდა აშშ-ის მესამე პრეზიდენტის კანონპროექტი ტოლერანტიზმის შესახებ. დავით აღმაშენებელი ტოლერან-

ტიზმს ახორციელებდა გარკვეული პოლიტიკური მიზნით, კერძოდ, წარმატებით გაევრცელებია ქართული სახელმწიფოებრიობა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებზე. თ. ჯეფერსონი კი ტოლერანტიზმს უკავშირებდა ახალშექმნილი აშშ-ის სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა სარწმუნოების (ქრისტიანების, მუსულმანების, ბუდისტების, კონფუძიანელების და ა. შ.) და ეროვნების (ინგლისელების, ფრანგების, ჩინელების, იტალიელების და სხვ.) ხალხთა შორის ერთსულოვნების მიღწევას. თ. ჯეფერსონი ტოლერანტიზმს ასე ასაბუთებდა: მე რას მავნებს თუ ჩემი მეზობელი ამტკიცებს, რომ არსებობს ოცი ღმერთი თუ არცერთი ღმერთი არ არსებობს. ამით არც ჩემი ჯიბე და არც ჩემი ჯანმრთელობა არ დაზიანდება.

ტოლერანტიზმი, მართალია, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში წარმოადგენდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხთა დაახლოებისა და მათი გარკვეული მიზნით დარაზმვის საშუალებას, მაგრამ იგი რა თქმა უნდა გარკვეული სახით ეწინააღმდეგებოდა შუა საუკუნეების ორთოდოქსულ რელიგიურ დოგმატიკას. ღვთისმოსავი დავითი ამის გამოა, რომ შენდობას თხოვს ღმერთს. ჩვენამდე მოღწეულ „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელი აღნიშნავს, რომ იგი ზოგჯერ არღვევდა „სახარების სჯულთა“ და „უცხო თესლი რაიმე სარწმუნოებისაი საწურთელ ყო სულისა“, მაგრამ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. რენესანსული იდეები არამარტო საერო, არამედ სასულიერო ცხოვრებაშიც გავრცელდა, რამაც გამოიწვია ეკლესიაში ქრისტიანული წესების გადასინჯვა. საკმარისია აღინიშნოს, რომ XVI საუკუნეში გერმანიაში რენესანსულმა მოძრაობამ მოიცვა სასულიერო ცხოვრება, ეს მოძრაობა ცნობილია რეფორმაციის სახელწოდებით. რეფორმაციის უდიდესმა წარმომადგენელმა, დიდმა მღდელთმთავარმა მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ქალაქის მონასტრის ჭიშკარზე საჯაროდ გამოფინა ოთხმოცდათხუთმეტი თეზისი, რომლითაც რომის კათოლიკური ეკლესიის რეფორმები მოითხოვა.

დავით აღმაშენებლისა და მის გარშემო შემოკრებილ სწავლულთა მიერ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ორიგინალურ და მდიდარ სულიერ მემკვიდრეობაზე, რამაც უზრუნველყო საქართველოს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, შემდგომში კიდევ უფრო გაიშალა მძლავრი ჰუმანისტური მოძრაობა, რომლის სულიერი წინამძღოლობა შოთა რუსთაველს და ყუთლუ-არსლანს ხვდა წილად.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპაში რენესანსულ-ჰუმანისტური მოძრაობა შეამზადა ანტიფეოდალურმა ბრძოლამ და ფეოდალური ურთიერთობის რღვევამ, რაც გამოიწვია მესამე წოდების აქტიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობამ. ადრინდელი ბურჟუაზიული ელემენტების ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო XII ს. დასასრულიდან და მან ორი ეტაპი განვლო, პირველი ეტაპი მთავრდება XVII ს. დასაწყისით. ამ პერიოდში მთავარია რენესანსული მოძრაობა, რომელიც ფეოდალიზმის წინააღმდეგაა მიმართული. მეორე ეტაპი კი დამთავრდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციით XVIII ს. დასასრულს.

XI—XII სს. საქართველოს ეკონომიკა არ ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეს, რომელმაც განსაზღვრა ანტიფეოდალური რენესანსული მოძრაობა. ამ დროს საქართველოში უკვე არსებობს ადრებურჟუაზიული ელემენტები, კერძოდ, მესამე წოდება. ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ ეს იყო დრო, როდესაც „საქართველო თავისი ფეოდალური განვითარების სიმწიფეში შედიოდა, როცა ქალაქის ხელოსნებს, „მესამე წოდებას" უკვე მოუდგამს ფეხი"[8]. მესამე წოდების წარმოშობამ და მისმა გაძლიერებამ გამოიწვია ფეოდალიზმის რღვევა. ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ „მე-13 საუკუნის დამდეგისათვის ფეოდალურმა საქართველომ სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო".

ამ გარემოებებმა განაპირობა XII საუკუნის საქართველოში მესამე წოდების გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუარსლანის მეთაურობით.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ქართული რენესანსი, დასავლეთ ევროპის რენესანსის მსგავსად, დაიწყო მესამე წოდების ანტიფეოდალური ბრძოლით და XII ს. ფეოდალური საქართველოს მომძლავრებული იდეოლოგია პირდაპირ კავშირშია რენესანსულ მოტივებთან. ფეოდალურ საქართველოში შინაკლასობრივი ბრძოლა არსებითად განსაზღვრავდა ამ ეპოქის პოლიტიკური მოვლენების შინაარსს[9].

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივად დაწინაურებული და პოლიტიკურად აღზევებული საქართველოს მმართველი ფენის, სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის მესამე წოდებისადმი მწვავე კლასობრივი ბრძოლით განსაზღვრული ქედმაღლური დამოკიდებულების გამო, XII საუკუნის ამ ახალი სოციალური ფენის პოლი-

---

[8] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 36.

[9] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1972.

ტიკური ბრძოლისა და განსაკუთრებით ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები (დებულებები, წესდებები, სამეურნეო დავთრები, რომელთაც მაშინ არავითარი მეცნიერული ღირებულება არ ჰქონდათ), ჟამთა სიავეს ვერ გადაურჩა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრების ამსახველი ძეგლებითაც შეიძლება დადგენილ იქნას მესამე წოდების პოლიტიკური იდეოლოგია. ამ მხრივ მეტად ძვირფას მასალას შეიცავს თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასისა და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მისი ბრძოლის ისტორია.

როგორც ცნობილია, დიდგვარიანი აზნაურები უკმაყოფილონი იყვნენ იმ პროგრესული პოლიტიკური რეჟიმით, რომელსაც საფუძველი თავდაპირველად დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა და შემდეგში თამარ მეფის მამამ გიორგი მესამემ განავითარა. ეს პროგრესული პოლიტიკური რეჟიმი მესამე წოდების განვითარების მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რამდენადაც ამ წოდების ნიჭიერ და უნარიან წარმომადგენლებს, სოციალური წარმოშობის მიუხედავად, ფართოდ უხსნიდა გზას სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისაკენ. დიდგვარიანი აზნაურები, რომელთაც თავი მოჰქონდათ მაღალი სოციალური წარმოშობით, უკმაყოფილონი იყვნენ ამით, ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ ქვეყანაში მტკიცედ ჩამოყალიბებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის დასამხობად და ასეთი მომენტიც დადგა: დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს გიორგი მესამის გარდაცვალებით და ახალგაზრდა მეფე თამარის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. შეთქმულთა უპირველესი პოლიტიკური მოთხოვნა იყო დაბალი სოციალური წარმოშობის მინისტრების — ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება და რეაქციული პოლიტიკური რეჟიმის დამყარება. სამეფო ხელისუფლების სისუსტის გამო დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულება გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ საყურადღებოა, რომ დიდგვარიან აზნაურთა აჯანყება ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ თამარ მეფის მინისტრის — დაბალი სოციალური წარმოშობის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით იფეთქა მეორე დიდმა აჯანყებამ, რომლის მსგავსი თავისი პოლიტიკურ-ორგანიზაციული სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, რის გამო თამარის ისტორიკოსი ამ აჯანყებას „უცხოდ მოსაგონებელს“ უწოდებს. ეჭვი არ არის, რომ ამ სიტყვებით ისტორიკოსს სურს ხაზი გაუსვას ფეოდალურ საქართველოში უაღრესად განვითარებული მესამე წოდების დიდ პოლიტიკურ აჯანყებას, რომელსაც წინათ საქართველოში, მართლაც, არ ჰქონია ადგილი.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მწვავე კლასობრივ ბრძოლაში ჩამოყალიბდა, თავისი შინაარსით მხოლოდ მე-

სამე წოდების ინტერესებს გამოხატავს. როგორც წყაროები გადმოგვცემენ, ეს გამოსვლა იყო „სიმდიდრით ალაღებულთა“ აჯანყება, რომელიც მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნას და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებას საზოგადოებაში მებრძოლ კლასთა შორის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებად. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის შესახებ ყველა წყაროს კრიტიკული შესწავლის შედეგად, აკად. ივ. ჯავახიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მესამე წოდება ფეოდალურ საქართველოში პოლიტიკურად და ეკონომიკურად იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ აჯანყებაც კი მოუწყვიათ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია[10] და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჯერ ერთი, ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც წამოაყენა ყუთლუ-არსლანის დასმა ანტიფეოდალური მოთხოვნაა და მისი წარმოშობა ყველა ქვეყანაში, სადაც კი ამ თეორიას იცნობენ, დაკავშირებულია ყოველთვის უაღრესად განვითარებულ მესამე წოდებასთან. გარდა ამისა, ხელისუფლების დანაწილების თეორია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ აღორძინების ეპოქაში წამოაყენა რენესანსის ერთ-ერთმა ძლიერმა პოლიტიკურმა მიმართულებამ, კერძოდ ბუნებითი სამართლის სკოლამ.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, როგორც ფეოდალურ საქართველოში რენესანსის ერთ-ერთმა მეტად ორიგინალურმა პროგრამამ, დიდი ზეგავლენა მოახდინა ფეოდალური სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის აჯანყება, მართალია, დამარცხდა, მაგრამ ამ აჯანყებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა სამეფო ხელისუფლება, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ქვეყანაში სოციალურად მომწიფებულ მესამე წოდების პოლიტიკურ მოთხოვნებს.

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმთა შორის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულსა და პოემის ტექსტის გაგებისათვის უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს სამართლებრივი აფორიზმი — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, რომელიც, როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში გაბატონებულ, მაგრამ ჩვენთვის უცნობ ქართული ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზეა დამყარებული. რამდენადაც „ვეფხისტყაოსანში“ ყველა

---

[10] ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია (საბჭოთა სამართალი, 1966 წ., № 6).

აფორიზმი პოემის სიუჟეტური ეპიზოდის ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენს და კონკრეტული სიუჟეტური წინააღმდეგობიდან გამომდინარე პოემის მთავარ გმირთა მოქმედების მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას შეიცავს, ამდენად ამ სამართლებრივი აფორიზმის შინაარსის გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ სიუჟეტური ეპიზოდის ანალიზს, რომლის იურიდიული შეფასებაც ჩვენთვის საინტერესო აფორიზმშია მოცემული.

ტარიელის მამამ სარიდანმა მისი კუთვნილი ინდოეთის მეშვიდე სამეფო ნებაყოფლობით შეუერთა ინდოეთის დანარჩენი ექვსი სამეფოს მფლობელს ფარსადანს, რომელსაც არა ჰყავდა მემკვიდრე. სარიდანის პატრიოტული მოქმედებით აღფრთოვანებული ფარსადანი მას გაერთიანებული ინდოეთის სამეფოს ამირბარად ნიშნავს, ხოლო სარიდანის ვაჟს — ტარიელს თავის სასახლეში ზრდის და ტახტის მემკვიდრედ ამზადებს. ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის შემდეგ ფარსადანს შეეძინება ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი, რომელიც ერთხანს ტარიელთან ერთად იზრდება სასახლეში, მაგრამ შემდეგ, როცა ნესტანი წამოიზრდება, ფარსადანი მას შეგნებულად განაცალკევებს ტარიელისაგან და აღმზრდელად თავის ქვრივ დას, ქაჯეთის მეფის ცოლყოფილს დავარს უნიშნავს. ნესტან-დარეჯანის დაბადების შემდეგ ფარსადანი უარს ამბობს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებაზე — ტარიელისათვის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების მინიჭების შესახებ და სამეფო ტახტზე ასაყვანად ახლა უკვე ნესტან-დარეჯანს ამზადებს. მაგრამ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის უკვე მტკიცე სამიჯნურო ურთიერთობაა და მათ უერთმანეთოდ ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება. ტარიელისა და ნესტანის შეუღლებას შედეგად უნდა მოჰყვეს სამეფო ტახტზე ორივეს ასვლა ერთდროულად, რაც, შოთა რუსთაველის აზრით, ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი კოლიზიის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა და იგი ნიშნავს სამეფო ტახტის საკითხის გადაწყვეტას ე. წ. მართალი სამართლის შესაბამისად.

მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობს ინდოეთის მეფე ფარსადანი. მისი აზრით, როგორც პოემიდან ჩანს, ნესტანის გაჩენის შემდეგ ტარიელს ტახტის მემკვიდრეობის უფლება აღარ გააჩნია და ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ნესტან-დარეჯანი უნდა იყოს, მაგრამ რადგან, არაბეთისაგან განსხვავებით, ინდოეთში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესების მიხედვით ქალი მისი მეუღლის, თანამეფის გარეშე არ შეიძლება სამეფო ტახტზე იქნას აყვანილი, ფარსადანი ჩქარობს ნესტანის გათხოვებას და სახელმწიფო დარბაზის ფორმალური დასტურით ზედსიძედ ხვარაზმშას შვილს იწვევს.

ფარსადანის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ნესტანი და ტარიელი აჯანყებას აწყობენ: ნესტანმა შთააგონა ტარიელს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ხვარაზმშას შვილის მოკვლაა. ზედსიძედ მოწვეული ხვარაზმშას შვილის სიკვდილის შემდეგ ტარიელი ფარსადანს სამეფოს დარბევით უნდა დაემუქროს, მაგრამ ნესტანისა და მისი სამიჯნურო ურთიერთობა არ უნდა გაამჟღავნოს. ამასთან ერთად იგულისხმება, რომ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა უკიდურესად გაამწვავებს ურთიერთობას ინდოეთსა და ხვარაზმეთს შორის და ხვარაზმშა ფარსადანის საწინააღმდეგოდ ამხედრდება. ამრიგად, ფარსადანი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდება: ქვეყნის შიგნით მას სამეფოს დარბევით დაემუქრება ტარიელი, ხოლო ხვარაზმშას შვილის მკვლელობისათვის ხვარაზმეთიდან იქმნება ინდოეთზე სამხედრო თავდასხმის საფრთხე. ნესტანის აზრით, ასეთ საბედისწერო მომენტში მყოფი ფარსადანი თვითონ შეეხვეწებოდა ტარიელს ნესტანის ცოლად შერთვას და ინდოეთის დაცვას.

ამ სიუჟეტურ ეპიზოდთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ხვარაზმშას შვილის მკვლელობის სამართლებრივი არგუმენტაცია, რომელიც მართალია „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის მიერ არის გადმოცემული, მაგრამ ეჭვი არ არის, იგი შოთა რუსთაველის შეხედულებას გამოხატავს. აი, ისიც:

„რა მოვიდეს, სიძე მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად,
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (542).

აქედან ცხადია, რომ ტარიელის მოქმედება, რაც ობიექტურად, ერთი შეხედვით, უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მკვლელობით გამოიხატება, შოთა რუსთაველის აზრით, არ წარმოადგენს დანაშაულს, რადგანაც ხვარაზმშას შვილის მკვლელობა, როგორც პოემიდან ჩანს, იმ მართალი სამართლის განხორციელებაა, რომელიც ხმელ ხეს გაანედლებს. ამ მოსაზრებას აძლიერებს „ვეფხისტყაოსნის“ 543-ე სტროფი, რომელიც შეიცავს ნესტანის რჩევას ტარიელისადმი:

„ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო,
სისხლი კაცისა უბრალო კაცმანმაც ვით იტვირთაო“.

თუ მხედველობაში მივიღებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ XIII საუკუნემდე ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებში „უბრალო“ ნიშნავს „უდანაშაულოს“, ხოლო „ბრალი“

კი „დანაშაულს“[11], მაშინ ცხადი გახდება, რომ, შოთა რუსთაველის აზრით, ხვარაზმშას შვილის თანმხლები ლაშქარი არის უბრალო, ე.ი. უდანაშაულო, და მას ხელი არ უნდა ახლოს ტარიელმა, რაც შეეხება ხვარაზმშას შვილს, იგი მართალი სამართლის მიხედვით დამნაშავეა და ამიტომაც ხვარაზმშას შვილის მოკვლა მართალი სამართლის ნორმების განხორციელებაა.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედობად არის აღიარებული, „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარს ვ. ნოზაძეს „მართალი სამართალი“ პირდაპირი მნიშვნელობით აქვს გაგებული და შოთა რუსთაველის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ იგი ფიქრობს, რომ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს მართალი სამართლის ქმნად[12]. თუ აპრიორულად დავუშვებთ, რომ ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედობას წარმოადგენს, მაშინ სავსებით ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ უაღრესად პროგრესული და დღესაც პოპულარულ სამართლებრივ აფორიზმს ლოგიკური დასკვნის სახით შოთა რუსთაველი უკავშირებს სრულიად შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდს, კერძოდ ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელის მოქმედებას. ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობას თუ დანაშაულად მივიჩნევთ, მაშინ, რა თქმა უნდა, სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხეაა შეიქმს ხმელსა ნედლად“ შეუსაბამო ხდება პოემის სიუჟეტურ ეპიზოდთან და მისგან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რადგანაც ამ შემთხვევაში უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მოკვლა მიჩნეულ უნდა იქნას იმ მართალი სამართლის ქმნად, რომელიც ხმელ ხეს ანედლებს.

სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ მოყვანილი სიუჟეტური ეპიზოდის დღევანდელი გაგება, რომლის მიხედვით ტარიელისა და ნესტანის მოქმედება დანაშაულებრივად არის მიჩნეული, არ შეიძლება გაზიარებული იქნას. ძნელი დასაჯერებელია, რომ შოთა რუსთაველი, რომლის ჰუმანიზმი და პროგრესული შეხედულებები ყოველთვის აღგვაფრთოვანებს, ვერ გამოძებნიდა უფრო მოხერხებულ და ლოგიკურად მჭიდროდ დაკავშირებულ სიუჟეტურ ეპიზოდს ამ სამართლებრივი აფორიზმის გადმოსაცემად. მაგრამ რაკი პოემაში პროგრესული შინაარსის სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ დაკავშირებულია, ერთი შეხედვით, მასთან შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდთან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ

---

[11] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფ., 1929, გვ. 255.

[12] ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ „საზოგადოებათმეტყველება“, 1958, გვ. 218.

ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მოქმედების გასამართლებლად შოთა რუსთაველს უნდა ჰქონდეს რაღაც სამართლებრივი არგუმენტი. ეს უკანასკნელი თავისი დროისათვის უძლიერესი უნდა ყოფილიყო დამაჯერებლობით და ამიტომაც შოთა რუსთაველს სრულიადაც არ ეუხერხულება ეს პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი პოემაში მოგვცეს როგორც ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მოქმედებისაგან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარე დასკვნა, მაგრამ იმის გამო, რომ რვა საუკუნის განმავლობაში, რომელიც გვაშორებს რუსთაველისაგან, ბევრი რამ შეიცვალა მოვლენებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებაში, ჩვევებსა და შეხედულებებში, რა თქმა უნდა, არასწორი იქნება ჩვენგან დიდიხნით დაშორებული ეპოქის მოვლენები და ადამიანთა მოქმედებანი კვალიფიცირებულ იქნას მხოლოდ დღევანდელობის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ისტორიული პიროვნებების დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოგვცეს მათ მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს მათ ახალი და პროგრესული იმ ეპოქის მიღწევებთან შედარებით, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. მართლაც, იურიდიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტარიელისა და ნესტანის მოქმედება დანაშაულებრივი ხასიათისაა, მაგრამ ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ე. წ. მართალი სამართლის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც აფასებს რუსთაველი ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ მიმართულს, მთლიანად აცლის ამ მოქმედებას დანაშაულებრივ ხასიათს. სწორედ ამიტომ რუსთაველი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ ჩამოაყალიბოს როგორც ხვარაზმშას შვილის მკვლელობასთან დაკავშირებული სიუჟეტური ეპიზოდის ლოგიკური დასკვნა.

მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა „მართალი სამართლის“ ცნების დადგენა, ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ზემოთ გამოთქმული შეხედულებისაგან განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგიის განმსაზღვრელი „მართალი სამართალი“ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წარმოშობილი და შემდეგ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული იგივე

ბუნებითი სამართალია[13], მაგრამ ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში გადამუშავებული ბუნებით სამართლის მოძღვრებისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი ყველგან ღვთაებრიობის შარავანდედით არის შემოსილი. მონათმფლობელური და ფეოდალური ეპოქების პოლიტიკური მოძღვრების მიხედვით ბუნებითი სამართალი არის ქცევის განსაკუთრებული წესები, რომლებიც ადამიანთა ნება-სურვილის მიხედვით დადგენილი დადებითი (პოზიტიური) სამართლისაგან განსხვავებით ღმერთის უცვლელ და მუდმივ ნებას გამოხატავს. ფეოდალიზმის ეპოქაში გავრცელებული ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა აზრით, საზოგადოებაში მოქმედებენ ქცევის განსაკუთრებული წესები (მშობლებისადმი პატივისცემა, ღმერთებისადმი დამოკიდებულება, ღვთაებრივი წარმოშობის მქონე სამეფო ხელისუფლების ტახტის მემკვიდრეობა და ა. შ.), რომლებიც ადამიანთა ნება-სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ღმერთმა დაადგინა, ამიტომაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელიც ადგენს დადებითი სამართლის ნორმებს, თავის საკანონმდებლო საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს ღმერთის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის ნორმებში მოცემული ქცევის წესებით. სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისგან დადგენილი სამართლის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს და გამოხატავდეს ღმერთის ნების მიხედვით დადგენილი ბუნებითი სამართლის ნორმებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შეუსაბამობა არსებობს ბუნებითი და დადებითი სამართლის ნორმებს შორის, მაშინ ქვეშევრდომებს უფლება აქვთ, დაარღვიონ სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისგან დადგენილი ქცევის წესები.

ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხვარაზმშას შვილის მკვლელობით გამოწვეული ტრაგედიის ნამდვილი არსისა და მასთან დაკავშირებული ნესტანისა და ტარიელის მოქმედების მორალურ-პოლიტიკური შეფასებისათვის.

ნესტანისა და ტარიელის აზრით, მართალი სამართლით, ე. ი. ღმერთისგან დადგენილი ბუნებითი სამართლის ნორმების მიხედვით, სამეფო ტახტი მხოლოდ ტარიელსა და ნესტანს ეკუთვნის, მაგრამ ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება ფარსადანის სამეფო ხელისუფლებისგან დადგენილი პოზიტიური სამართლის ნორმა, — ჩამოართვას ტახტის მემკვიდრეობის უფლება ტარიელს და გადასცეს იგი უცხოელს, კერძოდ ხვარაზმშას შვილს. ამდენად, ფარსადანის სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებამ წარმოშვა წინააღმდეგობა ბუნებით სამართალსა და დადებით სამართალს შორის და ასეთ შემთხვევაში

---

[13] R. Stammler, Die Lehre von dem richtizen Rechte, Hale (Saale), 1926.

ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული სამართლებრივი იდეოლოგიის მიხედვით შესრულებული უნდა იქნას არა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დადგენილება, არამედ ღმერთის ნება, ე. ი. განადგურებულ იქნას ის, ვინც ღმერთის ნების წინააღმდეგ ცდილობს სამეფო ტახტის უკანონო დაკავებას. სწორედ ამიტომ შუა საუკუნეებში გაბატონებული ერთადერთი მართალი და ჭეშმარიტი ღმერთის ნების გამომხატველი ბუნებითი სამართლის ნორმების მიხედვით ტარიელისა და ნესტანის მოქმედება ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად. ამ საკითხისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომა გვაძლევს ერთადერთ სწორ წარმოდგენას ხვარაზმშას შვილის მკვლელობით წარმოშობილ ტრაგედიასთან დაკავშირებული სიუჟეტური ეპიზოდის იმ ლოგიკურ დასკვნაზე, რომელშიც მოცემულია ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ნესტანის რჩევა-დარიგება ტარიელისადმი, რომლის მიხედვითაც ხვარაზმშას შვილი ამ უკანასკნელმა უნდა მოკლას არა იმის გამო, რომ ხვარაზმშას შვილი ტარიელს აშკარა მეტოქეობას უწევს ნესტანის სიყვარულში, არამედ ხვარაზმშას შვილი ეცილება ტარიელს მართალი სამართლით მინიჭებული სამეფო ტახტის დაკავებაში. ტარიელსა და ნესტანს კარგად ესმით, რომ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებული იქნას მათ შორის არსებული სამიჯნურო ურთიერთობის დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვება ხვარაზმშას შვილის დაქორწინება ნესტანზე. „ვეფხისტყაოსნის“ 544-ე და 545-ე სტროფებში გადმოცემული ნესტან-დარეჯანის შეხედულებით ხვარაზმშას შვილის მკვლელობის გამართლება იურიდიული თვალსაზრისით მხოლოდ მართალი სამართლის მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ.

ყველაფერი ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველის სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად „დამყარებულია ფეოდალურ საქართველოში ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აყვავების პერიოდში გაბატონებულ ე. წ. მართალი, ანუ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ შოთა რუსთაველი შესანიშნავად იცნობს ამ მოძღვრებას და მოხდენილად იყენებს მას პოემის უმთავრესი სიუჟეტური ეპიზოდის დასასაბუთებლად.

ხანმოკლე იყო ქართული რენესანსის განვითარების გზა. ქართულ რენესანსს, განსხვავებით ევროპული რენესანსისაგან, რომელმაც იდეოლოგიურად შეამზადა ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციები, ბუნებრივი ლოგიკური დასასრული არ ჰქონია. XIII საუკუნის ოციანი წლებიდან კავკასიაში შემოჭრილმა ველურმა ურდოებმა საუკუნეობით

შეაფერხა მისი განვითარება, მაგრამ, სამაგიეროდ, ქართული რენესანსის დიდი მიღწევები ისტორიულად ადამიანთა თვისებრივად ახალი აზროვნების დასაწყისი აღმოჩნდა.

В. В. АБАШМАДЗЕ

ПОЛИТИЧЕСКАЯ ИДЕОЛОГИЯ ГРУЗИНСКОГО РЕНЕССАНСА

Резюме

Положение, выдвинутое в научной литературе академиком Ш. Нуцубидзе, автору настоящей работы не кажется спорным, поскольку оно находит научное подтверждение. На основе критического анализа политической культуры Грузии XI—XII вв. в работе обосновывается мнение, что достижения гуманистического содержания грузинской политико-правовой мысли средневековья в сущности ренесансны и показывают высокий уровень интеллектуальных феноменов Грузии.

На основе изучения источников, дошедших до нас из средневековья, автор работы развивает положение, что основоположники грузинской ренессансной политической идеологии Давид Строитель, Кутлу-Арслан и Шота Руставели не только разрабатывают свободные от религиозных догматов светские политико-правовые учения (естественное право, о разделении властей, вине, собственности, абсолютной власти и т. д.), но и активно выступают за их осуществление в политической жизни Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა ჯაფარიძე

ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი

1040 წ. დენდანეკანის ველზე (სერახსსა და მერვს შორის) მასუდ ღაზნელის განადგურებამ თურქ-სელჩუკებს გზა გაუხსნა ახლო აღმოსავლეთისაკენ. დაიწყო მათი ძლევამოსილი მსვლელობა ერაყისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის, სირიისა და პალესტინის, ამიერკავკასიისა და მცირე აზიის მიმართულებით. დაპყრობით ომებს თან სდევდა ვრცელ ტერიტორიებზე მომთაბარე ოღუზი თურქების, იგივე თურქმენების[1] განსახლებაც.

თურქმენთა 24 ტომიდან სელჩუკთა ეპოქაში 6 ტომი იხსენიება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო დოგერის ტომი[2], რომელიც დაპყრობითმა ომებმა ჯერ ჩრდილოეთ ირანში, მერე კი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში — ალ-ჯაზირაში მიიყვანა. ამ ტომიდან წარმოდგა ართუკიანთა საგვარეულო[3], რომელიც ალ-ჯაზირას ჩრდილოეთ ნაწილში — დიარ ბაქრში[4] დამკვიდრდა.

---

[1] მომთაბარე ოღუზებს XI ს-დან ჩვეულებრივ თურქმენებს უწოდებდნენ — В. В. Бартольд. Туркмены. Сочинения, т. V, М., 1968, გვ. 572. C. E. Bosworth. The Political and Dynastic History of the Iranian World. The Cambridge History of Iran. 5. The Seljuq and Mongol Periods. Cambridge, 1968. გვ. 17; A. K. Lambton. Continuity and Change in Medieval Persia. Aspects of Administrative, Economic and Social History, 11th—14th Century. New York, 1987, გვ. 17.

[2] В. В. Бартольд. Очерк истории туркменского народа. Сочинения. т. II, ч. 1, М., 1963, გვ. 575, C. E. Bosworth. დასახ. ნაშრომი, გვ. 4; A. K. Lambton. დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[3] F. Sümer. Döger. EI², vol. II, გვ. 613—14; C. Cahen. Artukids, EI², vol. I, გვ. 662.

[4] დიარ ბაქრს ეკავა ტერიტორია ტიგროსის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებიდან ევფრატამდე. აქ იყო მნიშვნელოვანი ქალაქები: ამიდი, მარდინი, მაიაფარიკინი, არზანი, ჰისნ ქაიფა და ხარპუტი (ხარბერდი) — G. Le Strange. The Lands of the Eastern Caliphate. London, Liverpool, 1966, გვ. 86—87; C. Cahen. Le Diyar Bakr au temps des premiers Urtukides. JA, t. 227, No. 2, 1935, გვ. 221—27; D. Sourdel-Thomine. Diyar Bakr. EI², vol. II. გვ. 343—44.

დიარ ბაქრში დაფუძნებისთანავე ართუკიანებს უწევდათ ბრძოლები არსებობის შესანარჩუნებლად და თავიანთი სამფლობელოების გაფართოვებლად, როგორც დიდ სელჩუკთა სულტან მუჰამადთან (1105—1118), ისე მუსლიმ და ქრისტიან მეზობლებთან, მათ შორის ჯვაროსნებთან და საქართველოსთან. ამ ბრძოლებში დაწინაურდა ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი[5], რომელმაც დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევის პროცესში დიდი როლი ითამაშა დიარ ბაქრში ართუკიანთა დამოუკიდებელი საამიროების ჩამოყალიბებაში.

*

* *

ილ-ღაზის მამა, ართუკიანთა საგვარეულოს ფუძემდებელი ართუკ[6] ბ. ექსები ისტორიული წყაროების ფურცლებზე პირველად 1073 წ. ჩნდება. ის ჯერ მალიქ-შაჰის, მერე კი მისი ძმის თუთუშის სამსახურში იყო და სიცოცხლე 484/1091-92 წ. იერუსალიმისა და პალესტინის გამგებლად დაასრულა[7]. ართუკის 8 ვაჟიდან ორი ყველაზე ენერგიული — სუქმანი და ილ-ღაზი ერთ ხანს კიდევ მართავდნენ იერუსალიმს, ვიდრე ფატიმიანებმა არ აიძულეს ისინი 1098 წ. დაეტოვებინათ პალესტინა. სუქმანი გაემართა დიარ ბაქრში, სადაც ადრე მამასთან ერთად იბრძოდა და ერთგულ თურქმენებზე დაყრდნობით 1098—1102 წლებში დაეუფლა ორ ქალაქს — მარდინსა და ჰისნ ქაიფას. ის მონაწილეობდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლებშიც და გარდაიცვალა 1105 წ.[8].

ილ-ღაზიმ მოღვაწეობისათვის[9] ერაყი აირჩია. მალე, მალიქ-შაჰის ვაჟებმა მუჰამადმა და ბარქიარუკმა სულტნის ტახტისათვის ხანგრძლი-

---

[5] ამ სახელის პირველი ნაწილი (ნაჯმ ად-დინ) არის ლაკაბი (ტიტული) და ნიშნავს სარწმუნოების ვარსკვლავს, მეორე (ილ-ღაზი) კი — 'ალამი (საკუთარი სახელი), რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან: თურქ. ēل (ხალხი) და არაბ. ღაზ̄ (მებრძოლი) და ნიშნავს ხალხთმბრძოლს. იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. არაბულ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1951, გვ. 173.

[6] ქართულ წყაროებში ეს სახელი დამოწმებულია ა რ დ უ ხ ი ს (არდოღის) ან ა რ დ ო ხ ი ს ფორმით. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 340 (ვარიანტებით); ტ. II, თბ., 1959, გვ. 6.

[7] I b n K h a l l i k a n's Biographical Dictionary. Tr. from the Arabic by Mac Guckin de Slane, vol. I. Paris, 1842, გვ. 171—72; C. C a h e n. Artukids, გვ. 662—63.

[8] C. C a h e n. Artukids, გვ. 664.

[9] ილ-ღაზის მოღვაწეობის შესახებ ძირითადი არაბული წყაროებია: ი ბ ნ ა ლ-კ ა ლ ა ნ ი ს ი. თა'რიხ დიმაშკ, თაჰკიკ ს. ზაქქარ, დიმაშკ, 1983; ი ბ ნ ა ლ-ა ზ რ ა კ ა ლ-ფ ა რ ი კ ი. თა'რიხ მაიაფარიკინ ვა ამიდ, ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერები: შედარებით სრული Or. 5803 და ნაკლული Or. 6310 მთლიანად ეს თხზულება არ არის გამოცემული. ის ნაწილი, რომელიც ართუკიანებს ეხება, რედაქტირებული

ვი ბრძოლა დაიწყეს. ილ-ღაზიმ მუჰამადის მხარე დაიჭირა და ერთგული სამსახურისთვის ბაღდადის შიჰნას მნიშვნელოვანი თანამდებობა მიიღო. როცა 1104 წ. ზავით ძმებმა სახელმწიფო გაიყვეს, ილ-ღაზიმ ზურგი აქცია თავის მფარველს და ხუტბა ბარქიარუკის სახელზე აღავლინა. მაგრამ ამჯერად ანგარიში შეეშალა. 1104 წ. ბარქიარუკი გარდაიცვალა, მუჰამადმა დაიკავა ბაღდადი და გადააყენა ილ-ღაზი, რომელიც იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა ერაყი.

სულტნისაგან შერისხულმა ილ-ღაზიმ დიარ ბაქრს მიაშურა, სადაც მისი ძმის სუქმანის ენერგიული მოღვაწეობის წყალობით ართუკიანებს უკვე ფეხი ჰქონდათ მოკიდებული. მათ დასაყრდენს წარმოადგენდნენ მომთაბარე თურქმენები, რომელთაც ასაზრდოვებდათ დიარ ბაქრის მრავალრიცხოვანი, კარგი საძოვრები. მარდინსა და ჰისნ ქაიფას სუქმანის სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟი იბრაჰიმი განაგებდა. ილ-ღაზის არ ჰქონდა რაიმე სამფლობელო, მაგრამ მალე გაუმართლა. 1108 წ. ძმისშვილის სიკვდილმა მას გზა გაუხსნა ხელისუფლებისაკენ, გახდა ართუკიანთა საგვარეულოს მეთაური და დაეუფლა მარდინს. რაც შეეხება ჰისნ ქაიფას, ის იბრაჰიმის ძმას, დაუდ ბ. სუქმანს დარჩა.

დიარ ბაქრი მოშორებული იყო სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრს. ციხე-სიმაგრეთა ქსელი, რომელიც აქ ჯერ კიდევ ისლამის ადრეულ ხანაში, ბიზანტიელთა წინააღმდეგ შეიქმნა[10], საშუალებას აძლევდა ილ-ღაზის შედარებით უსაფრთხოდ ეგრძნო თავი. მარდინის მიუვალ ციხეში გამაგრებული ართუკიანი სულ უფრო ხშირად ამბობდა უარს მონაწილეობა მიეღო იმ ლაშქრობებში, რომლებსაც მოსულის გამგებლები (მავდუდი, აკ-სონკურ ბარსუკი) სულტან მუჰამადის მითითებით ჯვაროსანთა წინააღმდეგ აწყობდნენ. მუჰამადის შურისძიების თავიდან

და ინგლისურად თარგმნილი აქვს კ. ჰილენბრანდს თავის გამოუცემელ სადოქტორო დისერტაციაში: C. Hillenbrand. The History of the Jazira 1100—1150: The Contribution of Ibn al-Azraq al-Fariqi, 2 vols. Edinburgh, 1979); Ibn al-'Adim. Histoire d'Alep, t. II, ed. S. Dahan, Damas, 1954 (შემდეგ იბნ ალ-'ადიმ); სიბტ იბნ ალ-ჯაუზი. მირათ აზ-ზამან, VIII, ჰაადარაბად, 1951; იბნ ალ-ასირ. ალ-ქამილ ფი თ-თა'რიხ, ბაჰრუთ, 1966 და სხვ. გამოკვლევებიდან გათვალისწინებულია: К. Босворт. Мусульманские династии. М., 1971. გვ. 167; C. Cahen. Le Diyar Bakr.., გვ. 227—40; მისივე, Artukids, გვ. 662—64, K. Süssheim. Il-Chazi, EI², vol. IV, გვ. 1118—19. S. Runciman. A. History of the Crusades, vol. II, Cambridge, 1957, გვ. 107—8, 111—12, 121—23, 128—9, 131—34, 147—55, 158—62; A History of the Crusades, vol. I, ed M. W. Baldwin. Madison, Milwaukee, London, 1969. გვ. 171—74, 403—5, 412—18, 450—52; C. Hillenbrand. The Career of Najm al-Din Il-Ghazi. Der Islam, Bd. 58, Heft 2, 1981, გვ. 250—292 და სხვ.

[10] C. Hillenbrand. The Career..., გვ. 265.

აცილების მიზნით ის ცდილობდა ერთგული მოკავშირეები ეძებნა. მტკიცე აღმოჩნდა მისი კავშირი დამასკოს გამგებელთან თოღ-თეგინთან, რომელიც მისი სიმამრიც გახდა. სიძე-სიმამრი დაუკავშირდნენ ანტიოქიის გამგებელს როჟერს, რომელმაც 1115 წ. სექტემბერში სასტიკად დაამარცხა სირიაში მათ დასასჯელად და აგრეთვე, ფრანკებთან საბრძოლველად შეჭრილი სულტნის ლაშქარი ბურსუკ ბ. ბურსუკის მეთაურობით[11].

ბურსუკის მარცხს მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა ილ-ღაზისათვის. მუჰამადს ამის შემდეგ აღარ უცდია მის დასასჯელად ახალი ლაშქრის გაგზავნა. გარეგნულად აღარც ილ-ღაზი ურჩობდა და როცა 1118 წ. მუჰამადი გარდაიცვალა, მან აღადგინა ნორმალური ურთიერთობები ახალ სულტანთან — მაჰმუდთან (1118—1131). ამ პერიოდისთვის ართუკიანი ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო. მან საგრძნობლად განიმტკიცა თავისი პოზიციები დიარ ბაქრში, ხელთ იგდო მაიაფარიკინი (1118 წ.)[12] და ალ-ჯაზირას სხვა ქალაქებიც: ჰარანი, ნისიბინი და რას ალ-აინი[13]. ილ-ღაზის კარგი ურთიერთობები ჰქონდა აგრეთვე ორ ძმისშვილთან: ჰისნ ქაიფას გამგებელ დაუდთან და ბალაქ ბ. ბაჰრამთან, რომელიც ფლობდა ქ. ხარპუტს (ხარბერდი) — ჰანძითის მთავარ ქალაქს დიარ ბაქრის ჩრდილო-დასავლეთით, ევფრატის მარცხენა ნაპირზე.

1118 წლიდან შეიცვალა ილ-ღაზის დამოკიდებულება ყოფილ მოკავშირეებთან — ჯვაროსნებთან. განხეთქილების მიზეზი გახდა ქ. ჰალაბი (ალეპო).

ჰალაბი იყო ჩრდილოეთ სირიის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი, მაგრამ შინაომებმა და მმართველთა განუწყვეტელმა ცვლამ დაასუსტა და გააპარტახა ის. ამასთან, ქალაქი ტრიპოლიდან და ანტიოქიიდან ჯვაროსანთა მუდმივი მუქარის ქვეშ მოექცა. ჰალაბი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტსაც წარმოადგენდა და მისთვის ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილოეთ სირიაში ჰეგემონიისათვის[14].

511/1117-18 წ. მოკლეს ჰალაბის გამგებელი საჭურისი ლულუ და მოსახლეობამ ილ-ღაზის ქალაქის დაკავება შესთავაზა. ართუკიანმა მიიღო ეს მიწვევა, მაგრამ მალე იმედები გაუცრუვდა. ჰალაბის შემოსავალი ვერ აკმაყოფილებდა ილ-ღაზისა და მისი თურქმენების მოთხოვნებს. ქალაქში არ იყო სურსათ-სანოვაგე, ხაზინაში კი — ფული.

---

[11] C. Hillenbrand. The Career... გვ. 253; A History of the Crusades, გვ. 404.

[12] C. Hillenbrand. The Career..., გვ. 266, შენ. 75.

[13] იქვე, გვ. 266.

[14] იქვე, გვ. 267.

ილ-ღაზი მცირე ხნით დარჩა ჰალაბში, შემდეგ აქ თავისი ვაჟი, თემურ-თაში დატოვა და მარდინში დაბრუნდა[15].

ჰალაბის ზონაში ილ-ღაზის გამოჩენამ ჯვაროსანთა შეშფოთება გამოიწვია. 1119 წ. როჟერ ანტიოქიელმა მოუხშირა ჰალაბზე თავდასხმებს და შეიქმნა რეალური საფრთხე ქალაქის დაცემისა. შეშფოთებულმა ჰალაბელებმა, მას შემდეგ რაც სულტნისა და სხვა მუსლიმი გამგებლების დახმარების იმედი დაკარგეს, ერთხელ კიდევ იხმეს ილ-ღაზი.

კ. ჰილენბრანდი თვლის, რომ ჰალაბის საქმეებში ჩარევა ილ-ღაზის პირველი შეცდომა იყო, რადგანაც ამით მისი ძალები გამოიფიტა და სარგებლობა კი ვერ ნახა[16]. მაგრამ ძნელია დაეთანხმო ამ თვალსაზრისს, რადგანაც სწორედ ამ „შეცდომამ" იხსნა ჰალაბი დაცემისაგან და სამუდამოდ შეუნარჩუნა ის მუსლიმებს. 1119 წ. ივნისში ართუკიანი 20 ათასი (ზოგიერთი ცნობით — 40 ათასი)[17] თურქმენითა და მოხალისით (მ უ თ ა ტ ა ვ ვ ი') დაიძრა ჩრდილოეთ სირიისაკენ. მოკავშირედ მას ისევ თოღ-თეგინი ეგულებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მის მოსვლამდე, თურქმენთა დაჟინებული მოთხოვნით, ილ-ღაზიმ 27 ივნისს მოულოდნელად შეუტია ბალატის ველზე დაბანაკებულ როჟერ ანტიოქიელის უფრო მცირე ლაშქარს[18] და სასტიკად დაამარცხა ის. მუსლიმებმა ოციოდე კაცი დაკარგეს, ჯვაროსანთაგან კი მხოლოდ ამდენივემ უშველა თავს[19]. დაიღუპა როჟერი, ტყვედ ჩავარდა 70-ზე მეტი რაინდი. მათ გამოსასყიდათ ილ-ღაზიმ 300 ათასი დინარი დააწესა და ისინი, ვინც თავის დახსნა ვერ შეძლო, ჰალაბში დაახოცვინა[20]. თურქმენებმა მოაოხრეს ბედის ანაბარად მიტოვებული ანტიოქიისა და სუვაიდიას სანახები და ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და ნადავლი. ბალატთან მუსლიმებმა მოიპოვეს პირველი ყველაზე დიდი და ბრწყინვალე გამარჯვება ჯვაროსნებზე. „ეს იყო გამარჯვება — საუკეთესო გამარჯვებათა და ხოტბაშესხმულ ძლევათა შორის, რომლის მსგავსიც არ მომხდარა ისლამში წინა წლებსა და წინა ხანებში", — წერდა იბნ ალ-კალანისი[21]. ბრძოლის წინ ილ-ღაზიმ, პირველად XII ს. დასაწყისის სირიაში, გამოიყენა საღვთო ომის — ჯიჰადის ლოზუნგი, დააფიცა თა-

---

[15] ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ, X, გვ. 531—33; ი ბ ნ ა ლ-'ა დ ი მ, გვ. 180.

[16] C. H i l l e n b r a n d. The Career.., გვ. 267, 269.

[17] ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ, X, გვ. 553; ი ბ ნ ა ლ-'ა დ ი მ, გვ. 187.

[18] როჟერს ჰყავდა 3 ათასი მხედარი და 9 ათასი ქვეითი (ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ, X, გვ. 554), ან 20 ათასი მეომარი (ს ი ბ ტ ი ბ ნ ა ლ-ჯ ა უ ზ ი, გვ. 79).

[19] ი ბ ნ ა ლ-'ა დ ი მ, გვ. 189; S. R u n c i m a n. A History.., გვ. 150; A History of the Crusades, გვ. 413.

[20] ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ, X, გვ. 555; ი ბ ნ ა ლ-'ა დ ი მ, გვ. 193.

[21] ი ბ ნ ა ლ-კ ა ლ ი ნ ი ს ი, გვ. 320.

ვისი ამირები, რომ გმირულად იბრძოლებდნენ, უკან არ დახევდნენ და სიცოცხლეს არ დაიშურებდნენ ჯიჰადისათვის[22].

ბალატთან სასტიკი მარცხის შემდეგ ჯვაროსანთა მდგომარეობა ანტიოქიაში კრიტიკული შეიქმნა. ქალაქი პრაქტიკულად დაუცველი იყო, მაგრამ ილ-ღაზიმ ვერ გამოიყენა ეს შანსი. მისი თურქმენები, როგორც კი ნადავლი იშოვნეს, დაიფანტნენ. თავად მან გაუთავებელი სმა დაიწყო[23] და როცა გამოფხიზლდა, გვიანღა იყო. ანტიოქიას იერუსალიმის მეფემ ბალდუინმა მიაშურა, გაამხნევა ფრანკები და ბალატთან გამარჯვებიდან 40 დღის შემდეგ, როდესაც ილ-ღაზი ანტიოქიაზე დაიძრა, ჯვაროსნები მას მომზადებულები დახვდნენ. დანისთან ბრძოლაში ორივე მხარე დაზარალდა[24] და ილ-ღაზიმ შესძლო მხოლოდ რამდენიმე მეორეხარისხოვანი სასაზღვრო პუნქტის დაკავება. 1120 წ. ის შეეცადა ხელახლა მიეტანა იერიში ანტიოქიაზე, მაგრამ თავის ძალებში დარწმუნებულმა სერიოზული შეცდომა დაუშვა. სასჯელის მუქარით მან აუკრძალა თურქმენებს ეძარცვათ ის ტერიტორიები, რომლებიც უნდა გაევლოთ. საპასუხოდ თურქმენებმა მიატოვეს ის და მცირე რაზმით დარჩენილი ართუკიანი განსაცდელისგან თოღთეგინმა იხსნა[25]. ანტიოქია არც ამის შემდეგ ასვენებდა ილ-ღაზის. იბნ ალ-'ადიმის ერთი ცნობით, საქართველოზე ლაშქრობის დროს გზაზე დუბაის ბ. სადაკას მისთვის შეუთავაზებია ანტიოქიის წინააღმდეგ ფულითა და სამხედრო ძალით დახმარება, თუ კი სანაცვლოდ ჰალაბს მიიღებდა და ართუკიანიც დათანხმებულა[26]. აშკარა იყო, რომ ბალატთან გამარჯვების შემდეგ ჯვაროსნებს ახალი მრისხანე და დაუოკებელი მეტოქე გამოუჩნდა, რომელთანაც ბრძოლა მთელი ძალების მობილიზაციას მოითხოვდა. ამ საფრთხემ ჯვაროსნები აიძულა ეძებნათ ახალი მოკავშირეები ქრისტიანთა შორის და კერძოდ კი, კავშირი დაემყარებინათ დავით აღმაშენებელთან[27].

---

[22] ი ბ ნ ა ლ-'ა დ ი მ, გვ. 188; C. H i l l e n b r a n d. The Career.., გვ. 274—275.

[23] У с а м а ბ. М у н к ы з. Книга назидания. М., 1958, გვ. 195, 196.

[24] იქვე.

[25] ი ბ ნ ა ლ-'ა დ ი მ, გვ. 195.

[26] იქვე, გვ. 200.

[27] ამ საკითხის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში. იხ.: ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ჯვაროსანთა დროიდან. თბ., 1989; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. თსუ შრომები, ტ. 125, 1968, გვ. 83—103; თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი (თ. კახიანი), მოვიდა იდუმალ ქართლს შინა. „დროშა", IX, 1971 და იგივე ნაშრომი მის წიგნში „მაშრიყით მაღრიბამდე". თბ., 1974, გვ. 13—22; შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაჲ საკვირველი. თბ., 1972, გვ. 72—81; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, საქართველო და ჯვაროსნები — მის წიგნში „საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან", თბ., 1984, გვ. 112—142; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა — წიგნში ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ი. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973, გვ. 8—10; რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით IV აღმაშენებელი. თბ., 1986, გვ. 290—298 და სხვ.

საქართველოზე ლაშქრობის (1121 წ.) წინ ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი განაგებდა ჰალაბის ოლქს ჩრდილოეთ სირიაში და დიარ ბაქრის დიდ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ჰალაბი მარდინთან შედარებით უფრო დიდი და პრესტიჟული ქალაქი იყო, ჯვაროსნებთან და ისმაილიტებთან მისი სიახლოვის გამო ილ-ღაზი ამჯობინებდა მარდინში ეცხოვრა. ქ ის თავს უშიშრად გრძნობდა. მის უზენაესობას აღიარებდნენ სხვა ართუკიანები, არზანისა და ბიდლისის მფლობელი ტუღან-არსლანი და ზოგიერთი პატარა ქალაქის გამგებელიც.

ილ-ღაზის არ ჰყავდა დიდი მუდმივი ჯარი. მის ძირითად სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ დაქირავებული თურქმენები, რომლებიც დიარ ბაქრში მომთაბარეობდნენ. თურქმენებს ვხედავთ ილ-ღაზის სამსახურში, როცა მას ეკავა ბაღდადის შიჰნას თანამდებობა[28] და შემდეგ ყველა მის ომში. თურქმენები ძლიერი და სასტიკი მეომრები იყვნენ. იბნ ალ-კალანისი მათ ადარებს ლომებსა და სონღულებს, რომლებიც ეძიებენ და თავს დასტრიალებენ მსხვერპლს[29]. მიხეილ სირიელი წერდა, რომ თურქმენები ილ-ღაზის ერთგულნი და მორჩილნი იყვნენ[30]. კ. ზიუსჰეიმი და კ. ჰილენბრანდი სხვა წყაროების მიხედვით მიუთითებენ, რომ ართუკიანის გავლენა და ძალაუფლება თურქმენებზე იყო არაჩვეულებრივი და შეუდარებელი და რომ თავადაც შთაგონებული იყო მათი ერთგულებითა და თავდადებით[31].

კ. ჰილენბრანდი აღნიშნავს, რომ თურქმენებთან ურთიერთობამ განსაზღვრა ილ-ღაზის კარიერა თანაბრად, როგორც მისთვის სასარგებლოდ, ისე საზიანოდ[32]. საქმე ისაა, რომ თურქმენები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ბრძოლის უნარით, ამავე დროს იყვნენ მერყეევნი და ურჩები. მათ ამოძრავებდათ მხოლოდ სწრაფვა ძარცვისაკენ. ამა თუ იმ მმართველს, მათ შორის ილ-ღაზის, მხოლოდ მაშინ შეეძლო თურქმენთა დაყოლიება ლაშქრობაში მონაწილეობაზე, თუ დაუყოვნებლივ გადაუხდიდა მათ ფულს, ან მისცემდა გარანტიას ნადავლზე ბრძოლის შემდეგ. ამის გამო ილ-ღაზის სამხედრო ოპერაციები სერიოზულად იყო შეზღუდული. არაბი ისტორიკოსების თანახმად, ის ვერ აწყობდა ხანგრძლივ ლაშქრობებს ფრანკებზე, რადგანაც თურქმენები, რომლებსაც ხურჯინებით თან მოჰქონდათ საკვები (გამომშრალი ცხვრის ხორცი და ფქვილი), საათებს ითვლიდნენ და იმაზე ფიქ-

---

[28] ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ, X, გვ. 338, 372.

[29] ი ბ ნ ა ლ-კ ა ლ ა ნ ი ს ი, გვ. 319.

[30] Chronique de Michel le Syrien, tr. J.-B. Chabot, t. III, fasc. 3, Paris, 1910, გვ. 105; C. Hillenbrand. The Career.., გვ. 271.

[31] K. Süssh'eim. Il-Chazi, გვ. 1119; C. Hillenbrand. The Career.., გვ. 271.

[32] C. Hillenbrand. The Career.., გვ. 271.

რობდნენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყვნენ უკან, და თუ კი ლაშქრობა გაგრძელდებოდა — იფანტებოდნენ[33] ასევე ბაბალენ ისინი ნადავლითურთ ბალატთან გამარჯვების შემდეგ. ილ-ღაზის გაუთავებელ სმასთან ერთად ეს იყო იმის მიზეზი, რომ დაუცველი ანტიოქია აუღებელი დარჩა. ზემოთ ისიც აღინიშნა, თუ როგორ მიატოვეს თურქმენებმა ილ-ღაზი ანტიოქიაზე ხელახალი ლაშქრობის დროს. კ. ჰილენბრანდი ამ ფაქტში ხედავს განხეთქილებას, რომელიც ილ-ღაზისა და თურქმენების ურთიერთობაში გაჩნდა[34].

არაბი ავტორები ახასიათებენ ილ-ღაზის როგორც მამაცსა და გულუხვს[35]; სასტიკსა[36] და ლოთს[37]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თანახმად ის იყო „კაცი დაჰმანი და მრავალღონე"[38]. ევროპელი მკვლევარები, რომლებიც ილ-ღაზის მოღვაწეობას ჯვაროსანთა ისტორიის კუთხით განიხილავენ, მკაცრად აფასებენ მის პიროვნულ თვისებებს. რ. რორიჰტისთვის ის დარჩა ლოთი, სასტიკი და აღვირახსნილი, რ. გრუსესთვის კი — ტლანქი, ბებერი მხედარი[39]. კ. ჰილენბრანდი, რომელმაც ილ-ღაზის მოღვაწეობას დღემდე ყველაზე ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა, აღნიშნავს, რომ ის იყო ჭირვეული და დამოუკიდებელი პირად და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მერყეევი — გადაწყვეტილებების მიღების დროს[40]. სკეპტიციზმი სჭარბობს ილ-ღაზის სამხედრო და პოლიტიკური ნიჭის მისეულ შეფასებაშიც.

---

[33] იბნ ალ-ასირ, X, გვ. 568; იბნ ხალდუნ, თა'რიხ, V, ბაირუთ, 1968, გვ. 488.

[34] C. Hillenbrand. The Career... გვ. 275.

[35] იბნ თაღრი ბირდი. ან-ნუჯუმ აზ-ზაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ლ-კაჰირა, V, 1383/1963, გვ. 223.

[36] ამის მაჩვენებელია თუნდაც ილ-ღაზის მიერ ჯვაროსანი ტყვეების გაქელტეჰალაბში (იხ. ზემოთ).

[37] ამის შესახებ უსამა იბნ მუნკიზის გარდა (შენ. 23) აღნიშნავს იბნ ალ-კალანისიც (გვ. 305).

[38] ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით დაჰმანი მოხერხებულია (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 433), მაგრამ ამ ძველ ირანულ სიტყვას (tahman, tahma, taxma) სხვა ახსნა აქვს: გმირი, მამაცი, გამბედავი—M. Brosset. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle. Tr. du Géorgien, Ire partie. St.—Pbg, 1849. გვ. 365, შენ. 10; თ. ჩხეიძე. ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან. თბ., 1984, გვ. 15.

[39] R. Röricht. Geschichte des Königreichs Jerusalem. Innsbruck, 1898, გვ. 136; R. Grousset. Histoire des Croisades et du Royaume de Jérusalem, I, Paris, 1934, გვ. 560; C. Hillenbrand. The Career.., გვ. 252.

[40] C. Hillenbrand. The Career.., გვ. 290.

კ. ზიუსჰეიმის კვალდაკვალ კ. ჰილენბრანდიც წერს, რომ ილ-ღაზი არ იყო დიდი ნიჭის სარდალი და სამხედრო სტრატეგი[41]. ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად ის განიხილავს ბალატისა და დიდგორის ბრძოლებს. პირველში, მისი აზრით, ილ-ღაზიმ თურქმენთა ინიციატივის წყალობით გაიმარჯვა და საბოლოოდ ვერ გამოიყენა ამ გამარჯვების შედეგები. თბილისთან კი მან მარცხი განიცადა. მაგრამ ეს საკითხი არ შეიძლება ასე ცალმხრივად გადაიჭრას. ილ-ღაზის, როგორც ითქვა, არ ჰყავდა დიდი მუდმივი ჯარი და, ამდენად, მისი წარმატებები მხოლოდ დაქირავებული თურქმენებით საკმაოდ შთამბეჭდავია. 1115 წ. მან სასტიკად დაამარცხა სულტნის რეგულარული ლაშქარი აკ-სონკურ ბურსუკის მეთაურობით. ბალატთან დაღუპული როჟერი თავად ნიჭიერი სარდალი იყო და მის მარცხს მხოლოდ თურქმენთა მონდომებით ვერ ავხსნით. რაც შეეხება დიდგორის კატასტროფას, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო არა მარტო ილ-ღაზის სამხედრო ნიჭი, არამედ მისი მეტოქის — დავით აღმაშენებელის სამხედრო გენია.

კ. კაენი წერს, რომ ილ-ღაზი, მომთაბარეთა ეს ბელადი, რომელიც მთელ თავის დროს ფართო მასშტაბის სამხედრო ექსპედიციებს ანდომებდა, განსხვავებით სხვა თურქმენებისგან, რომლებიც მხოლოდ ანგრევდნენ, დაკავებული იყო ადმინისტრაციული და რელიგიური საქმეებითაც[42]. ა. სევიმის თანახმად, ართუკიანი იყო „არა მარტო ძლიერი მეომარი, არამედ პოლიტიკოსი და ნიჭიერი ადმინისტრატორიც"[43]. უფრო სკეპტიკურად აფასებს ილ-ღაზის, როგორც მმართველის, უნარს კ. ჰილენბრანდი[44]. მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ილ-ღაზიმ თავის სამფლობელოებში, განსაკუთრებით კი დიარ ბაქრში, შექმნა მტკიცე ხელისუფლება, რის წყალობითაც აქ თავს უშიშრად გრძნობდნენ, როგორც თვითონ, ისე მისი მემკვიდრეებიც.

კ. ჰილენბრანდი ვერ უარყოფს, რომ ილ-ღაზი იყო ენერგიული სამხედრო ლიდერი და დროდადრო გამჭრიახი პოლიტიკოსიც[45]. ჩვენ კი დავძენდით, რომ ის იყო უაღრესად სიცოცხლისუნარიანი, გამძლე პიროვნება, რომელმაც რთულ პირობებში, სულტნისაგან შერისხულმა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ჯვაროსნებთან ბრძოლებში მოიპოვა და განავრცო თავისი ძალაუფლება, შესძლო ის, რასაც ახერხებდნენ უპირატესად სელჩუკ სულტნებთან დაახლოებული ამირები და

---

[41] K. Süssheim. Il-Ghazi, გვ. 1119; C. Hillenbrand. The Career., გვ. 277.

[42] C. Cahen. Le Diayar Bakr.., გვ. 237.

[43] A. Sevim. Artuk Oğlu Ilghazi. Belletin, Cilt XXVI, Sayi 104, 1962, გვ. 690; C. Hillenbrand. The Career.., გვ. 283.

[44] C. Hillenbrand. The Career.., გვ. 282—84.

[45] იქვე, გვ. 290.

ათაბაგები, რომლებიც იკტად იღებდნენ სამფლობელოებს. მან, როგორც მართებულად აღნიშნავს კ. ჰილენბრანდი, ისლამის ისტორიაში შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, რაც გამოიხატა სელჩუკთა ცენტრალური ხელისუფლებისთვის ნელ-ნელა ძირის გამოთხრასა და თანდათანობით, ალ-ჯაზირასა და ჩრდილოეთ სირიაში დამოუკიდებელი საამიროების შექმნაში[46].

XIII ს. ანონიმური სირიული ქრონიკის თანახმად ილ-ღაზი „გახდა ძლევამოსილი და განდიდდა, რადგანაც მართავდა საკუთარ ქვეყანას, თავისი ძმის სუქმანის შვილებისა და ბიძაშვილის — დაუდის (!) ქვეყნებს ასირიამდე, სომხეთამდე და იბერიამდე"[47]. მაგრამ მისი განდიდების მიზეზი მაინც ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო. კ. ზიუსჰეიმი აღნიშნავს, რომ იმად ად-დინ ზენგიმდე და სალადინამდე ილ-ღაზი იყო ერთ-ერთი იმ ამირებს შორის, რომლებმაც შეაჩერეს ჯვაროსანთა წინსვლა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ[48]. ბალატთან გამარჯვებამ წარმოუდგენლად გაზარდა ილ-ღაზის ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ჯვაროსნებზე დიდი გამარჯვება მოიპოვა სწორედ მან და არა სულტნის მიერ სპეციალურად წარგზავნილმა ლაშქარმა. აბასიანთა ხალიფამ ილ-ღაზის საპატიო ხალათი უბოძა, მას მიეძღვნა ლექსები[49]. და მიუხედავად იმისა, რომ ბალატთან გამარჯვების შემდეგ ართუკიანის წარმატებები მოკრძალებული იყო, 1119—1121 წლებში ის მაინც დიდების ზენიტში იმყოფებოდა. სწორედ ამ პიროვნებამ, ტიპურმა წარმომადგენელმა იმ ხალხისა, რომელმაც მახვილით დაიპყრო წინა აზია და არსებითად შეცვალა მისი ეთნიკური რუკა, ილაშქრა საქართველოზე 1121 წ. აგვისტოში.

ართუკიანებთან დაახლოებული XII ს. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი წერს, რომ ილ-ღაზი გამოეხმაურა დავით აღმაშენებლის მიერ შევიწროებულ თბილისელ მუსლიმთა მოწოდებას, მიიღო მათი მიწვევა ჩაებარებინა ქალაქი და ილაშქრა საქართველო-

---

[46] C. Hillenbrand. The Career., გვ. 291.

[47] The First and Second Crusades from an Anonymous Syriac Chronicle. Tr. by A. S. Tritton, with Notes by H. A. R. Gibb. JRAS, 1933, გვ. 89. აქ შეცდომით არის მითითებული, რომ დაუდი იყო ილ-ღაზის ბიძაშვილი.

[48] K. Süssheim. Il-Ghazi, გვ. 1119.

[49] იბნ ალ-ასირ, X, გვ. 568, 555. არაბ ისტორიკოსს მოჰყავს ნაწყვეტი ალ-'აზიმის ლექსისა, სადაც პოეტი ასე მიმართავს ილ-ღაზის: „თქვი, რაც კი გსურს და შენი ნატვრა ასრულდება. შემოქმედის შემდეგ შენ ხარ საყრდენი. ყურანმა განიხარა, ოდეს დაიცავი და ატირდა სახარება მიმდევართა დაღუპვით".

ზე[50]. კ. ჰილენბრანდი მართებულად თვლის, რომ ეს იყო ილ-ღაზის მორიგი უხეში შეცდომა[51]. ლაშქრობის შედეგები, ცხადია, სხვა დასკვნის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ამ სამხედრო ექსპედიციის �itio ართუკიანს ოპტიმიზმის საფუძველი ჰქონდა.

1121 წ. თბილისის მდგომარეობა წააგავდა ჰალაბის ვითარებას 1119 წლამდე: როგორც ერთ, ისე მეორე ქალაქში არ იყო მტკიცე ხელისუფლება. ჰალაბს ემუქრებოდნენ ჯვაროსნები, თბილისის ასაღებად კი ემზადებოდა დავით-აღმაშენებელი. ჰალაბის, ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაკავება ჯვაროსნებს საშუალებას აძლევდა განუყოფლად ებატონათ ჩრდილოეთ სირიაში, სირიის საზღვაო სანაპიროზე და პალესტინაში. თბილისის დაკარგვით მუსლიმებს ხელიდან ეცლებოდათ ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრი, რის შემდეგაც ქართველთა მეფე თითქმის ასრულებდა ქვეყნის გაერთიანებას და მას ვეღარაფერი დააბრკოლებდა, რომ უფრო აქტიურად ებრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. ჰალაბელები გამუდმებით სთხოვდნენ დახმარებას მეზობელ მუსლიმ გამგებლებს და ასევე იქცეოდნენ თბილისელებიც. ილ-ღაზის მზადყოფნამ და ბალატთან გამარჯვებამ ჰალაბი იხსნა ჯვაროსანთა საფრთხისაგან და დიდი სახელი მოუხვეჭა ართუკიანს. თბილისის საქმეებში ჩარევა, ალბათ, მას ასეთივე წარმატების ილუზიას უქმნიდა.

თბილისის დაკავება არ იყო თვითმიზანი ილ-ღაზისათვის. ქართველ მკვლევარებს დასაბუთებული და მიღებული აქვთ, რომ საქართველოზე ლაშქრობით ის იმედოვნებდა ჯვაროსანთა ამ მოკავშირის განადგურებას[52]. ილ-ღაზის, უეჭველია, აშფოთებდა დავით აღმაშენებლის სამხედრო აქტივობა[53]. მართალია, ართუკიანს საქართველოსთან საერთო საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ მისი სამფლობელოების ხელყოფის სიგნალი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართველთა მეფის მიერ აშორნიას

---

[50] V. Minorsky. Caucasica in the History of Mayyafariqin. BSOAS, vol. XIII, pt. I, 1949, გვ. 14; ე. სიხარულიძე. ალ-ფარიკი საქართველოში. „სემიტოლოგიური ძიებანი", ტ. II, თბ., 1985, გვ. 87—88.

[51] C. Hillenbrand. The Career..., 269.

[52] თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 20; შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 91; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ ნაშრომი, გვ. 10; რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

[53] XIV ს. არაბი ისტორიკოსი ალ-'აზნი, რომელიც აგვიწერს დიდგორის ბრძოლას, აღნიშნავს, რომ მის წინ ქართველებს დაულაშქრიათ სირია ('იკდ ალ-ჯუმან ფი თა'რიხ აჰლ აზ-ზამან. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ნუსხა. C 350, ტ. III, გვ. 311), მაგრამ ალ-'აზნის ინფორმაცია მთლიანად ემყარება იბნ ალ-ასირისას, ეს უკანასკნელი კი სირიის ნაცვლად ასახელებს ისლამის ქვეყნებს (ტ. X, გვ. 267).

დარბევა 1121 წ. ნოემბერში[54]. აშორნია (იგივე აშორნიქ, არშარუნიქ, არშარუნია)[55] — ეს სომხური ოლქი, რომელიც თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, არც თუ შორს მდებარეობდა დიარ ბაქრისგან. [illegible] თიდან მოსალოდნელი სამხედრო მუქარის ლიკვიდაციის შემდეგ ილ-ღაზის, კანცლერ გოტიეს თანახმად, ვეღარაფერი შეუშლიდა ხელს, რომ თავისუფლად შედგომოდა „იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას"[56]. 1121 წ. მაისში მან უბრძანა თავის ვაჟს სულაიმანს, რომელიც ჰალაბის გამგებლად დანიშნა, რომ ნებისმიერ პირობებზე დაზავებოდა ფრანკებს. ამ დროს ის უკვე ჩრდილოეთის მეზობლის დასალაშქრად ემზადებოდა.

საქართველოზე ილ-ღაზის ლაშქრობას განაპირობებდა „თურქმენული ფაქტორიც". მომთაბარე თურქმენები იყვნენ როგორც დიარ ბაქრში, ისე ამიერკავკასიაშიც. ისინი აქ არა მარტო დაპყრობითი ომების შედეგად მოხვდნენ. ცნობილია, რომ მალიქ-შაჰის ვეზირი ნიზამ ალ-მულქი მოითხოვდა ირანიდან მომთაბარეთა გაყვანას ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებზე, რადგანაც ეს მოუსვენარი ელემენტი მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა მმართველ კლასს[57]. მომთაბარეთა ექსტენსიური მეურნეობა უცხო და მიუღებელი იყო განვითარებული ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის[58]. ეს განაპირობებდა დავით აღმაშენებლის შეურიგებელ ბრძოლას მათთან, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებთან — არანსა და სომხეთში[59]. 1121 წ. ნოემბერში სწორედ თურქმენები მოარბია მეფემ აშორნიაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, თუ როგორ ჩიოდნენ სელჩუკიანთა სულტნის წინაშე „განძელ-ტფილელ-დმანელ" ვაჭრებთან ერთად „ესეოვითარითა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი"[60]. ბუნებრივია დავუშვათ, რომ ასევე ჩიოდნენ ისინი თავიანთ აღიარებულ ბელადთან — ილ-ღაზისთანაც. თურქმენთა საჩივრების დაკმაყოფილება და ქარ-

---

[54] თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 20.

[55] M. B r o s s e t. Histoire da la Géorgie, გვ. 364, შენ. 7, გვ. 365, შენ. 8. არშარუნია, იგივე ერასხაძორი მდებარეობდა აირარატის პროვინციაში, აჩურიანის ქვემო დინების დასავლეთით, არაქსის სანაპიროზე. მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ., 1984, გვ. 290, შენ. 216.

[56] ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 45.

[57] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო. კრ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", თბ., 1957, გვ. 125; მ ი ს ი ვ ე, აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე. თსუ შრომები, ტ. 125, 1968, გვ. 295.

[58] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთი..., გვ. 295.

[59] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 338, 339, 340, 344.

[60] იქვე, გვ. 340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველთა სანიმუშოდ დასჯა ართუკიანს კარგ შანსს აძლევდა იმისთვის, რომ აღედგინა მომთაბარეებზე 1120 წ. შერყეული გავლენა. ძლევამოსილი ლაშქრობა და თბილისის დაუფლება ილ-ღაზის საშუალებას მისცემდა შეექმნა ვრცელი სახელმწიფო თბილისიდან ჰალაბამდე და თურქმენთა მხარდაჭერით ეთამაშნა მნიშვნელოვანი როლი იმ ბრძოლაში, რომელიც სელჩუკებსა და დავით აღმაშენებელს შორის ამიერკავკასიაში გასაბატონებლად მიმდინარეობდა.

საქართველოში, უცხო ქვეყანაში ლაშქრობა, ცხადია, სახიფათო იყო. ილ-ღაზის არ შეიძლება არ ცოდნოდა დავითის სამხედრო წარმატებების შესახებ. მაგრამ ასევე რისკთან იყო დაკავშირებული მისი ბრძოლები ჯვაროსნებთან და ნიჭიერი სარდალი იყო როჟერ ანტიოქიელი, რომელმაც თავი დაჰკარგა ბალატთან. საკუთარი ძალების გარდა ილ-ღაზის ისიც ამხნევებდა, რომ ამ ერთან მიტი მოკავშირე შემოიკრიბა. მას თან წამოყვა თავისი სიძე, ჰილას (ცენტრალური ერაყი) გამგებელი, არაბთა მეფედ წოდებული დუბაის ბ. სადაკა[61], რომლის მამასთან ართუკიანს ჯერ კიდევ ბაღდადის შიჰნად ყოფნის დროს ჰქონდა კავშირი. მართალია, დუბაისი სულტნისგან იყო დევნილი, მაგრამ ის დიდძალი ფულითა და საჩუქრით ეახლა სიმამრს და იბნ ალ-'ადიმის ცნობით მასთან კავშირმა გააძლიერა ილ-ღაზი[62]. ილ-ღაზიმ უხმო თავის ვასალს, არზანისა და ბიდლისის გამგებელს ტუღან არსლანს, რომელიც ამ დროს დვინსაც ფლობდა[63]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ მას ეახლნენ თურქმენები „დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ"[64] — როგორც ერთგული მოკავშირის თოღ-თეგინის ქვეშევრდომები დამასკოდან, ისე საკუთარი სამხედრო რაზმები — ჰალაბიდან. მათე ურჰაელის თანახმად ილ-ღაზიმ ბრძანა „შეკრებილიყო მისი დიდი ჯარი ყოველი თურქთა ტომიდან... მთელი კარმიანი (ჩათვლით)"[65]. მემატიანე კარმიანს მალატიას უწოდებს[66]. ეს ქალაქი არ ექვემდებარებოდა ილ-ღაზის, მაგრამ მალატიაში ამ დროს ახალგაზრდა სელჩუკიანი გამგებლის ათაბაგად იჯდა მისი ძმისშვილი ბალაქი[67]. ილ-ღაზისთვის კარმიანელი (გარ-

---

[61] დუბაისი 1120 წ. დაქორწინდა ილ-ღაზის ასულზე (ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი, X, გვ. 561).

[62] ი ბ ნ ალ-'ა დ ი მ, გვ. 198.

[63] ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[64] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340.

[65] ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 244.

[66] Extraits de la Chronique de M a t h i e u d'É d e s s e. Recueil des Historiens des Croisades. Documents Arméniens. Tome premier, Paris, 1869, გვ 127.

[67] C. C a h e n. Balak. EI², vol. I, გვ. 983.

მიანელი) თურქების[68] დამხმარედ გაგზავნა მხოლოდ მას შეეძლო. მაგრამ მთავარი მოკავშირე მაინც იყო არანის გამგებელი, სულტან მაჰმუდის ძმა თოღრულ ბ. მუჰამადი, რომელსაც მცირეწლოვანობის გამო მეურვეობდა ათაბაგი ქენ-თოღდი.

თოღრულმა ჯერ კიდევ მამის, სულტან მუჰამადის სიცოცხლეში მიიღო იკტად სავა, ავა და ზენჯანი. 1119 წ. ის ქენ-თოღდის წაქეზებით აუჯანყდა ძმას, მაგრამ იძლია და განჯას შეაფარა თავი. იმავე წელს სანჯარმა დაამარცხა მაჰმუდი და თოღრულს ისევ უბოძა, როგორც ზემოაღნიშნული სამფლობელოები, ისე დამატებით გილანი, დეილამი და ქ. ყაზვინიც[69]. თოღრული ფლობდა, აგრეთვე, ქ. ნახჭევანს. იბნ ალ-ასირის თანახმად, 514/2. IV. 1120 — 21. III. 1121 წ., ე. ი. დიდგორის ბრძოლამდე, მაჰმუდმა თავისი სარდალი ჯუიუშ-ბეგი გაგზავნა ძმის დასამორჩილებლად, მაგრამ ის ქენ-თოღდისთან ერთად განჯაში გამაგრდა და ბრძოლა არ მომხდარა[70]. ამის შემდეგ, მცირე ხნით კონფლიქტი ძმებს შორის აღარ ჩანს. 1121 წ. მიწურულს ქენ-თოღდი გარდაიცვალა და 1122 წ. მარტში კი თოღრულმა მორჩილება გამოუცხადა სულტანს[71].

ალ-ფარიკის ცნობით, თბილისელ მუსლიმებს დახმარებისთვის მიუმართავთა თოღრულისთვისაც, რომელმაც აქ თავისი შიჰნა გამოგზავნა[72]. მაგრამ მისი დახმარება არ იყო ეფექტური, რადგანაც თავად განიცდიდა დაწოლას როგორც სულტნისგან, ისე საქართველოსგან. არანსა და მის მთავარ ქალაქ განჯაში გამაგრებული თურქ-სელჩუკები უკვე მოექცნენ დავით აღმაშენებლის თვალსაწიერში. 503/1109-10 წ. დავითმა პირველად დალაშქრა განჯის სანახები, მაგრამ დამარცხდა სულტან მუჰამადთან და უკუიქცა[73]. დიდგორის ბრძოლის წინ, მათე ურჰაელის თანახმად, განჯის ამირას თავდასხმის საპასუხოდ, მან განახორციელა ახალი, ამჯერად ძლევამოსილი რეიდი მის წინააღმდეგ[74].

---

[68] გარმიანელი თურქების შესახებ იხ.: C. Cahen. L'Origine des Garmyans. JA, t. 239, 1951, გვ. 349—354; გ. ალასანია, „გარმიან", „გარმიანელის" განმარტებისათვის. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1975, გვ. 175—178.

[69] იბნ ალ-ასირ, X, გვ. 547—48; З. М. Буниятов. Государство атабеков Азербайджана, Баку, 1978, გვ. 17—19; C. E. Bosworth. დასახ. ნაშრომი, გვ. 120—121.

[70] იბნ ალ-ასირ, X, გვ. 587.

[71] იქვე, გვ. 597.

[72] ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[73] იბნ ალ-ყალანისი, გვ. 269. Садр ад-дин ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-сельджукийя. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова. М., 1980, გვ. 83.

[74] ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 243—22.

თოღრულზე დავითის გალაშქრებას აღნიშნავს იბნ ალ-კალანისიც[75]. შეშფოთებული თოღრული ცდილობდა, რომ ანგარიში გაეწია თბილისელ მუსლიმთათვის და ამავე დროს გამოეძებნა ძლიერი მოკავშირე ქართველების წინააღმდეგ. სულტანი მაჰმუდი, რომელსაც ის ებრძოდა, ცხადია, ამ საქმეში არ გამოადგებოდა. სამაგიეროდ მიმზიდველი ჩანდა კავშირი იმ დროისათვის დიდებით მოსილ ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზისთან და დუბაის ბ. სადაკასთან[76].

ალ-ფარიკისგან განსხვავებით იბნ ალ-კალანისი და იბნ ალ-'ადიმი აღნიშნავენ, რომ სწორედ თოღრულმა მოუწოდა ილ-ღაზის ქართველებისა და მათი მეფის — დავითის წინააღმდეგ დასახმარებლად[77]. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ქართველთაგან შეწუხებულმა მეზობელმა მუსლიმმა ამირებმა ერთმანეთთან წერილობითი კავშირი დაამყარეს და ასე შეთანხმდნენ ერთობლივ ლაშქრობაზე[78]. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, მისი ცნობით კოალიციური ლაშქარი სულტნის ინიციატივით შეიყარა („მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თჳსი მალიქი[79] და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი"...). ასეა მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაშიც[80], მაგრამ კოალიციაში მაჰმუდის ორი მეტოქის, მათ შორის ერთი ტახტის პრეტენდენტის, მონაწილეობა საეჭვოდ ხდის ამ თვალსაზრისს.

მაჰმუდს რთული ურთიერთობები ჰქონდა როგორც თოღრულთან (იხ. ზემოთ), ისე დუბაის ბ. სადაკასთან. 1120 წ. ჰილას გამგებელმა სულტნის ძმა მასუდი და მისი ათაბაგი შირ-გირი წააქეზა მაჰმუდის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. სულტანმა გაიმარჯვა, მერე ძმა და ათაბაგი შემოირიგა და დუბაისზე ილაშქრა. უკანასკნელმა მოაოხრა ერაყი და ილ-ღაზისთან გაიქცა. მცირე ხნის შემდეგ ის შეეცადა მორიგებოდა სულტანს, მაგრამ ამაოდ[81]. არ გაჭრა ილ-ღაზის ჩარევამაც[82]. ერაყში

---

[75] იბნ ალ-კალანისი, გვ. 326. ამდენად დავითის ამ სამხედრო აქციის მიმართ სკეპტიციზმი (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—87) უსაფუძვლოა.

[76] თოღრულის კავშირი დუბაისთან გრძელდებოდა დიდგორის ბრძოლის შემდეგაც, ამჯერად სულტან მაჰმუდის წინააღმდეგ (იბნ ალ-ასირ, X, გვ. 626—28).

[77] იბნ ალ-კალანისი, გვ. 326; იბნ ალ-'ადიმ, გვ. 199—200.

[78] იბნ ალ-ასირ, X, გვ. 567.

[79] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340. მკვლევარები მართებულად თვლიან, რომ წყაროში დასახელებული სულტნის ძე სინამდვილეში არის მისი ძმა — თოღრული — შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 97; რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

[80] მაგ.: რ. კიკნაძე, XI—XII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. V, ნაკვ. I, თბ., 1960, გვ. 121; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 238—39.

[81] იბნ ალ-ასირ, X, გვ. 592.

[82] იქვე.

შიიტი დუბაის ბ. სადაკას დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი იყო აბასიანი ხალიფაც. მან ილ-ღაზის მოთხოვა, რომ გაეძევებინა დუბაისი, მაგრამ თავაზიანი უარი მიიღო[83]. 1121 წ. სულტანს ჰიდასპეგებელზე არავითარი გავლენა არა ჰქონდა და დუბაისმა საქართველოზე ლაშქრობაში მხოლოდ იმიტომ მიიღო მონაწილეობა, რომ ილ-ღაზის სიძე და მოკავშირე იყო.

აღსანიშნავია, რომ 1121 წ. საქართველოზე ამ კოალიციურ ლაშქრობასთან დაკავშირებით არაბი ავტორები საერთოდ არ იხსენიებენ სულტანს. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. მათ კარგად იცოდნენ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და მაჰმუდის დამოკიდებულება თოღრულთან და დუბაისთან. ეჭვი არ არის, რომ „შეიწრებულნი" თურქმენები და „განძელ-ტფილელ-დმანელნი" ვაჭრები ჩიოდნენ სულტანთან, როგორც უმაღლეს ინსტანციასთან, მაგრამ მან, როგორც აღნიშნავდა იბნ ალ-ასირი, ვერ შესძლო ხელი შეეშალა ქართველებისთვის აეღოთ თბილისი[84]. მას არ აღმოუჩენია რეალური სამხედრო დახმარება კოალიციისთვის და ვფიქრობთ, რომ ის ვერ დანიშნავდა ილ-ღაზის სპასალარად იმ ლაშქრისა, რომლის შეყრაც უბრალოდ არ ძალუძდა. საუკეთესო შემთხვევაში მაჰმუდს შეეძლო მოეწონებინა კოალიციის მიზნები და თავი შეეკავებინა თოღრულისა და დუბაისის წინააღმდეგ მტრული გამოსვლებისგან. მართლაც, 1121 წ. ზაფხულში არაბული წყაროები მის რაიმე სამხედრო აქციებზე არ მიუთითებენ. დუბაისისგან დაშინებული ხალიფას თხოვნით მთელი ეს დრო სულტანმა ლაშქართან ერთად ბაღდადში უმოქმედოდ გაატარა და აგვისტოში ძლივს გადაურჩა საშინელ ხანძარს, რომელმაც მისი სასახლე შთანთქა[85].

ალ-ფარიკის ცნობით, თბილისთან ბრძოლის წინ ილ-ღაზის ვერ შეუერთდნენ მისი მოკავშირეები: ტუღან-არსლანი და თოღრული[86]. კოალიციაში პირველი მათგანის მონაწილეობაზე მხოლოდ ალ-ფარიკი წერს და მისი ამ ცნობის შემოწმება არ შეგვიძლია[87]. მაგრამ იგივეს

---

[83] იბნ ალ-ასირ, გვ. 568.

[84] იქვე, ტ. XII, გვ. 452.

[85] იბნ ალ-ჯაუზი, მუნთაზამ ფი თა'რიხ ალ-მულუქ ვა ლ-უმამ, X, ჰაიდარაბად, 1359/1940, გვ. 223—24.

[86] ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[87] მართალია, იგივეს წერს სიბტ იბნ ალ-ჯაუზიც (ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. თსუ შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 205), მაგრამ მისი ინფორმაცია ილ-ღაზის კამპანიის შესახებ ალ-ფარიკის პარაფრაზია. ამ ორი ავტორის ცნობების ურთიერთმიმართების შესახებ იხ.: C. Hillenbrand. Some Medieval Islamic Approach to Source Material. Oriens, vol. 27—28, 1981, გვ. 200, 205.

ვერ ვიტყვით თოღრულის შესახებ. საქართველოში მის მარცხს ალ-ნიშნავენ XII ს. ისტორიკოსები: ال-'عظيمي[88] (გარდ. 1161 წ.), ალაბიდან და მათე ურჰაელი[89] — ედესიდან, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იღებდნენ თავიანთ ინფორმაციას. დამასკელი იბნ ال-كلانيسي (გარდ. 1161 წ.), რომელიც ერთ-ერთი პირველი შეეხო ال-ركاب-ის კამპანიას, მართალია, კონკრეტულად არ ასახელებს დამარცხებულთ, მაგრამ მიუთითებს კოალიციაში თოღრულის მონაწილეობაზე[90]. მოგვიანებით იგივეს აღნიშნავს იბნ ال-'عظيمي[91]. იბნ ال-اثير კი, რომლის ორიგინალური ინფორმაციის წყარო დიდგორის ბრძოლის შესახებ, დღემდე უცნობია, ბრძოლის ველიდან გაქცეულთა შორის ასახელებს თოღრულსაც[92]. ეს ცნობები ال-فارقي-სთან შედარებით ჩვენ უფრო სანდოდ და მისაღებად მიგვაჩნია[93].

დიარ ბაქრიდან წამოსულმა ال-رزم-ის ოსტატმა და ყარსი გაიარა და მანგლის-თრიალეთის გზით გაემართა თბილისისკენ. მკვლევართა დასკვნით, ბრძოლა დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილებით, ქართველთა მიერ საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, დიდგორთან მოხდა[94]. ال-رزم შევიდა ვიწრო და მოუხერხებელ ადგილზე, სადაც ვერ გაშალა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი. მაგრამ რატომ დაუშვა ასეთი შეცდომა გამოცდილმა სარდალმა? პასუხს ამ კითხვაზე თითქოსდა იბნ ال-كلانيسي და იბნ ال-'عظيمي იძლევიან. ისინი მიუთითებენ, რომ თავდაპირველ შეტაკებაში ქართველები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. მაგრამ შემდეგ დადევნებულ მუსლიმებს მიუბრუნდნენ

---

88 C. Cahen. La Chronique abrégée d'al-'Azimi. JA. t. 230. 1938. გვ. 388.

89 ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

90 იბნ ال-كلانيسي, გვ. 326.

91 იბნ ال-'عظيمي, გვ. 200; გ. კუტალია, ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 74, № 2, 1974, გვ. 503.

92 იბნ ال-اثير, X, გვ. 567.

93 ال-فارقي-ის ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევდა ვ. მინორსკი. იბნ ال-اثير-ზე დაყრდნობით ის თვლიდა, რომ თოღრული ვერ შეუერთდა ال-رزم-ის და მისი გეგმები ჩაიშალა იმიტომ, რომ სულტანმა მის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარები (V. Minorsky, დასახ. ნაშრომი, გვ. 30), მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, იბნ ال-اثير-ის თანახმად კონფლიქტი თოღრულსა და მაჰმუდს შორის მოხდა დიდგორის ომამდე — არა უგვიანეს 1121 წ. მარტისა და მაშინაც საქმე ომამდე არ მისულა. ცხადია, ეს ამბავი ვერ შეუშლიდა ხელს არანის გამგებელს მონაწილეობა მიეღო კოალიციურ ლაშქრობაში. ასევე მიიჩნევდა შ. მესხიაც (დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100). მიუხედავად იმისა, რომ მაჰმუდს კოალიციის ინიციატორად თვლიდა, რ. კიკნაძემ გაიზიარა ვ. მინორსკის თვალსაზრისი (დასახ. ნაშრომი, გვ. 122—23).

94 ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 39; ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, გვ. 17, 81.

და სძლიეს მათ[95]. ჩანს, რომ დავითმა გამოიყენა ის ტაქტიკური ხერ-ხი, რომელიც საერთოდ უცხო არ იყო აღმოსავლეთის სამხედრო ხელ-ოვნებაში. დამარცხების იმიტაციით გაათამამა ილ-ღაზი და შეიტყუა იქ, სადაც გენერალური ბრძოლის გამართვა მისთვის უფრო მოსახერ-ხებელი იყო.

დიდგორის ბრძოლის (1121 წ. 12 აგვისტო) ფინალი ცნობილია. მუსლიმთა უდიდესი ნაწილი[96] ბრძოლის ველზე დაეცა. გადარჩენი-

---

[95] იბნ ალ-კალანისი, გვ. 326; იბნ ალ-'ადიმ, გვ. 200; გ. კუტა-ლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 503.

[96] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თანახმად მუსლიმთა ლაშქარი სიმრავლით იყო „ვითარცა ქვიშა ზღუსა" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340—41), სომხური და ევროპული წყაროებით კი — 150—600 ათასი (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 102—3). თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია 200—300 ათასი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 239). უფრო მოკრძალებულად გამოიყურება იბნ ალ-ასირის ცნობა, რომ მუსლიმთა ლაშქარი 30 ათასს აღემატებო-და. მართალია, არაბი ისტორიკოსის თხზულების ზოგიერთ გამოცემაში (ბაღრუთ, ტ. X, 1966, გვ. 567) ამ რიცხვის ათეულები (30) აღდგენილია, მაგრამ ისინი კარ-გად იკითხება მის ერთ-ერთ უძველეს, 1287 წ. ნუსხაში (სსრ კავშირის მეცნიერება-თა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი, D 373, ჰაგინაციის გარეშე, 514 წ. ამბები, ქვეთავი: „ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ ქართველთა გამოს-ვლის მოხსენიება"). ამდენად სკეპტიციზმი იბნ ალ-ასირის ცნობისადმი (ივ. ჯავა-ხიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1965, გვ. 202, შენ. 4; შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 103), უსაფუძვლოა. იბნ ალ-კალანისისთვის და იბნ ალ-'ადიმისთვის კოალიციური ლაშქარი იყო „დიდძალი" (ხალკ 'აზიმ, 'ალამ 'აზიმ), იბნ ალ-ასირისთვის კი „მრავალრიცხოვანი" ('ასქარ ქასირ) და ეს არც არის გასაკვირი. XI ს. მიწურულისა და XII ს. პირველი ნახევრის ახლო აღმოსავ-ლეთის სამხედრო ოპერაციებში 15-20 ათასიანი ჯარი უკვე მრავალრიცხოვნად ითვ-ლებოდა, 200-300 ათასიან ლაშქარს კი არაბული წყაროები არცერთ კამპანიაში არ ასახელებენ. 100 ათასი მეომარი მხოლოდ ერთხელ შეუგროვდა ბარქია-რუკს (იბნ ალ-ასირ, X, გვ. 306) და ორჯერ — სანჯარს (იბნ ალ-ასირ, X, გვ. 576; XI, გვ. 177; A. K. Lambton. Continuity and Changes.., გვ. 8). თავად ილ-ღაზის 1121 წლამდე ყველაზე დიდი ჯარი — 20-40 ათასი თურქმენი ბალატის ბრძოლაში ჰყავდა. მოგვიანებით, 524/1129-30 წ. იმად ად-დინ ზენგის წინა-აღმდეგ შეყრილმა ართუკიანთა გაერთიანებულმა ძალებმა შეადგინეს „დიდძალი ხალხი" — 20 ათასამდე თურქმენი (იბნ ალ-ასირ, X, გვ. 664), როგორც ჩანს, 20 ათასი მეომრის გამოყვანა დიარ ბაქრის თურქმენებიდან სავსებით რეალური იყო. დუბაის ბ. სადაკას საუკეთესო შემთხვევაში შეეძლო შეეკრიბა 10 ათასი ქვეი-თი და 15 ათასი მხედარი (ა. ჯ. ნაჯი, ალ-იმარა ალ-მაზიიადიდა, ბაღდად. 1970, გვ. 174). რაც შეეხება თოღრულს, მისი შესაძლებლობები უცნობია, მაგრამ მოგვია-ნებით, არანისა და აზერბაიჯანის გაცილებით ძლიერ გამგებელს ათაბაგ შამს ად-დინ ილ-დენიზს გამოჰყავდა 50 ათასი მეომარი (იბნ ალ-ასირ, XI, გვ. 388; З. М. Буниятов. Государство..,გვ. 50). ეს მონაცემები, ვფიქრობთ, გასათვა-ლისწინებელია დიდგორის ომში მუსლიმთა კოალიციის ოდენობის განსაზღვრის დროს.

ლებს ქართველებმა დიდ მანძილზე მისდიეს და 4 ათასი კაცი დაატყვევეს. თოღრულმა, ილ-ღაზიმ და დუბაის ბ. სადაკამ (რომელმაც ხალხთან ერთად 300 ათასი დინარის ქონებაც დაჰკარგა)[97] გაქცევით უშველეს თავს. ამასთან დაკავშირებით კ. ჰილენბრანდი ირონიულად შენიშნავს: „ისლამის მძლე დამცველი, სარწმუნოების ვარსკვლავი, რომელმაც მცირე ხნით ადრე ასეთი დიდება მოუტანა მუსლიმთა საქმეს, ახლა ბედნიერი იყო იმით, რომ დუბაისთან და რამდენიმე მხლებელთან ერთად გაიქცა და შერცხვენილი დაბრუნდა მარდინს"[98].

დიდგორის ბრძოლამ გადაწყვიტა თბილისის ბედი. ალ-ფარიკის ცნობით, 515 წ. ბოლოს, ე. ი. 1122 წ. 10 თებერვლიდან 11 მარტამდე, დავითმა აიღო ქალაქი[99]. ილ-ღაზის უიღბლო კამპანია და თბილისის დაცემა გახდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახმაურებული ამბავი იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში და აისახა როგორც XII, ისე XIII—XV სს. მრავალ არაბულ წყაროში[100]. მუსლიმები, რომლებიც 400 წლის ბატონობის შემდეგ თბილისს თავისად მიიჩნევდნენ, მტკივ-

---

[97] იბნ ალ-'ადიმ, გვ. 200; გ. კუტალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 503.

[98] C. Hillenbrand. The Career.., გვ. 280.

[99] ეს ცნობა არ არის ალ-ფარიკის თხზულების ვრცელ (Or. 5803) ნუსხაში, საიდანაც შესრულდა ვ. მინორსკის ინგლისური და ე. სიხარულიძის ქართული თარგმანები ილ-ღაზის კამპანიის შესახებ. სამაგიეროდ ის შესულია მეორე, უფრო მოკლე ხელნაწერში (Or. 6310) — იხ. გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 70—71.

[100] იბნ ალ-კალანისი, გვ. 326; ალ-'აზიმი—C. Cahen. La Chronique.., გვ. 388; C. Cahen. Une chronique syrienne du VIe/XIIe siècle: „Le Bustan al-Jami'" BEO, t. VII—VIII. Années 1937—1938. Damas, 1938, გვ. 118—19; ალ-ფარიკი—ე. სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 87—89; იბნ ალ-ასირ, X, გვ. 567—68; იბნ ალ-'ადიმ, გვ. 200 (გ. კუტალია. დასახ. ნაშრომი გვ. 503); სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, VIII, გვ. 101 (ო. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 205); Мухаммад- ал-Хамави. Та'рих ал-мансури (Мансурова хроника). Издание текста, предисловие и указатели П. А. Грязневича, М., 1960, გვ. 162; ადაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I, არაბული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბ., 1964, გვ. 40; იბნ ალ-'იბრი. თა'რიხ მუხთასარ ად-დუვალ. ბაღდადი (უთარიღო), გვ. 202; Abu-l-Fida'. al-Mukhtasar fi akhbar al-bashar, II, Cairo (უთარიღო). გვ. 232. al-Dahabi. Kitab al-'ibar fi habar man gabar, IV, Ed. by Salah al-din Munajjid. Kuwait, 1983, გვ. 31; ალ-'აინი, გვ. 311b (იბნ ალ-ასირის მიხედვით), 321b (სიბტ იბნ ალ-ჯაუზის მიხედვით); იბნ თაღრი ბირდი, V, გვ. 104; იბნ ხალდუნ, V, გვ. 104—105 და სხვ. გარდა არაბულისა, აღსანიშნავია XIII ს-ში სირიულ ენაზე შედგენილი ანონიმური ქრონიკაც—The First and Second Crusades..., გვ. 89 (ეს უკანასკნელი, ისევე როგორც იბნ ალ-კალანისისა და ალ-'აზიმის თხზულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა გაოვალისწინებული). სომხური და ევროპული წყაროების შესახებ იხ. შ. მესხია. დასახ. ნაშრომი, გვ. 6—7, 11.

ნეულად განიცდიდნენ მის დაკარგვას და ქალაქის ისევ უკან დაბრუნებაზე ოცნებობდნენ[101].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდგორთან დავითის გამარჯვების[102] ისტორიული მნიშვნელობა სათანადოდ არის შეფასებული ქართველ მკვლევართა მიერ და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება ილ-ღაზის, მარცხი მძიმე დარტყმა იყო მისი პატივმოყვარეობისა და გეგმებისათვის. ართუკიანის მოღვაწეობის არეალად ისევ დიარ ბაქრი და ჩრდილოეთ სირია დარჩა, მაგრამ მისი პოზიციები აქაც შეირყა. ჰალაბში ადგილობრივი ძალების წაქეზებით აჯანყდა მისი ვაჟიშვილი სულაიმანი. მართალია, ილ-ღაზიმ სწრაფად აღადგინა თავისი ძალაუფლება ამ ქალაქში, მაგრამ სხვა რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო აქტივობა აღარ გამოუჩენია. ეს არც არის გასაკვირი. მან დაჰკარგა ბრძოლისუნარიან თურქმენთა დიდი ნაწილი. გარდა ამისა, დიდგორის ბრძოლაში თავში დაჭრილი დასნეულდა კიდევაც[103]. სიკვდილმა მას დაახლოებით 60 წლის ასაკში, მაიაფარიკინის მახლობლად, 1122 წლის ნოემბერში უწია[104].

*

* *

ილ-ღაზის სამფლობელო მისმა ორმა ვაჟიშვილმა გაიყო. ჰალაბი და მარდინი თემურთაშმა იგდო ხელთ, მაიაფარიკინი კი — სულაიმანმა. 1124 წ. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა და თემურთაშმა დაიკავა მაიაფარიკინიც, მაგრამ იძულებული გახდა სამუდამოდ დაეთმო ჰალაბი. მას არ გამოყვა მამის ენერგია და აგრესიულობა. ეს ილ-ღაზის შეეძლო ემოქმედა ვრცელ ტერიტორიებზე: პალესტინიდან — ერაყამდე და სირიიდან — საქართველომდე, თემურთაშის ინტერესები კი არ ცილდებოდა დიარ ბაქრს. მაგრამ მას აქაც სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა თავისი ბიძაშვილის, ჰისნ ქაიფას მფლობელის, დაუდ ბ. სუქმანის სახით. ადრე დაუდი ილ-ღაზის უზენაესობას აღიარებდა და

---

101 იხ. გ. ჯაფარიძე, მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII—XIV საუკუნეებში. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1990, გვ. 171, შენ. 117.

102 ამ გამარჯვებით დავით აღმაშენებლის სახელი ფართოდ გახდა ცნობილი მუსლიმურ აღმოსავლეთში. არაბულ წყაროებში აისახა მისი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე და გარდაცვალება. აღნიშნულია, რომ დავითი იყო ის მეფე, რომელმაც დაიპყრო თბილისი. C. Cahen. Une chronique syrienne, გვ. 118.

103 ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 466; იბნ თაღრი ბირდი, V, გვ. 223. The First and Second Crusades.., გვ. 89.

104 C. Cahen. Le Diyar Bakr.., გვ. 240; K. Süssheim. Il-Ghazi, გვ. 1119. ილ-ღაზის ცხედარი დაკრძალეს მაიაფარიკინში (იბნ ალ-ყალანისი, გვ. 330—331), სადაც დაასაფლავეს, აგრეთვე, 1135 წ. მოკლული დუბაის ბ. სადაკაც.

შის ჩრდილში იყო, მაგრამ 1122 წ. შემდეგ გააქტიურდა. მან ხელთ იგდო 1124 წ. დაღუპული ენერგიული ართუკიანის ბალაქ ბ. ბაბრამანული სამფლობელო ჰანძითში[105] და მისი მთავარი ქალაქი ხარპუტი, შემდეგ კი გააფართოვა თავისი საამირო ვანის ტბის მიმართულებით. დაუდს ილ-ღაზის მსგავსად დიდი გავლენა ჰქონდა თურქმენებზე[106]. მათე ურჰაელის თანახმად, სომხური ერით 574, ანუ 1125 წ. 18 თებერვლიდან 1126 წ. 17 თებერვლამდე, ე. ი. დემეტრე I-ის ზეობის პირველსავე წელს, დაუდმა ხლათის გამგებელ იბრაჰიმ ბ. სუქმანთან და სხვა მუსლიმ ამირებთან ერთად ილაშქრა საქართველოზე[107], მაგრამ მარცხი განიცადა[108] და ართუკიანთა რევანში არ შედგა. 1127 წლიდან კი მოსულის ათაბაგის იმად ად-დინ ზენგის მუქარამ აიძულა როგორც დაუდი, ისე თემურთაში მთელი ყურადღება დიარ ბაქრზე გადაეტანათ. ამის შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე ართუკიანები გაქრნენ საქართველოს ისტორიის თვალსაწიერიდან.

Г. И. ДЖАПАРИДЗЕ

НАДЖМ АД-ДИН ИЛЬ-ГАЗИ

Резюме

В статье рассматриваются деятельность одного из крупных представителей династии Артукидов Наджм ад-дина Иль-Гази (ум. в 1122 г.), владетеля значительной части Дияр Бакра (северная Месопотамия) и Алеппо (северная Сирия) и его военная экспедиция против Грузии, которая закончилась разгромом мусульман вблизи Тбилиси, в Дидгорской битве, 12 августа 1121 г.

---

105 ილ-ღაზის უშუალო მემკვიდრეების მოღვაწეობის შესახებ იხ.: C. Hillenbrand. The Establishment of Artuqid Power in Diyar Bakr in the Twelfth Century. SI, vol. 54, 1981, გვ. 129—153.

106 C. Hillenbrand, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

107 Matthieu d'Édesse. Chronique, Tr. E. Dulaurier, 1858, გვ. 146. Extraits de la Chronique de Mathieu d'Édesse გვ. 146. მათეოს ურჰაელი. ქრონოგრაფია. ერევანი, 1973, გვ. 244—45, 45, 341 (სომხურ ენაზე). ცნობა სომხური გამოცემიდან გვითარგმნა და მოგვაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა კ. კუციამ.

108 ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქცია მ. ბროსემ — M. Brosset. Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J.—C. St.-Pbg, 1851, გვ. 231, მაგრამ შემდეგ რატომღაც მივიწყებულ იქნა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას ჩვეულებრივ იმოწმებენ ართუკიანთა ისტორიის მკვლევარები: C. Cahen. Le Diyar Bakr..., გვ. 242; მისივე, Artuqids, გვ. 664; C. Hillenbrand. Establisment.., გვ. 143.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოკლებები

BEO ----- Bulletin d'Études Orientales. Damas.

BSOAS --- Bulletin of the School of Oriental and African Studies. University of London.

EI² ------ The Encyclopaedia of Islam. New Edition. Leiden-London.

JA ------- Journal Asiatique. Paris.

JRAS ---- Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Irlend. London.

SI ------- Studia Islamica.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

რ. მეტრეველი — დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობისათვის 3
Р. В. Метревели — К историческому значению общественно-политической деятельности Давида Строителя (резюме) . . 8

ვ. ბერიძე — ქართული ხელოვნება დავით აღმაშენებლის ეპოქაში . 9
В. В. Беридзе — Грузинское искусство в эпоху Давида Строителя (резюме) 18

შ. ხიდაშელი — ერთი საკითხი დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან 21
Ш. В. Хидашели — Из истории Грузинской философской мысли эпохи Давида Строителя (резюме) 26

მ. ლორთქიფანიძე — თბილისისათვის ბრძოლის ისტორიიდან . . 28
М. Д. Лордкипанидзе — Из истории Борьбы за Тбилиси (резюме) 35

ვ. ჩანტლაძე — დავით აღმაშენებლის ფინანსური პოლიტიკის საკითხისათვის 36
В. Г. Чантладзе — К вопросу о финансовой политике Давида Агмашенебели (резюме) 43

ო. ლორთქიფანიძე, ო. ლანჩავა — ქუთაისის ისტორიის პრობლემები ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე 45
О. Д. Лордкипанидзе, О. И. Ланчава, Проблемы истории Кутаиси в свете новых археологических открытий (резюме) . 54

გ. მელიქიშვილი — ძველი აღმოსავლეთი და თანამედროვეობა . . 55
Г. А. Меликишвили — Древний восток и современность (резюме) 65

დ. მუსხელიშვილი — დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა 66
Д. Л. Мусхелишвили — Восточная титулатура царя Давида Строителя (резюме) 82

ვლ. ნორაკიძე — ქართული ეროვნული ხასიათი ვეფხისტყაოსნის მიხედვით 84
В. Г. Норакидзе — Грузинский национальный характер по поэме Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» (резюме) . 90

ვ. შანიძე — დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი . . . 91
М. А. Шанидзе — Текст сочинения историка Давида (резюме) . 101

ლ. ჭილაშვილი — ნეკრესის არქეოლოგიის დასაწყისი . . . 103
Л. А. Чилашвили — Начало археологии Некреса (резюме) . 136

ალ. გვახარია — დავით აღმაშენებლის ეპოქა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ჩასახვა 139
А. А. Гвахария — Эпоха Давида Строителя и зарождение грузино-персидских литературных связей (резюме) . . . 147

დ. ხახუტაიშვილი — ქართველური სამყარო და რკინის წარმოების ადრეული საფეხური ძველ ახლო აღმოსავლეთში 149
Д. А. Хахутайшвили — Картвельский мир и ранний этап производства железа на древнем Ближнем Востоке (резюме) . . 154

გ. ნადარეიშვილი — სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციის საკითხი დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში 155
Г. Н. Надареишвили — К вопросу о гуманизации системы наказания в эпоху царя Давида Строителя (1089—1129) (резюме) 162

ს. გოგინავა — საქართველოს მწიგნობართუხუცესთა „პროტოჰიპერტიმოსობის“ საკითხის გარკვევისათვის 163
С. А. Гогинава — К вопросу о титуле «протоипертим» грузинских мцигнобартухуцесов-канцлеров (резюме) 167

პ. თოფურია — დავით აღმაშენებელი და ამიერკავკასია . . . 168
П. А. Топурия — Давид Строитель и Закавказье (резюме) . . 181

ვ. აბაშმაძე — ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგია . . 182
В. В. Абашмадзе — Политическая идеология грузинского ренессанса (резюме) 206

გ. ჯაფარიძე — ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი 207
Г. И. Джапаридзе — Наджм Ад-Дин Иль-Гази (резюме) . . 227

შემოკლებები 228